

71/4

საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველო

328

4

1971



ნახატი ს. ცინცაძის.

ჩვენს ლაჟვარდ ზეცის კრემლის დიდი სიმაღლე შეენის,
სულში სამშობლოს სადიდებელ ჰანგებს რომ აქსოვს.
გვახსოვს ტრიუმფი გამარჯვების აბრილის ჩვენის —
კოსმოსის გმირთა გამარჯვებით შემოსვლა გვახსოვს.

ზ. ბოლქვაძე.

ტყეა

167

გამოცემის მეთუთუთუა წალი

4

აკრიდი

1971

თუილისი



საქ. კვ ტკ-ის გამოცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საბარტველტს ალკა ტანტრალური კომიტატისა და მწარალტა კავშირის ტრბანო

11875





შინაარსი

კოეზია

- 3. გრიგოლ ჯულუსიძე. დიდება ლენინს!
- 32. გონდო კაშელავა. ლექსი
- 33. მარი გველსიანი. ლექსები
- 39. დილარ ივარღავა. ლექსები
- 41. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
- 43. თენგიზ კაკუშაძე. ლექსები
- 46. მურმან ჯგუზური. ლექსები.
- 48. გურამ კატრიანოვილი. ლექსები
- 53. გიორგი სამხარაძე. ბათუმის ნაკვალევზე
- 54. დომენტი ასოზაძე. ლექსები
- 55. ზურაბ კუხიანიძე. ლექსები

პრეზა

- 4. გრიგოლ ჩიქოვანი. კირწი, სალუქი და მახარია. მოთხრობა
- 35. ნუგზარ შატაძე. წვიმიანი დღე. მოთხრობა
- 44. ნანა ჯანელიძე. ნუში. მოთხრობა
- 49. თაიშურაზ გელოძე. ცისფერი საყურე. მოთხრობა

ფრონტული ჩანაწერები

- 56. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ...არ ელაღატების ასფურცელას რვეული
- 65. სულხან მთებელი. ტარხინა
- ახალი თარგმანები
- 72. ზოფი ჰოჭოხიძე. წითელი სასახლე. გერმანულიდან თარგმნა მერი გომარტელმა
- 78. ჰომეროსი. ოდისეა. გატრეკლება. ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხენკელმა

ნარკვევი

- 92. ჯურბა ნადირაძე. შაგინის მთის ყოვლანები
- 105. „ცისკრი ს“ ანკეპა
ვახუა ამირეჯიბი, გურამ დოჩინაშვილი, მუხრან მამაზარიაძე, ლადო სულაბერიძე, გურამ ფანჯოკიძე, ალექსო შენგელია, რევაზ ჯაფარიძე
- წერილები
- 127. ზვიად გამსახურდია. ტარდისის გაბეზა ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში
- 134. ავლივი ჯურაბაშვილი. პერსონალობითი პრობლემები ილია შავვაძის შემოქმედებაში
- 141. ილია მაისურაძე. წიგნი დედაინის წარსულზე

1821 — 1971

- 145. გასტონ ბუაჩიძე. გოდლიერის ცივი მშენებელი

სკორტი

- 155. გივი ბაგრატიონი. ისინი რვანი არიან
- 159. ყოველი მხრიდან


მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი გეგუჩიანი,
- გურამ გვირგვინი,
- მარკო ელიოვიჩი,
- პარლან კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- მტია პაპიაშვილი
- (მასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ ფოცხაძე,
- ნოდარ წულუბსარი,
- ტარიელ ზანტური,
- სერგი შილაძე,
- თამაზ შილაძე,
- ლავა ჯანაშია,

დიდება ლენინს!

მარადისობა მის სახელს არხვეს,
 მარადისობა მის სახელს მღერის,
 ხალხმრავალ ქუჩებს,
 ქარხნებს და არხებს
 ისევ და ისევ არქმევენ ლენინს.
 სახელი მისი გეინათებს მიზნებს,
 მივიწვევთ წინ და მივიწვევთ ზევით...
 მწვერვალებიდან ლენინი გვიმზერს,
 მომაგლისაკენ გაწვდილი ხელით.
 მიგვიძღვის წინ და გმირობას გვიქვებს,
 საუბრობს ჩვენთან მშობლიურ ენით...
 ყველაზე ლამაზ, ახდენილ ფიქრებს
 ამიტომ დღესაც არქმევენ ლენინს.
 და როცა სიო ჩამოიჭროლებს
 და გაშლის კვირტებს აპრილის დღენი,
 შე გწერ ამაყად ლექსის სტრიქონებს:
 „დიდება ლენინს!
 დიდება ლენინს!“



პირენი, სლუში და მახარია

ოდიუზრი ციკლიდან

არა. კაცია დადიანი ოდიშის მთავარი არ ყოფილა. კაცია მთავრის უფროსი ძმა იყო, დამჯდარი ხასიათისა და ნათელი გონების. მთავარზე განაწყენებული, მთავარს განდგომილი. ჰყავდა ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი, ჰყავდა ბევრი მოთაყვანე, ბევრი ყმა და ჰქონდა დიდი მამული.

უყვარდა მიწა, უყვარდა შრომა, რას არ იწევდა მიწაზე. რა ჯურის ვახსა და ხეხილს არ ნახავდი მის ბაღსა და ვენახში. რომელი ქვეყნის ხე, ბუჩქი, ვარდი და ყვავილი არ ხარობდა ნადირით საცსე მის ნაყრბალში.

სიყრმიდანვე შეისწავლა კოლხური ამინდის ჭირვეული ზნე. იცოდა, გვალვიანი ზაფხული იქნებოდა თუ თოვლიანი ზამთარი. ცას რომ ახედავდა, შეუცდომლად იტყოდა, ერთი კვირის შემდეგ გაწვიმდებოდა თუ გათოვდებოდა, ეცხელებოდა თუ ეციებოდა. იცოდა, უხვი ნამი კარგი ამინდის მომასწავებელი რომ იყო, იცოდა, ნამის წვეთები დილით ბალახის წვერებზე თუ დაეკიდებოდა — გაწვიმდებოდა, მოძალებულ ცვარ-ნამს პაპანაქება მოჰყვებოდა.

აზატთან, ხიზანთან, მებეგერესთან, მიბარებულთან, მოჯალაბესთან და ბოგანოსთან ერთად თვითონაც მკლავებდაკაბიწებულნი მუშაობდა. დაღლა რა იყო, არ იცოდა. შრომის შემდეგ თავს ისე ლაღად გრძნობდა, როგორც ოცი წლის ჭაბუკი. მთის მდინარე იმიტომაც კისკასი და ანკარა, თავაწყვეტილ დინებაში რომაო, ეტყოდა უქნარა თავაღსა და აზნაურს, დღენიადაც მხარტემოზე

რომ იწვენენ ან ჭამა-სმამი ლევდნენ წუთისთაღილს.

ჭამაც ზომიერი იცოდა კაციამ და სმაც. მთვრალსა და ჯამაძარს ვერ ნახავდი. სუფრიდან ისე აუღებოდა, მის ადგილზე სხვა კიდევ ერთ იაღენს შეჭამდა და დალევდა. სტუმრისა და ღზინის დიდი მოტრფიალე იყო, მაგრამ მაგიდასთან დიდხანს არ ჯდებოდა და მაინც სტუმარი ყოველთვის ნასვამი და მადლიერი ტოვებდა სუფრას. ძველი რომაელივით არაფერი ზედმეტი არ უყვარდა, გარდა ქალთან წოლისა.

პურის ჭამისას მისი ეზოს წინ თუ ვინმე გაივილიდა, რა დროც უნდა ყოფილიყო, საუზმისა, სამხრისა თუ ვახშმისა, კაცს დაადევნებდა, გვერდით მოისვამდა, თავადი იყო, აზნაური, აზატი თუ ყმა.

კეთილი, ღვთისმოსავი, ცხოვრებას თავის გემოზე და ნებაზე ატარებდა. უყვარდა წიგნი, კითხულობდა შერჩევით, ჰქონდა გვარიანი განათლება. იცოდა რამდენიმე ენა. ბევრს მოგზაურობდა, ბევრს ნადირობდა. ცოლს აღმერთებდა, მაგრამ სარეცელის ხარბი იყო, როგორც ყველა ოდიშელი, და ხშირად ღალატობდა. ისე მოხერხებულად ღალატობდა, მისი ტრფიალი ოთხს თვალსა და ოთხ ყურს შუა რჩებოდა.

ცოლი ჰკუთას კარგავდა სიყვარულით გაუმადლარ ქმარზე და აზრადაც არ მოსდიოდა თუ კაცია ღალატობდა. მიჯნურიდან მობრუნებული, ცოლთან სიყვარულს კიდევ უფრო დახარბებული ესწრაფებოდა. მოგზაურობიდან მობრუნებული ცოლს უხვი საჩუქრით ახარებ-

და, ომიდან მობრუნებული აამაყებდა, ნადირობიდან — აოცებდა.

თავის ქვეშევრდომთა დიდი მფარველი და მოამაგე იყო, ვისაც უჭირდა, აჭმევდა და აცმევდა. მრავალი სააქიმო წიგნი ჰქონდა წაკითხული, შესწავლილი ჰქონდა არა ერთი სანელებელი, სამკურნალო ბალახი, თავისი ხელით ამზადებდა მაღამოებსა და სასმელ წამლებს, აბგით დაჰქონდა, თვითონ მკურნალობდა ავადმყოფებს, არიგებდა წამლებს, როგორც ძველი ბერძენი აქიმი — გალენი.

იყო უშიშარი მეომარი, უებრო ცხენენჯი. მომხდურს პირველი მისი ჯარი უხვდებოდა, განაწყენებას ივიწყებდა და მთავარს მხარში ამოუდგებოდა, განსაცდელის უამს მკერდით იფარავდა. დალხინებისას არც კითხულობდა, არც თვითონ იწვევდა, არც მას ეწვეოდა.

ყმასთან, აზატთან, აზნაურთან და თავდთან ერთნაირად ეჭირა თავი. ამას ისე აკეთებდა, არც თავადს წყინდა და არც აზნაურს. ყველასათვის ახლობელს და საფიცარს, სახელს არავინ უწოდებდა. არც დიდებული და არც მდაბიო, არც მტერი და არც მოყვარე — ყველა დიდპატონ დადიას ეძახდა.

მართლაც დიდი იყო კაცია თავისი კაცობით. ძმას იმიტომ ემდუროდა, რომ ოდიშის გამგებელს გაუთავებელი დავა და კინკლაობა ჰქონდა თავის მეზობლებთან: იმერეთთან, გურიასთან და სვანეთთან. ამის გამო არც ერი უმადლოდა, არც ბერი.

ოდიშელებს არაფერი ჰქონდათ სადავო და საშური. გასაყოფი და სამტრო იმერეთთან, გურიასთან და სვანეთთან. ბევრჯერ ჩაუშალა ერმა და ბერმა მთავარს მეზობლების დალაშქრა.

როგორც კი ოდიშის მეუფე მეზობელ სამთავროსთან თუ სამეფოსთან ომსა და შუღლს დააპირებდა და ჯარის შეკრებას შეუდგებოდა, ხალხი, როგორც დიდი ხნის უხმარ კასრიდან გაჟონავს წყალი, ისე გაიპარებოდა სოფლებიდან, ტყესა და ბაღნარს მისცემდა თავს ჭაბუკი და ხანდაზმული.

გაწილებული, შეურაცხყოფილი და ცოფმორეული მთავარი ძმას აბრალებდა ხალხის განდგომას. ემუქრებოდა, დამეხსენ, სამთავროს გასაძლოად შენი ჰკუა და გონება არ მარგია, ჩემი ჰკუა მეყოფა, ხალხს ნუ მიჯანყებ, საქმეს ნუ მირევ, თორემ თავს წააგებო.

კაცია ძმის ქადილს არაფრად აგდებდა. მის დასარბევად არავინ გამოჰყვებოდა მთავარს. არავინ აიღებდა ხმალს მის წინააღმდეგ. არც თავადი, არც აზნაური, არც ყმა. ჩემი ჰკუა და გონება რა მოსატანია ხალხის ჰკუასთან და გონებასთან. ხალხის გონება ერევა სამთავროს საქმეში და ყური მიუგდე. კაცი შეცდება, ხალხი არ შეცდებო. უთვლიდა კაცია მუქარის პასუხად.

ჰკუაზე მთლად მწყრალი არც მთავარი იყო, არც დაფიქრებისა და შეგნების უნარს მოკლებული, მაგრამ მალე ავიწყდებოდა ძმის შეგონება, ერისა და ბერის აზრი, კვლავ ხმლის ვადაზე იღებდა ხელს ფიცხი და მეტისმეტად პატივმოყვარე, შოვნისა და ღლეტის ქინით აღტყინებული, ქიშპისა და მტრობის ხუსტურით დაბრმავებული.

შორს იყო გავარდნილი კაცია დადიანის კაი კაცობის ამბავი. საქართველოს რომელი კუთხიდან არ აფარებდა თავს დიდპატონ დადიას მადლიან კალთას უსამართლობას გამოქცეული ქალი და კაცი. და არა მარტო საქართველოს ამერიიდან და იმერიიდან, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანეთიდანაც ეკედლებოდნენ ლტოლვილები. ყარაჩაელი და ბალყარელი, ჩერქეზი და ჯიქი, ალანელი და აფხაზი. ამ ხიზანთა შორის დიდპატონ დადიას ჩერქეზი ძმები კირწეი და სალუყი აკაბებიც შეეკედლნენ.

ჩერქეზებსა და ოდიშელებს კარგი მეგობრობა ჰქონდათ. ოდიშის წინა მთავარი ჩერქეზთა სახელგანთქმულ ქაშიაქ მეფის ასულზე იყო დაქორწინებული. მეფე და მთავარი ერთმანეთის ხშირი სტუმრები იყვნენ. ამალითა და საჩუქ-

გრიგოლ ჩიქოვანი

აკირფი, სალუყი და მახარია



რებით ეწვეოდნენ ერთმანეთს. ორივე ხალხს ერთმანეთთან გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა. ვაჭრობდნენ ცხენებით. მეგრელებს იმდენი ცხენი ჰყავდათ, სამ სახელმწიფოს ეყოფოდა. გლეხს სამი-ოთხი ცხენი ჰყავდა. აზნაურს ასამდე, თავადს კიდევ მეტი, მთავარს — აურაცხელი. ვაჭრობდნენ საქონლითა და ცხვრით. რკინითა და ფოლადით. ჭურჭლითა და თაფლით. რომლის ბადალი მთელს ქვეყანაზე არ მოიძევებოდა. ვაჭრობდნენ ტყავითა და შალით, იარაღით, ცხენის კაზმულობით. ბევრი ჩერქეზი აფარებდა თავს ოდიშს. ამიტომ მოაშურეს კირწეიმ და სალუყმა კაცია დადიანს.

კირწეი და სალუყი ადრე დაობდნენ. მათი მამა ბეგებს სხვის მიწაზე სათარეშოდ დაჰყავდათ და იქ დაიდუპა. დედა ქმრის ჯავრს გადაჰყვა. კირწეის და სალუყს ქვეყნად არავინ ჰყავდათ გამკითხავი, არაფერი ებადათ სულს იქით. ნათხოვარი, ნაწყალობევი არ სურდათ. შრომაში აღამებდნენ და ათენებდნენ. წამოიზარდნენ თუ არა, ბეგებმა მამის კვალს გაუყენეს სალუტ-საძარცვად. მაგრამ ძმები ნადავლს და ნაძარცვს შორის უვლიდნენ, შინ მამასავით ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდნენ. მამა ბეგებს ძალით მიჰყავდათ, შვილები ძალას გამოექცნენ და კაცია დადიანს მოაშურეს.

კაციამ ძმებს სამშობლოდან გამოქცევის მიზეზი რომ ჰკითხა, კირწეიმ და სალუყმა ასე მიუთხეს: მტრობას გამოვექეციეთ და სიკეთეს მოვაშურეთო. დადიანს ძმების პასუხი მოეწონა და ორივე შეივრდომა. რა გვარისა ხართო, ჰკითხა სალუყს. აკაბები გახლავართო, მიუგო კირწეიმ. კაციას თავისი ყმების აკობიებისა და ჯაკობიების გვარები გაახსენდა. გაუღიმა ძმებს. თქვენი გვარი ჩემი ყმების აკობიებისა და ჯაკობიების გვარსა ჰგავს, უთხრა. ამიერიდან აკობიები იყავითო.

კირწეის გვარის შეცვლა არ უნდოდა. გვარია განა ჩვარიაო. ის იყო უნდა ეთხოვა, გვარს ნუ შემიცვლი, გვარს ვერ

გულალატებო, რომ სალუყმა მუხლი მოიყარა კაციას წინ, თავი მდაბლა დაეხრათა და მადლობა უთხრა.

კირწეი იძულებით გახდა აკობია, სალუყი — ნებით.

ძმებმა უცებ შეითვისეს მეგრული ზნე და ენა, შეეთვისნენ სვანსა და რაჭველს, იმერელსა და გურულს, ყველა იმ ლტოლვილ ქალსა და კაცს, კაციას რომ შეეკედლნენ და ერთ ბედქვეშ რომ ცხოვრობდნენ.

კირწეი ოცი წლისა იყო. ლამაზი, ტანადი, შავთვალწარბა, აფთარივით მარდი, ენამახვილი, გულკეთილი და გულადი, პირდაპირი და ზოგჯერ თავნება, მოურიდებელი. ერთი დანახვით შეგაყვარებდა თავს.

სალუყი ძმაზე ორი წლით უფროსი იყო, უფრო დიხვი, აუჩქარებელი, თითქმის ზანტი, ჯმუხი და უსახური, გულჩათხრობილი და ყურმძიმე. ორივეს უყვარდა ადამიანი, სიცოცხლე, მდინარე და ტყე, მთა და ბარი, პირუტყვი და ნადირი, ყველაფერზე მეტად კი — ცხენი. ცხენის ზურგზე იყენენ გაზრდილი.

მსახურთუხუცესმა დათა ქყონიამ ძმები მეჯოგეებთან მთაში გაგზავნა. კირწეი და სალუყი სიხარულით ცას ეწვივნენ. ამაზე უკეთესს რას ინატრებდნენ. ფეხის ადგმის დღიდან ცხვარსა და ძროხას დასდევდნენ, თავისას არა, ბეგისას და მაინც საქონლის სიყვარულზე დიდი სიყვარული არ იცოდნენ. მეგრულ მეჯოგესა და ჩერქეზ მეჯოგეს შორის ბევრი რამ იყო საერთო. კირწეიმ და სალუყმა რაც არ იცოდნენ მეგრელი მეჯოგის წეს-ადათისა, ხელად შეითვისეს. ისეთ სულუგუნს გადაზელდნენ, მეგრელის გადაზელილს ჯობდა, ისეთ ელარჯსა და ნადულს მოხარშავდნენ, ისეთ მაწონს შეაყენებდნენ და ბატკნისა და თიკნის მწვადს შესწავდნენ, რომ თითებს ჩაიკენეტლი.

ქალბატონმა რომ შეიტყო მათი ხელის ამბავი, კაცი აფრინა და ძმები სასახლეში ჩამოაყვანინა. კირწეის შემწვარ მწვადში, სალუყის გადაზელილ

სულუგუნში, შეყენებულ მაწონში, მათ მოხარშულ ელარჯსა და ნადულში მართლაც ჩაიკენიტა თითები. ორივე მზარეულთუხუცესს დაუყენა. სტუმრებს მათი შემწვარი მწვადითა და გადახელილი სულუგუნით უმასპინძლდებოდა.

ძმებისათვის თერძს ძიქვა-ხალათი შეაკერინა, ხარაზს წულა-მესტი და პაჭიჭი, ვერცხლით მოხარნიშებული ქამარ-ხანჯალი უბოძა და კარგი ბინა მიუჩინა. სასმელ-საკმელი თავსაყრელი ჰქონდათ, თავისუფალი დრო ბევრი. მეტი რაღა უნდოდათ, იქ, სამშობლოში ერთი დღე დასვენებული და დაღვინებული არ ჰქონდათ ნანახი, მაგრამ ყველაფერი ის, რაც ქალბატონმა უბოძა, არც სულს ამობდა და არც გულს. მათი ტრფიალი მთა და ჯოგი იყო. ხიფათითა და გარჯით საცხე მთა და ჯოგი, დარში და ავდარში ძროხასთან, ცხვართან და თხასთან ძილდებილი, ნადირთან შებმა, მომხტურთან შებმა, ქარიშხალთან და ნიაღვართან შებმა, მსხვილფეხსა და წვრილფეხს ხრამსა და მოუსავლეთში რომ ჩაიტაცებდა და ჩარეცხავდა. ცხენზე გაზრდილები, სიზმარშიაც ცხენზე ისხდნენ, ცხენის ჭიხვინ-ხვიხვინი და ფლოქვების თქარუნი ესმოდათ. მთა უხმობდა მთის შვილებს.

ვერა, ვერ მოისვენეს სასახლეში. გადაწყვიტეს, მუხლი მოეყარათ მსახურთუხუცესის წინაშე და ჯოგში დაბრუნება ეთხოვათ. ისეთი დრო უნდოდათ შეერჩიათ და ისე ეთხოვათ, უარი არ მიელოთ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად ორივემ უკუაგდო თავისი განზრახვა.

სხვა უფრო დიდმა ვნებამ მოსტაცა გული და გონება, ხუნდები დაადო, ჯაჭვით შებორკა. არც კირწეის გაუმხელია ამისათვის, რა რეტი დაესხა ასე უცებ, და არც სალუყს გაუმხელია კირწეისათვის, რა ელდა ეცა. ორივემ პირში წყალი დაიგუბა, დარდი და სიხარული გულში ჩაიხვია.

შემოდგომის ერთ პაპანაქება დღეს სამზადის სიციხითა და ოხშივართ გაბრუებული კირწეი და სალუყი მზარე-

ულთუხუცესს დაეთხოვნენ და ბიორსა და ნაკრძალის სიგრილეში შევიდნენ. ბაღსა და ნაკრძალს დავათვალთვალდნენ და სულსაც მოვითქვამთო. მთიდან დიდი ხნის ჩამოსულები იყვნენ და ჯერაც არ ენახათ ნაკრძალი და ბაღი, რომელთა შესახებ მოინალე გოგო-ბიჭები ბევრ საოცრებას უყვებოდნენ. რა ხეს, რა ბუჩქს, ყვავილსა და ვარდს, ნადირსა და ფრინველს არ ნახავთო იქ.

მართლაც, საოცრება ნახეს ძმებმა და ვერ გაძღნენ ნაკრძალისა და ბაღის თვალიერებით. ტყეშიაც სიციხე იდგა. კირწეის და სალუყს ფეხი დაუძიმდათ, მაგრამ არ შემდგარან, ნაკრძალის მთელი კიდე-განი მოიარეს. გავარვარებული, ნესტიანი ჰაერი უძრავად ეკიდა. ტყის სიჩუმეს მხოლოდ ღაღღის წრებიანი არღვევდა. სიციხით გათანგული ფრინველი და ნადირი ჩრდილში მიმალულიყო. თევზებით საცხე ტბა არ ირხეოდა, თევზები არ თქაფუნებდნენ, არ ხტოდნენ წყლის ზედაპირზე, არ ელავედნენ ტბაზე დაფრქვეულ მზის სხივებზე, ოქროსფრად აკიაფებულ სარკესავით ბრტყელ მის ზედაპირზე. ტბიდან ატყორცნილ სხივებს ნაპირზე მდგარი ბუჩქები და ხეებიც მოეზარნიშებინათ და ისინი თითქოს ანთებულოყვნენ.

კირწეის და სალუყს სიციხეც დაავიწყდათ და დაღლაც. ნაკრძალიდან ბაღში გავიდნენ. აქაც ბევრი იხეტიალეს, ბევრი უნახავი ხეხილი ნახეს და ბოლოს, როცა მზის მწველი სხივები აღმაცურად ჰკვეთდა ჰაერს და ყველაფერს თავისი ფერით ფერავდა, ლიმონის ხეებში ამოჰყვეს თავი. ვერ მიხვდნენ, რა ხილი იყო ოდნავ შეყვითლებული ლიმონი. არც მსხალს ჰგავდა, არც ვაშლს. ჯერ შორიდან უყურეს, მერე კირწეიმ მოწყვიტა, ხელში ატრიალა, დასუნა. სუნი ეამა, იფიქრა, რახან ასეთი კარგი სუნი აქვს, ალბათ იქმევით და ჩაკბინა. სიმყავისაგან სახე დაემანჭა. გადააფურთხა.

გრიგოლ ჩიქოვანი

კირწეი, სალუყი და მახარია

ის იყო უნდა მოქენა და გადაეგდო, რომ ზურგს უკან ფხუკუნი შეესმა.

ძმები სწრაფად მიტრიალდნენ. მათ წინ სასახლის მოინალე გოგო იდგა. ერთი ხელი წელზე ედო, მეორით სახეზე ჩამოშლილ თმას იშორებდა, მაგრამ თმა ისევ ეცემოდა სახეზე და იქიდან თვალები, ნუშისმაგვარი, ცუცხლის თვალები ისეთი გზნებითა და ეშხით გამოკრთოდნენ, ისეთი კეთილი დაცინვის ღიმილით, რომ კირწეის და სალუყს ალად შემოენთოთ.

— გემჯავა, ბოში? — ჰკითხა კირწეის გოგომ და ისევ ჩაიფხუკუნა. — მსხალი ხომ არ გეგონა, ლიმონია, ბოში. ლიმონი მჯავა, ტყემალივით მჯავა, ბოში.

კირწეიმ ენა ვერ მოაბრუნა, თვალი ვერ მოაშორა გოგოს. სალუყმაც ენა ვერ მოაბრუნა, თვალი ვერ მოაშორა გოგოს.

გოგო მარტო კირწეის უყურებდა. სალუყისათვის არც შეუხედავს.

— ლიმონი არ იჭმევა. ლიმონს ჩაიში აგდებენ, ბოში.

— ჩაი რა არის, ძღაბი?

— ფხხუ!.. არც ჩაი იცის რა არის.

— არ ვიცი, ჩაი რა არის, ძღაბი.

— არც მე ვიცი რა არის ჩაი. მარტო ოსურპატონმა იცის, ბოში.

— სასმელია თუ საჭმელია, ძღაბი?

— ფხხუ!.. რა გაშტერებული მიყურებ, ბოში! — უთხრა ისევ კირწეის და გაუცინა. — ძღაბი არ გინახავს, ბოში!

შენისთანა ძღაბი არ მინახავსო, გაიფიქრა კირწეიმ. თქმა კი ვერ გაუბედა.

შენისთანა ძღაბი არ მინახავსო, გაიფიქრა სალუყმაც. თქმა ვერც იმან გაუბედა.

— მუნჯი ხომ არა ხარ, ბოში?! — ისევ კირწეის ჰკითხა გოგომ.

კირწეი მართლა მუნჯივით იდგა და თვალს არ აშორებდა.

სალუყიც მუნჯივით იდგა და თვალს არ აშორებდა.

გოგომ ისევ ჩაიფხუკუნა, თავი უკან გადაიქნია და თმა გადაიყარა. გამოუჩნდა სახე, ხორბლისფერი, გატყეცილი კრიალა ლოყები, მოშვილდული წარბე-

ბი, თეთრი, თეთრი, მკიდროდ ჩამოქრებილები კბილები.

ძმებმა მთლად დაკარგეს გონი.

— ფხხუ!.. რა სასაცილო ხარ, ბოში! — ჩაიფხუკუნა გოგომ, კირწეის ჩაუარა, კაბის კალთა აიკეცა და ლიმონს დაუწყო კრეფა. სწრაფად კრეფდა და კალთაში იყრიდა.

კირწეიმ და სალუყმა თვალი დახარეს.

— ოსურპატონი მელოდება, მეჩქარება, ბოში, — ლიმონს კრეფდა, თან კირწეის უყურებდა და ამიტომ მწიფესაც კრეფდა და უმწიფარსაც. შენიშნა, რატომ დახარა კირწეიმ თვალი. ფხხუო, ჩაიფხუკუნა და კალთაზე ხელი ჩამოიკრა. ლიმონები დაგვალულ მიწაზე დაცვივდა. გოგომ კაბის კალთა მუხლს ქვევით ჩამოიზიდა. კაბა მოკლე იყო და არ დაჰყვა. — ნუ მიყურებ, ბოში, სირცხვილია, ნუ მიყურებ, ბოში! — კირწეისთვის სახე რომ აერიდებინა, ლიმონებს დაუწყო აკრეფა.

კირწეი და სალუყიც დაიხარნჯნენ, ლიმონებს დაუწყეს აკრეფა, კინაღამ თავით მიასკდნენ გოგოს თავს.

— რა დაგემართა, ბოში?! — უთხრა გოგომ კირწეის.

კირწეიმ თვითონაც არ იცოდა, რა დაემართა. არც სალუყმა იცოდა, რა დაემართა. აკრიფეს ლიმონები და ხელში ეჭირათ, იდგნენ თვალდახრილები, არ იცოდნენ რა ექნათ.

— რას უცდი, ბოში?! — უთხრა გოგომ კირწეის.

კირწეიმ თვალი ასწია.

— ნუ მიყურებ, ბოში! — უთხრა გოგომ კირწეის. — სახე განზე მიაბრუნე, ბოში!

კირწეიმ სახე განზე მიაბრუნა.

გოგოს სალუყისათვის არ უთქვამს, სახე განზე მიაბრუნეო, მაგრამ სალუყმაც სახე განზე მიაბრუნა.

გოგომ ერთი ხელით ლიმონები მკერდზე მიიხუტა, მეორე ხელით ისევ აიკეცა კაბის კალთა და ლიმონები ჩაიყარა.

— რას უცდი, ბოში! ჩამიყარე ლიმონები, ბოში! ოღონდ სახე არ მოაბ-

რუნო, ბოში! — სიცილით უთხრა გოგომ კირწყის.

კისგრამორეცილი კირწყეი და სალუყი განზე იყურებოდნენ, მაგრამ მაინც ხედავდნენ რა ლამაზად იდგა მალალ ფეხებზე მუხლს ზევით კაბის კალთა აკეცილი და წელზე ხელმემოდებული გოგო. კაბა ისედაც დამოკლებული ჰქონდა, კალმახივით მოქნილი მისი ტანი შიგ არ ეტეოდა, თითქოს კაბიდან გამოვარდნას ლამობდა. ასე ეჩვენებოდათ კირწყისა და სალუყს. გოგო გრძნობდა, რომ ასე ეჩვენებოდათ კირწყისა და სალუყს და იცინოდა. კირწყის და სალუყს ისევ განზე ჰქონდათ მიბრუნებული სახე, ისევ მოღრეცილი ჰქონდათ კისერი.

— რას უცდი, ბოში! ჩამიყარე ლიმონები, ბოში! ოსურბატონი მელოდება, ბოში! ფხხუ!.. ყრუც ყოფილხარ, ბოში! — ფეხშიშველი კვიცივით ხტოდა, თითქოს ცხელი მიწა ფეხს წვავდა.

კირწყემ და სალუყმა ლიმონები ჩაუყარეს კალთაში. სახე ისევ განზე ჰქონდათ მიბრუნებული, კისერი ისევ მიღრეცილი. კირწყის ხელები არ ემორჩილებოდა. ლიმონები დაუვარდა, ის დაუმორჩილებელი ხელები გოგოს თეძოზე მოუხვდა.

— ვიშო, რას შვრები, შე ხელმოსატეხო! — ჩაიფხუკუნა გოგომ და უკან გადახტა. — ასე იდექი, სახე არ მოაბრუნო! — უბრძანა კირწყის, შეტრიალდა და გაიქცა.

კირწყემ პირველმა მოაბრუნა სახე. ბუჩქების თავზე მიხტოდა გოგო. ახტომისას ის მოკლე კაბა მუხლს ზევით აუცურდებოდა, მისი მალალი, ხორბლისფერი ფეხები ხან მზეზე გაიფლავებდნენ, ხან ჩრდილი დაეცემოდათ და კიდევ უფრო ლამაზი, ჩამოქნილი ჩანდნენ. ისმოდა ბუჩქების შხლარტუნნი და დაგვალულ მიწაზე ფეხების ბაგუნნი. ახტომისას თმა აუფრიალდებოდა და დახტომისას მხრებზე ეცემოდა. კირწყეი იდგა და თვალს ვერ ამორებდა.

გოგო ხეებს რომ მიეფარა, სალუყმაც მოაბრუნა სახე. ერთხანს ორივენი იქით

იყურებოდნენ, საიდანაც გოგო მოვიდა, საითაც გაიქცა. მერე თვითონაც იმ ვახს დაადგნენ. მიდიოდნენ და ხმას იკრებდნენ. თვალწინ ედგათ გოგო, ესმოდათ მისი ფხუკუნნი, მისი სიცილი, მისი მხიარული ხმა. მიდიოდნენ და ერთმანეთს სახეს არიებდნენ. იმ ღამეს თვალწინ ედგათ ის გოგო. ესმოდათ მისი სიცილი, მისი მხიარული ხმა. ისე დაწვენენ, ერთმანეთს სახეს არიდებდნენ, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. ორივეს ერთი ფიქრი ჰქონდა, ერთი სიხარული ჰქონდა და ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ.

კირწყემ გადაწყვიტა, სასახლეს გასცლოდა, რომ ისევ არ შეჰყროდა იმ გოგოს, იმ ხორბლისფერ გოგოს, იმ ცეცხლისთვალა გოგოს, იმ თმაჩამოშლილ გოგოს, რეტი რომ დაასხა, გონი რომ წაართვა.

გადაწყვიტა, ისევ მსახურთუხუცესისათვის ეთხოვა სალუყთან ერთად დალუსკარში გადაეყვანა, სადაც დიდბატონ დადიას საკლავი საქონელი ჰყავდა, მარანი ჰქონდა, ბელღები ჰქონდა, წისქვილები ჰქონდა.

დალუსკარში საქონელსა და ფარას დაუდგებოდნენ ჭყიშად. შორს იქნებოდა კირწყეი იმ გოგოსაგან, რეტი რომ დაასხა, გონი რომ წაართვა, იმ ხორბლისფერი გოგოსაგან, იმ ცეცხლისთვალა გოგოსაგან, იმ თმაჩამოშლილი გოგოსაგან.

მსახურთუხუცესმა გაიკვირვა, რად სცვლიან აქაურ სიკეთეს ჭყიშობაზეო. ძმებს თხოვნა მაინც შეუსრულა. მაგრამ ვერც იქ მოისვენა კირწყემ. თვალწინ ედგა ის გოგო, ესმოდა მისი სიცილი, მისი მხიარული ხმა. ხედავდა მის ხორბლისფერ სახეს, მის ცეცხლის თვალებს, მის ჩამოშლილ თმას.

ვერც სალუყმა მოისვენა, თვალწინ ედგა ის გოგო, ესმოდა მისი ფხუკუნნი, მისი სიცილი, მისი მხიარული ხმა, ხე-

გრიგოლ ჩიქოვანი

კირძეი, სალუყი და მახარია

დავდა მის ხორბლისფერ სახეს, მის ცე-
ცხლის თვალებს, მის ჩამოშლილ თმას.

ძილი დაკარგეს ძმებმა. შავად უთენ-
დებოდათ და შავად უღამდებოდათ. არ
ჰამდნენ და არ სვამდნენ.

კირწეიმ იფიქრა, კიდევ გამოაგზავნი-
ნებს ოსურპატონი იმ გოგოს ლიმონი-
სათვის იმ ხესთანო. სალუყმაც იფიქრა,
კიდევ გამოაგზავნინებს ოსურპატონი იმ
გოგოს ლიმონისათვის იმ ხესთანო. კირ-
წეი იხელთებდა თუ არა დროს, თავგა-
დაგლეჯილი გარბოდა ლიმონის ხისკენ.
სალუყიც იხელთებდა თუ არა დროს
თავგადაგლეჯილი გარბოდა ლიმონის
ხისკენ. კირწეიმ არ იცოდა, იხელთებდა
თუ არა სალუყი დროს, თავგადაგლე-
ჯილი რომ გარბოდა ლიმონის ხისკენ,
სალუყმაც არ იცოდა, იხელთებდა თუ
არა კირწეი დროს, თავგადაგლეჯილი
რომ გარბოდა ლიმონის ხისკენ.

ყოველ დღე ნახევარი დღის სავალს
გარბი-გამორბოდნენ ღალუსკარიდან
ლიმონის ხემდე და ლიმონის ხიდან ღა-
ლუსკარამდე. თვალისდახამხამებაში მო-
ილევდნენ ამისიშორე გზას. იდგნენ ბუჩ-
ქებს მოფარებულები და გულისფანცქა-
ლით იცდიდნენ სირბილით სუნთქვა-
შეკრულები, ოფლში ვახვითქულები,
როდის მოვა ლიმონის მოსაკრეფად ის
გოგოო. სხვადასხვა მხარეს იდგნენ და
გოგოს უცდიდნენ, იმ გოგოზე ფიქ-
რობდნენ.

არც კირწეიმ იცოდა, რომ სალუყი
თავგადაგლეჯილი გარბი-გამორბოდა
ღალუსკარიდან ლიმონის ხემდე და ლი-
მონის ხიდან ღალუსკარამდე და არც
სალუყმა იცოდა, რომ კირწეი თავგადა-
გლეჯილი გარბი-გამორბოდა ღალუსკა-
რიდან ლიმონის ხემდე და ლიმონის ხი-
დან ღალუსკარამდე.

არც ის იცოდა კირწეიმ, რომ სალუყი
ლიმონის ხეების ერთ მხარეს იმალებო-
და ბუჩქებს მოფარებულო, და არც ის
იცოდა სალუყმა, რომ კირწეი ლიმონის
ხეების მეორე მხარეს იმალებოდა, ბუჩ-
ქებს მოფარებულო.

და, აი, ერთხელ თავის საფარში რომ
იდგნენ, უცებ იმ გოგოს აჩქარებული

ნაბიჯის ხმა შეესმათ, იმ გოგოს აჩქა-
რებული სირბილის ხმა შეესმათ. იმ
გოგოს აჩქარებული გულისხმამხმამეს-
მათ და გული აუჩქროლდათ.

გოგო ისევ იმ მხრიდან, იმ ბუჩქების
თავზე მოხტოდა. ახტომისას ის მოკლე
კაბა მუხლს ზევით აუტურდებოდა, მი-
სი მაღალი, ხორბლისფერი ფეხები ხან
მზეზე გაიეღვებდნენ, ხან ჩრდილი დაე-
ცემოდათ და კიდევ უფრო ღამაზი, ჩა-
მოქნილი ჩანდნენ. ისმოდა ბუჩქების
შხლარტუნი და დაგვალულ მიწაზე ფე-
ხების ბაგუნი. ახტომისას თმა აუფრი-
ალებოდა და დახტომისას მხრებზე
ეცემოდა.

ფერი წაუვიდათ კირწეისა და სალუყს.
პირი გაუშრათ. სხვადასხვა მხარეს
იდგნენ, სხვადასხვა მხრიდან ხედავდ-
ნენ იმ გოგოს, თვალს რომ სჭირდა.
გულს რომ უფრენდა, იმ ხორბლისფერ
გოგოს, იმ ცეცხლისთვალა გოგოს, იმ
თმაჩამოშლილ გოგოს, რეტი რომ დაას-
ხა, გონი რომ წაართვა. კინაღამ თვითო-
ნაც გაიქცნენ მისკენ. მაგრამ ხტუნვა-
ხტუნვით მოიბრინა გოგომ იმ ადგილამ-
დე და შედგა. ისევ ის მოკლე კაბა ეცვა.
მუხლებს რომ ძლივს უფარავდა. ისევ
იმ ადგილზე იდგა. ერთი ხელი წელზე
ედო, მეორით სახეზე ჩამოშლილ თმას
იშორებდა, მაგრამ თმა ისევ ეცემოდა
სახეზე და იქიდან თვალებს, ნუშისმა-
გვარ, ცეცხლის თვალებს აქეთ-იქით
აცეცებდა.

მე მეძებს, სიხარულით გაიფიქრა კი-
რწეიმ.

კირწეის ეძებს. — ნაღვლიანად გა-
იფიქრა სალუყმა.

გოგომ თავი შეარხია, უკან გადაიქნია
და თმა გადაიყარა. გამოუჩნდა სახე, ხორ-
ბლისფერი, გატკეცილი, კრიალა ლოყე-
ბი, მოშვილდული წარბები, თეთრი, თე-
თრი, მკიდროდ ჩამწკრივებული კბილე-
ბი.

ბუჩქებს მოფარებული კირწეი და სა-
ლუყი სულ ახლოს იდგნენ. შეეშინდათ,
იმ გოგოს არ გაეგონა მათი სუნთქვა, არ
გაეგონა მათი გულის ბაგაბუგი, არ და-

ენახა. მაგრამ მაინც ვერ შეიკავეს თავი და საფარიდან გამოვიდნენ.

სალუყს არ გაჰკვირვებია, რომ კირწეიც იდგა საფარში. განა შეეძლო კირწეის, არ მოსულიყო!

კირწეისაც არ გაჰკვირვებია, რომ სალუყიც იდგა საფარში, განა შეეძლო სალუყს, არ მოსულიყო!

გოგომ მარტო კირწეის შეხედა. მოულოდნელობისაგან, სიხარულისაგან კინაღამ შეჰკივლა. გოგომაც დაჰკარგა მოსვენება იმ დღიდან. დაჰკარგა ძილი, შავად უთენდებოდა და შავად უდამდებოდა, არ ჭამდა და არ სვამდა. გოგომაც იფიქრა, კიდეც მოვა იმ ლიმონის ხესთან ის ბიჭოთ. იხელთებდა თუ არა დროს, თავგადაგლეჯილი გარბი-გამორბოდა სასახლიდან ლიმონის ხემდე და ლიმონის ხიდან სასახლემდე. გოგომ არ იცოდა, რომ კირწეიც თავგადაგლეჯილი გარბი-გამორბოდა ღალუსკარიდან ლიმონის ხემდე და ლიმონის ხიდან ღალუსკარამდე. ქალბატონი ლიმონის მოსატანად აღარ აგზავნიდებდა გოგოს, მაგრამ გული აგზავნიდა კირწეისაკენ.

— გული გამიხეთქე, ბოში. რა ქაჯივით გამოვარდი, ბოში! — უთხრა კირწეის მოჩვენებითი საყვედურით.

— მეც გამიხეთქე გული, ძღაბი.

— ასეთი მშიშარა ხარ, ბოში?!

— შენი ვის არ შეეშინდება, ძღაბი.

— რატომ, ბოში?!

— არ ვიცი, ძღაბი.

— ასეთი საშიში ვარ, ბოში?!

— ასეთი საშიში ხარ, ძღაბი.

— რა მჭირს ასეთი საშიშარი, ბოში?!

— არ ვიცი, ძღაბი.

— მაინც რა მჭირს ასეთი საშიშარი, ბოში?!

— არ ვიცი, ძღაბი.

— რა გქვია, ბოში?

— კირწეი, ძღაბი.

— ფხხუ!.. კირწეი?!

კირწეიმ თავი დაუქნია. ვერ მიხვდა, მოუწონა თუ დაუწუნა სახელი.

სალუყი იდგა და თვალს არ ამორებდა კირწეისა და გოგოს.

— ფხხუ!.. კირწეი!

კირწეი და გოგო ისე ახლოს იდგნენ პირისპირ, ჩაფხუტუნებისას გოგომაც კი წეის კინაღამ თავი მიარტყა მკერდს.

— რას იცინი, ძღაბი?!

— იქით მიიწი, კირწეი ბოში!

— რას იცინი, ძღაბი?!

— კირწეი... კირწეი... რა სასაცილო სახელია!.. ფხხუ!..

— შენ რა გქვია, ძღაბი?

— თათია მქვია, კირწეი ბოში.

— თათია, ძღაბი?

თათიამ თავი დაუქნია. სახეზე თმა ჩამოეყარა.

სალუყი იდგა და თვალს არ ამორებდა კირწეისა და გოგოს.

— შენ რატომ არ გეცინება ჩემს სახელზე, კირწეი ბოში?

— არ ვიცი, ძღაბი. შენი სახელი არ არის სასაცილო, ძღაბი.

— აბა მარტო შენი სახელია სასაცილო, კირწეი ბოში?

— მარტო ჩემი სახელია სასაცილო, ძღაბი.

— ფხხუ!.. რატომ, კირწეი ბოში?

— არ ვიცი, ძღაბი.

სალუყი იდგა და თვალს არ ამორებდა კირწეის და გოგოს.

— ძალიან გიხდება სიცილი, ძღაბი.

— მართლა მიხდება სიცილი, კირწეი ბოში?

— მართლა გიხდება სიცილი, ძღაბი.

— მერე შენ რა, კირწეი ბოში?

— მე არაფერი, ძღაბი.

— კიდეც რა მიხდება, კირწეი ბოში? — კეკლუცად გაუღიმეს ნუშისმაგვარმა, ცეცხლის თვალებმა, გატკეცილმა, კრიალა ლოყებმა.

— ყველაფერი გიხდება, ძღაბი.

— მაინც კიდეც რა მიხდება, კირწეი ბოში?

— ყველაფერი გიხდება, ძღაბი.

— მაინც კიდეც რა მიხდება, კირწეი ბოში?

— კაბაც გიხდება, ძღაბი.

— კიდეც რა მიხდება, კირწეი ბოში?

გრიგოლ ჩიქოვანი

პირფი, სალუყი და მახარია

— თმაც გიხდება, ძღაბი.
— ფხხუ!.. თმა ყველა ქალს უხდება, კირწეი ბოში.

სალუყი იღგა და თვალს ვერ აშორებდა კირწეის და გოგოს.

— შენ სხვანაირი თმა გაქვს, ძღაბი. სხვანაირად გიხდება, ძღაბი.

— რანაირი თმა მაქვს, კირწეი ბოში? სხვანაირად რანაირად მიხლება, კირწეი ბოში?!

— ჩალისფერი თმა გაქვს, ძღაბი.

— სხვანაირად რანაირად მიხლება ჩალისფერი თმა, კირწეი ბოში. სხვანაირად გიხდება რა არის, კირწეი ბოში?!

— არ ვიცეი, ძღაბი. კარგი კია, გიხდება კია, ძღაბი.

— მაინც, კირწეი ბოში? — არ ეშვებოდა გოგო.

— შენ რომ გიხდება, ის არის კარგი, ძღაბი.

სალუყი იღგა და თვალს არ აშორებდა კირწეის და გოგოს.

— ფხუ!..

— ისეე იცინი, ძღაბი?

— მეცინება და ვიცინი, კირწეი ბოში.

— მე დამცინი, ძღაბი?

— შენ დაგცინი, კირწეი ბოში.

— რატომ დამცინი, ძღაბი?

— აბა ჩემი დაკონკილი კაბა რა მოსაწონია, კირწეი ბოში!

— შენი დაკონკილი კაბა, ას ფარჩის კაბას ჯობია, ძღაბი.

— რანაირად ჯობია ჩემი დაკონკილი კაბა ას ფარჩის კაბას, კირწეი ბოში.

— ძალიან გიხდება და იმიტომ ჯობია შენი დაკონკილი კაბა ას ფარჩის კაბას, ძღაბი.

— ჩალისფერი თმა რა მოსახდენია, კირწეი ბოში?!

— ასეთი ლამაზი თმა ჯერ არ მინახავს, ძღაბი.

— ამ ჩალისფერმა თმამ სისხლი გამიშრო, კირწეი ბოში, — თავი შეარხია გოგომ, უკან გადაიქნია, თმა გადაიყარა, გამოუჩინდა სახე, ხორბლისფერი, გატყე-

ცილი, კრიალა ლოყები, მოშვილდული წარბები, თეთრი, თეთრი მჭიდროდ ჩამწკრივებული კბილები, გაუღმამსკრესის ნუშისმაგვარმა, ცეცხლის თვალებმა.

სალუყი იღგა და თვალს არ აშორებდა კირწეის და გოგოს.

— ასეთი თმა ჯერ არ მინახავს, ძღაბი.

— რა თმა მაქვს ასეთი, კირწეი ბოში?!

— მარტო ზღაპარში გამიგონია ასეთ-თმიანი ქალი, ძღაბი.

— მე ზღაპრის ქალი არა ვარ, კირწეი ბოში.

— ზღაპრის ქალზე უკეთესი ხარ, ძღაბი.

— ფხხუ!..

— ზღაპრის ქალზე უკეთესი ხარ, ძღაბი.

— მერე შენ რა, კირწეი ბოში?!

— მე, ძღაბი?!

— დაიბნა კირწეი.

— მერე შენ რა, კირწეი ბოში?

— შენი სიკეთე, ძღაბი.

— კიდევ რა, კირწეი ბოში?

— შენი სიხარული, ძღაბი.

— მე მახარიასაც მეძახიან, კირწეი ბოში.

— აწ მეც ასე დაგიძახებ, ძღაბი.

— ფხხუ!.. მართლა, კირწეი ბოში? აწ მართლა მახარია დამიძახე, კირწეი ბოში.

— მახარია, ძღაბი!

— რა იყო, კირწეი ბოში?!

— არაფერი, ძღაბი.

— მაინც რა იყო, კირწეი ბოში?!

— არაფერი, ძღაბი.

— ფხხუ!.. ასე მალე დაგავიწყდა, კირწეი ბოში?!

— დამავიწყდა. შენ რას არ დაავიწყებ კაცს, მახარია ძღაბი.

— რატომ რას არ დაავიწყებ კაცს, კირწეი ბოში?!

— არ ვიცეი რატომ, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. აბა ვინ იცის, კირწეი ბოში?!

— არ ვიცეი, ვინ იცის, ძღაბი.

სალუცი იდგა და თვალს არ აშორებდა კირწეის და მახარიას.

— დია, რა სასაცილო ხარ, კირწეი ბოში!

— სასაცილო ვარ, ძაბი.

— ფხხუ!.. ისევ დაგავიწყდა, კირწეი ბოში.

— დამავიწყდა. შენ შემხედვარს ყველაფერი დამავიწყდა. თავიც დამავიწყდა, მახარია ძაბი.

— ფხხუ!.. თავი როგორ დაგავიწყდა, კირწეი ბოში?!

— თავიც დამავიწყდა, ქვეყანაც დამავიწყდა, მახარია ძაბი.

— ქვეყანა რანაირად დაგავიწყდა, კირწეი ბოში?!

— დამავიწყდა, მახარია ძაბი.

— ყარაჩი ხარ, კირწეი ბოში?

— რატომ მეკითხები, მახარია ძაბი?

— მინდა და იმიტომ გეკითხები, კირწეი ბოში.

— მაინც რატომ მეკითხები, მახარია ძაბი?!

— ყარაჩები შავები არიანო. შენ რატომ არა ხარ შავი, კირწეი ბოში?

— ყარაჩები ჩემზე თეთრები არიან, მახარია ძაბი.

— აბა რატომ ეძახიან ყარას, კირწეი ბოში?!

— იმიტომ ეძახიან ყარას, რომ ყარაჩაიში ცა მუდამ ღრუბლიანი და შავია, მახარია ძაბი.

— ფხხუ!.. მე კი ყარაჩები შავები მეგონა, კირწეი ბოში.

— ყარაჩები თეთრები არიან, მახარია ძაბი.

— შენ ვინა ხარ, კირწეი ბოში?

— მე ჩერქეზი ვარ, მახარია ძაბი.

— ჩერქეზებიც თეთრები ყოფილხართ, კირწეი ბოში.

— თეთრები ვართ, მახარია ძაბი.

— ჩერქეზები მაინც სხვანაირი ყოფილხართ, კირწეი ბოში.

— რანაირი ვყოფილვართ ჩერქეზები, მახარია ძაბი?

— რანაირი და სხვანაირი, კირწეი ბოში.

— რანაირი სხვანაირი, მახარია ძაბი?!

— შენ გგონია ლამაზი ხარ, კირწეი ბოში!

— მე არ მეგონია, მახარია ძაბი.

— იქნებ გგონია, მართლა ლამაზი ხარ, კირწეი ბოში!

— რა ვქნა, დედამ ასეთი გამაჩინა, მახარია ძაბი.

— კარგი დედა გყოლია, კირწეი ბოში.

— ისევ დამცინი, მახარია ძაბი!!

— ლამაზი დედა გყოლია, კირწეი ბოში.

— შენზე ლამაზი ქალი არ მინახავს, მახარია ძაბი.

— ფხხუ!.. ვითომ, კირწეი ბოში?!

— შენზე ლამაზი ქალი არსად არ მინახავს, მახარია ძაბი.

— ძალიან სასაცილო ხარ, კირწეი ბოში.

— აღარ დამცინო, მახარია ძაბი!

სალუცი იდგა და თვალს არ აშორებდა კირწეის და მახარიას.

— ასე მალე რანაირად ისწავლე მეგრული, კირწეი ბოში?!

— ასე მალე რომ არ მესწავლა, ჩემს ენას ვერ გავიგებდი, მახარია ძაბი.

— ფხხუ!.. დიდი ამბავი თუ შენს ენას ვერ გავიგებდი, კირწეი ბოში.

— ასე მალე რომ არ მესწავლა, შენს ენას ვერ გავიგებდი, მახარია ძაბი.

— მე კი შენს ენას უსიტყვოდაც გავიგებდი, კირწეი ბოში.

— ისევ დამცინი, მახარია ძაბი!

— შენს ენას შენი თვალებით გავიგებდი, კირწეი ბოში.

— მეც გავიგებდი შენს ენას შენი თვალებით, მახარია ძაბი.

— რანაირად გავიგებდი ჩემს ენას ჩემი თვალებით, კირწეი ბოში?!

გრიგოლ ჩიქოვანი

კირწეი, სალუცი და მახარია

— შენი თვალეი მეტყოდა შენი ენის სათქმელს, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. რას გეტყოდა ჩემი თვალეი, კირწეი ბოში?!

— ყველაფერს მეტყოდა შენი თვალეი, მახარია ძღაბი.

— მაინც რას გეტყოდა ჩემი თვალეი, კირწეი ბოში?!

— რაც სათქმელი გექნებოდა, ყველაფერს მეტყოდა, მახარია ძღაბი.

სალუყი იდგა და თვალს არ აშორებდა კირწეისა და მახარეას.

— რა მექნებოდა სათქმელი, კირწეი ბოში?

— არ ვიცი. რაღაც მაინც ხომ გექნებოდა სათქმელი, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. არაფერი კარგი არ მექნებოდა სათქმელი, კირწეი ბოში.

— ასეთი უგულო ხარ, მახარია ძღაბი?!

— ასეთი უგულო ვარ, კირწეი ბოში.

— ასეთი უსულო ხარ, მახარია ძღაბი?!

— ასეთი უსულო ვარ, კირწეი ბოში.

— რატომ, მახარია ძღაბი?

— ლამაზია ჩერქეზული ენა, კირწეი ბოში?

— შენს ენაზე ლამაზი ქვეყანაზე არც ერთი ენა არ არის, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. შენ საიდან იცი ქვეყანაზე რა ენებია, კირწეი ბოში?!

— არ ვიცი, მაგრამ შენს ენაზე ლამაზი ენა მაინც არ იქნება ქვეყანაზე, მახარია ძღაბი.

— რატომ გგონია, რომ ჩემს ენაზე ლამაზი ენა მაინც არ იქნება ქვეყანაზე, კირწეი ბოში?

— იმიტომ, რომ ეგ შენი ენაა, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. რა სხვანაირი ლაპარაკი იცი, კირწეი ბოში.

— შენ ამაღაპარაკე სხვანაირად, მახარია ძღაბი.

— რანაირად, სხვანაირად, კირწეი ბოში?!

სალუყი იდგა და თვალს არ აშორებდა კირწეის და მახარეას.

— სხვანაირად ამაღაპარაკე, მახარია ძღაბი.

— მე კარგი არაფერი მითქვამს თვის, კირწეი ბოში.

— რაც მითხარი, იმითაც გამახარე, მახარია ძღაბი.

— მე კარგი არაფერი მითქვამს შენთვის, კირწეი ბოში.

— რაც მითხარი, იმითაც გამახარე, მახარია ძღაბი.

— რა ვითხარი ისეთი, კირწეი ბოში?!

— დიდი სიხარული მითხარი, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. რას ჰქვია დიდი სიხარული მითხარი, კირწეი ბოში?!

— დიდი სიხარული მითხარი, მახარია ძღაბი.

— რა სასაცილო ხარ, კირწეი ბოში!

— რაც შენ სიხარული მომგვარე, ათკაცს ეყოფა, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. რანაირად, კირწეი ბოში?!

— რაც შენ სიხარული მომგვარე, ასკაცს ეყოფა, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!

— მთელ ჯარს ეყოფა, მახარია ძღაბი.

სალუყი იდგა და თვალს არ აშორებდა კირწეის და მახარეას.

— რა სასაცილო ხარ, კირწეი ბოში!

— რა მჭირს ასეთი სასაცილო, მახარია ძღაბი?!

— არა, არა, სასაცილო არა, კირწეი ბოში.

— აბა, რა, მახარია ძღაბი?!

— არ ვიცი, რა, კირწეი ბოში.

— მახარია ძღაბი.

— სიცილს რა სჯობია, კირწეი ბოში!

— სიცილს არაფერი არ სჯობია, მახარია ძღაბი.

— სიხარულს რა სჯობია, კირწეი ბოში!

— სიხარულს არაფერი არ სჯობია, მახარია ძღაბი.

— მართლა, სიხარულს არაფერი არ სჯობია, კირწეი ბოში?

— სიხარულს არაფერი არ სჯობია, მახარია ძღაბი.

— ასე რა გიხარია, კირწეი ბოში?
 — შენ მიხარინხარ, მახარია ძღაბი.
 — ფხხუ!.. მე გიხაროვარ, კირწეი ბოში?
 — შენ მიხარინხარ, მახარია ძღაბი.
 — მე რომ არ მიხარინხარ, კირწეი ბოში!
 — სასაცილო რომ ვარ იმიტომ, მახარია ძღაბი?
 — სასაცილო რომ ხარ იმიტომ, კირწეი ბოში.
 — ჩერქეზი რომ ვარ იმიტომ, მახარია ძღაბი?
 — ჩერქეზი რომ ხარ იმიტომ არა, კირწეი ბოში.
 — აბა რატომ, მახარია ძღაბი?!
 — არ ვიცე, რატომ, კირწეი ბოში.
 სალუყი იღგა და თვალს არ ამორებდა კირწეის და მახარიას.
 — მეგრელ ქალს ჩერქეზი არ მოეწონება, მახარია ძღაბი.
 — ფხხუ!.. რატომ არ მოეწონება მეგრელ ქალს ჩერქეზი?
 — აბა რატომ, მახარია ძღაბი?!
 — მე არ მომეწონება ჩერქეზი, კირწეი ბოში.
 — რატომ არ მომეწონება ჩერქეზი, მახარია ძღაბი?
 — იმიტომ რომ არ მომეწონება, კირწეი ბოში.
 — ყმა რომ ვარ იმიტომ, მახარია ძღაბი?
 — ფხხუ!.. მეც ყმა ვარ, კირწეი ბოში.
 — შენ სხვა ხარ, მახარია ძღაბი.
 — რა ვარ, კირწეი ბოში?
 — სიხარული ხარ, მახარია ძღაბი.
 — ვისი სიხარული ვარ, კირწეი ბოში?
 — რა ვიცე, მახარია ძღაბი.
 — მაინც ვისი სიხარული ვარ, კირწეი ბოში?
 — რა ვიცე, მახარია ძღაბი.
 — ფხხუ!.. შენ არაფერი არ იცი, კირწეი ბოში.
 — მე არაფერი არ ვიცე, მახარია ძღაბი.

— ამიტომ ხარ სასაცილო, კირწეი ბოში.
 — სასაცილო ვარ, მახარია ძღაბი!
 — შენ ვერაფერს ვერ ხედავ, კირწეი ბოში.
 — შენ მითხარი ვისი სიხარული ხარ, მახარია ძღაბი!
 — შენ ვერაფერს ვერ ხედავ, კირწეი ბოში.
 — შენ მითხარი ვისი სიხარული ხარ, მახარია ძღაბი!
 — ფხხუ!.. დედასი, კირწეი ბოში.
 — კიდეც ვისი სიხარული ხარ, მახარია ძღაბი?
 — ბაბასი, კირწეი ბოში.
 — კიდეც ვისი სიხარული ხარ, მახარია ძღაბი?
 — ერთი თმაქოჩორა ბოშის, კირწეი ბოში.
 სალუყი იღგა და თვალს არ ამორებდა კირწეის და მახარიას.
 — მახარია ძღაბი!
 — მითხარი რა გინდა, კირწეი ბოში?
 — მე, მახარია ძღაბი?
 — ფხხუ!.. შენ, აბა ვის, კირწეი ბოში!
 — სიხარული მინდა, მახარია ძღაბი.
 — ფხხუ!..
 — სიყვარული მინდა, მახარია ძღაბი.
 — დიდი რამ გდომებია, კირწეი ბოში.
 — მახარია ძღაბი!
 — ძალიან დიდი რამ გდომებია, კირწეი ბოში.
 — სიყვარული მინდა, მახარია ძღაბი.
 — ძალიან სასაცილო ხარ, კირწეი ბოში.
 — ძალიან სასაცილო ვარ, მახარია ძღაბი.
 — ასე რად მიყურებ, კირწეი ბოში?!
 — აბა როგორ გიყურო, მახარია ძღაბი?!
 — ასე ნუ მიყურებ, კირწეი ბოში!
 — აბა როგორ გიყურო, მახარია ძღაბი?!

გრიგოლ ჩიქოვანი

პირუნი, სალუყი და მახარია

— მე რა ვიცი, კირწეი ბოში!
— მახარია ძღაბი!
— მითხარი, რა გინდა, კირწეი ბოში?
სალუყი იღგა და თვალს არ აშორებ-
და კირწეის და მახარიას.
— შენ მინდიხარ, მახარია ძღაბი.
— ფხხუ!..
— რა იყო, მახარია ძღაბი?
— მე გინდივარ, კირწეი ბოში?
— შენ მინდიხარ, მახარია ძღაბი.
სალუყი იღგა და თვალს არ აშორებ-
და კირწეის და მახარიას.
— გაჩუმდი, კირწეი ბოში!
— რატომ გავჩუმდე, მახარია ძღაბი?
— მეტი არაფერი მითხრა, კირწეი
ბოში!
— რატომ არ გითხრა მეტი არაფერი,
მახარია ძღაბი?
— რა გინდა, კირწეი ბოში?
— შენი სიყვარული მინდა, მახარია
ძღაბი.
— შენ გადარეული ხარ, კირწეი ბო-
ში.
— გადარეული ვარ, მახარია ძღაბი.
— ფხხუ!.. რამ გადაგრია, კირწეი
ბოში?!

— შენ გადამრიე, მახარია ძღაბი.
— მე როგორ გადაგრიე, კირწეი
ბოში?!

— შენ გადამრიე, მახარია ძღაბი.
— სანამ ვიდგეთ ასე, კირწეი ბოში.
სალუყი იღგა და თვალს არ აშორებ-
და კირწეის და მახარიას.
— არ ვიცი, სანამდე უნდა ვიდგეთ
ასე. მე სულ ასე ვიდგები შენს წინ,
მახარია ძღაბი.
— ფხხუ!.. სულ ასე როგორ იდგები
ჩემს წინ, კირწეი ბოში?!

— სარივით სულ ასე ვიდგები, მახა-
რია ძღაბი.
— ფხხუ!.. სარივით სულ ასე როგორ
იდგები ჩემს წინ, კირწეი ბოში?!

— ვიდგები, მახარია ძღაბი.
— მე არ ვიდგები სარივით სულ ასე
შენს წინ, კირწეი ბოში.
— რატომ, მახარია ძღაბი?

— ფხხუ!.. რატომო! ან აქამდე რა-
ტომ ვიდეკი შენს წინ, კირწეი ბოში?
— ნანობ, მახარია ძღაბი?
— ნეტა აქამდე რატომ ვიდეკი შენს
წინ, კირწეი ბოში!
— არ წახვიდე, მახარია ძღაბი!
სალუყი იღგა და თვალს არ აშორებდა
კირწეის და მახარიას.
— შენ მართლა გადარეული ხარ,
კირწეი ბოში.
— შენ გადამრიე, მახარია ძღაბი.
— ჯაჭვით დასაბმელი ხარ, კირწეი
ბოში.
— ჯაჭვით დასაბმელი ვარ, მახარია
ძღაბი.
— ფხხუ!.. წავალ, ჯაჭვს მოვიტან,
კირწეი ბოში.
შებრუნდა და წავიდა. კირწეი
უკან გაჰყვა. ერთხანს გოგო ნელა მი-
დიოდა, თან უკან იხედებოდა. კირწეი
შორიახლო მიჰყვებოდა. გოგო უცებ
ადგის მოწყდა, ბუჩქებს გადაახტა და
გაიქცა.
კირწეი შედგა. იფიქრა, გამეჩქაო.
გოგო ისევ იმ ბუჩქების თავზე მიხ-
ტოდა. ახტომისას ის მოკლე კაბა მუხლს
ზევით აუცურდებოდა, მისი მაღალი,
ხორბლისფერი ფეხები ხან მზეზე გაი-
ელვებდნენ, ხან ჩრდილი დაეცემოდათ
და კიდევ უფრო ღამაში, კიდევ უფრო
ჩამოქნილი ჩანდნენ. ახტომისას თმა
აუფრიალდებოდა, დახტომისას მხრებ-
ზე ეფინებოდა. ისმოდა ბუჩქების შხლა-
რტუნი, დაგვალულ მიწაზე ფეხების ბა-
გუნი. და კიდევ მახლობელი ხიდან კო-
დალას ნისკარტის მჭახე კრიალი და
კირწეის გულის ბაგაბუგი — გავეკიდო
თუ არაო. მაგრამ გულის ბაგაბუგი მხო-
ლოდ კირწეის ესმოდა.
სალუყი იღგა და თვალს არ აშორებ-
და კირწეისა და მახარიას.
გავეკიდო თუ არაო — ბაგაბუგი გაჰ-
ქონდა კირწეის გულს.
გოგო სწრაფად შორდებოდა.
კირწეი მოირღვა, გადაახტა ბუჩქებს,
გაედევნა. კირწეიც იმ ბუჩქების თავზე

მიხტოდა. ისე მალლა მიხტოდა, არ ის-
მოდა ბუჩქების შხლარტუნი. კირწეი
ბუჩქებს ფეხს არ აკარებდა და ამიტომ
არ ისმოდა ბუჩქების შხლარტუნი. და-
გვალულ მიწაზე ფეხების ბაგუნი კი უფ-
რო ხამაღლა ისმოდა. სწრაფად ეწეო-
და გოგოს, ისე სწრაფად, როგორც ქო-
რი დედალს. მაგრამ გოგო ისე მიფრი-
ნავდა, ქორიც ვერ დაეწეოდა.

სალუყი იდგა და თვალს არ აშორებ-
და კირწეისა და მახარიას. სალუყს ადა-
მიანის ფერი არ ედო. კირწეი და მახა-
რია ხეებს რომ მიეფარნენ, ლიმონის
ხეს გაშორდა და მას შემდეგ აღარც
ვაპკარებია იმ ადგილს.

ბალი გაყურსული იყო. მხოლოდ კო-
დალას ნისკარტის მკახე კრიალი არ-
ღვევდა სიწყნარეს.

იმ დღიდან მახარია ხშირად მიდიოდა
ლიმონის ხესთან. დაინახავდა თუ არა
კირწეის, სიხარულისაგან ატაცებული,
ფხუო, ჩაიფხუკუნებდა, შებრუნდებო-
და და გაიქცეოდა. გული კი უკან რჩე-
ბოდა. ისევ იმ ბუჩქების თავზე მიხტო-
და. ახტომისას ის მოკლე კაბა მუხლს
ზევით აუტურდებოდა, მისი მალალი,
ზორბლისფერი ფეხები ხან მზეზე გაი-
ელვებდნენ, ხან ჩრდილი დაეცემოდათ
და კიდევ უფრო ლამაზი, კიდევ უფრო
ჩამოქნილი ჩანდნენ. ახტომისას თმა
აუფრიალდებოდა, დახტომისას მხრებ-
ზე ეფინებოდა. ისმოდა ბუჩქების
შხლარტუნი, დაგვალულ მიწაზე ფეხე-
ბის ბაგუნი. კირწეი ისევ ისე ქორივით
მისდევდა, მაგრამ გოგო ისე მიფრინავ-
და, ქორიც ვერ დაეწეოდა.

ასე გრძელდებოდა მთელი კვირა. ერ-
თხელ კირწეიმ შავარდენის ფრთები გა-
მოიბა და დაეწია გოგოს. ხელი იმ მოკ-
ლე, შემოკენკილი კაბის კალთაში ჩას-
ტაცა და ხელში შერჩა კალთის ნაგლეჯი.

— ფხუუ!.. — ჩაიფხუკუნა გოგომ. —
ეს რა მიქენი, კირწეი ბოში!

— კალთა ჩამოგახიე, მახარია ძღაბი.
— წახდა კირწეი. — კალთა ჩამოგა-
ხიე, მახარია ძღაბი, — შემფოთებით
გაიმეორა კირწეიმ.

— მერე რა მოხდა, რამ შეგაშინა,

კირწეი ბოში! — გაუცინა გოგომ და
ისევ ჩაიფხუკუნა. ერთი ხელეწველზე
ედო, მეორეთი სახიდან თმას ვაშორებდა
და, მაგრამ თმა ისევ ეცემოდა სახეზე
და იქიდან თვალები, ნუშისმაგვარი,
პრელი ეცეხლისთვალები ისეთი გზნე-
ბით და ეშხით გამოკრთოდნენ, ისეთი
კეთილი დაცინვის ღიმილით, რომ კირ-
წეის ალად შემოენთო. — კაბის დარდი
სულაც არა მაქვს, მაგრამ რა მეშველე-
ბა კირწეი ბოში, ასე როგორ დავბრუნ-
დე სასახლეში! — ხელები შიშველ ბარ-
ძაყზე დაიფარა. — ნუ მიყურებ, სირ-
ცხვილია, კირწეი ბოში!

ხელები სიშიშველეს ვერ ფარავდა.

კირწეის თვალები აღტაცებას ვერ ფა-
რავდა. კირწეის გულს ბაგაბუგი გაუ-
დიოდა. კირწეი მღელვარებას ვერ ფა-
რავდა.

— სირცხვილია, ნუ მიყურებ, კირწეი
ბოში! — იცინოდა გოგო.

— არ გიყურებ, მახარია ძღაბი, —
კირწეი ხან წითლდებოდა, ხან ფითრდე-
ბოდა.

— სირცხვილია, ნუ მიყურებ, კირწეი
ბოში! — იცინოდა გოგო.

კირწეის თვალები აღტაცებას ვერ
ფარავდა. კირწეის გულს ბაგაბუგი გა-
უდიოდა. კირწეი მღელვარებას ვერ ფა-
რავდა.

— არ გიყურებ, მახარია ძღაბი.

— ფხუ!.. კი მიყურებ, კირწეი ბოში,
— იცინოდა გოგო. — სახე განზე მიაბ-
რუნე კირწეი ბოში! — იცინოდა გოგო.
ნუ მიყურებ, კირწეი ბოში, თორემ
ისევ გავიქცევი.

— ისევ დაგეწევი, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. მთელი თვე დამდევდი
და ვერ მეწეოდი, კირწეი ბოში.

კირწეის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.
კირწეი მღელვარებას ვერ ფარავდა.

გოგოს ისე ლამაზად ედო გრძელი თი-
თები ზორბლისფერ ბარძაყზე, ისე მო-
ხდენილად იყო იმ მხარეს გადახრილი,
იმ ფეხის წვერებზე ოდნავ აწეული, კი-

გრიგოლ ჩიქოვანი

კირწეი, სალუყი და მახარია

რწეის თვალეზი აღტაცებას ვერ ფარავლა.

— აწ ყოველთვის დაგეწევი, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. აწ რანაირად დამეწევი ყოველთვის, კირწეი ბოში?

კირწეი ხან წითლდებოდა და ხან ფითრდებოდა.

— აწ ყოველთვის დაგეწევი, მახარია ძღაბი.

— აწ რანაირად დამეწევი ყოველთვის, კირწეი ბოში?

— არ ვიცი რანაირად, მაგრამ აწ ყოველთვის დაგეწევი, მახარია ძღაბი.

— ფხუ!.. — ჩაიფხუკუნა გოგომ, ფეხს ხელი უშვა და გაიქცა.

კი არ გაიქცა, გაფრინდა, მაგრამ შავარდენმა ასწილი ძალა შეიმატა. გოგომ იგრძნო მალე დაეწეოდა კირწეი, შეშინდა, მეორე კალთასაც ჩამომახვესო და შედგა, კირწეისაკენ მიტრიალდა, ბარძაყზე ხელი აღარ დაიფარა, შეარხია თავი, უკან გადაიქნია, თმა გადაიყარა. გამოუჩნდა სახე, ხორბლისფერი, გატყეცილი, კრიალა ლოყები, მოშვილდული წარბები, თეთრი, თეთრი, მჭიდროდ ჩამწყრივებული კბილები, გამომწვევად გაუღიმეს ნუშისმაგვარმა, ცეცხლის თვალეზმა.

— რა მჭირს გასაქცევი, კირწეი ბოში! კირწეის სირბილით სული შეგუბებული ჰქონდა და ვერაფერი მიუგო. გოგოსაც სირბილით სული შეგუბებული ჰქონდა.

— რა მჭირს გასაქცევი, კირწეი ბოში! — გაუმეორა და ჩაიფხუკუნა. სირბილით სული შეგუბებული ჰქონდა, მაგრამ მაინც გაუმეორა. იმ დაკონკილ კაბაში მოქცეული მკერდი სწრაფად აუღ-ჩაუღიოდა, ეშინოდა, ძუძუებს კაბის გულსპირი არ გაეფხრიწათ. ხელეზი მკერდზე აიფარა. — რა მჭირს გასაქცევი, კირწეი ბოში!

— არ ვიცი, მართლა რა გჭირს გასაქცევი, მახარია ძღაბი!

— სირბილი ხომ გასწავლე, კირწეი ბოში!

— მართლა მასწავლე სირბილი, მახარია ძღაბი.

— ხტომა ხომ გასწავლე, კირწეი ბოში!

— ხტომაც მასწავლე, მახარია ძღაბი.

— ღიღბატონ დადიას აწ მწვევარი აღარ დასჭირდება, კირწეი ბოში.

— ღიღბატონ დადიას აწ მწვევარი მართლა არ დასჭირდება, მახარია ძღაბი, — გაიცინა კირწემი.

— ფხხუ!.. კირწეი ბოში მწვევარი!

ბუჩქებიდან სკვერი¹ გამოფარდა, კინალამ მახარიასა და კირწეის დაეტაკა. დაფეთებული განზე გაიჭრა და სხვა მხარეს გავარდა.

— არიქა, დაიჭირე სკვერი, კირწეი მწვევარ!

ამის თქმალა მოასწრო მახარიამ, რომ ბუჩქებიდან მამალი სკვერი გამოფარდა, ისიც კინალამ მახარიას და კირწეის დაეტაკა, მაგრამ არ დაფეთდა, იმ მხარეს გაენთო, საითაც დედალი შველი.

— არიქა, დაიჭირე სკვერი, კირწეი მწვევარ! — გაიცინა მახარიამ.

— იმას თავისი დამჭერი მისდევს, მახარია ძღაბი, — გაიცინა კირწემი.

— შენ ვისი დამჭერი ხარ, კირწეი ბოში?

— ჩემი სკვერის, მახარია ძღაბი.

— ვითომ, კირწეი ბოში?

— ჩემი სკვერის, მახარია ძღაბი.

— ერთი გადახტომით სკვერი არავის დაუჭერია, კირწეი ბოში.

— მე უკვე დავიჭირე ჩემი სკვერი, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. ვითომ დაიჭირე შენი სკვერი, კირწეი ბოში! — მახარიას ერთი ხელი წელზე ედო, მეორით სახედან თმას იშორებდა, მაგრამ თმა ისევ ეცემოდა სახეზე და იქიდან თვალეზი, ნუშისმაგვარი, ცეცხლის თვალეზი ისეთი გზნებით და ეშხით გამოკრთოდნენ, ისეთი კეთილი დაცინვის ღიმილით, რომ კირწეის ალად შემოენთო. — ვითომ დაიჭირე შენი სკვერი, კირწეი ბოში!

კირწეი მოჩადოებულებით შეჰყუ-

¹ შველი.

რებდა ნუშისმაგვარ ცეცხლის თვალე-
ში, გატყევილ, კრიალა ლოყებზე, ხე-
ლებს ძლივს იკავებდა, რომ არ შეხებო-
და იმ ლოყებს. მახარაის თავი გადაწე-
ული ჰქონდა, მკერდი წინ წაწეული, კა-
ბის გულისპირიდან ძუძუები მოუჩანდა.
ისინიც ხორბლისფერი, ისინიც გატყე-
ცილი, ისინიც კრიალა. კირწეი ხელებს
ძლივს იკავებდა, რომ წელზე არ შემო-
ეხვია. მკერდზე არ მიეკრა გოგოს
მორთოლვარე მკერდი, კირწეი თავს
ძლივს იკავებდა, რომ ნახევრად ვაპო-
ბილ, ტუჩებს არ დაჰკონებოდა.

მახარია ხედავდა, რომ კირწეი თავს
ძლივს იკავებდა. ვითომ დამიჭირეო,
ეკითხებოდნენ ნუშისმაგვარი, ჰრელი
ცეცხლის თვალეები, ალად რომ შემოენ-
თო და წვადა კირწეის. იცოდა, დაჰე-
რილი რომ ჰყავდა კირწეის, დატყვევე-
ბული რომ ჰყავდა კირწეის, და არ იცო-
და, უხაროდა თუ წყინდა, დაჰერილი
რომ ჰყავდა კირწეის, დატყვევებული
რომ ჰყავდა კირწეის.

— მე უკვე დავიჭირე ჩემი სკვერი,
მახარია ძღაბი.

— არ დაგიჭერია შენი სკვერი, კირ-
წეი ბოში, — შესცინა მახარია. —
დიდატონ დადია ნაკრძალში არავის და-
აჭერინებს თავის სკვერს, კირწეი ბოში.

ნასადილევს კაცია დიდიხანი სეირ-
ნობდა ბაღში. ეს წესად ჰქონდა და
არასოდეს გადავიდოდა ამ წესს. კაცია
ახლა იმ ხეივანში სეირნობდა, რომლის
გადაღმა მახარია და კირწეი იდგნენ.
გაიგონა მათი ლაპარაკი. შედგა, ბუჩქი
გადასწია და დაინახა პირისპირ მდგარი
კირწეი და მახარია.

— ვიცი, დიდატონ დადია ნაკრძალ-
ში არავის დააჭერინებს თავის სკვერს,
მახარია ძღაბი.

— აბა როგორ დაიჭერ იმ შენს
სკვერს, კირწეი ბოში?! — შეშინდა მა-
ხარია.

— არ ვიცი, როგორ დავიჭერ იმ ჩემს
სკვერს, მახარია ძღაბი, — შეშინდა კირ-
წეიც.

— შენ თუ არ იცი, აბა ვინ იცის, კირ-
წეი ბოში?! — ისევ შეშინდა მახარია.

— არ ვიცი, აბა ვინ იცის, მახარია
ძღაბი, — ისევ შეშინდა კირწეიც.

— ფხუუ! — თავი გაიქნია მახარია
და შიში გადაიყარა. — ამას რა დიდი
ცოდნა უნდა, კირწეი ბოში!

— დიდი ცოდნა უნდა, გაბედვა უნდა
დიდატონ დადიას სკვერის დაჭერას, მა-
ხარია ძღაბი.

— ფხუუ!.. არაფერი დიდი ცოდნა არ
უნდა, დიდატონ დადიას სკვერის და-
ჭერას, კირწეი ბოში.

— დიდატონ დადია არ დამანებებს
იმ სკვერის დაჭერას, მახარია ძღაბი.

— ჰო, დიდატონ დადია არ დაგანე-
ბებს იმ სკვერის დაჭერას, კირწეი ბოში.

— აბა რა ვქნა, მახარია ძღაბი?

— ფხუუ!.. მე მეკითხები, რა ვქნაო!

— ჰო, შენ გეკითხები, მახარია ძღაბი.
შენა ხარ ის ჩემი სკვერი, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. მე როგორა ვარ ის შენი
სკვერი, კირწეი ბოში?!

— შენა ხარი ის ჩემი სკვერი, მახარია
ძღაბი.

— მოსტაცე დიდატონ დადიას ის
შენი სკვერი, კირწეი ბოში.

— ის ჩემი სკვერი, მახარია ძღაბი! —
სიხარულით გაიმეორა კირწეიმ.

— მოსტაცე დიდატონ დადიას ის
შენი სკვერი, კირწეი ბოში!

— როგორ ვაკადრო, დიდატონ და-
დიას, მახარია ძღაბი?!

— არ ვიცი, მე რომ ბოში ვიყო, გე-
ტყოდი, როგორ აკადრო, დიდატონ და-
დიას, კირწეი ბოში.

კაცია მამური მოწონებით შეჰყურებ-
და ბუჩქს იქიდან გოგო-ბიქს, მაგრამ
მანაც თვალი იმ ჩამოხეული კალთისა-
კენ გაექცა და იქ შეჩერდა, იმ ხორბლის-
ფერი ბარძაყისაკენ გაექცა და იქ შე-
ჩერდა. გაოცდა, რატომ აქამდე არ მი-
ნახავს ეს გოგო.

მახარია თითქოს იგრძნო, რომ ვილაც

გრიგოლ ჩიქოვანი
პირველი, სალუქი და მახარია

უკურებდა და ბარძაყზე ხელი დაიფარა. კაციას შერცხვა, ტოტს ხელი გაუშვა და გზა გაიარძო. როგორ ვაკადრო დიდპატონ დადიასო. მიდიოდა ხეივანში და კმაყოფილებით ელიმებოდა. მოეწონა კირწეის პასუხი. მოეწონა გოგოს პასუხიც. უკვირდა, რატომ აქამდე არ შემინიშნავს ეს გოგოო. არც სახელი იცოდა მისი, არც გვარი. კაციას სასახლეში იმდენი მოინალე ქალი და გოგო ირეოდა, არ იცოდა, ვინ ვის და რას ემსახურებოდა, ვის რა ევალეზობდა, ვინ საღ ცხოვრობდა, არ იცოდა რას აკეთებდა ის გოგო. თვალწინ დაუდგა ჩამოხეული კალთა, ხორბლისფერი, სავსე ბარძაყი, მაგრამ მალე მოიშორა თვალდან. როგორ შეშვენიან ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთისათვის დაბადებულან, მოსტაცე, დიდპატონ დადიას ის შენი სკვერიო. კარგად უთხრა. ყოჩაღ გოგო! უკან გაბრუნდა, რომ გაეგო, ვინ იყო გოგო. იქ აღარ იდგნენ მახარია და კირწეი. გადაწყვიტა იმ საღამოსვე ეკითხა, გაეგო, ვინ იყო ის გოგო, ვისი შვილი იყო, რას აკეთებდა სასახლეში, ვის ემსახურებოდა. დაიბარა გადია. აუწერა გოგო. მახარია ჰქვიაო, უთხრა. გადია მაშინვე მიხვდა, ვინ იყო.

— თათია ჰქვია, დიდპატონ დადია. კაკუტია კაკულისა შვილია. მახარიასაც ეძახიან. ისეთი გამრჯე, ცოცხალი გოგოა, ხელფეხიდან ცეცხლი გასდის.

— ამაღამვე ახალი კაბა მიეცი. ტანზე შემოდნობია სამოსი. ცოდვია გოგო.

— ცოდვია, დიდპატონ დადია, — გაიღიმა გადიამ. — თავს არავის დაჩაგვრინებს. საქმის ერთგული კია. ერთს მოსვენებულს ვერ ნახავ.

— ასეთი გოგო ვერ მოსვენებს, — ჩაეღიმა კაციას ისე, როგორც იქ, ბუჩქთან, და კვლავ თვალწინ დაუდგა ის ჩამოხეული კალთა, ხორბლისფერი, სავსე ბარძაყი.

მეორე დღეს კაციამ კირწეი და სალუყი კვლავ სასახლეში გადმოაყვანინა მსახურთუხუცესს და მას შემდეგ არც ჯოგში გზავნიდნენ, არც ღალუსკარში ჰყიშად. მზარეულთუხუცესს ახმარებ-

დნენ. კაციამ კირწეის შემწვარი მწვადის ჭამაც კი დაიწყო. ძმები მალე უფრო დაიახლოვა. ორივე აფხაზ ბაზიერს ჩააბარა, ქორ-მომინოებსა და ძაღლებს აგეშინებდა, სანადიროდ და სათევზაოდ გაიყოლიებდა, მერიქიფეხებდ ჰყავდა.

ყველაფერი ემარჯვებოდათ ძმებს, ყველაფერს სულითა და გულით აკეთებდნენ. რა არ გამოუდიოდათ ხელიდან. კირწეის გაკეთებულს მაინც სხვა ემში და ლაზათი ჰქონდა.

კაცია ყოველ ცისმარე დღეს ადრე დგებოდა. უკიდევანო ეზოში წვრთნიდა თავისთავს და თავის ვაჟიშვილებს. ისროდა შუბს, ისარს, სცემდა ლახტს და აფთას და ბორძალს, ხტებოდა ფართო თხრილზე, ხტებოდა მაღალ ღობეზე, უბელო ცხენზე შემჯდარი, შორ მანძილზე ჩარიგებულ მესრების თავზე ჩამოცმულ წნელების მსხვილ კონებს მარჯვნივ და მარცხნივ ჰკვეთდა ხმლით ხმამაღალი კიჟინით: ჰეი ვარა, დამხვდი თურქო!

კირწეი და სალუყი აღტაცებით შეპყურებდნენ ხოლმე დიდპატონ დადიას წვრთნას. მესრები ერთმანეთთან ახლოს იდგა. დიდი სისწრაფე სჭირდებოდა მხედარს გაფრენილი ცხენიდან, ერთი კონის გადაკვეთის შემდეგ ხმლის ისევ აღმართვა მოესწრო და შემდეგი კონა გადაეკვეთა.

კონა ისე ეცემოდა მიწაზე, ერთი წნეული არ გავარდებოდა. თითქოს სამართებული ძაფს ჰკვეთდა. კაცია ორივე ხელს ერთნაირი სიძლიერითა და სიმარადით ხმარობდა. ყოველ ვარჯიშს, ყოველ ილეთს ცხენით ატარებდა. ცხენიდან ისროდა შუბს, ისარს, ცხენით სცემდა ბორძალს, ლახტსა და აფთას, ცხენით ხტებოდა თხრილზე, ჯებირზე, ღობეზე, ცხენით ეშვებოდა ციციბოზე, ცხენით ებრძოდა მტერს.

ოდიშელები მხოლოდ ცხენით ებრძოდნენ მტერს. სხვა ბრძოლა არ სწამდათ. კაციც და ცხენიც ბრძოლისათვის იწრთობოდა. ამიტომ იგებდნენ ომს, ამიტომ ჯობნიდნენ მტერს. ბავშვობიდან სწავლობდნენ ომის ხელოვნებას.

ბავშვი ხმაღს ხელში აიღებდა თუ არა, საომრად წვრთნიდა მამა თუ ბაბუა და ომში მიჰყავდა ჯერ უმწიფარი, მაგრამ საბრძოლოდ გაწვრთნილი. არ არიდებდა ხიფათსა და ჭირს. ბავშვი მამასთან თუ ბაბუსთან ერთად ვასცურავდა დიდ და შფოთიან მდინარეებს, გაივლიდა გაუვალ ჭაობში. იტანდა სიცხესა და სიცივეს, შიმშილსა და წყურვილს, ცხენზე იზრდებოდა, გაჭირვებაში იზრდებოდა, ბრძოლაში იზრდებოდა.

ასე იზრდებოდა და იწრთობოდა კაცია ბაღლობიდან, ასე ზრდიდა და წვრთნიდა შვილებსაც. შეეძინებოდა თუ არა შვილი, ძუძუთა ბავშვს ძიძეს და მორდუს აძლევდა გასაზრდელად და ათ წლამდე ყმის ოჯახში ტოვებდა, ყმის ხვედრითა და ყმის ლუკმით.

აზნაური, ყმა და აზნატი ყოველ ქამს მზად ჰყავდა მტერთან შესახვედრად. მის სამწყსოში არ იყო კომლი, თვეში ერთხელ საბრძოლად რომ არ ევარჯიშნა, არ იყო კომლი, ცხენები არ ჰყოლოდა, არ იყო კაცი, იარაღ-აბჯარი არ ჰქონოდა, არ ყოფილიყო საომრად გაწვრთნილი, ყოველ ქამს მზად არ ჰქონოდა სურსათი, ურემი და ცხენი.

დიდებული და მდაბიო — ყველა, როგორც ერთი, იმის ცდაში იყო — კარგი ცხენუნაგირით, კარგი იარაღ-აბჯრით და ტანსაცმლით წასულიყო ომში, წაედო ვერცხლეული თუ ოქროული, ძვირფასი თვლები, წაესხა ძროხები, ხარები, ცხვრები და თხები, — ყოველგვარი საკლავი, შებოლილი თევზი, ხორცი და ყველი, ჯანჯუხა და ხილის ჩირი, ღვინო, ფქვილი, ჯამ-ჭურჭელი, თონეები, რომ ყოველ დღე ეცხოთ პური, კარდალები, რომ ყოველ დღე ეკეთებინათ ღომი, კეცები, რომ ყოველ დღე ეკეთებინათ ჭვიშტარი, რომ ბრძოლის წინ, სიკვდილის თუ გამარჯვების წინ მაძღრისად ესვათ და ექამათ. მამაცური სიკვდილი გამარჯვებად მიაჩნდათ და ამიტომ არ ეშინოდათ სიკვდილის.

ბრძოლის დაწყების წინა ღამით ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ, თავი მოეწონებიათ ერთმანეთისათვის, ახლოზე-

ლისათვის და შორეულისათვის, ნაცნობისათვის და უცნობისათვის უკეთესი ლხინით, უკეთესი ჩაცმულობით, უკეთესი აბჯრითა და სასჯაულით, ცხენითა და ქონებით, სტუმართმოყვარეობითა და თავაზიანობით; რიგ-რიგობით პატიყბდნენ ერთმანეთს, საჩუქრებს, ძღვენს მიაართმევდნენ ერთმანეთს. ყველა თავისი შეძლების მიხედვით, თავადი, აზნაური, აზნატი და ყმა. ღამეს ქეიფში ატარებდნენ, ღამე არ იზრძოდნენ, მტერს ენდობოდნენ და არც ის კადრულობდა ღამე ბრძოლას.

მთავარი ომში კომლს ერთი კაცის გამოყვანას ავალებდა. კაციას ორი-სამი გამოჰყავდა. მისი ჯარი იყო გამარჯვების დამწყები და დამაგვირგვინებელი.

რაც უნდა ავდარი ყოფილიყო, კაცია წვრთნას არ გადასდებდა. თოვლში, წვიმაში, ქარში პაპანაქებაში. არც შვილებს გადაადებინებდა. ოთხი ვაჟი ჰყავდა, ერთმანეთზე უკეთესები. შვილებს თავიანთი მწვრთნელები ჰყავდათ მიჩენილი, თავიანთი ცხენები ჰყავდათ, თავიანთი აბჯარი ჰქონდათ.

კაცია ყაბარღოული ცხენით ვარჯიშობდა. თვეში ერთხელ არაბიაზე შეგდებოდა. არაბია სამი წლისა იყო, წმინდა არაბული ჯიშისა. თურქი ვაჭრისაგან იყიდა მამასისხლად, კუბრივით შავი ბალანი თვალისმომჭრელად უბზინავდა, ბალანზე უფრო შავი, მოციმციმე ფაფარი გრძელ კისერზე მოხდენილად ეყარა, მწვევარივით ერთმანეთზე გაკრული ფერდები მის მაღალ, წვრილ ფეხებს უფრო გამოსაჩენს, თვალმოსატაცს ხდიდა, პატარა ყურები დაცქვეტილი ჰქონდა, ჰკვიანი თვალეები — ნიადაგ დაცეცებული. მეტისმეტად ფიცხი და ზოგჯერ ავიც იყო. მეჯინიბეთუხუცესის ათანასე ალანისა მეტს არავის იკარებდა, კაციას მეტს არავის შეისვამდა. სიფიცხისას მეჯინიბეთუხუცესსაც ეურჩებოდა. ცალკე საჯინიბოში იდგა. სხვა ცხენებს ვერ ეგუებოდა. მეჯინიბეთუხუ-

გრიგოლ ჩინოვანი

კირფი, სალუჩი და მახარია

ცეს ისეთ პატივში ჰყავდა, მეფეს შე-
შურდებოდა.

კაცია არაბიას საწვრთნელად რომ გა-
მოაყვანიებდა, დიდ-პატარა სასახლის
ეზოში გამოეფინებოდა, ზოგი ცხენის
საყურებლად, ზოგი დიდპატონ დადიას
ვარჯიშის. უკვირდათ, ეს გადარეული
ვაყა პატრონთან რა მორჩილი, თვინიე-
რი და მინდობილი იყო.

დაინახავდა თუ არა კაციას, არაბია
ისე მხიარულად, ისე ძლიერად შესჭი-
ხვინებდა, ერთად შეყრილი ასი ვაყის
ჭიხვინი გეგონებოდა. არაბია რომ დაი-
ფრუტუნებდა, კიშმიშზე შედგებოდა ან
ტორებს აპყრიდა, შიშის ზარს დასცემ-
და ადამიანსა და ნადირს.

მეჩინებეთუხუცესი ტანმორჩილი კა-
ცი იყო, ჰარამავი, კეთილსახიერი. არა-
ბია ყალყზე რომ შედგებოდა და პატარა
თავს ღონივრად აიქნევდა, ლავამს მო-
ჭიდებული ათანასე ალანია მიწას მო-
წყუდებოდა. არაბია თავის ყველაზე
ერთვულ მზრუნველსაც კი არ ინდობდა.

კირწყისა და სალუყს ვაყა ნახული არ
ჰყავდათ, სული მისდიოდათ, როდის გა-
მოუყვანდნენ დიდპატონ დადიას. ძმებს
ფხვით არ უვლიათ იმდენი, რამდენიც
ცხენით. რა ჯიშის ცხენზე არ მჯდარან
და გაუხენდნათ. ამიტომ აინტერესებ-
დათ რა იყო ასეთი არაბია, როგორსაც
უჭებდნენ და უხატავდნენ. მალე აუს-
რულდათ არაბიას ნახვის წადილი. კა-
ციას სვანეთის მთავრის ბიძა თაბი და-
დეშქელიანი ესტუმრა მეუღლითა და
დიდი ამალით.

ოდიშისა და სვანეთის მთავრები სა-
ზღვარზე ედავებოდნენ ერთმანეთს.
ოდიშის მთავარმა ბევრჯერ დააპირა ძა-
ლით წაერთმია სვანებისათვის სადავო
მიწა, მაგრამ ჯარი კაციას სამფლობე-
ლოზე უნდა გაეყვანა. იცოდა, მმა არ
გაატარებდა თავის მიწაზე, არ დაანე-
ბებდა მეზობელთან ომს და ჭირვეული,
მოუსვენარი მთავარი თავს იკავებდა.

კაციამ და თაბიმ ბევრჯერ სცადეს
მთავრების მორიგება, მაგრამ ოდიშის
მპრძანებელს სვანების არც ერთი პი-
რობის გაგონება არ უნდოდა. კაცია

ამითაც იყო ძმაზე განაწყენებული. ამ
ორ უფალთა შორის შური და მტრობა
კი სულ უფრო მატულობდა და მტრობა
დებოდა. ამას ორივე სამთავროსათვის
დიდი ზიანი მოჰქონდა. ამ უბედურებას
კიდევ ერთი უბედური შემთხვევა დაე-
მატა. სოფელ ჭვარში სავაჭროდ ჩამო-
სულ სვანებს სიმთვრალეში მეგრული
ყმა შემოაკვდათ. ამ ამბავმა მთლად გა-
დარია ოდიშის მთავარი. ბრძანა, არც
ერთი სვანი არ შემოეშვათ ოდიშში. სვა-
ნებს თავისი საქონელი ოდიშის ბაზარ-
ზე ველარ ჩამოჰქონდათ, ვერც ოდიში-
დან გაჰქონდათ მათთვის მეტად საქირთ
საქონელი. მთიმე მდგომარეობაში ჩა-
ვარდნილმა სვანებმა თაბი დადეშქე-
ლიანს მიმართეს საშველად.

თაბის და კაციას კიდევ ერთხელ უნ-
დოდათ ეცადათ მთავრების მორიგება.
დიდპატონ დადია თაბი დადეშქელიანის
ჩამოსვლის მიზანს დიდი საიდუმლოე-
ბით ინახავდა. ასე იყენენ შეთანხმებუ-
ლი სტუმარ-მასპინძელი. ეშინოდათ,
მთავრების მორიგების მოწინააღმდეგე-
ებს, ხელს რომ ითბობდნენ მათი შულ-
ლითა და მტრობით, არ შეეცყოთ კაციას
და თაბის კეთილი განზრახვა და ხელი
არ შეეშალათ, კიდევ უფრო არ გაემწვა-
ვებინათ მეზობლებს შორის დამოკიდე-
ბულება, კვლავ უშედეგოდ არ დასრუ-
ლებულიყო კაციას და თაბის ცდა. და-
დეშქელიანი ვითომ მხოლოდ არაბიას
სანახავად იყო ჩამოსული.

სვანი თავადი ცხენის გიჟი იყო. რა
ჯიშის ბედაური არ ჰყავდა, რომელი
ქვეყნისა და ერის. ცხენისათვის უკა-
ნასკნელ პერანგს გაიხდიდა, თავის წონა
ოქროს მისცემდა, სულს არ დაიშურებ-
და. იმდენი ცხვრის, თხისა და საქონლის
ჯოგი და ფარა არ ჰყავდა, რამდენიც
ცხენის რემა.

კაციას თაბი დადეშქელიანის ჩამოსვ-
ლის მეორე დღეს უნდა ეჩვენებინა
არაბია.

თაბი დადეშქელიანი მაღალი, კლდე-
სავით შეკრული, განიერ მხარბეჭიანი,
გარეგნულად გოროზი შუა ხნის მამაკა-
ცი იყო. ისეთი ხელმკლავი ჰქონდა. ხე-

ლის ჩამორთმევის შეგეშინდებოდა. ხუ-
ჭუჭი, გრუზა თმა უკან ეყარა და ისე-
დაც მაღალ შუბლს კიდევ უფრო მა-
ღალს აჩენდა. ცოცხალი, მსხვილი თვა-
ლები და გრძელი, წაწვეტებული ულ-
ვამი დაუმორჩილებელი სიძლიერის
იერს მატებდა. მოოქვრილი ქილებიანი
და სირმით გაწყობილი მოკლე, ნაცრის-
ფერი ღართ-ჩოხა ეცვა, ოქროთი მო-
ზარნიშებული ყამა-ქამარი ერტყა.

ორივე დიდებული აივანზე ისხდნენ
ცოლ-შვილითა და საგანგებოდ მოწვე-
ული მეზობელი თავადებით. როგორც
ყოველთვის, არაბიას გამოყვანის მო-
ლოდინში, სასახლის მსახურნი — მო-
ჯალაბეები, მიბარებულები, მოინალები,
ფარეშები, ხაბაზები, მზარეულები ეზო-
ში იყვნენ გამოფენილნი.

კირწეი და სალუყი ერთად იდგნენ
და იმ მხარეს იცქირებოდნენ, საიდანაც
მეჯინბეთუხუცესს არაბია უნდა გამო-
ეყვანა. იქით იცქირებოდა მათ უკან
მდგარი მახარიაც, ახალი კაბით გაამა-
ყებული, სიყვარულით კიდევ უფრო
დამშვენებული.

ათანასე ალანია გვერდით მოსდევდა
ვაყას. არაბიას ზურგზე ავაზას ტყავის
ყაჯარი ეფარა, ოქრომკედლით მოქარგუ-
ლი და ძვირფასი შალით სარჩულამოკე-
რებული. ავაზის ოთხივე ტორი გვერდ-
ზე ეკიდა, კული კი ვაგაზე ედო. ეს თვა-
ლისმომოქრელი დიდებული შემკულობა
ხატავდა და ალამაზებდა თავმომწონე
ჰუნეს. ყაჯარს მაშინ აფარებდნენ არა-
ბიას, სტუმარს რომ უჩვენებდნენ, და
ამ დროს ისე ეკეკავდა, თავისიერს მაღ-
ლა წევდა, კოპწიოებდა, თითქოს მიწი-
დან აფრენას ლამობდა.

მოჰყავსო, — წასჩურჩულა კირწეიმ სა-
ლუყს და ცხენის დანახვით აღტაცე-
ბულმა ნიდაყვი გაჰკრა. არ იცოდა, რომ
მახარია მის უკან იდგა, თორემ ცხენს
არც შეხედავდა. არც სალუყმა იცოდა,
რომ მახარია მის უკან იდგა, თორემ
ცხენს არც შეხედევდა. მახარია ცხენს
არ უყურებდა. მისი გულისყური კირ-
წეისაკენ იყო მიქცეული, კირწეის არ
ამორებდა თვალს. ახალ კაბაში ჯერ არ

უნახავს კირწეის. ნეტა ერთხელ მიწი-
ციწიოსო თვალი, ფიქრობდა მახარია და
მღელვარებას ძლივს იკავებდა.

არაბია ხასიათზე არ იყო. მეჯინბეთ-
უხუცესს ლაგამი ორივე ხელით ეკავა,
ძლივს ამბარებდა გალაღებულ პი-
რუტყვს. ვაყა ფრუტუნებდა, ბრდღვი-
ნავდა, აბრიალებული ფაფარიც მოწ-
მობდა, რომ ხასიათზე არ იყო.

თაბი დადემშქელიანს თვალეზი გაუ-
ფართოვდა, მოაჯირზე გადაიხარა. მოა-
ჯირზე გადაიხარა მისი მეუღლეც, დაი-
იმერეთის მეფისა მარიამი. ცოლ-
ქმარი არ ელოდა ეგზომ ლამაზ ცხენს.
მარიამიც დიდი მოტრფიალუ იყო ცხე-
ნის. კარგად ერკვეოდა ყველა ჯიშში და
ადვილად ვერ გააკვირვებდა ვერც მას
და ვერც ქმარს ცხენი.

ცხენი და მეჯინბეთუხუცესი სწრა-
ფად ახლოვდებოდნენ. არაბია თავის
წართმევას ცდილობდა, გაჯავრებით ურ-
ტყამდა მიწას ღონიერ ტორებს.

კაცია მამინვე შეატყო, რომ ცხენი
ხასიათზე არ იყო. მის უკან მდგარმა ვა-
ჟიშვილებმაც შეატყვეს, რომ ცხენი ხა-
სიათზე არ იყო. ქალბატონმაც შეატყო,
რომ ცხენი ხასიათზე არ იყო. შეშინდ-
ნენ, მეჯინბეთუხუცესი არ დაამავოსო.
ვაყა სულ უფრო და უფრო იწყვეტდა
თავს. ათანასე ალანია ძლივს აკავებდა.
კირწეიმ უცებ შეატყო, მეჯინბეთ-
უხუცესი ვერ დაიმორჩილებდა ცხენს.

კაცია წამოდგა.

არაბიამ მრისხანედ შესჭიხვინა, თავი
მძლავრად აიქნია, ყალყზე აღიმართა და
ლაგამი წაართვა ათანასე ალანიას. მეჯი-
ნბეთუხუცესი წაბორძიკდა, ქანცვა-
წყვეტილმა თავი ვერ შეიმავრა და დაე-
ცა, ვაყა შეტრიალდა, დახედა წაქცეულ
მეჯინბეთუხუცესს, ტორები აიქნია და
კიდევ უფრო მრისხანედ დაიჭიხვინა,
მერე მოიკუნტა და გატყორცნილი შურ-
დულივით გავარდა წინ, იმ მხარეს გაიჭ-
რა, სადაც ეზოში მეჯალაბეები, მიბარე-
ბულები, ფარეშები, მოინალები, ხაბა-

გრიგოლ ჩიქოვანი

აიწიფი, სალუქი და მახარია

ზები, მზარეულები იყვნენ გამოფენილი. სადაც კირწეი და სალუყი იდგნენ, მათ უკან მახარია რომ იდგა. თითქოს ქარბორიამ მიხვეტ-მოხვეტაო აქეთიქით, გაიფანტა დიდი და პატარა, კირწეი და სალუყი არ განძრუულან. გაიქცა მახარიაც, მაგრამ შორს არ წასულა, შემოტრიალდა და თავზარდაცემული შეპყურებდა რა თავბრუდამხვევი სისწრაფით უახლოვდებოდა ვაყა კირწეისა და სალუყს. ის იყო ცხენი უნდა დატაკებოდა ძმებს, მახარია შეპკივლა და სახეზე ხელუბრა აიფარა, მაგრამ კირწეი ლავამში სწვდა გადარეულ ვაყას, ლავამი კისერზე გადაუგდო და ზურგზე მოევლო.

ეზომ შვებით ამოისუნთქა.

აივანმაც შვებით ამოისუნთქა.

კიბის თავზე შემდგარმა კაცია დადიანმა და თაბი დადემქელიანმაც შვებით ამოისუნთქეს. კაციამ მაშინვე გაიგონა მახარიას შევივლება, დაინახა სახეზე ხელუბრაფარებული და შიშით გარინდული რომ იდგა და კიბისაკენ ვაეშურა, გაპყვა თაბი დადემქელიანიც, მაგრამ დაინახეს, რომ კირწეი ზურგზე მოევლო ვაყას და კიბის თავზე შედგნენ, მოწონებით გადახედეს ერთმანეთს.

ცხენი მთლად გადაირია. უნდოდა მხედარი გადმოეგლო. კირწეიმ მუცელზე ჭანგებივით შემოაჭლო ფეხები, კისერზე დაეკრა, პირი ყურთან მიუტანა. ვერა, არაბია, კირწეი ვარ აკაბაბი. წასჩურჩულა ცხენს, კისერი ისე ღონივრად მოუგრიხა, თავი მკერდთან მიატანინა. ცხენი უცებ დანებდა, დამორჩილდა, დამარცხებული თავის წართმევას აღარ ლამობდა, ერთ ადგილზე ხტოდა, მიწას ტორავდა, ფრუტუნებდა და უცდიდა, მხედარი რას უპირებდა. კირწეი კისერზე ხელს უპარტყუნებდა, ამშვიდებდა, ეფერებოდა, მერე სასახლისაკენ მიაბრუნა და ჩორთით წაიყვანა.

დადიანი და დადემქელიანი შეპყურებდნენ, რა ლამაზად მოჰყავდა კირწეის ცხენი. ჩერქეზმა ვაყა კიბის წინ შეაყენა, გადმოხტა, ლავამი მარცხენა

ხელში დაიჭირა, კაჭად დადგა და ქრელი მოიშვლია.

— ცხენი კი არა, ქაჯია, დიდშატონ დადია, — უთხრა კაციას, მერე თაბი დადემქელიანს მიესალმა და დაუმატა: — კარგი ქაჯი, პატონ.

— შენ ქაჯზე ქაჯი ყოფილხარ, ბოში, — უთხრა თაბი დადემქელიანმა, ღართიდან ოქროსთავიანი ქილა ამოიძრო, გადაუგდო და დაუმატა: — კარგი ქაჯი, ბოში.

კირწეიმ ჰაერში დაიჭირა ქილა.

— არა ვარ ამის ღირსი, პატონი.

კაცია მახარიას უყურებდა. შეშინებული გოგო უფრო ლამაზი, მშვენიერი ეჩვენა. მერე კირწეისაკენ მიბრუნდა, ისიც უფრო ლამაზი, მშვენიერი ეჩვენა.

— ღირსი ხარ, ბოში, — უთხრა დიმილით...

ნასალილეგს კაცია დადიანი და თაბი დადემქელიანი ბადის ხეივანში სეირნობდნენ. მთავრების მორიგების ჩაშლის თაობაზე საუბრობდნენ. კაცია შეწუხებული იყო ძმის საქციელით. თაბიც შეწუხებული იყო მთავრის საქციელით. იმედს მინც არ კარგავდნენ. შეთანხმდნენ, უფრო ხელსაყრელ ჟამს დალოდებოდნენ და კვლავ ეცადათ უზნეო და თავნება მთავრის დაყოლიება. კაცია დაწყებულ საქმეს არ მიატოვებდა. მით უფრო, თუ ეს სამთავროს ეხებოდა. ასეთი იყო თაბი დადემქელიანიც.

წყნარი, ღრუბლიანი საღამო იდგა. ოდიშური შემოდგომის სიმწიფის სურნელით გაბანგული საღამო. დახუნძლული ხეები ნაყოფის მრავალ ფერს აფრქვევდა მიწა აჭრელებული იყო ძირს დაფენილი ხილითა და ნარინჯით. გიშრისფრად და ქარვისფრად ბრწყინავდა ვაზი. ხეზე ერთი ფოთოლი არ ირხეოდა. ტოტზე ორი მავშალია ერთმანეთს უგალობდა. ჯერ ერთი შეტრფოდა ნაზი, რბილი ხმით, მეორე განაბული უგდებდა ყურს და ის პირველი თავის სათქმელს რომ დაამთავრებდა, მეორე ამღერდებოდა. იმდენად წარმატა, მომხიბლავი იყო მიჯნურთა ყუყუნი, კაცია დადიანმა და თაბი დადემქელიანმა საუ-

ბარი შეწყვიტეს. შედგენენ, ყური მიუგდეს მაფშალიებს.

— ბედნიერები.

შეესმათ ბუჩქს იქითა მხრიდან ქალის ხმა.

კაცია დადიანმა მამინვე იცნო მახარის ხმა, იცნო ბუჩქიც, გადასწია ტოტი.

კირწეი და მახარია ისევ იმ ლიმონის ხესთან იდგნენ, ისევ ისე ახლოს, პირისპირ. მახარიას ისევ წელზე ედო ერთი ხელი, მეორით სახიდან თმას იშორებდა, თმა ისევ ეცემოდა სახეზე და იქიდან თვალები, ნუშისმაგვარი ცეცხლის თვალები გამოკრთოდნენ.

— ჩვენზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინაა, მახარია ძღაბი.

თაბი დადემშქელიანმაც იცნო კირწეის ხმა, ბუჩქთან მივიდა, გადასწია ტოტი, დაინახა კირწეი. კაცია დადიანმა შეთქმულივით ტუჩზე ხელი მიიღო — ჩუმად.

— მაფშალიები ჩვენზე ბედნიერები არიან, კირწეი ბოში.

— რატომ არიან ჩვენზე ბედნიერები მაფშალიები, მახარია ძღაბი?!

— მაფშალიები თავისუფლები არიან, პატონი არა ჰყავთ, კირწეი ბოში.

— მაინც ჩვენზე ბედნიერი ქვეყანაზე კაციშვილი არაა, მახარია ძღაბი.

— რაფერ არაა ქვეყანაზე ჩვენზე ბედნიერი კაციშვილი, კირწეი ბოში?!

— ბედნიერებისათვის მართო სიყვარულიც კმარა, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. რაფერ, კირწეი ბოში?

— არ ვიცი, რაფერ. ვიცი, ჩემზე ბედნიერი კაციშვილი არაა ქვეყანაზე, მახარია ძღაბი.

— ჩემზე ბედნიერიც, კირწეი ბოში, — მახარიას უცებ ტირილი წასკდა.

— რა გატირებს, მახარია ძღაბი?! — შეშინდა კირწეი.

— ყმის ბედნიერება ვინ გაიგონა, კირწეი ბოში?!

კაცია დადიანმა და თაბი დადემშქელიანმა ერთმანეთს გადახედეს.

— სიყვარული მაინც ბედნიერებაა, მახარია ძღაბი.

— მართალია, — ცრემლი მოიწმინდა

მახარიამ, — სიყვარული მაინც ბედნიერებაა, კირწეი ბოში.

— თუ გიყვარს, ყმობაც შრომაც ადვილია, ტანჯვაც ადვილია. მე ასე მგონია, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. — მახარიამ ისევ წელზე დაიღო ხელი, მეორით სახიდან თმა გადაიწია, თმა ისევ დაეცა სახეზე და იქიდან თვალებმა, ნუშისმაგვარმა, ცეცხლის თვალებმა შესცინეს. — მეც ასე მგონია კირწეი ბოში. თუ გიყვარს, მართლაც ყმობაც ადვილია, შრომაც ადვილია, ტანჯვაც ადვილია, ყველაფერი ადვილია, კირწეი ბოში.

— ყველაფერი ადვილია, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. რა უცებ ამაცალე გულიდან ლოდი, კირწეი ბოში!

— შენს გულზე ლოდს რა უნდა, მახარია ძღაბი!

— ვიშო! მართლა რა უნდა ჩემს გულზე ლოდს, კირწეი ბოში!

— შენს მოლოდინში არც დღე მეძინა, არც ღამე, მახარია ძღაბი.

— მართლა, კირწეი ბოში!

— სანთელივით თვალწინ მედექი, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. ძილი გაგიტეხე, კირწეი ბოში?!

— ძილი გამიტეხე, მახარია ძღაბი.

— გული ხომ არ გაგიტეხე, კირწეი ბოში?

— გული არა, მახარია ძღაბი.

— სანთელივით რანაირად გედექი თვალწინ, კირწეი ბოში?!

— სანთელივით ენთე ჩემს თვალებში, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. რანაირი ლაპარაკი იცი, კირწეი ბოში!

— მახარია ძღაბი!

— გულს ნუ გაიტეხ, კირწეი ბოში! მეც არ მეძინა არც დღე, არც ღამე, კირწეი ბოში.

გრიგოლ ჩიქოვანი

აირაყვი, სალუჯი და მახარია

— მახარია ძღაბი!

— მეც სანთელივით მედექი თვალწინ, კირწეი ბოში.

— მახარია ძღაბი!

— ჩემს თვალშიაც სანთელივით ენთე, კირწეი ბოში.

— მახარია ძღაბი!

— რა იყო, კირწეი ბოში?!

— არაფერი, მახარია ძღაბი.

— მაინც რა იყო, კირწეი ბოში?!

— მართლა არ გეძინა შენც, მახარია ძღაბი?!

— არ მეძინა, კირწეი ბოში.

— მართლა სანთელივით თვალწინ გედექი, მახარია ძღაბი?!

— სანთელივით მედექი თვალწინ, კირწეი ბოში.

— მართლა სანთელივით ვენტე შენს თვალში, მახარია ძღაბი.

— სანთელივით ენთე ჩემს თვალში, კირწეი ბოში.

— როგორ გიხდება ახალი კაბა, მახარია ძღაბი!

— მართლა მიხდება, კირწეი ბოში?

— ძალიან გიხდება, მახარია ძღაბი.

— ფხხუ!.. ძალიან, კირწეი ბოში?!

— შენ ყველაფერი გიხდება, მახარია ძღაბი, — კირწეიმ წელზე ხელი შეავლო.

— რას შვრები, ხომ არ გადაირიე, კირწეი ბოში! — გაუწყრა მახარია, ტანი კი მიანება, თავი შეარხია, უკან გადაიქნია, თმა გადაიყარა, გამოჩნდა სახე, ხორბლისფერი, გატკეცილი, კრიალა ლოყები, მოშვილდული წარბები და თეთრი, თეთრი მჭიდროდ ჩამწყრივებული კბილები, გაეპო მარწყვივით წითელი ტუჩები და შეუშვირა. — ხომ არ გადაირიე, კირწეი ბოში!

კირწეიმ მეორე ხელიც შეავლო წელზე. მახარიამ ტანი უფრო მიანება.

თაბი დადეშქელიანმა უღვაშზე ხელი გადაისვა.

კაცია დადიანმა ტუჩი მოილოკა.

— ხომ არ გადაირიე, კირწეი ბოში? — გაიმეორა მახარიამ უფრო დამყოლი ხმით. — ხელი გამიშვი, კირწეი ბოში!

კაცია დადიანმა ტოტს ხელი უშვა /
 თაბი დადეშქელიანმაც ტოტს ხელი უშვა.
 გიგლიძის

შებრუნდნენ და ფეხაკრეფით გაეცალნენ ბუჩქს.

ტოტზე ისევ შეტრფოდნენ ერთმანეთს მაფშალიები. ჯერ ერთი შესტვენდა ნაზი, რბილი ხმით, მეორე განაბული უგდებდა ყურს და ის პირველი თავის სათქმელს რომ დაამთავრებდა, ახლა მეორე ამღერდებოდა. იმდენად მომხიბვლელი იყო მიჯნურთა ტრფიალი, კაცია დადიანი და თაბი დადეშქელიანი სულგანაბული უგდებდნენ ყურს. გაისმა პატარა ფრთების ერთდროული, ნელი ფართქალი, ფოთლების შრაშუნი, ერთად გაფრინდა დედალ-მამალი მაფშალია.

კაცია დადიანი და თაბი დადეშქელიანი ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ ზეივანში ნახულითა და გაგონილით კმაყოფილები.

— ბედნიერებისათვის მარტო სიყვარულიც კმარაო, — დაარღვია დუმილი კაცია დადიანმა.

— მართლაც ასეა, ბატონო კაცია, — უთხრა თაბი დადეშქელიანმა.

— ყმის ბედნიერება ვინ გაიგონაო, — თქვა კაცია დადიანმა.

— სიყვარული მაინც ბედნიერებააო, კარგად მიუგო ვაჟმა, — თქვა თაბი დადეშქელიანმა.

— თუ გიყვარს, ყმობაც ადვილია, შრომაც ადვილია, ტანჯვაც ადვილიაო, — თქვა კაცია დადიანმა.

— იქნებ მართლაც ასეა, — თქვა თაბი დადეშქელიანმა.

— ასეა, — თქვა კაცია დადიანმა.

— ჩიტმაც კი იცის, რა არის სიყვარული, — თქვა თაბი დადეშქელიანმა.

— ჩიტმაც, — თქვა კაცია დადიანმა.

— რა ღონიერი ყოფილხარ, კირწეი ბოში!

— რა ღვედვიით მოქნილი წელი გქონია, მახარია ძღაბი.

— წელში არ გადამწყვიტო, კირწეი ბოში.

— ნუ გეშინია, მახარია ძღაბი!
— ფხუუ!.. სულაც არ მეშინია, კირწეი ბოში.

— შენი ჭირიმე, მახარია ძღაბი.
— რა მაგარი მკლავები გქონია, კირწეი ბოში!

— შენი ჭირიმე, მახარია ძღაბი.
კაცია დადიანი და თაბი დადაშქელიანი შედგენენ. ერთმანეთს გაუღიძვრეს.

— სული შემეგუბდა... მე...ში...ნია, არ და...მახრ...ჩო, კი...რწეი ბოში!

კაცია დადიანი და თაბი დადეშქელიანი გზა განაგრძეს.

— მაპატიე, ჩემს ჭკუაზე არ ვარ, მახარია ძღაბი.

— მოვიტყვი სული, კირწეი ბოში.

— მაპატიე, მახარია ძღაბი.

— ნუ გეშინია, კირწეი ბოში!

— სიყვარულმა შიში არ იცის, მახარია ძღაბი.

— ჰო, სიყვარულმა შიში არ იცის, კირწეი ბოში.

— მე მეგონა შეგეშინდა, მახარია ძღაბი.

— ფხუუ!.. სულაც არ შემეშინებია, კირწეი ბოში...

ერთი კვირა დაჰყვეს თაბი დადეშქელიანი და მისმა მეუღლემ მარიამმა კაციათს სასახლეში. სტუმრის გამგზავრების წინა დღეს კაცია დადიანი წვეულება გამართა. ბევრი თავადი და აზნაური დაიწვია ოდიშის სხვადასხვა კუთხიდან. მოვიდნენ ჩიქვანები, ლიპარტიანები, ჯაიანები, ფაღვეები, ჩხეტიები, ბედიები, თან მოჰყვენენ თავისი მოინალიებით ხელქვეითი აზნაურები, ნაჰყებიები და კობახიები, დგებიები და გაბუნიები, იმერეთიდან აბაშიძეები და აგიაშვილები, აფხაზეთიდან ჩაჩბები და ემხვარები, გურიიდან ნაკაშიძეები და თავდგორიძეები, რაჭიდან და ლუჩხუმიდან ერისთავები და წულუკიძეები. მოვიდნენ ძღვენითა და საჩუქრით. მოვიდნენ მღვდლები და ეპისკოპოსები.

მოვიდნენ განთქმული მომღერლები, მეჩონგურეები, მოცეკვავეები, მოჯირითეები და მოჭიდავეები. მოვიდნენ ბა-

ზიერები ქორ-მიმინოებითა და მწვეთ-მეძებრებით.

კაცია ამ წვეულებით უნდოდანდებოდა ნებინა მთავრისათვის, მისი თანამოზრეებისა და თანამოაზრეებისათვის თავისი და ხალხის დამოკიდებულება სვანეთის მთავრისა და სვანებისადმი.

მთავარმა ეს ამბავი რომ გაიგო, ცოფმა აიტანა. ეს მარტო მისი განდგომა კი არ იყო, ყველა იმ დიდებულთა, თავადთა და აზნაურთა, ვინც იმ დღეს თაბი დადეშქელიანის პატივსაცემად გამართულ სუფრას მიუჯდებოდა. მთავარმა სასწრაფოდ მოიწვია სამსჯავროდ დიდებულები, ვაზირები, სამთავროს სხვა მოხელენი და კარისკაცები. გადაწყვიტა, ლხინის დროს თავს დასხმოდა მძას, მოეტაცა თაბი დადეშქელიანი და მისი მეუღლე, აეწიოკებინა, მოეგზავნა მისი სახლ-კარი, სამუდამოდ ამოედო ლაგამი კაციათისა და სვანეთისაგან გზა გაეხსნა.

არც ერთმა გონიერმა ვაზირმა, დიდებულმა, მოხელემ და კარისკაცმა არ აუბა მხარი მთავარს. ჩუმი მტრების გარდა, თითქმის ყველა წინ აღუდგა მის ახირებულ განზრახვას. ეს თავდასხმა კიდევ უფრო გაამწვავებდა ორი სამთავროს ურთიერთობას, ატეხდა შფოთს, კიდევ უფრო შეარყევდა მთავრის ისედაც შერყეულ ტახტს. მხოლოდ იმ მჩატე ჭკუის დიდებულებმა, ვაზირებმა და თავადებმა დაუჭირეს მხარი მთავარს, ვინც შენიღბულად უთხრიდნენ ძირს, შფოთისათვის აქეზებდნენ, მის დაუოკებელ ვნებას, დაუცხრომელ წაიღის ცეცხლს უნთებდნენ.

მთავარმა კარგად იცოდა ამ ჩუმ მტერთა ზრახვანი და ხშირად მათი რჩევის საპირისპიროდ იქცეოდა და ახლაც ყურად არ იღო მათი აზრი და ცნება. მისთვის ამოსადები ლაგამი თვითონ ამოიღო, გონს მოეგო, დამშვიდდა, ცოფი გაინელა.

სტუმრებმა სასახლეში დილიდან

გრიგოლ ჩიქვანი
კირწეი, სალუქი და მახარია

იწყეს მოსვლა. ახლომახლო სოფლების თავადები და აზნაურები ადრევე ეახლნენ დიდბატონს. მათთვის საუზმე მზად იყო. დიდ კარდალებში იხარშებოდა საქონლის ხორცი, რძეში იხარშებოდა თხის ხორცი, იხარშებოდა ელარჯი და ღომი, ყვერულები და დედლები, ინდაურები და ციკრები. წვავდნენ წვრილფეხისა და მსხვილფეხის მწვადებს, გრძელ, მსხვილ შამფურებზე ტრიალებდა ირემი, სკვერი და ერცქემი, ხბო და ცხვარი, პატარა შამფურებზე — გოჭი, ხოხობი, კვათარი. კმაზავდნენ შიგნეულსა და ფხალეულს, სხვადასხვა საწებლებს. აცხობდნენ მჭადსა და პურს.

იმ ვრცელი ფზოს დილის ანკარა ჰაერში შემწვარ-მოხარშულის, შექმაზულის, პურის, მჭადის, ხაჭაპურისა და ელარჯის ერთმანეთში არეული ისეთი სუნი ტრიალებდა, მაძღარს მოაშობდა.

საუზმე რამდენიმე ოთახში იყო გაშლილი. მოსულებს ხელს აბანინებდნენ და სუფრისაკენ მიუძღოდნენ.

სალხინო სუფრა სსასხლის წინ სეფაში იყო გაწყობილი. მოდიოდნენ და მოდიოდნენ სტუმრები. მოვიდნენ იმერლები, აფხაზები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმელები. თავადები და აზნაურები. მოდიოდნენ ცხენებით. მოინალეები ფეხით მოსდევდნენ. ამ საცოდავებს ზურგით მოჰქონდათ ყოველივე ის. რაც შორეულ მგზავრობისას და ნადირობისას სჭირდებოდათ თავიანთ ბატონებს. მეჭინბეები, მეჯალაბეები, მიბარებულები, მებეგრეები და ხიზანები ვერ აუდიოდნენ სტუმრების ცხენებისა და მოინალეების დაბინავებას.

კაცია ყველასთან ასწრებდა შეგებებას, მისალმებას, ხელის ჩამორთმევას, მოკითხვას, ვინც თაბი დადემქელიანს არ იცნობდა, აცნობდა, შორეულებს ერთმანეთს ახვედრებდა. შიშობდა, არავინ დარჩენილიყო უყურადღებოდ, უსაუზმოდ და არც არავინ რჩებოდა.

მათავეს თუ არა საუზმე, სტუმრები ბაღში და ნაკრძალში გაიფანტნენ. წყვილ-წყვილად და ჯგუფ-ჯგუფად შევიდნენ ტყეში, ხეივანებში. წინ გაიყო-

ლიეს მარეკები, ბაზიერები ქორ-მიმინოებით და მწვევარ-მეძებრებით. ატყდა ყეფა, წკავწკავი, სტვენა, შეძახილები, შლიგინი, ფართქალი, ნადირთა გონიონი, ღმუილი, კრინვა, ქშიტინი, ფრინველთა წივილი, ქივილი.

ასეთი სტუმრიანობისას კაცია არავის უშლიდა ნაკრძალის ნადირზე და ფრინველზე ნადირობას, აუზებში და არხებში თევზაობას. რა თევზი არ ჰყავდა მოშენებული, ზღვისა თუ მდინარის: ზუთხი, ანჯაქი, ფორონჯი, ორაგული, კობრი, კევალი, წვერა და კალმახი.

სტუმრებს ყველაზე მეტად ჯერ არნახული უცხო ქვეყნების ხეები და ბუჩქები, ყვავილები და ვარდები, მრავალნაირი ჯიშის ხეხილი აოცებდათ. ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, ბანანი, ზეთისხილი და ანანასიც კი.

ნასადილეებს მარულა, ჯირითი და ცხენბურთი დაიწყო, მერე ისინდა. არც ერთ ცხენს, არც სტუმრისას, არც კაციასას ისე არ აღუტაცნია და გაუხარებია სტუმრები, როგორც არაბიამ. თითქოს ვაყამ იგრძნოთ ეს საერთო აღტაცება და სიხარული, ისეთი თვინიერი და ლამაზი იყო, მეჭინბეთუხუცესი ათანასე ალანიაც კი, რომელიც გამწარებული ჰყავდა ამ „უზნეო“ ცხენს, კმაყოფილებას ვერ ფარავდა.

გაიმართა მთელს საქართველოში განთქმული აფხაზების დაგეშილი ქორ-მიმინოების საჩვენებელი შეჯიბრი. მართლაც ბადალი არ ჰყავდა ამ საქმეში აფხაზებს. აფერდნენ მწყერს, კვათარს, გვრიტს, მტრედს, გაუშვებდნენ ქორსა და მიმინოს. ისმოდა ჰყივილი, აღტაცების, მოწონების შეძახილები. ჩაჩბამ და ემხვარმა იცოდნენ, რომ აფხაზების ნაწრთობ-დაგეშილები იყვნენ ქორ-მიმინოები, უღვაშში იღიმებოდნენ, წვერზე ხელს ისვამდნენ.

შემდეგ გამოვიდნენ სწორუბოვარი მოჭიდავეები ესებუები და მათი მოცილე გარდები, ოდითგანვე მოშულდნენ და, როგორც ყოველთვის, ახლაც ესებუებმა დაჯახნეს. ჭიდაობას ყაბახი მოჰყვა, ყაბახს ტაშ-ფანდური, ციკვა და

სიმღერა გათენებამდე არ შეწყვეტილა. დაღამდა. გააჩირაღდნეს სასახლე. ააჩახჩახეს სეფაში და ეზოში უზარმაზარი კვარები. ნადიმის დაწყების წინ კაციამ თაბი დადგმქელიანს ჰკითხა, ამაღამ რომელ ღვინოს ინებებთო. სვანი ღვინოებში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა, სულ სხვადასხვა ღვინოს სვამდა, ხშირად ისეთ ღვინოს მოინდომებდა, რომლის სახელი ჯერ არ გაეგონა, ჯერ რომ არ დაელია. ახლა რაც პირველი მოადგა პირზე, იმ ღვინოს სახელი უთხრა მასპინძელს. კაჭიქს გვახლებითო. კაციას კაჭიქი არ უყვარდა, ასეთ სუფრაზე გამოსატან ღვინოდ არ თვლიდა, აზრად არ მოსვლია ამაღამ ამ ღვინოს გამოტანა, როგორ შეჰკადრებდა ასეთ მღარე ღვინოს თავადთა და დიდებულთ. არც ჰქონდა სასახლის მარაში საკმარი კაჭიქი. მაშინვე დალუსკარში აფრენინა მელვინეთუხუცესს კაცი.

სტუმრების სუფრაზე მიწვევის დრო მოახლოვებული იყო. კაციამ იფიქრა, ვაითუ კაჭიქის მოტანა ვერ მოასწრონო. მესტუმრეს დაავალა, კირწეი და სალუყი გაეფრთხილებია, მინამ კაჭიქს მოიტანდნენ, ოდიშელებისათვის ყანწები არ გაეცსოთ, მხოლოდ დადგმქელიანის, აბაშიძის, აგიაშვილის, ჩაჩბას, ემზვარის, ნაკაშიძის, თავდგირიძის, ერისთავის, წულუჭიძის და მათი ამაღისათვის მიერთმიათ სავსე ყანწები.

სტუმრებმა თამადობა მასპინძელს მიულოცეს.

სმას თასებით მიჰყვენენ. კირწეი და სალუყი თასებსაც მხოლოდ სვანებს, იმერლებს, აფხაზებს, გურულებს, რაჭველებსა და ლეჩხუმელებს უვსებდნენ. ოდიშელებს ნაკლულ თასს აწოდებდნენ, ისე მოხერხებულად და მარდად ასხამდნენ ღვინოს, ისე სწრაფად ასწევდნენ მაღლა მიწოდებისას თასს, მესტუმრის დაკვირვებული თვალიც კი ვერ ატყობდა, რომ თასი ნაკლული იყო. მან ოდიშელებს წინასწარ უთხრა, რომ კაჭიქის მოტანამდე სასმისებს არ გაუვსებდნენ და თხოვა, მერიქიფეებისათვის ისე ჩამოერთმიათ თასი და

ყანწი, ხელში ისე დაეკირათ, რომ სხვა სტუმრებს არ შეემჩნიათ, მასპინძლები ღვინოს თუ იპარავდნენ.

კირწეი და სალუყი ფეხისწვერებზე დგებოდნენ, ციბრტუცივით ტრიალებდნენ. საგანგებოდ შეკერილი ღართ-ახალუხი და წულა-მესტი ეცვათ, ტყავისივე პაჭიქებით და ლეკვერთებით, ვერცხლით მოზარნიშებული ქამარ-ყამა ერტყათ, თმა გვერდზე კოხტად ჰქონდათ გადავარცხნილი და სუფთად გაპარსულები იყვნენ. ძმებმა მაშინვე მიიქციეს ყურადღება მოხდენილობით, სიმკვირცხლით, წეს-ზრდილობით.

თაბი დადგმქელიანს ჩამოსვლის მიზანი არ გაუმართლდა, მაგრამ მაინც ჩინებულ გუნებაზე იყო. ხარობდა, ღლობდა, რომ კაციამ დიდი პატივი სცა, ამდენი დიდებულნი და თავადნი მოიწვია მის გასაცილებლად. სტუმრებს შორის ბევრი ახლობელი და მეგობარი ნახა, ბევრი ახალი ამბავი შეიტყო. ოხუნჯობდა, ხორხოცებდა, ბევრს ჭამდა, ბევრს სვამდა, უფრო მოხარულ ხორცს ეძალებოდა, მაღალი ხმით მღეროდა და სხვებსაც ამღერებდა.

სვანები, იმერლები, აფხაზები, გურულები, რაჭველები და ლეჩხუმელები დადგმქელიანივით სმის ეშხზე იყვნენ და ოდიშელებსა და სტუმრებს შორის ყანწი ყანწზე გადადიოდა.

მასპინძლებს სინდისი ჭეჯნიდათ, რომ ნაკლულ ყანწებს სვამდნენ. რა ექნათ! კაჭიქის მოსატანად წასული მემარნე იგვიანებდა. ღვინოს შეცვლა სირცხვილი იყო.

კაცია ღელავდა. სვანებს, იმერლებს, აფხაზებს, გურულებს, რაჭველებსა და ლეჩხუმელებს რომ შეეტყვოთ, ოდიშელების ყანწები არ ივსებოდა, ყამებს დაატრიალებდნენ, ღვინოს მოპარვას შვილსაც არ აპატიებდნენ.

შეურყვეველი იყო ქართული სუფრის წეს-აღათი.

გრიგოლ ჩიქოვანი

კირეში, სალუყი და მახარის

ათი მერქიფე ვერ ჩამოასხამდა დვი-
ნოს და ვერ მიაწოდებდა იმდენ სტუ-
მარს ისე სწრაფად და თავის დროზე,
როგორც ამას კირწეი და სალუყი აკე-
თებდნენ. კირწეიმ თაბი დადეშქელიანს
პირველი ყანწი რომ მიაართვა, მას შემ-
დეგ, სვანს თავში უტრიალებდა მისი
სიტყვები: თუ გიყვარს, ყმობაც ადვი-
ლია, შრომაც ადვილია, ტანჯვაც ადვი-
ლიაო, რომ უთიხრა იმ გოგოს. ახლა
კიდევ უფრო მოეწონა კირწეი და ყვე-
ლასათვის მოულოდნელად, ყველას გა-
საოცრად თამადას კირწეის სადღეგრძე-
ლოს დალევა თხოვა.

სუფრა შეშფოთდა. ჯერ თვით თაბი
დადეშქელიანის, ვისი საპატივცემლო-
დაც მოეწყო ეს ლხინი, იმისი სადღე-
გრძელო არ შეესვათ და ყმის სადღე-
გრძელოს შესმა როგორ შესთავაზაო თა-
მადას. გულში გაუწყყრნენ სვანეთის თა-
ვადს, რომლის ზრდილობა ბევრ დიდე-
ბულს და თავადს შეშურდებოდა. არც
ოდიშელები, არც იმერლები, აფხაზები,
გურულები, რაჭველები და ლეჩხუმე-
ლები სხვას არ შეუნდობდნენ ამ აზი-
რებულ და შეურაცხყოფელ საქციელს,
მაგრამ კაცის პატივისცემით დადეშქე-
ლიანს მიუტყვევს და თავი შეიკავებს.

კაცის დანა პირს არ უხსნიდა. იცო-
და, სტუმრების რისხვას საზღვარი არ
ჰქონდა, იცოდა, მისი რილით იკავებდ-
ნენ თავს, ისიც იცოდა, დადეშქელიანმა
რატომ ითხოვა კირწეის სადღეგრძელოს
შესმა. გაახსენდა ლიმონის ხესთან კირ-
წეისა და მახარიას სატრფიალო სიტყვებ-
ი. არავის აგრძნობინა წყენა და გაკ-
ვირვება, გულში თითქოს კიდევაც ეამა
კირწეის სადღეგრძელო, თვალწინ და-
უდგა ერთმანეთს მიკრული კირწეი და
მახარია, გაიგონა მათი ლაპარაკი. სხვებ-
ზე მეტად გაოგნებულ კირწეის ყანწი
ჩამოართვა, შესვა მისი სადღეგრძელო
და ალავერდს დადეშქელიანთან გადა-
ვიდა.

არც ოდიშელებმა, არც იმერლებმა,
არც სვანებმა, აფხაზებმა, გურულებმა,
რაჭველებმა და ლეჩხუმელებმა არ ინ-
დომეს ყმის სადღეგრძელოს შესმა.

კირწეიმ დანახა, დადეშქელიანს
არავინ აუბა მხარი, ყველამ აათრია
თვალი, რომ მათთან არ გადეს სტუმარი,
ალავერდს. თავის ბატონს სვანებმაც კი
აარიდეს თვალი.

დადეშქელიანმა შუბლი შეიკრა. ცა-
რიელი ყანწი ხელში შერჩა.

სუფრაზე დაჭიმული ღუმილი ჩამო-
ვარდა.

სვანი გოროზად აცქერდებოდა ყვე-
ლას. მოქურუხებული სახე წამოენთო.

კირწეი ხედავდა, დადეშქელიანი გა-
მომწვევად აცქერდებოდა თავადებს და
დიდებულებს, არჩევდა, ვისთვის ესრო-
ლა ყანწი და იმას, ვისთანაც ალავერდს
გადავიდოდა, სადღეგრძელო რომ არ
მიეღო, ეს დადეშქელიანს შეურაცხყოფ-
და და სვანი ამას არ მოითმენდა, კირ-
წეიმ იგრძნო სვანი ამას არ მოითმენდა,
სუფრა უსისხლოდ არ აიშლებოდა,
უცებ დადიანისა და დადეშქელიანის
წინ დადგა კაჭად, ყანწი ასწია, ჯერ
სვანს უთხრა სამადლობელი, მერე თა-
მადას.

— დიდბატონ დადია, შენი ყმა და
ხიზანი სადღეგრძელოს ღირსი არ ვი-
ყავი. შენმა დიდმა სტუმარმა და შენმა
კეთილმა გულმა ინება ასე, — ღელავდა
კირწეი, მაგრამ არ იმჩნევდა, ყანწი ისევ
მალა ეჭირა. — დიდბატონ დადია,
როგორც ეს ყანწია სახსე, ისე აგვესოს
ოჯახი, ისე იმრავლოს შენმა მოდგამ
და შენმა გვარმა, ისე იხარე და იდღე-
გრძელე, ვიდრე ზევიდან ცა გვახურია
და ქვევით მიწაზე ფეხი გვიდგია.

კაცია დადიანი გაშრა.

ქალბატონს კინაღამ გული შეუწუხ-
და.

სახლოუხუცესი ყათრან ჯაიანი ტუჩს
იკვნეტდა.

მესტუმრეს მკვდრისფერი დაედო.

ოდიშელებში ჩურჩული ატყდა, გაო-
ცებულებმა ერთმანეთს გადახედეს —
რა საშინლად დაგვიწყევლა ყმამ მას-
პინძელიო.

— კირწეი ბოში, — შეაწყვეტინა სი-
ტყვა კაცია, — ვიცი, გულით ჩემთვის
ცუდი არ გინდა. ალბათ ეშმაკი შეგი-

ჩნდა და შეგაცდინა, მაგრამ ღმერთი არ შეისმენს.

— არა, დიდბატონ დადია, — შეაგება სიტყვა კირწვიმ, — ეშმაკი კირწვის ვერ შეაცდენს. უფალსა ვთხოვ, შეისმინოს, რაც ვისურვე, — უთხრა და პირამდე გაწიწიწინებული ყანწი დაბლა დასწია.

კაციას გაეცინა. ქალბატონმა შვეებით ამოისუნთქა.

სახლთუხუცესმა ყათრან ჯაიანმა ტუჩზე ხელი მოისვა.

მესტუმრეს ფერი დაედო.

გაოგნებული სვანები, იმერლები, აფხაზები, გურულები, რაჭველები და ლეჩხუმელები ვერ მიხვდნენ, რა მოხდა, რატომ შეიქმნა ოდიშელებში ჩურჩული მერიქიფეს სამადლობელზე, რატომ გადახედეს ერთმანეთს, რატომ უთხრა კირწვის დადიანმა, ალბათ ეშმაკი შეგინდა და შეგაცდნაო. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ოდიშელები ნაკლულ ყანწს სვამდნენ და ყმა ნაკლული ყანწით ლოცავდა ბატონს.

კირწვიმ ყანწი დასცალა და გაბედულად, ღიმილით შეხედა დიდბატონ დადიას.

— კირწვი ბოში, — უთხრა ვახარებულმა, კმაყოფილმა კაციამ ჩერქეზს, — დღეიდან შენთვის და სალუქისათვის აზატობა მიბოძებია, თავისუფლება მიბოძებია, ღალაც და ბეგარაც ამიხსნია.

თავი დადგეშქელიანმა შუბლი გახსნა. არავინ იცოდა, რატომ უბოძა დადიანმა თავისუფლება ყმებს. ყველა დუმდა, ყველა კირწვისა და კაციას შეყურებდა. კირწვი სიხარულით გარინდული იდგა, ფეხისწვერებზე იდგა,

ფრთაშესხმული იდგა, ქვეყანა უფრო ფართო, უფრო დიდი ეჩვენებოდა. სალუქი მივიდა და გვერდში მოსულა. — არ ეტყობოდა სიხარული, არ იდგა ფეხის წვერებზე, არ შესხმია ფრთა, ქვეყანა უფრო ფართო, უფრო დიდი არ ეჩვენებოდა.

— რაო, სალუქ ბოში?! არ გინდა თავისუფლება?! — ჰკითხა დადიანმა. სალუქმა თავი ასწია.

— არ მინდა, დიდბატონ დადია, — უთხრა კაციას, — მე შენთან ყმობა მემამაყება. შენს სკამზე ჯდომა მიჯობს, სხვაგან კველაზე ჯდომას.

კირწვის თავზარი დაეცა, ყურს არ დაუჯერა.

დადგეშქელიანმა ისევ შეიკრა შუბლი, დადიანს დაცინვით ჩაეღიმა. სუფრა გაოცდა.

ისევ ჩამოვარდა დაძაბული დუმილი.

— დიდბატონ დადია, — ძლივს ამოიღო ხმა კირწვიმ, — სალუქს სკამისა და კველის სახელები შეეშალა, თორემ თავისუფლებაზე უარს როგორ იტყოდა! დადგეშქელიანმა ისევ გახსნა შუბლი. დადიანმა კეთილად ჩაიღიმა.

სუფრა კვლავ დაძაბულად დუმდა. სალუქმა უკმაყოფილოდ ახედა ძმას.

— არა, დიდბატონ დადია, — უთხრა კაციას, — სალუქს არაფერი შეშლია. მე შენთან ყმობა მემამაყება. შენთან სკამზე ჯდომა მიჯობს, სხვაგან კველაზე ჯდომას.

სალუქის მოდგმაც ყმებად დარჩა. კირწვის მოდგმა კი თავისუფალია. დღესაც სიხარულით უფრინავს გული, ფეხისწვერებზეა შემდგარი, ფრთაშესხმულია, ქვეყანა უფრო ფართო, უფრო დიდი ეჩვენება.



მერი ნიქარაქეს

დედაქალაქში ცნობილ მგოსნებთან
ჩემს ვინაობას თუ გავამხელდი,
მწამდა, მეგონა, ყრმა მეოცნებე,
ყველა ოცნების კარს გავადებდი.

სადაც გამოვჩნდი ჩემი რვეულით,
ერთი ალალი უცხო სტუმარი,
ყველგან, ყველასგან ხმა ამღვრეული,
შევრჩით ერთმანეთს მე და უარი...

ვიხეტიალე, მწვავედა იარა,
მწარე იარა გაწბილებულის...
ფიქრებით დაჭრილს შემხვდი თუ არა,
ერთი ფართქალით გამითბე გული.

საუბრის შემდეგ, ბევრჯერ, ბევრისგან
რჩება ხინჯი ან სიყალბის ლექი.
არ მქონდა ჩვევა ენამჭევრისა,
არც შენ მაწამე ენის მოჩლექით...

შემომაჩერდი დუმილით შველის,
(ღამე ნათევი მქონდა წვალებით).
— თუ გაგიჭირდეს, მე და ვარ შენი,
მეუბნებოდა შენი თვალები...

მიმოიხედე, აჩქარდი, მერი,
გეშორდები, უცვებ კარი იღება...
და იმ ნესტიან კედლების ცქერით,
ისეც დაღლილი თვალი იღლება.

გცდილობ, ოცნება არ იქცება ნაცრად...
ხან ვიტრუნებით ოთახში ორნი...
იქ მაშინ დიდხანს, დიდხანს შენს ნაცვლად,
თამბაქოს ბოლი იდგა ჩვენს შორის...

არ ვარგა, კაცის ნაამაგარი
გვავიწყდება ან გულში მძაღდება...
მე მისი მახსოვს რჩევა ამგვარი:
— შენ თუ თბილისის გსურდა აღება,

გაქრა იმედი... გაქრა ოცნება...
არ გაგიმართლა... არ გაგიმართლა...
არ შევლის ჯავრი, არც დამორცხვება,
გამაგრდი ბავშვი თუ არ ხარ მართლა...

არას შეგმატებს წუწუნი, კვნესა,
დაწუნებულით წრიალ-წრიალი...
მე წამოვდექი და შემომესმა,
ჯიბეში ვერცხლის ფულის ჩხრიალი...

შინ, გარეთ, ისევე აწეწილ სულით,
არ მეყო ერთი შეხვედრა თბილი.
შარს ავერიდე და გულმოსული,
დავემშვიდობე მრისხანე თბილისს...

ეს იყო ცხრაას ოცდარვა წელი,
...რამდენი თრთოლვა... დეღვა... ხარება...
ღამის თევა თუ კანკალი ხელის —
არ გვაკლდა შიში, არც მწუსხარება...

მერი! ვიცი, რომ არ ვამბობ ახალს,
და მაინც მერჩის ამ თქმის წადილი.
ფრთხილად ატარე, არ შეგილახავს
ღისა და დედის წმინდა მანდილი.

იყავ მდიდარი ხშირი სტუმრებით,
არ სწუხსდი მათი ნაფხეხურებით...
და პოეზიით გატაცებულებს
დაუმაღლებლად დაგვაპურებდი...

შორსაა ახლა ის ტყე, ის მოლი,
ის კლდეები თუ, ის ჩანჩქერები.
სადაც მღეროდი ხმით შემაქრლოით.
მგოსნების ჩოჩქოლს რომ აჩერებდი...

მისთვის არ მითქვამს ეს ვრცელი ლექსი,
მით ვინმეს გული რომ აუჩვილო...
შენ მოგეფერე, ვისიც არ მესმის
მე წარამარა „ძმაო“ და „შვილო“...

უღელს სწვევ მასთან, ვინც ხალხს გასძახა:
— არ მწამს სიცოცხლე ნასათუთარი...
მკლავები მაგრად დაიკარწახა,
უკან დახვევას უთხრა უარი...

არა, არ მინდა, არ მინდა მერი!...
ჯერ მომიქნისო სიკვდილმა ცელი...
და თუ ღრმა მოხუცს მეცვლება ფერი,
ვინატრებ შენი დამეცვს ცრემლი.

არის იმედი სულის სიახლის
და ამ იმედით მშვიდად ვბერდებით —
შენ მოხვალ ჩემთან და ნათელს მომფენ
და მე ვთენდები, და მე ვმშვენდები,

და ისახება იმედი ხვალის
მთელი სიცხადით და ბრწყინვალეობით, —
რომ შორეული შვილთაშვილები
მზეს შეხედავენ ჩვენი თვალებით...

მე ვცხთვრობ მთვარის გვერდით
და მზე მინათებს სხეულს;
მიწავ, არ დამიბერდე! —
მიყვარს მე შენი მკერდი,
მე მზე მინათებს სხეულს!..

შენ ისე მიმზერ —
დამუხტული, სავსე თვალებით,
ხარბი და თბილი,
ნადვლიანი მწვანე თვალებით,
რომ ჩემში ხედავ
თეთრდინდლიან
პატარა ბარტყებს,
რომლებიც უნდა დავაპურო,
დავაფრთიანო...

მე მიყვარს, როცა
მზეზე წვეს ლომი
და გარს ეხვევა
უამრავი
ნათელი სხივი
მეფეს ნებიერს,
რომლის ფაფარში,
თვალებში და

ვერაგ ბრჭყალებში
ერთად ჩაღვრილა
მზის სათნოება —
მასზე ლამაზი და ღონიერი...

მზე ეფერება ნადირთ მეფეს
და ბრწყინავს, ბრწყინავს
თვინიერი და მოთენთილი
ცხელი უდაბნოს
ჭკვიანი თვალი...



სადაც არ უნდა იყო შენ
და ვინც არ უნდა შეგაჩეროს,
ვიცი, დაბრუნდები
და მოხვალ ჩემთან,
რადგანაც ჩემში ბზინავს
ქალის ყველაზე სუსტი
და ყველაზე ღონიერი თვისება —
ჩემი შენდამი ერთგულება...





ზ ვ ი მ ი ა ნ ი ღ ლ ე

აშშორებულ ფარდულში, ლუდის კასრზე გაშლილ პურმარილს ბიჭები შემოსხდომოდნენ. კარის ღრიჭოდან შემოსული სუსტი შუქი მიწის იატაკზე ვიწრო, ბაც ზოლად გაწოლილიყო. ბნელოდა. კუთხეში ერთმანეთზე ახორავებული დამტვრეული ყუთები ეყარა. კედელთან, მეორე გადმობრუნებულ კასრზე ცარიელი არყის ბოთლები, გამხზარი პურის ნამტვრევები და თევზის ფხები ერთმანეთში ალუფხულიყო. თამბაქოს კვამლს ჰაერი დაეხუთა. ბიჭები გადმობრუნებულ ყუთებზე ისხდნენ და შუახნის ჰალარაშერეულ, მსუქან კაცს უყურებდნენ. მსუქანი ფეხზე იდგა, ცალ ხელში არყის ჭიქა ეჭირა და ძალიან სერიოზულად ლაპარაკობდა. ყველანი გვარიანად გამობრუებულიყვნენ. შემოდგომის ცრიატი დღე იდგა. გარეთ ყინელავდა. წვიმის გაბმულ ხმაურში მანქანის შორეული გუგუნე გაისმა, მერე მოახლოვდა და მანქანა ფარდულის წინ გაჩერდა. მძღოლმა მოტორი გამორთო და რაღაცა დაიყვირა. მსუქანი კაცი ცოტა შეფერხდა, იტყვი, სათქმელი დაავიწყდაო, მერე ტკეპნით განაგრძო და, როგორც იყო, დაამთავრა ასე უსაშველოდ გრძელი სადღეგრძელო. ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს, ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და არაყი უხმოდ დალიეს. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. გარედან წვიმის ხმაური ისმოდა, მერე ვიღაცამ მანქანის კარი მიაჯახუნა და ტალახის ზეღვით ფარდულს მოაშურა. მოქეიფენი კარს მოლოდინით მიაცქერდნენ.

კარი რომ შეაღო, შალიკოს სახეში

თამბაქოს კვამლითა და თევზის სუნით შეზავებული ჰაერის თბილი ტალღა დაეძგერა. ისე ბნელოდა, ერთხანს ვერაფერი გაარჩია, თვალები მოიფშვნიტა და ფართო ხელისგული დიდი ხნის გაუპარსავ შეჯაგრულ სახეზეც ჩამოისვა. ბიჭებს სიბნელისთვის თვალი კარგა ხანია შეეჩვიათ, მოსული მაშინვე იცნეს და მსუქან კაცს გადახედეს. ფარდულში ჩამოწოლილ სიჩუმეს ღია კარიდან შემოსული წვიმის გულის გამაწვრილებელი ხმაური არღვევდა. გრილი, სუფთა ჰაერი ფარდულში ნელა შემოდირდა და თან წვიმისა და სველი ფოთლების სუნი შემოჰქონდა. მსუქანი უხერხულად აწრიალდა... შალიკო გამოდებულ კარში გახიდილიყო, ფეხები გაეჩაჩხა, ცალი ხელი კარის ჩარჩოზე ჩამოედო, მეორეთი წვრილ ძეწკვზე ასხმულ გასადებებს აჩხარუნებდა და ფარდულში თვალბმობუტული იყურებოდა. სახეგადატეტკილი ბიჭები ჩუმად ისხდნენ. აფორიაქებულები ხან შალიკოს შეხედავდნენ, ხანაც იმის ლაჯებშუა იცქირებოდნენ: იქიდან ატალახებული ეზო მოჩანდა. ეზოში ლუდის ცარიელი კასრები ერთმანეთზე იყო ახორავებული. მესერში დატანებულ ფართო ჭიშკართან წვიმით გადაპრიალებულ, მოასფალტებულ გზაზე დიდი სატვირთო მანქანა იდგა. წვიმდა. აწვიმდა კაკლის ყვითელი ფოთლებით მოფენილ ეზოს, აწვიმდა გზის გასწვრივ ჩარიგებულ, წითელი კრამიტით გადახურულ სახლების სახურავებს — მთელ სოფელს აწვიმდა. ოქროს კბილებით პირგამოტენილი, შავვრემანი ბიჭი ჭიქას გადასწვდა, შიგ

ჩარჩენილი სასმელი იატაკზე მოაქცია და არყით შეავსო. შალიკომ ტალახიანი ჩექმები კარის ზღურბლზე ჩაიფხიკა და ფარდულში რომ შევიდა, სალამი მისინდა ამოდერდა. ვიღაცამ გვერდმილწილი ყუთი დაუდგა, მერე ჭიქაც მიწოდეს. მსუქანი კაცი აიწურა, რაღაც ჩაიბურტყუნა, მერე წამოდგა და გამოდებულ კარებში გაბანცალდა. აჭონჭობებულ ეზოში ფეხი რომ დაუცურდა, ფარდულისაკენ გაჯავრებული სახით გამოიხედა, მერე ჭიშკარში გავიდა და მოსაფალტებულ გზას აღმა აუყვია. ბიჭებმა შალიკოს გადახედეს. იგი ჩუმად იჯდა. იდაყვით კასრის წიბოს ჩამოპყრდნობოდა, ხელში არყით გალიცლიცებული ჭიქა ეჭირა და შიგ იყურებოდა. ფარდულში ნისლივით ჩამოწოლილი თამბაქოს ლურჯი კვამლი გამოდებულ კარიდან მძიმედ მიიპარებოდა გარეთ და წვიმაში იწეწებოდა.

— მაგის მკვდარი და ცოცხალი!.. — შეიგინა თვალუბრაწირპლულმა ბიჭმა. — ვერ უყურებ მაგასა?!

— ჰა! — დაიდრინა შალიკომ — აი ეგ ენა უნდა ამოგავლიჯოს კაცმა, წირპლიანო!

ბიჭი გაჩუმდა და ამხანაგებს დაბნეული სახით გადახედა, ისინი ჩუმად ისხდნენ და შალიკოს შიშნარევი ღიმილით უმზერდნენ. შალიკომ არაყი დალია. მერე ერთმანეთში ალუფხულ საჭმლის ნარჩენებში არყით დალაქავებული, დაჭმუჭნილი სიგარეტი მოძებნა, დინჯად გაასწორა და მოუკიდა. ჭიქა ისევ შეუხვსეს. კასრზე ერთი ბოთლი ხელუხლებლად იდგა, გაუხსნელი. დალევის თავი აღარავის ჰქონდა და ფხიზელი კაცის შემოსწრება გულში ყველას უხაროდა.

მეორე ჭიქაც რომ დალია, არაყი თავში აუვარდა და გუნებაში გადაწყვიტა, მეტს აღარ დავლევო. ცოტა ყველი მოციქნა, მერე ისევ გააბოლა.

— რაღას გერჩის, კაცო, — უთხრა ლოყებდაბრაწულმა ბიჭმა, — ხო გახეხინა ორი წელი?

— იმ დღეს გოგია მივეუბნებოდი — თქვა შალიკომ.

— მერე?

— არ შევეურიგდებო... —

წირპლიანს სიცილი აუტყდა.

— მაგრა კი დაზილე! — თქვა მან.

— დიდი არსაითი კაცია. — თქვა ოქროსკბილებიანმა.

— ჩხუბი ვის აღარ მოსვლია, კაცო?! — გაუკვირდა ლოყებდაბრაწულ ბიჭს, — რათა ჩიოდა, რა ჩიოდა?

შალიკომ სიგარეტის ნაწივი კარისკენ წიკბურტით ისროლა, ნაწივი კარის ჩარჩოს მოხვდა, უკან გადმოვარდა და მიწის იატაკზე აბოლდა.

— მეც კარგად ვაუბრენდი... — თქვა შალიკომ, — ბიჭებმა გაკვირვებით შეხედეს; არ მოელოდნენ ასეთ აღიარებას.

— მაინც არ უნდა ეჩივლა — უთხრა ოქროსკბილებიანმა.

— მაგრად კი დაზილე, აი, — გაიმეორა წირპლიანმა.

— მერე, ხო ვიყურყუტე ციხეში... შალიკომ გარეთ გაიხედა. მანქანის კიბეზე ვიღაც პატარა, შარვალჩაჩაჩული ბიჭი ამობლებულიყო და კაბინაში იყურებოდა. ლოყებდაბრაწულმა არყის ბოთლი აიღო და საცობი მოხსნა. შალიკომ თავის ჭიქას ხელის გული დააფარა:

— არა, აღარა, გამოვითრობი, შეილოსა, და ამ ძანძახში არსად გადავბრუნდე...

...ციხიდან რომ გამოვიდა, სოფელმა უნდობლად დაუწყო ყურება. ერთხანს უსაქმოდ იყო. თავმჯდომარემ ქვა აავდო და თავი შეუშვირა — ჩხუბისთავი და ნაციხარი მანქანაზე როგორ დავსვაო. მეზობლებიც ერიდებოდნენ. ეს ისეთი მამის შვილია, აჯაკობას ეგრე აჯვილად არ მოიშლისო. ერთხანს სოფელში ჭორი დადიოდა — ციხეში ქურდებთან ჰქონია საქმე და იმ დღეს რომ კოლომურნეობის საწყობი გატეხეს, მაგის ხელი ურევიაო. რაიონიდან ამოსულმა გამომძიებელმაც პირველად ის დაიბარა და დაჰკითხა. ხან აქედან

მოუარა, ხან იქიდან, როგორც იყო და-
რწმუნდა, ეს კაცი არაფერ შუაშიაო და
დამნაშავეც რომ გადაგრეს სოფელს
ცოტა თვალი აეხილა. ზოგი მაინც რი-
დით ექცეოდა, ემანდ ძველებურად არ
წამოათრინოსო...

წირპლიანმა ჭიქები შეავსო. ისხდნენ
და გარეთ იცქირებოდნენ. დაღვეა აღა-
რავის უნდოდა, უკვე საკმაოდ ეყლა-
ბათ და კარგადაც გამომთვრალიყვნენ.

— მოდი, შენ მიმეგზავნე, ანდრო,
— თქვა უცებ შალიკომ, — რა ვქნა ეს
ოხერი, გული მტკივა: რად უნდა ვე-
ჯავრებოდე იმ კაი კაცსა?!

— მივალ, მაგრამ ტყუილა, არ შეგი-
რიგდება, — თქვა ოქროსკბილებიანმა.

— რათა, კაცო?

— შენ ადგილზე რომ ვიყო, ერთი
გემოზე კიდევ დავზილავდი, ნეტა რას
ეხვეწები... — თქვა წირპლიანმა.

— აღარ მინდა, ძაო! — დაიყვირა
შალიკომ, — აღარ მინდა, მეყო! მეც
კაცი ვარ თუ არა?

— რო უქაბუნებდი მაშინ ხომ კარ-
გი იყო? — წირპლიანს მაგრად მოჰ-
კიდებოდა არაყი და ახლა სიტყვებს
ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე ის-
როდა.

— მაშინ სხვა იყო, — ჩუმად თქვა
შალიკომ, — მაშინ მეგონა, ეს ქვეყანა
მუშტით არი-მეთქი. კარებში დახლიდა-
რმა შემოიხედა. ფარდული მიათვა-
ლიერ-მოათვალიერა და შალიკოს შე-
შინებული დააკვირდა, რა აყვირებს
ამ ბიჭს, ემანდ ჩხუბი არ ატეხოსო.
ანდრომ ჭიქა გაალიცლიცა და კარებ-
ში გაჩხირულ დახლიდარს ხელი დაუქ-
ნია — ერთი სული ჰქონდა, სანამ იმ
ერთ ბოთლ არაყს გაასაღებდა. დახლი-
დარი ფარდულში შემოვიდა და გაჩა-
ნაგებულ სუფრას თვალი გადაავლო,
მერე საშპლის ნარჩენები წამოკრიფა,
ნაგვის ყუთში ჩაყარა, გაფანტული
მწვანილი ერთად მოხვეტა, კონტად
დააწყო, თხლად დათლილი ყველი თეფ-
შზე შეასწორა და გარშემო მკავე კიტ-
რები და ნივრის წნილი შემოაულაგა.
სუფრას ცოტა ლაზათი მიეცა.

— დაგვლოცე, ვანო, — ~~უთხრა~~
ოქროსკბილებიანმა. ვანომ არაფერი
ქა დიდი ხალისით ჩამოართვა ~~გმუსსუსუს~~
ჩამოქუფრულ შალიკოს გადახედა. შა-
ლიკო იჭდა და ზღუტბლთან დაგდე-
ბულ, აბოლებულ სიგარეტს ჩუმად
უყურებდა.

— მრავალ შემოდგომის დაგვასწ-
როს, — თქვა ვანომ. წირპლიანს ისევ
აუტყდა სიცილი. შალიკოს უყურებ-
და და ისე იცინოდა, ლამის შუაზე გა-
ფხრეწილიყო.

— ეე?! — გაუკვირდა შალიკოს, —
დაითვერი, წირპლიანო?

— არა, კაცო, გოგო რა ხელად შე-
გირიგდა და მამა რო არ გირიგდება?

— ჰა?

— სასიამაორო, რომ არ გირიგდება-
მეთქი, შალავ, სასიამაოროი?..

— რას მიჰქარავ! — შალიკო წამო-
წითლდა.

— გოგოს რომ ჰკოცნი, სასიამაორომ
რალა დაგიშავა, კაცო?.. — ჩაბეირდა
წირპლიანი. — განა ვერ დაგინახეთ,
ვენახებში რო...

— მორჩი! — ისე დაიყვირა შალი-
კომ, რომ ის დაფუტუროებული ფარ-
დული კინალამ თავზე ჩამოემხოთ. წირ-
პლიანი გაჩუმადა, ეხლად მიხედა, რა
შორს შეეტოპა, გაისუსა და სუფრას
დააქკერდა. ლოყებდაბრაწულ ბიჭს ისე
მოჰკიდებოდა სასმელი, რომ ბაიბურ-
ში არ იყო, თვალებს ახამხამებდა და
არყით გაპიპინებულ ჭიქას უაზროდ
უყურებდა.

— სულ ჩხუბი როგორ იქნება, შა-
ლიკოჯან?! — ხელები გაშალა დახლი-
დარმა. შალიკო ზეზე წამოდგა და
დახლიდარი ისე უცებ გადახტა უკან,
გამოღებულ კარს კინალამ კეფა მიარ-
ტყა. ოქროსკბილებიანმა ოდნავ წამოი-
წია, შალიკოს მარჯვენა ხელს თვალს
არ აცილებდა.

— რა იყო, ვანო?! — გაუკვირდა შა-
ლიკოს.

— არაფერი, ისე... — დაბნეულად

ნუგზარ შატაიძე
წვიმიანი დღე


ჩაიბუტბუტა ვანუამ — რა ვიცი, ხომ არ ეწყინა-მეთქი...

— ვინა გგონივართ, თქვენი დედა, მე თქვენი!.. — დაიღრიალა შალიკომ — ეგრე რად გეშინიათ, რად მერიდებით? მხეცი ხომ არა ვარ, კაცი ვაარ, კაცი!

ბიჭები აიბუზნენ. ვანუა კარებში გაიძურწა და მიიშალა, შალიკო ერთხანს ასე იდგა, მერე ნელა მოათვალეირა ბნელი, ჩამომყაყებულ ფარდული. ლოყებდაბრაწულ ბიჭს სლოკინი ავარდნოდა და თვალედაქაჩული იყურებოდა. ოქროსკბილებიანი და მეორე — წირბლიანი მოშვებულები ისხდნენ და შალიკოს თვალს არიდებდნენ. შალიკო მიბრუნდა, კარის წირთხლთან დაგდებულ აბოლებულ ნამწვს თვალი შეავლო, ტალახიანი ჩექმით ბრაზიანად მოსრისა და ეზოში გავიდა.

წვიმას ცოტათი გადაეღო. ერთგან

ცას ღრუბელი გადაპყროდა და გამჟვინავალე, ლაქვარდოვანი ზეცა დაეშრებინა. მანქანის კაბინაში კაკლის წენგოთი პირგათხუზნილი პატარა ბიჭი წამოსკუბულიყო და საჭეს ორივე ხელით ეჯაჯგურებოდა. შალიკომ მანქანის კარი გამოაღო, — ამ მაიმასხს ერთი გმრიელად წამოგუტიალებო, გაივლო გულში, მაგრამ მერე გადაიფიქრა, ბიჭს იღლებში დაავლო ხელი და ძირს ფრთხილად ჩამოსვა. ბავშვმა წვერგაუპარსავ, დაბღვერილ კაცს ცოტა ხანს უყურა და მერე უცებ ისეთი ღრიალი მორთო, გაღმა უბანში ძაღლები ააღავლავა. შალიკო ერთხანს იდგა და აბღავლებულ ბავშვს გაოგნებული უყურებდა, მერე საჭეს მიუჯდა, კარი ღონივრად მიიჯახუნა, მოტორი ჩართო და ყვითელი ფოთლებით მოფენილ, სველ ასფალტზე მანქანა მთელი სისწრაფით გააქროდა.



მ ო რ ჩ ი ლ ი ...

1

მას სდია დიდხანს ოთხმა მხედარმა
 ბილიც და მინდორ,
 შუკა და ქარაფ, —
 ის კი მიჰქროდა, ვერას ხედავდა,
 მხოლოდ წადილი სურდა მათი ექცია არად!
 გამთენიისას დაადგეს თვალი,
 გამთენიისას დაშალეს რემა, —
 აუჭახჭახდა რბილიც და ძვალიც,
 საკუთარ ვნებას მიაგო შველა.
 გამთენიისას დარჩა ეული
 ვეება მინდვრად,
 სადაც ზეცა მიწას ეხლება
 და, ვით მდინარე,
 შთის მდინარე გადარეული —
 სისხლიც და კუნთიც ექცა შხეფებად.
 ფრუტუნ-ჭიხვინით თავაწყვეტილი,
 კვლავ მითქერავდა მინდვრებს ქარულად,
 მზე კი ცისკიდურს ჭრიდა სვეტივით
 და სვედიანი იღგა მარულა.

2

როს აღიმართა სამხრობის სხვენი,
 აღარ ისმოდა სანახებში ცხენთა ფრუტუნი,
 გადამშრალიყო ფლოქვებისგან ზაფხულის ქვერი,
 ულაყის ვნებას
 გარს იმწყვედევდა თოკი-ურჩხული.
 დაოკებული და მჭმუნვარე ემონა ოთხთა,
 ბალახს წურწურით დასდიოდა ცრემლის ნაკადი,
 ხეებს შეეწნა ამომჯდარი, ულაყის ოხვრა, —
 ოხვრა ამგვარი არ სმენია ტყესაც აქამდი.
 და მერე, როცა წამომართეს ნაბეგვ-ნაცემი —
 შერიგებული თავის ბედის უკულმართობას;
 მინდორს ფერავდა მზე დასავლის,
 მზე აღმაცერი
 და შავი ღამის თოქის ხლართი
 ულაყს ახრჩობდა.

3

ჟამს თენებისა —
 ცისმარე დილით,
 როს მზემ დატორა ღამის ავაზა,
 ბედის მორჩილი და მოთენთილი

ის გაუყენეს სოფლის შარა-გზას.
კუმტად დაბერილ ნესტოებიდან
სდიოდა ორთქლის მძიმე ღრუბელი,
წუხანდელ სიზმრის უზანგს ეკიდა
ველეური სისხლით — მოდგმა უბელო.
დიდხანს ატარეს და...
სოფლის კიდეს,
სადაც ვლავდა ურო და ქურა,
ჯვარცმა და ჯვარცმა ელოდა კიდევ
თავისუფლებაწართმეულ ქურანს.

მამა მღერის „ოდოიას“

მეცხადება:

თოხნის მშვიდად მამაჩემი,
ოდოიას შუქი ადგას ყანას
და ჰარალეც არამსუტუს მკლავით შველის,
სიმინდები ტანით ხეებს ჰგვანან.

— ოდოია, ოო,

— ოდოია, ოო! —

იგუგუნე გოლუაფირო,
საოცარი ძალა შენი
დამაშვრალ კაცს მარად შველის.

— ოდოია, ოო,

— ოდოია, ოო!

კოლხთა მიწა ასე მღერის...

ჰარალემ კი

ნურც მოგვაკლოს, —

ვნება ღელვის.

და წინაპრის მგრგვინავი ხმით

მამაჩემიც მღერის,

მღერის:

— ოდოია, ოო,

— ოდოია, ოო!



(ქველი კოლხური სიმღერის მოტივზე)

ჭურისკენ მიმავლო ჩელა,
გვეედრები, შეისვენე წუთით,
ეს ჭაობი მაცდუნებლად ვლავს,
შენ კი გადევს ქედზე ასი ფუთი.
მიდიხარ და...

არსაიდან შევლა,

გაჩრილი გაქვს ყელში სევდის ბურთი, —

ჭურისკენ მიმავლო ჩელა,

შე საბრალოვ,

ბედს მიჰყვები კუთვნილს.

●
მე დამესიზმრა მამულები —
სადაც დილიდან
ბზუის ფუტკარი და კაკბების ისმის კრიახი,
სადაც ასკილი მიბანცალებს ტყისკენ და კლდეებს
ჩაუბლუჯიათ მიწა ფრჩხილებით.

იქ რახანია მიწა შამბმა დაისაკუთრა
აღარც კი მოჩანს სახნისის კვალი...

მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი, სიზმრად ყანები
იქორებოდნენ მამულებში და ტყის გადაღმა
მიჰქროდა რემა ფაფარაშლილი...

ჩემი ბავშვობის სანახებო,
მიტოვებულო
კარისპირებო, სათიბებო, ვერ მოგიარეთ,
ვერ ვიხედები თქვენსკენ ბეჩავი.
არც მამაჩემის ცელი ხმინებს
მანდ და არც ჩემი ფეხისხმა ისმის...
მე მძინავს, მძინავს...
მე სიზმრებში დავესეტები.

●
ბევრი ფოთოლი ამძიმებს ხსოვნას,
ტოტს შერჩენილი და ქარების ჩამოფლეთილი.

ბევრი კი გაქრა...
და აქ, მინდორზე
იმიტომ ვდგავარ და მოველი ამდენი ხანი,
რომ იქნებ ქარმა მოაბრუნოს აქეთკენ, ჩემსკენ
იქნებ მოდენოს გაფრენილი ფოთლების წყება...

როგორც ცოდვილი მონადირე ლაქაშის ჩრდილში
თოფშემართული ელოდება იხეებს გადავლით —
ისე მოველი...

ქარს კი მხოლოდ მიაქვს და მიაქვს,
მიაქვს და მიაქვს და მინდვრებზე მიერეკება
იქეთ და იქით — სადაც ჯერაც შრიალებს მზეში
ყაყაჩოს ველზე დაქცეული ხარირმის სისხლი.

თეთრი სტუპარი

ამალამ მოვა. შემოივლის შემოგარებს
და მდინარეზე დაამყნობს ყინულს.

აყვავდებიან მდინარენი. ყინვის ტოტები
გაიფოთლება რიჟრაჟამდე
თეთრი სიცოცხლით.

ამალამ მოვა. გატკეპნილ მიწას
ფიფქის ტერფებით გადაუვლის, გორიდან გორზე
გადმოაბიჯებს, გადმოდგება და დაასიზმრებს,
მოწყენილ ფანჯრებს დაასიზმრებს
თეთრად გაფოთლილ და აყვავებულ
მდინარეთა ფერმკრთალ სახეებს.

ქ ა რ ტ მ ს ე

დგას გაფოთლილი დედაკაცი, უღრანებიდან
გამოქცეული და მოქანცული.
დგას გაფოთლილი დედაკაცი და ყოველ ფოთოლს
ნელა,
ჩურჩულით იცლის და ატანს
ქარებს სოფლისკენ, სადაც ვერაფრით
ჯერ ვერ მიმხვდარა ძეხორციელი
უღრანებიდან გამოსული დიაცის ნათქვამს
და ნადრევი ფოთოლცვენის მოწყენილობას.

დგას გაფოთლილი დედაკაცი. და ვერც ტყისმჭრელმა
ვერც გუთნისდემამ, ვერც მთიბავმა ვერ შეამჩნია,
რომ ფოთოლცვენა დამდგარა უკვე
და მისი ჩრდილი უმწეოა...

ლ მ ე ი

ზოგჯერ, როდესაც ცხადით დადლილს, ძილში მოარულს
მიახლოვდება სიზმრების მხარე,
ვხედავ: ცვალებადს,
უდაბნოსფერს, სახეარეულს
თათები უღევს ჩემი ხის ჩრდილში.

აქ მისი შიშით ვერ გაჭლიკავს ძეხორციელი.
ბაგეზე უთრთის ცეცხლის გრიგალი.
წევს ჩემს სიზმარში იგი: მკაცრი,
უდაბნოსფერი,
დაუბჯენია ტორი ჩრდილზე და მიღრენს, მიღრენს...

წევს ჩემი სიზმრის მტვრიან ბილიკზე,
დაფლეთილ ჩრდილში და ვერ ვხედავ გადაბიჯებას.



ვისი სუნთქვა გმორღება

ჩამავალ მზით დაფენილი ჩრდილები,
 ქარებისგან დარღვეული კარავი,
 მზეს მივეყვები, წყალთან მივედინები,
 მთებს შევეყურებ, სხვა არ მინდა არავინ.
 ჩამავალ მზით შეფერილო ღრუბელო,
 სიჩუმეო, ველად ნამარტოებო,
 ოცნებებო, ჟამით განუკურნელო,
 ქარში რწვეით დაღალულო რტოებო.
 გასწვრივ სხივზე მღვრიე წყალი სწორდება,
 წინ მივედივარ, კვალთა დანაკლისია,
 ვიხედები, ვისი სუნთქვა მშორდება,
 საყვარელი ჩემი ქუთაისია.

დღეს სინანულის
 კვამლი მფარავს,
 ცრემლთა მომდენი,
 ქარს იქეთ დარჩა,
 ცეცხლი, ალი
 და ნაკვერცხლები,
 მდინარედ მინდა
 იქცეს ცრემლი
 მცირეოდენი,
 წლის მიწურულო,
 შეუმჩნევლად
 ფეხქვე მეცლები.

დეკემბრის თვეში
 ყინვისაგან
 ტკარცალებს სივრცე,
 მზე მკაფითა,
 კვამლის სვეტი
 ძლიერ მაღალი,
 სინანულის და
 სიხარულის
 სამოსელს ვიცმევე,
 წავიდა ძველი
 და მომადგა
 წელი ახალი.

შენთან შუადღისას

შუადღეა, სიჩუმეა, გულში სასიმღერო,
 მღვრიე წყალში იხედება ანწლის სუსტი ღერო.

ამტვერებულ ყორის ხავსზე არ დაგიცდეს ფეხი,
 მე შენ სუნთქვას ავყოლილვარ, როგორც ნიავს ვერხვი.

ეკლესიის გუმბათია, რომ ციმციმებს მზეზე,
 სალოცავი ხელები გაქვს, დამაფინე მკერდზე.

სითბოს ნაკადს გულში გზავნის მოელვარე შარა,
 სხვის თანხმობას მირჩევნია შენი სუსტი არა.

შუადღეა, სიჩუმეა, გულში სადიდინო,
 საფეთქლებში სისხლი ფეთქავს, როგორც ძველი ღვინო.

ნ უ მ ი

მ ო თ ხ რ ო ზ ა

მე ავალა ვარ. ვწევარ. რომ წამოვყდე, ფანჯრიდან ქუჩას დავინახავ. ქუჩაში ნისლია, სიცივე. ჩემი და მეორე ოთახში გამებს უკაკუნებს. კითხვაც არ მინდა. ნეტა ბიჭები რას აკეთებენ? ალბათ გააცდინეს ფირეზას ლექცია და დუქანში თვრებიან. წარმომიდგა მათი გაწითლებული, დასიებული სახეები, უაზრო თვალეები, მთვრალი სიცილი. უცებ შემზიზღდა ჩემი თავი. მეც ხომ ხშირად ვარ მათთან. დროს უაზროდ ვფლანგავ. რამე უნდა გავაკეთო. არ შეიძლება ასე სულელურად გავატარო სიცოცხლე.

აღრე ვხატავდი. ვხატავდი ვნებით, გატაცებით. მინდოდა საკუთარი თავი მეპოვნა. ჩემი სურათები არ მაკმაყოფილებდა. მთელი ბავშვობა დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც ძალიან დიდს შევქმნიდი, ვერ წარმომედგინა როგორ შეიძლებოდა, ადამიანმა მთელი ცხოვრება განვლოს და მოკვდეს ისე, რომ პატარა კვალიც არ დატოვოს. ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ყველა მოკვდებოდა. და ამ „მოკვდებოდას“ შემდეგ რა იქნებოდა, არ ვიცოდი. ახლაც ვერ წარმომიდგენია, რომ ადამიანი — მთელი სამყარო, ფიქრები, ოცნებები, სიყვარული, სიძულვილი — ასე უეცრად ქრება. მას იგივე სახე, ცხვირი, შუბლი, ხელები, ტანი აქვს, მაგრამ აღარ არის ის რაღაც, რაც ამ ადამიანს ერთადერთ, განუმეორებელ იერს აძლევდა. ამ წუთში იყო და აღარ არის და არც იქნება არასდროს, არასდროს... წავა, გაქრება,

გაქრება, და ყველას დაავიწყდება. ცხოვრება კი ისევ გააგრძელებს თავის, ზოგთათვის ზანტ, ზოგთათვის სწრაფ სვლას. ის კი არასდროს არ დაბრუნდება. შეიძლება ვინმე ახლობელმა ცოტა ხნით შეინახოს მისი ხსოვნა, მაგრამ ეს ცოტა ხნით, სულ რაღაც წლებით. ის კი ვერასდროს ვერ ნახავს ქვეყანას, მზეს, ცას, მიწას, საყვარელ ადამიანს... საშინელებაა. მაგრამ ყველაფერი, მე მგონი, უფრო რთულია. აი, გუშინ გურამი მიმტკიცებდა, ცხოვრება ტროლეიბუსითაა. ერთნი ამოდიან, მეორენი ჩადიან, ზოგნი შორს მიდიან, სხვანი ახლოს, ერთნი თავადურად სხედან, მეორენი დგანან და იქყლიტებიან, ზოგიც ადგილს უთმობს ამოსულთ.

შეიძლება სადღაც მართალია, არ ვიცი. ერთხელ ამხანაგს წავყევი ჩემთვის უცნობ ოჯახში. რომ შევედი, — ერთი სურათი მეცა თვალში. დიდი სურათი. კედელზე ეკიდა. სურათზე ბიჭი იყო. ბიჭს სევდიანი თვალები, მორცხვი ღიმილი და დიდი ყურები ჰქონდა. სურათის ქვეშ კი ამ ბიჭის ნახატი ეკიდა. დიდი, თბილი, ალერსიანი მზე ნელა ჩადიოდა. იქვე გორაკზე კი ნუში იდგა. პატარა, მხიარული, თეთრად გადაყენტილ-გადაფიფქული, თითქოს იცინის, სიცოცხლეს შეჰხარისო. სურათს „სიცოცხლე“ ერქვა. თვითონ ბიჭი კი იწვა თეთრი ვარდების ქაფში. სახეზე ისევ ის მორცხვი ღიმილი დასათამაშებდა. იგი მოკლეს. ქუჩაში. ვიღაც ბიჭებმა — მისმა ტოლებმა დანახე ააგეს. როცა

გონს მოეგო, მის თავზე დახრილ სახე-
ებზე ამოიკითხა, რომ ყველაფერი გა-
თავდა და... ატირდა ბიჭი.

თბილი, წყნარი საღამო იყო. მზე ჩუ-
მად ჩადიოდა. ფანჯრიდან გაზაფხულის
სუნი და ჩიტების ქლურტული იჭრე-
ბოდა. ბიჭი კი კვდებოდა. უცებ დედა
მოუნდა. საყვარელი, ერთადერთი, თბი-
ლი დედიკო. დედამ კი არ იცოდა, ის
რომ კვდებოდა. ტიროდა ბიჭი. ტირო-
და სლუკუნით, გულამოსკვნით, ბავშ-
ვით. ო, როგორ უნდოდა სიცოცხლე!
ვერ წარმოედგინა, რომ ვერასდროს
ვერ ნახავდა ლურჯ, კამკამა ზეცას; ოქ-
როსფერ მზეს, მიწას, ჩიტებს, დედას,
ნინოს...

დუმს სასაფლაო. დუმან საფლავე-
ბი. მხოლოდ მთვარიან ღამეს თუ მის-

ცემენ თავის თავს უფლებას ^{საძებნო}
გახვეული კვიპაროსები, ^{ფიქტორი}
შკვდრები. და ამ შავებში ჩაცმულთ
შორის უჩვეულოდ გამოირჩევა თეთრი
ნუში. მზიარული, მოკისკისე. სიცოცხ-
ლით სავსე, მზისკენ გაწვდილი ტრტე-
ბით, თითქოს ჰიმნს უმღერის ადამიანს,
ცხოვრებას, სიცოცხლის უშრეტ, მჩქე-
ფარე წყაროს...



...ახლა მე ვხატავ. ვხატავ ისეთივე
ვნებითა და გატაცებით, როგორც ბავ-
შვობისას. ის ბიჭი კი აღარ არის, აღ-
ბათ ბევრს აღარც ახსრფს, მაგრამ ხომ
დარჩა ნუში — სიცოცხლის და უმან-
კობის სიმბოლო.



გათიბეს ველი...
დაახვავეს ზვინები თივის.
შინ შემობრუნდნენ
მთიბავები მწუხრზე ნელიად.

მოვიდა ღამე
ნამიანი და ოდნავ ცივი,
მსუბუქი ქარი
აწვალებდა გამხმარ ლელიანს.

აწ — ჩემს სოფელში
ზამთრისწინა დღეები დიან,
აცელილ ველზე
დაფარფატებს მყივარი ქორი;

მიდის ვიღაცა
და ბინდბუნდზე ურემით მიაქვს
სოფლიდან თივა
და გზა უდევს — ბნელი და შორი...

გადაიკარა. ტყის წიაღში დაგუბდა წყალი,
და როგორც ღურჯი, მოკრიალე ათასი თვალი,
შეუდგა ზეცას, სინათლიანს, ათასი სვეტი, —
მაგრამ არც ერთი აღარაა იმაზე მეტი,
რაც არის ცხადლივი; გუბეები ბრწყინავენ მაინც,
და ცას უცქერის მოციმციმე ათასი თვალი.
გადაიკარა. ტყის წიაღში დაგუბდა წყალი.

ს უ რ მ

მან უხმაუროდ მიაყუდა თეთრი ნაჯახი
და დაჯდა ჩრდილში, დაღლილი და გულდაწურული,
გარშემო ყრია ბურბუშელა, უმზერს ყაზახი —
ციმციმებს მზეზე ოდა, ყავრით გადახურული.

ძლივს მიფარფატებს მალა ქათმის მჩატე ბულული,
ქარი არა ქრის და თეთრია სივრცე მაღალი,
გასრულდა ოდა. გლეხიკაცი ზის გატრუნული,
დიდია დღე და შორი არი ჯერაც სამხარი.

ღამემდე დროა. რითი მოკლავ დროს თავისუფალს,
ახალი საქმის წამოწყება არის გვიანი,
მას საღამომდე ჰქონდა ვადა... თუმცა მით უფრო
კარგია, — აღრე მორჩა საქმეს ადამიანი.

რამ მოგაწყინა, დალოცვილო, რამ დაგადონა?
მდუმარი ხურო ზის ახალი ოდის მახლობლად.

ისევ თენდება, ისევ იცვლის გუნებას კაცი,
აწ-აპრილია მინდვრებში, წარსდა ზამთარი მკაცრი.

გაცოცხლდა დედა ბუნება, ელავს მრავალი ფერი,
მიდის მინდორში მუშაკი და სახალისოს მღერის.

წითლად პრიალებს ცის კიდე, მანათობელი ღვივის,
იციინს გამახარელი აყვავებული პირით.

იწვის ყვავილი ატმისა, ბალახი უმზერს სოფელს,
იქ, მეზობელი მეზობლის შემოადგება ღობეს...

აწ-მოფოფინე გუთნები მალე გამოვლენ ველად,
იხროტინებენ, ივლიან, კვალს გაიტანენ ნელა,

გრილოში მიუჯდებიან გლეხიკაცები სამხარს,
მცირე სამხრისას, როდესაც მზე დაჰლუღუნებს მთაბარს,

და სიზმარივით ჩაივლის ეს ერთი წელი კიდეგ...
მოვა სხვა დრო, სხვა ყვავილი, სხვა კდემითა და რიდით,
ვერავის ჰკითხავ, ვერავის, ყოფნა საითკენ მიდის;

ან იმ ყვავილმა რა იცის — მოძმის ამბავი ჰკითხო —
ვინც აქ ცოცხლობდა, ხარობდა, აქ არც ყოფილა თითქო.

მე მხიარული ამინდი მასსოვს:
მეგრული ოდის ლამაზი ბანი,
ბრწყინავს ჭვირვალი, მზიანი სივრცე,
წიგნის გაისმის ანი და ბანი.

ეზოში დაფრენს მერცხალი მკვირცხლი,
მოაქვს წამი-წამ საბუდე ფესვი,
და ქვეყანაზე იმდენი ვიცი,
რამდენსაც იტევს პაწია ლექსი.





დილაადრიან
ნაწვიმარ ბაღს
 ვეუზერ ფანჯრიდან
და თვალს ვარიდებ
 ბაღის ერთ კუთხეს,
იქ მოწყენილი და ფიქრიანი
დგას
 პატარა
 სე ალუბლისა,
პირველად რომ
 დაკრიფეს გუშინ.



შენ მიმატოვე
მგონია, თითქოს
მგლოვიარე კარუსელზე
 მთლად მარტო დაჯდები.

და ვგავარ ახლა
ქველ რეკლამას,
 ბნელი ქუჩის კუთხეში აკრულს
გულუბრყვილოდ რომ გვაუწყებს
 შარშანდელ
 კონცერტს.



ღამით სკოლაში
საეშმაკოდ
 შეპარულები
სამასწავლებლოს ღია კართან
 შეგჩერდით
 უცებ,

რა ვქნა, მიყვარსო, —
ეუბნებოდა ვიღაცას ჩუმად
და საბრალოდ
 ტიროდა
 ჩვენი
 მათემატიკის მასწავლებელი.



ცისფერი საფურსი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ჩვენ საერთო ეზო გვქონდა. ჩემი დი-
 ასახლისი წარმოშობით გერმანელი იყო
 — გვარად Bekker-ი. მე მას ბატონსენე-
 ბისა და შრომის სიმბოლო შევარქვე.
 შვილებიც ალი-კვალი იყვნენ მისი...

...ეზოში დიდი პალმა იდგა. საღამო-
 ბით მის ძირში ჩამოვსხდებოდით, შენ
 თავს მხარზე მომადებდი და სულგანა-
 ბული ყურს ვუგდებდით ზღვაური-
 საგან ათამაშებული ტოტების შრიალს.

...ჩვენ საერთო ნაცნობიც ბევრი
 გყავდა. ისინი ყველანი მეტ-ნაკლებად
 კარგები იყვნენ. ყოველ შემთხვევა-
 ში, სხვის საქმეში ცხვირს არ ჰყოფდ-
 ნენ... მათგან ყველაზე ძალიან მიხეილ
 პავლეს ძე მოგვწონდა, მოსკოველი
 პროფესორი, მათემატიკოსი, თვრამე-
 ტი წლის ჭაბუკივით შეყვარებული
 იყო საქართველოზე. თავის კუთვნილ
 შევებულებას ყოველ წელს აქ ატარებ-
 და, შემოვლილი ჰქონდა სამცხეც და
 კახეთიც, რაჭაც და აჭარაც. „*Чего
 только стоит Вурдзия!*“ — აღტაცე-
 ბით ამბობდა ხოლმე...

...დილით ადრე ვდგებოდით და
 ფსალუსაყენ მივეშურებოდით. მზე ჭერ
 მორცხვად იღიმებოდა და მოკრძალე-
 ბით გველამუნებოდა — ნელ-ნელა
 აორთქლებდა ჩვენს ტანზე დარჩენილ
 წყლის წვეთებს...

...სიამოვნებით ვიგონებ იმ დილას,
 შენ რომ გავიცანი. ჩვეულებისამებრ,
 რესტორანში ვსაუზმობდი. მოგვიანე-
 ბით მიხეილ პავლეს ძე შემოვიდა, ქერა
 გოგონა ახლდა. „ჩვენი ახალი დამსვენ-
 ნებელია, ტალინის დედოფალი“.

— ჰილდა, — თქვი შენი სახელი და
 მარჯვენა შემომაგებე...

...შენ ცისფერი ფერი გიყვარდა. კა-
 ბასაც ცისფერს იცვამდი, ყელზე ცის-
 ფერი თავსაფარი გქონდა მოხვეული.
 საყურეებიც ამავე ფერისა გექეთა. რამ
 დამაფიწყოს შენი უძირო, ცისფერი
 თვალები... ზღვის ნაპირზე წამოწვებო-
 დი და საათობით შეგძლო გეცქირა
 ცისათვის. მე ვუყურებდი შენს სახეში
 ჩაქარგულ ცისფერ კაპილარებს, ცის-
 ფერ თვალებსა და ცას. მანძილიც
 შენს თვალებსა და ცას შორის ცისფე-
 რი მეჩვენებოდა. ცისფერი სიცარიელე,
 სიცარიელე ცისფერში...

...პირველად შენმა მიწიერმა სილამა-
 ზემ დამატყვევა, სულს არ ვიცნობდი
 შენსას. ერთ საღამოს დავრწმუნდი,
 რომ სულიც არანაკლებ მშვენიერი გქო-
 ნდა. მამაკაცის იდეალიც ხომ ეს არის
 — ქალის სხეულისა და სულის მთლი-
 ანობა.

...ჩემს ოთახში მაგნიტოფონი იდგა,
 ძველი, დანჯღრეული „აიდასი“, მაგ-
 რამ თავისი საქმე კარგად ესმოდა. მა-
 გიდის უკანა მხარეს მოეკალათებინათ
 და თავიანთ რიგს ელოდნენ პიტერსონი
 თუ სონი როლინსი, „*Sinco latino*“
 თუ ჩემი ჩეკერი. აქვე იყო მილერის
 კლასიკური ჯაზი და ფერატიუსონის მო-
 დერნი. ერთხელ დილით, როცა წამო-
 წოლილი ვიყავი და ვგონებ კონი ფრენ-
 სისს ეუსმენდი, ჩემს ფანჯარას მოუახ-
 ლოვდი, მომესალმე და შემეკითხე,
 ელინგტონის აფრიკული მოტივები ხომ
 არა გაქვსო. მე გამეხარდა შენი მოსვ-

ლა, მით უფრო, რომ შემეძლო შენი თხოვნა ამესრულებინა.

მალე დავრწმუნდი, რომ თანამედროვე მუსიკის კარგ მცოდნესთან მქონდა საქმე. შენ გასაოცარი სიზუსტით გრძნობდი ამა თუ იმ თემას, ტაქტს, რიტმს. შეგეძლო გაგერჩია ყოველი შემსრულებელი თავისი ხელწერით და მეც ბავშვურად მიხაროდა, რომ შენ ეს შეგეძლო...

...საღამო ხანი იყო. მზე უკვე ზღვას ჩაეყლაპა და ოდნავ გაცხარებით ელოდა მთვარეს. საზაფხულო კინოში უდიდლამო სურათი ვნახეთ და შინ ვბრუნდებოდით. გზაში ვილაც სამი უცნობი გადავიდდა, შევატყვე, ნასვამები იყვნენ. შენ აცახცახდი და მხარზე მომეკარი. მათი დამკინავი, შეურაცმყოფელი სიტყვების შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ერთ-ერთმა მათგანმა ჩემკენ გამოიწია და შემდეგ, ალბათ, ინანა. მე ჩხუბის იმპროვიზაციის ერთ-ერთი ხერხი გამოვიყენე, რომლის მიხედვით მარცხენა ხელის გაშლილი თითები მოწინააღმდეგის ყელს „უაღერსებს“, მარჯვენა კი კუჭს აიძულებს ცოტა ხნით სუნთქვა შეწყვიტოს. ამ არცთუ სასიამოვნო პროცედურის შემდეგ ობიექტი, როგორც წესი, მიწაზე ეშვება. ახლაც ასე მოხდა. თურქები ახალგაზრდას delikanli-ს უწოდებენ, deli — გიჟი, kan — სისხლი, li კი კუთვნილებითი აფიქსი — გიჟისისხლიანი. ბახუსმა იმ ტიპებს სისხლი აუფორიაქა და თვითონაც არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. როცა შევატყვე, რომ ის ორი არაფერს აპირებდა, გზას გავუდექით. ცოტა რომ გავიარეთ, შენ ყელზე შემომეხვიე და გრძნობამორეულმა მაკოცე, იმ დამეს ორივენი delikanli ვიყავით...

...მე „მას“ ეხლაც ვხვდები თბილისში, შენ კი...

...შუალამისას გამომედიოდა. შენ ჩემს მარცხენა მკლავზე გედო თავი და ხელი სულ დამიბუჟდა...

...ლამე სასტუმროში. ჩვენი ოთახი. კარს იქით გრძელი დერეფანი. კარ-

თან, ჩვენი ფეხსაცმელები. იატაკზე სქელი ნოხი და ფანჯრის მიღმეშვობა, ოთახში კი სინათლე, მყუდროება და სიხარული. მერე სინათლე ქრება და რბილი ზეწურები გაღიზიანებს. ლოგინიც საამურია, ასე გგონია, შინ დავბრუნდით, მარტოკა აღარა ხარ, ღამით გაიღვიმებ და ისიც იქვე გყავს, არსად გამქალა. სხვა აღარაფერი არსებობს ქვეყნად. დავიღლებოდით, ჩაგვეძინებოდა, და თუ რომელიმეს გამოგვეღვიძებოდა, მეორეც იღვიძებდა, რომ მარტოობა არ გვეგრძნო...

...შენ თვალები გაახილე, ვნებიანად გაიზმორე და ტუჩები შემომამაგებე.

— დიდი ხანია გღვიძავს?

— არც ისე.

— რაზე ფიქრობდი?

მარჯვენა ხელი გულზე დამადე და როცა დარწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, კისრიისაკენ ააცოცე.

— ჰემინგუეი გამახსენდა.

— გიყვარს ჰემინგუეი?

— სიყვარული ცოტაა.

ხელი გავიწოდე. მაგიდიდან ატამი ავიღე და ტუჩებთან მოგიტანე. შენ ჩაქბიჩე, ატამი მწიფე იყო და ტუჩები დაგისველა. შემდეგ ის სისველე ჩემს ტუჩებზე გადმოვიდა.

— ნეტავი მალე არ გათენდებოდეს.

— მალე ისევ დაღამდება.

კვლავ მივინებდით, ხანმოკლე, შფოთიან ძილს...

...ეზოში მიხეილ პავლეს ძე შემოვიდა და შემადრწუნებელი ამბავი მოიტანა — ვილაც დამხრჩვალყო. პლაჟისაკენ გავიქეციით და ერთ-ერთ ჯგუფს მიუუახლოვდით. ნაპირზე მოხუც ქალს წყალს ასხურებდნენ. იქვე პირქვე დამხობილიყო ახალგაზრდა კაცი და გულამომჯდარი ტიროდა. ძმა ჩამოსვლოდა თბილისიდან დასასვენებლად. ნასადილევს ზღვაში გასულიყვენ ნავით. ცოტას გავგრილდებო, უთქვამს საწყალს და წყალში გადამხტარა. ელოდება თურმე ძმა, აი, ეხლა ამოყოფს თავს და, აი, ეხლაო. როცა მიხვდა, საქმე ცუდად

იყო, გამწარებულმა ყვირილი ატეხა და ნაპირისაკენ მოუსვა ნიჩბები...

...შენ ციებიანივით კანკალებდი და მთელი გზა უხმოდ ყლაპავდი ცრემლებს—არც მე შემეძლო შენი დამშვიდება.

...მანც რა ემართება ამ სატიალე გულს, თითქოსდა საფლავის ქვა დაადესო. დაიღუპა ახალგაზრდა კაცი, ვითომც არაფერი. ხვალ ისევ დაუკრავს ორკესტრი რესტორანში და ვიღაც შეზარხოშებული, ლუდის კასრივით ჩამრგვალებული კაცი თავისი მსუქანი კოტიტა თითებით თუმნიანს გადაუგდებს დამკვრელებს. რა ენაღვლება ოხრად ნაშოვნი ფულები... მუსიკოსებიც თავს დაუკრავენ და ნათხოვარი ღიმილით მადლობას გადაუხდიან კოტიტა თითების პატრონს და მზად არიან თავიანთი ინსტრუმენტებიც გადაყლაპონ თუ კიდევ მიიღებენ ტკაცინა თუმნიანს...

...გასკდა, ეს ოხერი გული...

...გათენებისას ჩაგვეძინა და მეორე დღეს ჩვენი საუზმე სადილი იყო. დამზრჩვალი მესამე დღეს იპოვეს. ტალღებს გამოერიყა და ნაპირთან ათამაშებდა. დაკრძალეს დიდი თელების ქვეშ...

...ფსოუს ნაპირს მივეყვებოდით. სასიამოვნო ზღვაური უბერავდა. ხანდახან შეჩერდებოდი, თავს ზემოთ, ქარის საწინააღმდეგოდ მიაშვერდი და ოდნავ მოჭუტულ თვალებზე სასიამოვნო ღიმილი გიკრთოდა...

...ხიდს მივუახლოვდით, რომელსაც ერთი მხრიდან საქართველოს ეროვნული ღერბი ეხატა, საპირისპირო მხარეს კი რუსეთისა, ზედ ლიანდაგი გადიოდა და, როცა ხიდზე გადასვლა გვინდოდა შუქნიშანს შევხედავდით ხოლმე. მწვანე შუქი ენთო. ხიდზე ავედით, კენჭებს წყალში ვისროდით და ვიცინოდით. მოულოდნელად ექსპრესი გამოჩნდა. რომელიმე მხარეს გაქცევა სისულელე იყო. მოაჭირს მივეყუდეთ და წყლისაკენ მივტრიალდით. მხარზე ხელი გადაგხვიე და მატარებლის გრილში მომესმა შენი გულის მძლავრი ცემა. ექს-

პრესი რომ მოგვიახლოვდა, უფრო მრმეკარი და მე ყურის ძირში გავიქცე. ... ორიოდ წუთის შემდეგ ხელთაყვამ ვისხედით, ბეტონის ლოდებზე. სხეულში საამოდ გვეღვრებოდა მზისაგან ნასესხები სითბო. უეცრად კენჭები მოხვეტე და ჩვენს შორის ჯარისკაცებივით ჩაამწკრივე.

— დათვალე.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი.

— შვიდი დღე დაგვრჩა, რეზო! — ისე თქვი, გული შემეკუმშა. მერე ჩემი თითები შენს თმებში შეცურდა, რომელთა გასაოცარი სურნელება არასოდეს დამავიწყდება.

მკერდზე მიგოზიდე, მაგრამ უცებ შემაჩერე.

— მოიცა, რეზო, საყურე მომძვრა.

შემცბარი წამოვდექი, საყურეს დავუწყეთ ძებნა. ლოდებს შორის, ერთ ადგილზე, ნაპრალს დაეღო პირი...

„საწყალი დედაჩემის სახსოვარია, სიკვდილის წინ დამიტოვა. ომამდე საფრანგეთიდან ჩამოუტანია მამას და მე რომ დავიბადე, იმ ხანებში ეჩუქებოდა“, — გამახსენდა შენი ნაამბობი.

...იქაურობა გადავანგრეთ, მაგრამ საყურე ვერ ვიპოვეთ. მეორე დღესაც ვეძებე, კვლავ ამაოდ. ბოლოს ისეთ ხასიათზე დავდექი, შენ დამიწყე დამშვიდება...

...ფეხბურთის მატჩზე ვიყავით. „ბ“ კლასის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჩვენს წინ, მოედნის პირით ხაზთან, ხმელ-ხმელი სამხედრო იდგა უზარმაზარ გერმანულ ნავაზთან ერთად. უცებ ძალღმა წინა ფეხებზე აიწოა, აი, ისე, ცხენებმა რომ იციან და ბურთისაკენ გაქანდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ვერც ოფიცერი, ვერც მსაჯი და ვერც მოთამაშენი გონს ვერ მოვიდნენ. რამდენიმე წუთს სიამოვნებით ვუყურებდით ამ ოცდამესამე ფეხბურთელის აზარტულ თამაშს, რომლისთვის-

თეიმურაზ ჯაფარიძე

ციცფიბრი საპუბო

საც არ არსებობდა არც თავისი, არც მოწინააღმდეგის კარი და გამწარებული დასდევდა ბურთს. ბოლოს მსაჯმა შეაჩერა თამაში და ნაგაზი დაისაჯა — პატრონმა დაწულ ღვედით აუკრა პირი. შენ ამ სცენას უდიდესი აღტაცებით შეხვდი და ისტერიულად იცინოდი. რა გადამდები, რა საოცარი სიცილი გქონდა...

...მე მეორე დღეს მივფრინავდი. გაქრა ზაფხულის ნეტარი ღღეები საერთოდ, მიმძიმს გამოთხოვება და მით უმეტეს, შენთან. უკანასკნელად გავედი ზღვაზე. შენ შინ დარჩი — თავის ტივილი მოიმიზეზე, ვიცოდი, რა თავიც გტიოდა, მაგრამ რა უნდა მექნა...

...საღამოს გამოსათხოვარი ვახშამი გამართა დასასლისმა. მე ისინი ყანწით დავლოცე, დიდი მადლობა გადავუხადე და შენთან შემოვედი. გაიღიმე და ვიგრძენი, რა იმალებოდა იმ დიმილს იქით.

— მოდი, რეზო, გიმკითხაო... — გვერდით დაგიჯექი დ ხელი გამოგიწოდე.

— თქვენ გელით გზა, — ვიღაცას გამოაჯავრე, — საპაერო, თანაც დახლართული.

...მე უკვე აღარ ვისმენდი.

— ასე მგონია, რომ მეტს ვეღარ გნახავ.

— სხვათა შორის, მე არ ვაპირებ სიკვდილს, — პაპიროსის კვამლი გადამცდა და ხველება ამიტყდა.

— სიკვდილი რა მოსატანია, რამდენი ცოცხლობს და ერთმანეთს ვერ ნახულობს.

— ჩვენ აუცილებლად შევხვდებით, მე მგონი, ძალიან მალეც...

...იმ საღამოს შენს ოთახში შუქი არ ჩამქრალა...

...მე უკვე თბილისში ვარ. სახლი, სამსახური, ნათესავები, მეგობრები — ყველანი კარგად არიან. რუსთაველი

ამწვანებული, გაჩირაღდნებული, გო-ბიჭებით სავსე. კოცნა. სად იყავი? — ლიძევაში, იალტაში, სიგულდაში, წყნეთში, კუბაში და კახეთში.

— რა ვაშავებული ხარ?

— სად მოეწყვე?

— სამთო-თეატრალურზე...

... შაბათს შენთან მოვფრინავ. ვიცი, ჯერ წასული არ იქნები... უკვე აღღერ-ში ვარ, აეროპორტში. ჩქარა ტაქსი და...

...Здравствуйте, Резо.

მიხეილ პავლეს ძე მოვიკითხე.

Через час улетаю. Как вы тут очутились?

— ჩამოვედი, ჰილდა უნდა ვნახო.

— Как? Вы что, ничего не знаете?

...შენ აღღერში მიდიოდი. შემხვედრ ვოლგას ხელი აუწიე. ისინი სამნი იყვნენ. საბრალო ჰილდა. მხეცებმა იმლავერეს და კვალის დასაფარავად ზღვის ნაპირზე ბრეგებიდან გადაგადეს. შენ ლოდებზე დალიე სული...

...სასაფლაოს კარი შევადე. მიმე იყო ქიშკარი. კუპრისფერი, ძველი. ჩიტები დააფრთხო მისმა ქრიალმა...

...შენი საფლავი შუაგულშია. რამდენიმე სიკვდილს გვერდი ავუარე. სულ ახალი დაყრილია მიწა. გახსოვს, ბიჭი რომ დაიხრჩო. იმის გვერდით წევხარ, დიდი თელების ჩრდილში...

...განაჩენი — დახვრეტა. შენი მკვლელის გაფითრებული სახე. დარბაზში დუმილი, მერე მე ავდექი და წამოვედი. ხელში მიკავია შენი ცისფერი საყურე, ხომ გახსოვს, მაშინ რომ დაკარგე ლოდებს შორის, გუშინ ვიპოვე. დავდიოდი ჩვენს ნაკვალევზე და შლამში ეგდო. აღიდებულ ფსოუს გამოვგლიჯა იმ ლოდებისათვის, ალბათ იმიტომ, რომ მე მეპოვა. მადლობას ვუხდი ფსოუს ტალღებს...



ბეთქილის ნაკვალევზე

გმირი გახდები, რომც იყო მხდალი,
მადლობის მეტი მე აქ რა მეთქმის!
მე ვეძებ ოქროსთმებიან დალის,
ამ მთებში ვეძებ უშიშარ ბეთქილს.

მზე თვალბრიალა მიშენს მწველ ისრებს,
კლდეს მობურვია ღრუბლის ნახევი.
ლაშხეთის მთაზე ავმალღდი ისე,
რომ მზეს შევახე მთრთოლვარე ხელი.


გოგონას შევხვდი ციცაბო ქიმზე,
შედგა და ფიჩხი ძირს ჩამოიღო,
— შენა ხარ დალი? — დარცხვენით მიმზერს:
— ის ჩემზე ბევრად ლამაზი იყო.

აგერ ვაჟკაცი ძველ ხიდზე გადის,
— ვისაც მე ვეძებ, შენა ხარ-მეთქი,
— არა, ბატონო, სად მე და სად ის,
ნეტავ ვიცოდე, რა მიგავს ბეთქილს!

წყარო ჩქეფს ზევით, წყაროა ქვეშაც,
გრილი წვეთებით უცებ ვივსები,
სადღაც მთამ ზანტად ამოიხვნეშა
და მოგვაფინა თეთრი ნისლეები.

ნუთუ ჭრილობა დღემდე არ მორჩა,
ნაძვიდან მოწვეთს ფისის ქარვები,
შორს ბუდეებად ფერდობზე მოჩანს
უშიშარ მწყემსთა ისლის კარვები.

ოცნების კოშკი მთის წვერზე ვაგე,
სულში ღვიოდა სურნელი დილის,
ვერ ვნახე დალი... ვერსად მივაგენ,
სვანთა საყვარელ ბეთქილის ბილიკს.



აპრილის გასხენება

მზადა ვარ ახლაც,
 მზადა ვარ ახლაც,
 თუნდაც ჭაობზე გაფწვე გულადმა
 მოდიდებულმა
 და უნაპირომ
 გადამიაროს
 მკერდზე აპრილმა,
 ფოთოლდაცვენთ
 ღონიერ მუხას,
 მწვანე ასსუროს და ააქუსოს!
 ატმებს დაჰკიდოს ცეცხლის ნახვევი,
 ტყემლები, რტობს ძლივს რომ არხვევენ
 რძის შადრევენებად ისროლოს ცაში
 და იას ზეცა აუნთოს თვალში.
 თორემ,
 სახელი — აპრილიაო! —
 ვერაფერს იტყვის მართო სახელი!



მე შენ სიყვარულს აგიხსნი,
 მაგრამ,
 სულერთი არის, ვერ შემიყვარებ.
 და ეს მიხვედრა იმგვარად მტანჯავს,
 როგორც დუმილი ძველ ნაციხარებს.
 კვლავინდებურად რომ ვიწვი,
 მენდე,
 ეჭვის ეშმაკი რქით მეჭიდება;
 რატომ ვერ შევძელ...
 ვერ მივახვედრე,
 სიყვარულს ახსნა რომ არ ჭირდება...
 ერთხელაც სადმე შეგხვდები გზაში,
 გეტყვი:
 — არა ვარ სიტყვით ღარიბი.
 და ეს მოხდება, ძვირფასო, მაშინ,
 როდესაც უკვე არ მეყვარები.



თეთრი ქვირილი

მზის ნაპერწკლებით
და ფერებით ავსებულ ხურჯინს
თითქოსდა დავით კაკაბაძე ატარებს მთა-მთა,
და ოქროცოცხას
ცეცხლოდებულ
ცაცხასა ფუნჯით
დღედა იმერეთს ხელახლა ხატავს.

აპრილის ქარმა
გადმოლახა მთები თარეშით,
მერე მინდვრებზე გადიჯირითა
და ჩაშავებულ ხნულის დარნებში
უხვად ჩაყარა
ხოშკაკალა —
თეთრი ქვირილი.



სალამოს ბინდში
იძირება გემივით ხალდე...

გაშლილ სუფრაზე
კალმახები ყრია ვერცხლივით...

მარუბის ფიქლის სახურავზე
ჰკიდია ბადე —
გაგლეჯილი და ფრთადაკეცილი.

სძინავთ კალმახებს...
თუნგით მოაქვს მასპინძელს რახი,
იღვრება ოქროს ნაკადივით თაფლი უღვევი...

და ხანჯლებივით
მიაპობენ მდინარის ტალღებს
ფხაალესილი,
თავდახსნილი ორაგულები.



კონსტანტინე როსტოქინიძე

...არ მალაბების

პატარა მოთხრობები დიდ ამბავზე

ავტორისაგან

ამ ჩანაწერებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: არ დაუკარგოს ქვეყანას მათი სახელი, ვინც დიდი გაჭირვების დროს სამშობლოს კაცურად გამოადგა და თავისი კარგი შვილობა დაუმტკიცა. უფრო მეტიც — ბევრს მათგანს ახლა სამუდამო ძილით სძინავს სახელიან თუ უსახელო საფლავში... ზოგიც უამბოდ დაიკარგა და შეიძლება ეს უფრო მწარე იყო მათთვის, ვიდრე ბრძოლის ველზე სიკვდილი.

აქ მოხსენებული მეომრებიდან ბევრი გადაურჩა ომის ქარცეცხლს და თავის ძველ კერას დაუბრუნდა. მე პირადად შევხვედრივარ ფრონტზე ამ კარგ ქართველებს, მინახავს ისინი ბრძოლაში მიმავალნი, მინახავს ბრძოლიდან დაბრუნებულნი, დამარცხებულნი თუ გამარჯვებულნი, დაჭრილნი თუ მომაკვდავნი და ათრთოლებული ხელით ჩამიწერია მათი სახელი და გვარი, მათი იმდღევანდელი ბრძოლის ამბავი.

და თუ ამ ჩანაწერებს ალაგ-ალაგ გამოჰყვა აწეული კილო, ეს იმ ქარიშხლიანი დღეების მონაბერია. ეს მაშინ აუცილებელზე აუცილებელი იყო, რადგან ეს წერილები საფრონტო გაზეთებში იბეჭდებოდა და ამ კილოს თვითონ დრო, — ის წუთი და ის საათი მოითხოვდა. გულზე მობჭენილ ლულას ელვისებურად უნდა აუკრა ხელი, აქ ფიქრი და ყოყმანი არ შეიძლება. ეს იყო ჩვენი ფრონტული სიტყვის პათოსი. ამ სიტყვას ჯარისკაცის თვალში უნდა გაექარწყლებინა ლეგენდა გერმანული იარაღის უძლევლობაზე.

მცხეთა 1970



მესანგრე დომუზაშვილს დაავალეს, — ნაშუალამევს ოთხი ჯარისკაცი ნავში ჩიხსა და გაღმა გაეყვანა.

გაღმა მტერი იყო. სადივერსიო ჯგუფს გერმანელთა დოტი უნდა აეფეთქებინა და გათენებამდე უკანვე დაბრუნებულიყო.

ეს არ იყო ადვილი საქმე. უპირველეს ყოვლისა, ადვილი არ იყო მდინარეზე გადასვლა.

არამც თუ ღამეულად, მესანგრეებს დღისითაც უჭირდათ თერგის ჭორომებთან ბრძოლა და გამკლავება. გაზაფხულზე პატარა სოფელ ჩერმესთან თერგი მეტისმეტად ბობოქარი და ხიფათიანი იყო. მსუბუქი, სადესანტო ნავის გადაბრუნებას რა დიდი დავიდაზრბა უნდოდა, მეტადრე ამ უკუნეთში, სადაც არავითარი ანგარიშის დაჭერა არ შეგეძლო. კაცმა არ იცოდა, სად რას შეგახეთქებდა გადარეული წყალი, ან უფრო უარესი, — ისეთ ადგილას გამოგრიყავდა, მტერი დაბარებულებით დაგხვედებოდა ნაპირზე.

დომუზაშვილმა ერთი რამ მიინც გააკეთა. ნაშუადღევს მეთაურს დაეთხოვა და სანამ კარგად არ დაღამდა, მდინარეს არ მოშორებია. ხან ქვეს ამოეფარა, ხან კიდევ ბუჩქნარში გაძვრაგამოძვრა და წყალგაღმა ისეთი ადგილი შეარჩია, რომ ჯარისკაცები ნავიდან ხმელეთზე სწრაფად გადასულიყვნენ. დაყოვნება, წყალში ხტომა და ფართხალი, რა თქმა უნდა, ქართველ მეომრებს სიკეთეს არ მოუტანდა. ამას წინათ ასე დილუბა ერთი ქართველი ჯარისკაცი, გვარად ჭუმბურიძე.*

ღამეული დესანტის დროს ტივი წყალში შეჭრილ კლდეს დაეჯახა, ზარბაზანი მდინარეში გადავარდა და ის ბიციც თან გადაიყოლა აღრიალებულ

ტალღებში. ეცადეს, მაგრამ ვერ უშველეს. ეს იცოდა დომუზაშვილმა ამიტომ მოსძებნა მისადგომად მოხერხებული ადგილი. დაღამებისას ნავი იქ ჩააცურა და მეთაურს აცნობა, შზადვარო. დათქმულ საათზე ჯარისკაცებიც მოვიდნენ და ნავში ჩუმად ჩალაგდნენ.

უმთავრო ღამე იყო, მდინარე არასიხანდა, ისმოდა მხოლოდ ცოფიანი ჩქერების ხმაური. ეს უჩინარი ხმაური ფრიად არასასიამოვნო გრძნობას ჰბადებდა კაცის გულში, მაგრამ ყველანი მალე დაწყნარდნენ, როცა დაინახეს, რომ ნავს გამოცდილი ხელი მართავდა. მართლაც, იმ დღეს დომუზაშვილმა გულმოდგინედ შეისწავლა ამ გადასასვლელის ავანჩავანი — სად რა სიძლიერის ჩქერი იყო, სად უფრო მშვიდი წყალი და ახლა თამამად, ყოველგვარი ჯახირისა და ფუსფუსის გარეშე, ნავთ ტალღაზე შეაგდო და საჭეს მიუჯდა. ამ წუთიდან ყველაფერი ამ საჭეზე იყო დამოკიდებული. ერთი არასწორი მოძრაობა, არაზუსტი მიბრუნე-მობრუნება და... შეიძლება ყველაფერი გათავდეს.

რა გასაოცარი აღლო (და არა მარტო გამოცდილება) უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ახლა ამ წყვედიღში არაფერი შემლოდა. ნავაზები რომ მოაწყდებიან ფარეხის ღობეს, ასე გაცოფებულნი აწყდებოდნენ ვეება ტალღები დომუზაშვილის პატარა „ხომალდს“.

მისმა ნავმა მხოლოდ ერთხელ დალია წყალი, ისიც ერთერთი ჯარისკაცის. გიორგი ჭეიშვილის ბრალი იყო. გიორგის უცაბედად მუზარადი წყალში გადაუვარდა. მერე რა მოხდა, რომ გადაუვარდა! ჯანდაბას მისი თავი! მაგრამ ჭეიშვილი რატომღაც დააფეთა ამ ამბავმა, ის მთელი ძალით მიაწყდა ნავის კიდეს, იქნებ მუზარადი დაევიქროო... და ნავი კინაღამ გადააბრუნა.

* საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემლობის ყოფილი თანამშრომლის, შალვა ჭუმბურიძის ვაჟი.

— ჩქარა ვედრო! — დაიძახა დომუზაშვილმა.

ნავში ჩასული წყალი თვალისწამში გადაღვარეს და ყველაფერი ისევ მოწესრიგდა.

არ გასულა ხუთმეტრი-ოცი წუთი, ნავმა რაღაცას ცხვირი წაჰკრა და იქვე დადგა. ეს იყო ნაპირი. ჯარისკაცები წამოდგნენ და ბნელში გაუჩინარდნენ. უზომოდ დაღლილმა დომუზაშვილმა კი ნავი მკლავზე გამოიბა და რიყეზე წამოწვა.

წამოწვა თუ არა, მდინარის გრიალიც გაძლიერდა, თითქოს ერთბაშად დიდი წყალი მოვარდაო.

„მიწაზე წოლის ბრალია!“ — გაიფიქრა მესანგრემ.

მაშინვე წამოდგა, რომ ყურთასმენაზედმეტად არ დაეტვირთა.

დრო თითქოს გაჩერდა... მაშ რა არის, რომ საათის ისარმა აქამდე ერთხელ ვერ შემოუარა მანათობელ ციფერბლატს! ნუთუ ასე ვაგრძელდა ეს სამოცი წუთი..

დაძაბული მისჩერებოდა ლელიანის შავად ალანდულ კედელს. იმ კედლის გადაღმა, საღრაც სერზე, სინათლე კიაფობს. ჩაიბუტება, ისევ გამობრწყინდება... ჩაიბუტება, ისევ გამობრწყინდება. პროექტორის შუქი დაეხეტება ერთმანეთზე მიწყობილ ბორცვებზე.

შორიდან აფეთქების ხმა მოისმა.

„გათავდა!“

დომუზაშვილმა ნავი შეაბრუნა, შიგ ჩარჩენილი წყალი ამოხაბა და სმენად იქცა. „თუ საქმე კარგად წავიდა, ნახევარ საათში აქ უნდა გაჩნდნენ!“

გავიდა ის ნახევარი საათი, დაიწყო მეორე... ამხანაგები იკვირებდნენ. დომუზაშვილი შემფოთდა.

ქართველმა ჯარისკაცებმა დავალება კი შეასრულეს, მტრის დოტი ცაში აიტანეს, მაგრამ უკანდახევისას, ეტყობა, გზა აერიათ. ლელიანში კარგახანს იხეტიალეს, სანამ დომუზაშვილს იპოვნინდნენ. ამასობაში კიდევ ინათა, მტერმა ქართველების კვალს ადვილად მიაგნო და მთელი ათეული დაადევნა.

ჩვენებმა მოასწრეს ნავში ჩახსენება. გერმანელები სწორედ იმ დროს გამოვიდნენ შლიგინდენ ლელიანიდან, ზარდაცხად დომუზაშვილის ნავი უკვე სამშვიდობოს გავიდა. თუმცა რაღაც სამშვიდობოს! გამოღმა გამოსულ ქართველებს მტერმა გაშიშვლებულ რიყეზე მოუსწრო და ტყვია დააყარა. ჯარისკაცები სწრაფად გაიფანტნენ და წინასწარ გათხრილ სანგრებს შეეხიზნენ. მხოლოდ დომუზაშვილმა ვერ მოასწრო თავის შეფარება, რადგან ყველაზე ბოლოს ნავიდან ის გადახტა. მაშინვე ორივე ფეხში დაიჭრა და ამხანაგებს ჩამორჩა.

ფეხებწართმეულმა მესანგრემ ბევრი იწვალა და იცოდვილა, იქნებ რამენაირად სანგართან მივხობდეთ. იქ ამხანაგები ჭრილობებს შეუხვევდნენ და უპატრონებდნენ; არაფერი გამოუვიდა. მალე იდაყვები გამოეცალა და მიწას უღონოდ გაეკრა.

გიორგი ჭეიშვილმა თვალი მოატანა რიყეზე დამხობილ დომუზაშვილს.

მან თუ არა, სხვამ ვინ იცოდა, რომ ახლა სანგრიდან ამოსვლა სიკვდილს უდრიდა. მაგრამ ჭეიშვილმა ისიც იცოდა, ასეთი კარგი და თავდადებული ამხანაგის მიტოვება არ შეიძლებოდა. იგი დაჭრილი იყო და სისხლისაგან იცლებოდა.

ასეთ შემთხვევაში გული და სინდისი ჭკუის ანგარიშს ყურს არ უგდებს.

ჭეიშვილი დაუყოვნებლივ ამოცურდა სანგრიდან. ამხანაგებს დაუბარა, თქვენ თოფები დაუშინეთ იმ ოხრებს, რომ თავი ვერ წამოსწიონ და ნიშანში ვერ ამოძიონ, მე კი ვეცდები რამე გააწყვილო...

დაჭრილთან რომ მოხობდა, ის უკვე უმწეოდ ბლოტავდა მიწას. დასისხლიანებულ ფრჩხილებზე ეტყობოდა, სული ეგრე ადვილად არ ეთმობოდა.

გერმანელებმა ლელიანიდან ტყვიამფრქვევი გამოაგორეს და ისე გავარცხნეს ჩვენი ნაპირი, რიყის ქვებს სულ ტკაპატკუპი გაუდიოდა. საბედნიეროდ, ალალებზე ისროდნენ, დამიზნებას ვერ ახერხებდნენ. ჭეიშვილმა ამით



ისარგებლა და მესანგრეს ფეხები შეუხვია, მერე მისი მკლავები კისერზე შემოქლო და უთხრა: — ხელი არ გამიშვა, ბიჭო, მაგრად იყავი! — წამოიკიდა ზურგზე და მძიმე-მძიმედ სანგრისაკენ იბრუნა პირი.

დიდი ვაკირვებით მიხობავდა. ნარჩალი ადგილი არავითარ შეღავათს არ აძლევდა, ქვა ხელიდან უსხლტებოდა, ძალას ველარაფერს ატანდა. მაინც მიიწვედა წინ; იგი უკვე ხედავდა სანგრის ქეროს... იცოდა, რასაც აკეთებდა და ეს მატებდა მხნეობას.

ომი კი, ეს დასაქცევი ომი, მუდამ თავისი უკუღმართი გზით დადის. მისთვის სულ ერთია გზაზე ვინ გადაეყრება, — ქაჯი თუ ანგელოზი, გმირი თუ ლაჩარი... მას ყველასთან ერთი ანგარიში აქვს: წაგვართვას ის, რისი დაბრუნება ქვეყანაზე არავის შეუძლია. წაგვართვას იმ დროს, როდესაც ჩვენ არაჩვეულებრივად კარგები და ლამაზები ვართ...

ტყვია ფერდში მოხვდა გიორგი ჭეიშვილს. ის მაინც არ შეჩერდა, თუმცა

ჭრილობას მიხედვა კი უნდოდა. როგორ დამრჩაო, ალბათ ეს იფიქრა და მხეხვდა განაგრძო.

უცბად დომუზაშვილი საოცრად დამძიმდა; ჭეიშვილს სული შეუფუბდა, თითქოს ზურგზე ვეება ლოდი დააწვაო. იგი მიხვდა მესანგრემ გრძნობა დაკარგა. მაშინ კი აჩქარდა გიორგი ჭეიშვილი. თუ აქამდე კიდევ ებრალებოდა თავისი დაბეგვილი იდაყუები და მუხლები, ახლა ისე გარეკა წინ, ტკივილი ბურღივით დაუტრიალდა გულმუცელში.

ასე მიხობდა ცოცხალ-მკვდარი ჯარისკაცი თავის სანგართან და მხოლოდ მაშინ მოითქვა სული... მაგრამ ეს მისი უკანასკნელი სულისთქმა იყო.

როდესაც მისი ზურგიდან გონმიხდილი მესანგრე გადმოიღეს, გიორგი ჭეიშვილი უკვე აღარ სუნთქავდა.

ასე რაინდულად გასწირა თავი ერთმა ალაღმა ქართველმა ბიჭმა, გასწირა იმიტომ, რომ გადაერჩინა ის, ვისაც ყველა სახელში ყველაზე ძვირფასი და წმინდა სახელი ერქვა: ა მ ხ ა ნ ა გ ი.

ქიტიაშვილის ხოხობი

გაზეთი „იზვესტია“
1944 წ. 5 აპრილი

სერჟანტი ალექსანდრე ქიტიაშვილი დაღესტანში გავიცანი, სადაც იმხანად ქართული დივიზიის ნაწილები იყვნენ დაბანაკებულნი. ქიტიაშვილი მაშინ უკვე ბრძოლაში ნამყოფი კაცი იყო, ჰოსპიტლიდან რომ გამოეწერა, ქართულ დივიზიაში მოხვდა.

ჩემი უბის წიგნაკს დღემდე შემორჩა მაშინდელი ჩანაწერი:

ალექსანდრე ქიტიაშვილი — კახელი, შესახედავად კარგი ბიჭია. ცოტა ენას უკიდებს, თითქოს ლაპარაკი ეზარება. საერთოდ ზანტი და გულჩათხრობილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მა-

იორმა ლეო ჩიქვინიძემ მითხრა, ამ კაცის სიზანტე არ დაიჭრო, კახელს სულ არა ჰგავს, ისეთი ფიცხი და მოუსვენარი ბიჭი არისო.

— მაშ ახლა რა დაემართა?
— კარგი მეგობარი დაკარგა. ჩემი ბრალიაო, ამბობს.

გამოკითხო ქიტიაშვილს ეს ამბავი. ვკითხო აგრეთვე, რატომ ეძახის ხოხობს თავის ტყვიამფრქვევს.

გათენებისას სროლა შეწყდა. მთელი ღამის უძინარმა ქიტიაშვილმა უბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო, ზედ ნახევარი მუჭი მსხვილად დაჭრი-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
...არ ეღალატავის

ლი თამბაქო დააყარა და დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევის მასრა თუ გინახავთ, სწორედ იმოდენა ციგარკა შეახვია.

ერთი თავი კარგად ჩაუკეცა, რომ თამბაქო არ დაეფანტა და ციგარკა პირში ჩაიდო. ცეცხლი არ მოუკიდა, მხოლოდ რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა თამბაქოს სუნი და სიამოვნებისაგან თვალებიც კი დახუჭა.

ამ საფარში ღამით კიდევ შეიძლება პაპიროსის მოწვევა, — მალულად, შინელის სახელოში. გათენებულში კი — ღმერთმა დაგიფაროს!

ახლა ისეთი კამკამა დილა დასდგო-მია ამ გადახრუკულ ნაწვერალს, ბოლი კი არა, ერთი მაგარი დახველება და — ქიტიაშვილის საიდუმლო ადგილი შეიძლება ცეცხლის ალში გაეხვიოს. ჩვენმა მეთვალყურემ მეტისმეტად ახლო დაიდო ბინა გერმანელთა სანგრებთან.

მაინც რანაირი შავი კვამლი იცის აქაურმა თამბაქომ. ისე ხრჩოლავს, თითქოს ნედლი თხმელის მუგუზალი იყოს.

რა თქმა უნდა, ის ახლა ციგარკას ცეცხლს არ მოუკიდებს, მხოლოდ ცოტახნით პირში დაიჭერს, რომ წადილი მოიკლას.

ქერჩის შემდეგ ქიტიაშვილს დღეში ერთი ქისა თამბაქო არა ჰყოფნის... თუ ხელი თავისუფალი აქვს, თითები თავისთავად მიძვრებიან უბისაყენ, რომ ქისა ამოიღონ და პაპიროსი შეახვიონ.

ჩავივარდება გულმუცელში ეს მათრობელა ბოლი და კაცი მაშინვე გამოიცივლები: გონება დაგილაგდება, გულისყური მოგემატება, დაწყნარდები...

დაწყნარება კი აუცილებელია; მეტადრე ახლა, როდესაც იგი უბრალო თვალთაც კარგად ხედავს ფერდობზე შეფენილ გერმანელებს.

ეს პატარა ბინოკლი კი პირდაპირ შეგაშინებს, ისე ახლო მოიყვანს შენთან, შენი ჩასაფრების ადგილთან, აგერ იმ გერმანელს, ხის ძირში ხელ-პირს რომ იბანს, ან კიდევ ამ წითურ სალდათს, ვეება თერმოსში მდულარე წყალს რომ

ასხამს. ორთქლი მკაფიოდ მოსწონს თერმოსის თავზე.

ამ ბოლო დროს გერმანელებმა მეტად გულარხეინად კი არიან. იქნებ ჰგონიათ, ომი უკვე მოიგეს, ხვალ-ზეგ ამ უღელტეხილსაც გადაივლიან და ყველაფერი გათავებული იქნება.

ასე რომ ფიქრობენ, ეს ყველაფერზე ეტყობათ. აი თუნდაც დღევანდელი დილა: რა მშვიდად, შინაურულად ფუსფუსებენ ფერდობზე. არც ცეცხლის დანთებას მოერიდნენ, არც ის მსუბუქი მანქანა შენიღბეს, ამომავალ მზეზე საოცრად რომ უბრწყინავს საქარე მინა. ისე იქცევიან, თითქოს ცეცხლის ხაზზე კი არა, სადმე პიენიკზე იყვნენ მდინარის პირას.

„სროლა ამიკრძაღეს, თორემ ამათ კი დავუფეთებდი ანგელოზებს, მაგრამ რაც არ შეიძლება, არ შეიძლება!“

ის ახლა მხოლოდ მეთვალყურეა, უძრავი და უძრახველი მეთვალყურე... თვალი არ უნდა მოაშოროს ფერდობის ძირში დახვეულ გზას. ჯარი ჩაივლის, მანქანა ჩაივლის — ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეთათურს. ქიტიაშვილს სხვა არაფერი ეკითხება. გენერალიც რომ დაინახოს, ხელს ვერ გამოიღებს. ჩუმად უნდა იყოს, რომ დიდი წვალებით ნაპოვნი საფარი არ განიღბოს.

ამ ფიქრში იყო ალექსანდრე ქიტიაშვილი, რომ უცბად მისი ყურადღება ბოლქვა-ბოლქვად ავარდნილმა მტვერმა მიიპყრო... მტვერი თოკივით გაება ყანის დაყოლებაზე. აშკარა იყო, გზაზე მანქანა მიდიოდა.

ცარიელია თუ ჯარისკაცები მიჰყავს? ქიტიაშვილმა ბინოკლს ხელი დაავლო და სანგრის კედელზე ამოჭრილ საფეხურზე შედგა. აქედან თვალს მეტი სარბიელი ჰქონდა. ფერდობის ძირში სამი სატვირთო მანქანა მიჰქროდა. ოღროზოღრო გზაზე მანქანები სასტიკად ინჯღრეოდნენ. ქიტიაშვილმა დაინახა, როგორ ეხეთქებოდნენ ერთმანეთს ძარაში მსხდომი ჯარისკაცები.

„ძალიან ჩქარობენ! ასეთი რა გაუ-

ჭირდათ, რომ ყირამალა გადადიან ამ დამტვრეულ გზაზე! ქვეყანაზე ტყუილად არაფერი ხდება“ — გაიფიქრა ქიტიაშვილმა. პლანშეტიდან პატარა რუკა ამოიღო და ტელეფონის აპარატს მიუჯდა.

ყურმილი ცივი სიჩუმით შეხვდა ქიტიაშვილის სიგნალს. რამდენი არ ეწვავლა, ტელეფონს ხმა ვერ ამოაღებინა. ქიტიაშვილი მიხვდა, სადღაც მავთული იყო გაწყვეტილი. ბევრი აღარ უფიქრია, გოგია დოლაბერიძე გააღვიძა და უთხრა, შენ აქაურობას მიხედე, მე კი სასწრაფოდ ხაზი უნდა აღვადგინო, თორემ ოცეულში აღარ მიმესვლებაო. ეს ორი მეგობარი სამი დღის წინათ შეეხიზნენ ამ საფარს, ხაზი კარგად მუშაობდა, კაპიტანი ამირიძე მადლობას უთვლიდა მეთვალყურეებს. მამ ახლარა შავი ცეცხლი წაეკიდა ამ სატიალეს!

ვინ-ვინ, მაგრამ ქიტიაშვილმა და დოლაბერიძემ კი იცოდნენ, ვაი რა ძნელი საქმე იყო ახლა საფარიდან ამოსვლა და გაწყვეტილი მავთულის მოძებნა-შეკეთება. ასე დღისით-მზისით.

ასეთ რამეს ბნელი ღამე სჭირდება და არა ამისთანა კამკამა დილა და გადახრუკული ნაწვერალი.

ნაწვერალი კიდევ ჯანდაბას, — იქ ალაგ-ალაგ ნაძვისა და ჩალა-ბულას თაიები მაინც დგანან, ამ პირობებში კაცი რამეს მოახერხებს... მაგრამ თუ მავთული სხვაგან არის გაწყვეტილი, მაშინ მითირე, ჩემო ძმაო! ხევზე რომ გადახვიდე, უჩინმაჩინის ქული უნდა გეხუროს. იქ თავიცი კი არ დარჩება შეუმჩნეველი გერმანელ სნაიპერს.

კვირაზე მეტია, ამ უბანზე ცეცხლი შეწყდა, სიწყნარეა. მტერი, ეტყობა, ძალას იკრებს, ახალი შეტევის თადარიგს იჭერს. სწორედ ასეთ დროს არიან საშიში გერმანელი სნაიპერები. დილიდან საღამომდე ხეებზე, სახურავებზე, მდლობებზე ყურყუტებენ... ვისაც მათი სამიზნე გამოიჭერს, სიცოცხლე აღარ უწერია. მათთვის სულ ერთია, ვინც იქნება — ბავშვი თუ წითელარმიელი, ქალი თუ ბერიკაცი. ოღონდაც

ვინმე იყოს. სათვალავს ხომ მიემატება! სანამ არ დაღამდება, საფრიდან ანოსვლა არ შეიძლება, — ეს იცოდნენ მისი გობრებმა, მაგრამ უკანდახევა და მოვალეობის არშესრულება — ეს უფრო შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა ქიტიაშვილსა და დოლაბერიძეს.

— მე უკვე გამოვიძინე, დავისვენე. ჩემი წასვლა აჯობებს. — სთქვა დოლაბერიძემ.

ქიტიაშვილი დაეთანხმა. თვითონვე გაუკვირდა, რომ ასე უტბად, უყოყმანოდ გადაწყვიტა მისი გაშვება.

დოლაბერიძე წავიდა. მარტო დარჩენილი სერჟანტი კარგახანს ადევნებდა თვალს ნაწვერალში გართხმულ მეგობარს, და როდესაც იგი ქარისაგან გაწეწილ ნამკაში მიიშალა, ქიტიაშვილი ისევ ტელეფონის აპარატს მიუჯდა.

უაღრესად დამაბულ ლოდინში საათნახევარი გავიდა. უეცრად ტელეფონის ყურმილში ნაცნობი ჩხაკუნი გაისმა.

„ა, ღმერთო!“ — აღმოხდა უზომოდ გახარებულ ქიტიაშვილს, თვალისწამში მეთაური გამოიძახა, მოახსენა რაც საჭირო იყო. მერე ისევ დაიწყო სულისამომხდელი ლოდინი. დოლაბერიძე არ ჩანდა.

გზაზე კი მანქანები თანდათან გახშირდნენ.

ჩაიხრივინა თვითმავალმა ქვემეხმა. აგერ ფერდობიდან ძუნძულით დაეშვნენ მუზარადიანი ჯარისკაცები და ხეობაში მიიშალნენ.

„ისე გათამამდნენ, ჯარი დღისით გადაჰყავთ ახალ პოზიციაზე!“

ქიტიაშვილი ტელეფონს ვეღარ შორდება. ცნობას ცნობაზე აწვდის მეთაურს, თან ეკითხება, დოლაბერიძე ხომ არ გამოჩენილაო. მეთაურმა უკვე იცის მათი ამბავი. ქიტიაშვილს გული ჩასწყდება, „არას“ რომ გაიგონებს, თუმცა იმედი ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია. დოლაბერიძე გამოცდილი მებრძოლია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
...არ მალაბაზის

ალბათ სადმე თავი შეაფარა და მზის ჩასვლას უცდის. რა თქმა უნდა, დაღამებულში ურჩევნია დაბრუნება. ბედმა ერთხელ გაუმართლა, მეორედ კი ვინ იცის... ომს არ უყვარს ალაღბედზე სიარული.

ფერდობიდან კანტიკენტად მოდის სროლის ხმა. „ვאי თუ გოგია შეამჩინეს!“ — გაიღვლებს ფიქრი. თუმცა რა სისულელეა, სანამ დოლაბერიძე წავიდოდა, იქიდან სროლა უკვე ისმოდა.

არ დაბრუნდა დოლაბერიძე არც დაღამებამდე და არც მერე, შავი მელნისფერი ღამე რომ ჩამოწვა გადაბრუკულ მინდორზე...

ნაშუალამევს პატარა ხევის პირას იგი მკვდარი იპოვნა ალექსანდრე ქიტიაშვილმა. სნაიპერის ტყვია თავში მოხვედრია დოლაბერიძეს. მავთული რომ გადააბა, მერე ეტყობა ხევში უნდოდა დამალვა, მაგრამ არ დასცალდაო, დაასრულა სიტყვა ქიტიაშვილმა და თავი ჩაჰკიდა.

— ჩემი ბრალია, არ უნდა გამეშვა! — რამდენჯერმე გაიმეორა მან.

ალარ ჩაკვითხე, ასე მწარედ რატომ ადანაშაულებდა თავის თავს. მაშინვე ვაგრძენი, მისი წუხილის მიზეზი არა მართო ის იყო, რომ კარგი მეგობარი მოუკლეს... ქიტიაშვილს სხვა ფიქრი და ეჭვი უფორიაქებდა გულს: „რატომ გადავიფიქრე და მავთულის გადასაბმელად მე არ წავედი, რატომ დავეთანხმე დოლაბერიძეს... ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ის გამოძინებული იყო?! არა მგონია“.

ეს ეჭვი აწვალებდა ქიტიაშვილს. მაგრამ, ღმერთია მოწამე, — იგი ცილს სწამებდა საკუთარ თავს. არც მანამდე და არც შემდეგ ქიტიაშვილს ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ მისი ეჭვი ოდნავ მაინც მართალი ყოფილიყო.

...რატომ ვეძახი ხოხობს? რა ვიცი. თავის იარაღს ყველა რაღაცას ეძახის.

ამის შემდეგ ქიტიაშვილს მე არსად შეეხვედრებოდა, თუმცა მისმა სახელმა

ერთხელ კიდევ შეაწრიალა ჩემს სულს. მე მაშინ უკვე ქართული დივიზიის გაზეთში ვმუშაობდი. ერთხელ კვლავ გაზეთის რედაქტორმა არჩილ კოკილაშვილმა ბატალიონში გამგზავნა — უტაშთან მომხდარ ბრძოლაზე ნარკვევი უნდა დამეწერა. ეს ამბავი იქ მომიყვა ქიტიაშვილის ამხანაგმა.

მეთევზეთა სოფელი კალაბატკა აზოვის ზღვასთან მდებარეობს. ქართველ ჯარისკაცს არ უყვარს ამ სოფლის ვახსენება. კალაბატკამ ბევრა სიცოცხლე შეიწირა, ბევრი ჭრილობა მიიყენა ქართულ დივიზიას. ზოგი რამ ჩვენი უთაურობის გამო მოხდა, ზოგიც იმიტომ, რომ მტერმა ამ უბანს დიდძალი ტექნიკა მიაშველა.

თებერვალში ეს ძნელი ბრძოლა დამთავრდა. ჩვენებმა კალაბატკა დაიკავეს და იმ ღამეს სოფელში დაბანაკდნენ დაღლილი, ნაომარი ჯარისკაცები.

მერე რა მოხდა, გარკვევით ვერავინ მოთხრა.

ერთნი ამბობდნენ, გუშაგებს ჩაეძინათ და შტაბის გაფრთხილება ვერ მოასწრესო. მეორენი კი იმლაშინდელ ამბავს მტრის დივერსიას მიაწერდნენ, გუშაგები ჩუმად დახოცეს და მძინარე სოფელს თავს დაატყდნენო.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამ უდავოა: ოცდაორ თებერვალს, გათენებისას, მრავალდღიან ბრძოლაში განახევრებულ ბატალიონს თვრამეტი ტანკი და მათი თანმხლები გერმანელი ჯარისკაცები შემოეწყყვენ. იერიში იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჩვენმა ზოგიერთმა ათეულმა საომარ პოზიციაზე გამაგრებაც კი ვერ მოასწრო.

მე ახლა არ ვაპირებ, ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის სურათი დავხატო. მინდა მხოლოდ ვუაპზო მკითხველს, რა გააკეთა ალექსანდრე ქიტიაშვილმა იმ დიდი განსაცდელის დროს.

ისა და მისი ძმადნაფიცი მებრძოლი. ვახნების მიმწოდებელი გერვასი ცხოვრებაზე იმ დღეს გაუთენებელში წამოდგნენ და სოფლის თავში ტყვიამფრქ-

ვევის საცეცხლე ბუდის მოწყობას შეუდგნენ.

ისინი ჯერ კიდევ სანგარს თხრიდნენ, დილის ბინდბუნდში ტანკების გრუხუნი რომ გაიგონეს, გრუხუნი სიმინდის ყანასავით ავარდნილ ფშანებიდან ისმოდა.

ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. რა თქმა უნდა, ვერ დაიჯერეს, რომ ეს ფაშისტების ტანკები იყვნენ.

ნუთუ საბრძოლო დაცვის რაზმებმა და საგულშაგოებმა ასე თავისუფლად გამოატარეს მტერი მძინარე სოფლისაკენ? გრუხუნი თანდათან მოახლოვდა. მკაფიოდ გამოირჩეოდა მუხლუხების ღრუჭუნი.

ქიტიაშვილმა მინდორს გაჰხედა. პირდაპირ მათკენ, მათი დაუმთავრებელი პოზიციისაკენ, ხუთი ტანკი მოისწრაფვოდა. ჯიქურ მოდიოდნენ, რომ სოფელი შუაზე გაეპოთ და ჩვენი ქვეგანყოფილები ერთმანეთისაგან მოეწყვიტათ სადღაც ხელმარცხნივ, არხის გადაღმა. უკვე ისმოდა სროლა და ყვირილი.

ამ ღროს ქიტიაშვილის სანგართან დაფეთებული მოვარდა მსროლელი ლაფაური.

— ბიჭებო, — სთქვა მან: — აქ ეს ტანკები ტყუილ-უბრალოდ გავგსრესენ! წავიდეთ, უკეთესი ადგილი მოვძებნოთ.

მისი რჩევა ჰკუთხათან ახლო იყო. გრანატები და ჯავშანმჭკრელი ვაზნები გუშინ გაუთავდა ქიტიაშვილს. ახალი მარაგი ამ დილით უნდა მოეტანათ. ამიტომ ახლა ამ მოუწყობელ პოზიციაზე დარჩენა არ იყო აუცილებელი. უფრო საიმედო, მოხერხებული ადგილი უნდა იპოვნონ, რომ ტანკებთან რაიმე გააწყონ. მართალია, უბრალო ვაზნებით ჯავშანს ვერაფერს დააკლებენ, მაგრამ იქნებ ერთი-ორი ილბლიანი ტყვია ტანკის სამზერ ჰუჭურუტანაში შეიჭრას! ამით პატარა საქმე კი არ გაკეთდება...

სამივენი ხელად მოემზადნენ ადგილის გამოსაცვლელად. ლაფაურმა ვაზნების ყუთი წამოიკიდა, ქიტიაშვილმა და ცხოვრებაძემ ტყვიამფრქვევს დაავლეს ხელი.

— მოიცა! — დაიძახა ქიტიაშვილმა — შეხედეთ!

ტანკებს კვალდაკვალ მსროლენი რისკაცები მოსდევდნენ. ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ. არ ისროდნენ, არც ყვიროდნენ. ჩუმად მოძუნძულდნენ ტალახიან მინდორზე. ხან ტანკებს ამოევარებოდნენ, ხან ისევ მათ გვერდით გამოიშლებოდნენ.

— რა ვქნათ? — ჰკითხა ქიტიაშვილმა ვაზნების მიმწოდებელს.

— თქვენ რაც გინდათ, ისა ჰქენით, მე კი ჩემს ოცეულს უნდა შევეუერთდე! — დაასწრო პასუხი ლაფაურმა.

ცხოვრებაძემ კი სთქვა:

— უნდა დავრჩეთ. რაც იქნება იქნება. ამათ მაინც ვუტირებთ დედას!

— აბა, ჩემო ლამაზო ხობობო, შევეუდგეთ საქმეს! — სთქვა ქიტიაშვილმა და ტყვიამფრქვევი გამართა.

ლაფაური წავიდა.

ამ წუთიდან მოკიდებული ბრძოლის დამთავრებამდე, ეს ორი კაცი ცოცხალი არავის უნახავს. როგორ იბრძოდნენ. როგორ დაიხოცნენ... როგორ უჭირდათ ამ დაუმთავრებელ სანგარში დარჩენა და მაინც დარჩენენ! არა ჰყავს მოწმე მათი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს.

შუადღისას ეს ავადმოსაგონარი სოფელი ისევ ჩვენებმა დაიკავეს. ნაომარი ადგილები რომ მოიარეს, ქიტიაშვილის სანგარის ახლომახლო ორმოცდაოთხი მოკლული და სამი დაჭრილი გერმანელი იპოვნეს. სწორედ ამ დაჭრილებმა უამბეს ბატალიონის მეთაურს: „ჩვენ კინაღამ ჰკუთხე შევიშალეთ, ტანკების უკან ესენი რომ გამოგვიტყდნენო. იერიში ჩაგვეშალა, მიწაზე დავწექით და მთელი საათი ამ ერთ ტყვიამფრქვევს ვებრძოდითო“.

დაჭრილები რომ დაჰკითხეს და ქიტიაშვილის სანგარიც შეისწავლეს, ცოტა თუ ბევრად მაინც აღადგინეს აქაური ბრძოლის სურათი.

ქიტიაშვილს ძალიან უბრალო და ამა-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

...არ მალაბაგინს

ვე დროს ძალიან გაბედული გზა აურ-
ჩევია: ვიდრე ტანკები მის პოზიციის
ზაზს არ გადალახავდნენ, ჩუმად ყოფი-
ლიყო; არც სროლით, არც რაიმე მოძ-
რაობით თავი არ უნდა გაემჟღავნებინა.
მერე კი, როდესაც ტანკები სანგარს გა-
სცდებოდნენ, ტყვიამფრქვევით სწრა-
ფად დარეოდა ტანკების უკან მომავალ
ფაშისტებს. ამით ის დიდ დახმარებას
გაუწევდა თავის ამხანაგებს, ახლა იქ,
სოფელში მტრის დასახვედრად რომ
ემზადებოდნენ. უჯაროდ დარჩენილ
ტანკებს ხალხი ადვილად გაუშკლავდებოდა.

სანგარის პირს მუხლუხის ნაკვალევა
აჩნდა. ეტყობა, ერთმა ტანკმა თავზე
გადაუარა დაუმთავრებელ ბუდეს. ამას
გაძლება არ უნდოდა!

როგორ მოითმინეს და ზეზე არ წა-
მოვარდნენ ბიჭები, ეს თორმეტტონიანი
ფოლადის ვეშაპი ამ საცოდავ სან-
გარს რომ მიაღგა.

ალბათ როგორ დააკვდნენ მიწას ქი-
ტიაშვილი და ცხოვრებაძე, წამიერად
სანგარში რომ ჩამოხვედნენ. საშინელი
გრიალ-ღრჭიალი ქვეყნის დაქცევასავით

დაატყდებოდა თავს პირქვე ^{დამხრბოლ}
მებრძოლებს.

მაგრამ ყველაფერი კარგად ^{დამთავრ-}
და. ქვიანმა ნიადაგმა ტანკის სიმძიმეს
გაუძლო. მხოლოდ ერთგან ჩამოიქცა
მიწა, რკინის მუხლუხი ბეწვზე ასცილ-
და ქიტიაშვილსა და ცხოვრებაძეს. მა-
შინ კი დაიძახებდა კახელი ბიჭი, აბა
ჩემო ხოხობო, ახლა კი მიშველე, შენ
გენაცვალეო...

ქიტიაშვილი და ცხოვრებაძე თავით
ფეხამდე ტყვიით იყვნენ დაცხრილულ-
ნი. ბატალიონის მეთაური ჯერ გააოცა
ამ ამბავმა. სანგარში ჩამჯდარ ჯარის-
კაცს ტერფზე ან წვივზე ტყვია საიდან
უნდა მოხვედროდა! მერე კი მიხვდა, —
ისინი უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ,
როდესაც მათი შეუპოვრობით გაავე-
ბულმა ფაშისტებმა ერთხელ კიდევ და-
აყარეს ტყვია საბჭოთა არმიელებს.

დათვალეს ტყვიამფრქვევთან მიმო-
ფანტული ცარიელი ვაზნები. შვიდასი
დახარჯული ვაზნა, როგორც შვიდასი
რკინის ყვავილი ამკობდა ძმადნაფიცე-
ბის ღია საფლავს.



საღმადმობრო

ტ ა რ ა ხ ი ნ ა

ტურების მკვიდრი საბინადრო ბარია. მომთაბარეობა ჭიშად არ მოსდგამთ, მაგრამ ბარშიც ყველგან არ უყვართ ყოფნა. ხშირ, დაბურულ ტყეში ფეხს არასოდეს შესდგამენ — უფრო ქალის პირებსა და სოფლის ახლომახლო ბუჩქნარიან ღელეებსა და წარაფებს ეტანებიან. ასეთ ადგილებში ბევრია თავი, ხელოკი, ლოკოკინა, მიწაზე მგოგავ ფრინველთა კვარცხები და დაუბუმბლავი ბარტყები. გარდა ამისა, აქ ბლომად იშოვნება ველის ათასგვარი ხილ-კენკრა და, ტურასაც მეტი არაფერი უნდა. თუმცა, როგორ არა, — დამლამობით ზოგჯერ სოფლის საქათმეებსაც ეწვევიან ხოლმე. ქურდობასა და მოხერხებაში ტურას თვით ეშმაკობით საქვეყნოდ განთქმული მელაც ვერ შეედრება. ისეთი გაიძვერა, ხშირად კაცსაც არ ერიდება, მით უფრო თუ დაინებულს წაასწრო, ისე ააცლის თავიდან ქედს და დახდას ფეხსაცმელს, წამწამსაც არ შეურხევს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოავდო.

ტურას არც იმდენი მტერი ჰყავს: ვის რაში უნდა, ტყავი არ უფარგა და ხორცი; მონადირეები და მტაცებელი ნადირი ისერივად არ ეტანებიან. ამ მხრივ ტურების ყოფა ტყის სხვა ბინადართა ყოფას ბევრით სჯობს: უფრო ადვილად მრავლდებიან — იჩენენ შთამომავლობას და ზამთარ-ზაფხულ დროს უზრუნველად ატარებენ. მაგრამ ყოველთვის კი არა — ზოგჯერ ტურებსაც დაუდგებათ ვასპირი. ეს მაშინ, როცა ხევირელად ჩამოთოვს და თავის სოროებსა და ძირსდაცვილ პანტა-მაქალს თოვლის სქელი ფენა დაედება. უჭირთ ასეთ დროს საწყალ ტურიკოებს, საკბილო აღარაფერი რჩებათ და უჭირთ. დამშუტლები, ბალანშლილები და აკანკალებულები ბუჩქის ძირებში დაუცვლებიან, თავთავიანთ სოროებთან, ცხვი-

რებს მალა ასწევენ და მთელ დამეს ხმათუარეულად კნავიან:

— ნაუუ! ნაე-ნაე, ნაუა!

სწორედ ასე დაემართათ წელსაც — აი, მარტვი დიდი თოვლი რომ მოვიდა, მაშინ. დაიმშენ და კნავილით გამოაყრუეს ბუჩქნარიანი წარაფები. უჭმელ-უხმელეებმა ორი დღე და დამე შეუსვენებლივ იბრინეს აღმა-დაღმა, ისუნსულეს, მაგრამ სასუსნავს ვერაფერს მიიგნეს. შიმშილმა ბოლოს ერთად შეყარა. ქანცაწვეტილები სოფლისპირა სერზე შეგროვდნენ, კედებზე დაყუცდნენ და ბუობა გამართეს, რა ვიღონოთ, როგორ დავაღწიოთ თავი შიმშილსო.

ზოგმა ეს თქვა, ზოგმა — ის და ჯერი ყველაზე ახალგაზრდა, წაბლა ტურაზე, ტარახინაზე მიდგა. ტარახინა ერთი უშნო ბღენძია და ბაქიბუქა ვინმე იყო. ყველას ედიდგულეობდა, უფროს-უმცროსობა არ იცოდა, თავი მჯობზე მჯობი ეგონა. თავისიანებს ყოველთვის აგდებულად უყურებდა და ზოგჯერ პასუხსაც არ აღარებდა. ახლაც, შეეკითხნენ თუ არა ტურები, შენ რაღას გვირჩევო, მაშინვე გაიფხორა, თავი გვერდზე წაიღო და მზერა ერთ წერტილს გაუშტერა, თითქოსდა, შემომხედეთ, როგორი დინჯი და აუჩქარებელი განსჯა მიყვარსო. დიდხანს იყო ასე გაქვევებულივით, მერე მარჯვენა თათი ნელ-ნელა მალა ასწია და, მოდიოთ სოფელს შეევისოთ, დავიტაკოთ ჭათამ-ინდაური და მსუქან ბატებს მუსირი გაეავლოთ.

ჭათამ-ინდაურისა და მსუქანი ბატების ხსენებაზე ტურებს პირწყალი მოადგათ, კბილები ააკაწაწეს, წამოიშალნენ და სულწასულად აწკაფვავდნენ:

— ინდაურები! ბატები! რა კარგია!... დავბოკოთ, იმდენი დავიტაკოთ, ხვალ და ზეგაც გვეყოს!

ის იყო, საღერდელაშლილი ტურები სოფლი-

საყენ უნდა დაძრულიყვენენ, რომ უტბათ ბებერი ტურის, ბუკას ხრინწიანი ხმა გაისმა:

— გონს მოდიო, ხალხნო! — მიმართა ბუკამ ხროვას, — ყველა ტრაბახასა და ბაქიას კი არ უნდა აყვეთ! საღ ვაგონილა, ტურებს სოფელი აეკლოთ?! იქ ისეთი კბილბასარა ნავაზები წვაინა, რომ მგლებსაც კი თავზარს სცემენ და ჩვენ მათთან რას ვავხდებით! ჩუმაღ, მიპარვით თუ რამეს ვაპყრავთ კბილს, კიდეც ჰო, თორემ, ასე ხელაღებით თავდასხმა ჩვენი საქმე არ არის! არა, ძმებო და შევიღებო, მე ამას ვერ მოგაფრინებთ და თქვენც გამიგონეთ, თავს ნუ დაიღუპათე..

ბუკა ხროვის მეთაური იყო. იგი სხვებზე ხნთიაც დიდი იყო და გამოცდილებითაც. ტურები ყოველთვის უჭერებდნენ და საქმეც კარგად მისდიოდათ. თუმცა ამჟერად უფრო ნავაზების ხსენებამ ჩააჩუმა: თვალწინ წამოუდგათ კბილბაღისილი ბოთვერები, ბოდრიები, ასარბასარები და, ტანში ყველას ცივმა ყრუნბტელმა დაუარა. ისევე კულებზე დაყუნცდნენ და ყურები ჩაოყარეს.

ტრაახინას უზომოდ სძულდა ბუკა: ტურები მის რჩევას ისმენდნენ და ტრაახინას კი ყურს არ უგდებდნენ. ტრაახინა სულ იმის ცდაში იყო, რაღაც ისეთი გაეკეთებინა, უცნაური და უჩვეულო, რომ ბუკასათვის ეგონა და ხროვა თავის მხარეზე გადმოებრებინა. სოფელზე თავდასხმაც ამიტომ მოგონა, მაგრამ ახლაც ჩვეულებრივ დამარცხდა — ბუკას ერთმა სიტყვამ აშლილი ტურები ისევ უკან დააბრუნა. ტრაახინა ხედავდა, რომ ეს კარგად წამოწყებული საქმეც კვლავ ხელიდან მისდიოდა, და ბრაზით სკდებოდა. თანაც ბუკამ საქვეყნოდ ტრაახინა და ბაქიბუკა უწოდა და ამან ხომ მთლად ცეცხლი მოუკიდა — კუდლამწკარივით წამოხტა, პატარა გორაკზე შედგა და ხროვას დამტკბარი ხმით გადმოსძახა: — არ დაუჭეროთ, ძმებო, მაგ ვადარბებულს! სიბერემ ჰკუთ გამოაცალა და აღარც ღონე მოსდევს. თუ გონიერულად და მხებრებებით ვიმოქმედებთ, სოფელი არც ისეთი ძნელი დასაძლევია, — და რომ უფრო გაემხნევებინა ტურები და თავისი რჩევაც უფრო სარწმუნო გაეხდა, ათასი, ზღაპრად ვაგონილი ამბავი გაიხსენა: ერთხელ თავგებს სპილო დაუმარცხებიათ, კოლო ლომს მორევიო... ვინ მოთვლის, კიდეც რა აღარ მოიგონა, — რა არიან ძაღლები ღომთან და სპილოსთან? — თქვა ბოლოს, — ბუზები არიან და მეტი არაფერი! ზოგი თუ გვაჭრებებს, ზოგს ჩვენოღენაც არ შეუძლია. თანაც ჩვენ მეტნი ვართ და ძალა და გამბედაობაც ხომ ერთობაშია! უტბად დავეცნეთ თავს დერეფანში მძინარე ძაღლებს და სულ კუდით ჰვა ვასროლინოთ, — ჩაიციან თავისივე სიტყვით გათამამებულმა ტრაახინამ, ბურუსში გახვეულ სოფელს იმედით ვახედა

— მომყევით, ძმებო! — დაიძახა ხმაშიც, — მე მომყევით, ტრაახინას, და პირს ინტერესსა და ბატის მსუქანი ხორციით ჩაავტავაზუნებინებთ.

მსუქანი ხორცის ხსენებამ ტურებს ისევ აუშალა საღერდელი, ტრაახინას ტრაბახამაც გაამხინჯა და ბუკას სიტყვის თქმა აღარ აცლდა. კბილები მსუნაგად ააქაქაწაწეს, — ვაგვიძიხი და მოგაყვებითო! — შესძახეს ტრაახინას და აიშალნენ.

— იყო ნება თქვენი, რაკი არ დაგიშლიათ, — თქვა ბუკამ წყევით, — მაგრამ რას ვწმინდებთ, იმასაც ვნახავ, — და ხროვას აედევნა. უმთვარო, ბურუსიანი ღამე იყო. ნიაგი არ იძვროდა და თოვლის ფიქვები ნელი ფარფარით ცვიოდა.

სოფელში ჩამიჩუმე არ ისმოდა, არც ძაღლი ყეფდა, არც მამალი ყიოდა: შუალამე გადასული იყო და ყველას ტკბილი ძილით ეცინა. თვითონ ტურებიც უჩუმრად და ვენახარევივით მიაბიჯებდნენ ფაფუც თოვლში, მაგრამ რა გამოეპარება ეზოს ნავაზების მახვილ ყურსა და დაგეშილ ყნოსვას. შედგეს თუ არა ტურებმა ფეხი ორლობეში, ძაღლებმაც ყურები ცქვიტება — სუნით იგრძნეს ქურდების მოახლოვება და ძილშივე აღრინდნენ. ასარამ პასარას ვასძახა, პასარამ — ბოთვერას მიაწვდინა ხმა, ბოთვერამ — ქედანას და გაავებული ყეფა-ღრენით ორლობეებში გამოიშალნენ.

ძაღლების ერთობლივმა ყეფა-გნისამა ტურებს თავზარის დაცვა: გასაქცევად იბრუნეს პირი. ტრაახინასაც დაავიწყდა წეღანდელი ბაქიბუკი და პირველმა თვითონვე მოყურებლა. მაგრამ აღუნთვარა ნავაზებისათვის თავის დაღწევა არც ისეთი ადვილი გამოდგა. იქვე, ორლობის ბოლოშივე წამოეწვენენ, ჩქიქურ შეიჭრნენ ხროვაში და ალესილი კბილები გაპყრეს-გამოპყრეს.

და ატყდა ერთი ალიაქოთი — ღრენა, ყეფა-კენტა, ღმუხილი და დაღვავი. თოვლის კორიანტელი ცაში ავარდა და ისედაც ბნელი ღამე უფრო დააბნელა. სოფლისპირა ველი სისხლის წვეთებითა და ბალნის ნაბუარით მოიფინა. ძაღლებს სოფელმაც ხმა მისცა — აქ ყივინი გაისმა, იქ — თოფმა იჭეკა და საცოდავ ტურებს მთლად თავგა აებნათ. ვინ საით გარბოდა, ველარ იგებდა. შიშმა თითქოს თვალზეც დაუბნელათ — ზოგი ხრამში გადავარდა თავდაყირა. ზოგი — ხეს შეასკდა, ზოგმა — წყალში მოადინა ტყაპანი და გალუმბულ-გაწუნულმა ნაპირს ძღვესდა გააღწია.

ასე დასრულდა ტურების ლაშქრობა სოფელზე. ძაღლებმა ერთხელ კიდეც გაპყეფეს ნიშნის მიგებით უზგო-უცვლოდ მიმოფანტულ მოლაშქრეებს და გამარჯვებულები ღრენითა და ტურების ლოკით უკან გაბრუნდნენ.

ნაცემ-ნაბეგვმა ტურებმა ის ღამე და მეორე დღეც ერთმანეთის ძებნას მოანდომეს — უკვილეს ერთიმეორეს, უღნავლეს და როგორც იქნა, მწუხრისას ისეც ერთად შეიყარნენ.

თითქმის ყველას ეტყობოდა წინაღამინდელი ნამუსრვევი: ზოგს კული აკლდა, ზოგს — ყური, ერთს ზურგი ჰქონდა გაღასერილი, სხვას — ცხვირზე ან ცისერზე აჩნდა ნაკბილიკები. ერთი სიტყვით, ტარახინას მეტი უნიშნოდ არც ერთი არ გადარჩენილიყო. ტარახებმა ხომ ასე იციან — ჭერ შარს ატეხენ და, საქმე რომ გაჭირდება, ამხანაგებს უსირცხვილოდ მიატოვენ-ბენ, თვითონ უვნებლად გადარჩებიან და ბრალსა იმათვე დასდებენ.

სწორედ ასე ქნა ტარახინამაც: იმის შვიგერ, რომ თანამომეტათვის ბოდიში მოეხადა, კვლავ ტარახას მოჰყვა და თვითონვე აიკლო საყვედურით: პირველი იმიტომ გამოვბრუნდი, ძალღლებისათვის გვერდიდან რომ დამეგლო და უფრო ხერხიანად შეებრძოლებოდიო. თქვენ კი სპმარცხეივოდ მოკურცხლეთ და ბრძოლის ველზე მარტოვად დამტოვეთო. თქვენც რომ ჩემსავით გეყოჩადო, ძალღებს უსათუოდ დავამარცხებდით და ახლა ლხინსა და ნადიმში ვიქნებოდითო.

წინა ღამეს ძალღებისაგან თავზარდაცემულ ტურებს ტარახინას ღალატისა არაფერი გაუვიდათ. ეს ბაქიობა ხალას სიმართლედ მიიჩნიეს და ძალიანაც შერცხვათ — ვაი, ეს რა მოგვევლიაო? — შემოირტყეს თავში და ტარახინას პატიება სთხოვეს, — ეს ერთი შეგვიწინდ და სხვა დროს აღარ შეგარცხვენო.

სიმართლე მხოლოდ ბუკამ იტოდა. იმ დამეს სოფლისაკენ მიმავალ ტურებს შორიასლო მისდევდა და რაც მოხდა, ყველაფერი კარგად დაინახა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ენახოთ, როდემდე გაიტანს თავს ტყუილითო, ფეჭრობდა გულში და ტარახინას ტარახებზე მწარედ ეცინებოდა.

ნათქვამია, მკეხარა მანამ არ მოისვენებს, სანამ თავს არ წააგებსო, და ტარახინასაც ასე დაემართა. რაკი დარწმუნდა, ჩემი სილაჩრე არავის გაუვიდა და ტურებს კვლავ მამაცი და გამბედევი ეგონებოდა, უარესად გაუყოყნადა. ისეც მომალლო ადგილზე შედგა, თათივ გუშინდელივით ასწია მალა, უღვაშზე თავმომწონედ გადაისვა და ომახიანი ხმით დაიძახა:

— ყური მიგდეთ და გაჭირვებიდან დაგიხსნით!

— გისმენთ და გემორჩილებითო! — მიუვებს ერთხმად დარცხვენილმა ტურებმა და, ნათქვამი რომ უფრო კარგად მოესმინათ, პირით ტარახინასაკენ შებრუნდნენ. ტარახინამ რამდენჭერმე ჩაახველა, კისერი მიხარ-მოხარა და სათქმელი ამჭერად ცოტა შორიდან დაიწყო:

— ცული დროება დაგვიდგა, ძმებო, მკვლამ გული არ უნდა გავიტეხოთ. გასაჭირში მარტონი არა ვართ, ჩვენცა გვყავს ჩვენს წინამძღვრს მოძმე-მოგვარე — უფროსი სახლიცა, მგელი, რომელიც ყველა სულდგმულზე ძლიერია ამქვეყნად. მგელი და ტურა ოდითგანვე განუყრელი ვყოფილვართ. მართალია, ზოგიერთი უცივი მელსაც ჩვენთანად თელის — ტურა, მელა და მგელიო — მაგრამ თქვენ თვითონ ვანსაყვ, სადაც მგელსა და ტურაზეა ლაპარაკი, იმ წუწკი მელა რა სახსენებელია. სად მშობარა მელა და სად ჩვენი მელამ ტყუილისა და თვალთმაქობის მეთი არაფერი იცის, ჩვენ კი ქეშმარიტად მგლის მოდგმისანი ვართ — ფერიითაც ერთმანეთს ვგვევართ და ხსიათითაც ასე არ არის, ძმებო?

ტურებს უზომოდ ესიამოვნათ მგელთან გატრლება და ტარახინას ნათქვამი ერთხმად დაუდასტურეს:

— ასეა, ასე! მგლები ნამდვილად ჩვენს მოდგმისანი არიან!

ტარახინამ ტურებს ერთსულოვნება შეატყობდა და სახე გაებადრა. წვირილ, ნახშირისფერ თვალებში სიხარულის ნაპერწკლები აუციმციმდა, ბუკას ნიშნის მოგებით გადახედა მალლიდან და უფრო თამამად განაგრძო:

— ჰოდა, რაკი ასეა, ჩვენც ავდგეთ და დახმარებისათვის მგლებს მივმართოდ. ძმა-ძმისთვისა და შვი დღისთვისაო. რა გვაკვია ჩვენ? — ხერხი და ცოდნა! მარტო ის გვასწავლონ, რა ხერხით შოულობენ ასეთ დროს საქმელს და მეტი არაფერი გვინდა. მგლური ხერხე რომ გვეცოდინება, ძალღები ვეღარ გავვიწყლავდებოდნ და საქმელსაც თავსაყრელად ვიშოვნიო, — ტარახინამ თვალი გადაავლო ქუდეებზე ჩამომსხდარ ტურების ხროვას და შეეკითხა, — როგორ მოგწონთ, ძმებო, ჩემი აზრი?

მგლისათვის რჩევის კითხვა დღევანდლად არც ერთ ტურას არ მოსვლიდა აზრად. ეს პირველი გაგონება ტურებს საიმედოდ ეჩვენათ და ძალიანაც მოეწონათ. მამინევე ფეხზე წამოხტნენ, ცეკვა დაიწყეს და ერთი ქოთქოთი და ღრიანცელი ატეხეს.

— მოგწვონს, კარგია! უჰ, რა კარგია! წავიდეთ! ახლავე, ამწუთას!...

ტურების ეს სასიხარულო ყოყინა ამჭერადაც ბუკას ხრინწიანმა ხმამ ჩააჩუმა; ბუკა ნაწყენი იყო, ტურებმა რომ მისი რჩევა არ დაჟერეს და ჩარევის აღარ აპირებდა, მაგრამ როცა დინახა, ტარახინას ისინი კვლავ მცდარი გზით მიჰყავდა, გულმა არ მოუთმინა:

— ხალხნი დაფიქრდით! — გაიძახოდა დინჯად და აუჩქარებლად, — რამ გავილიათ ქუჯა-

სულხან ქეთილაშვილი
ტარახინა

გონება. ერთხელ ხომ ნახეთ, რა მოგვით მაგია აუოლამ — ძლიერ ცოცხლები გადარჩით, ახლა უარეს სიხეთს გადაგვიღებთ. მგლური ხერხი და ჩვევა ჩვენ რაში გამოგვადგება. მგლურ ხერხს ღონე, სისწრაფე და გამბედაობაც მგლური უნდა. ჩვენ იქამდე კული არ მიგვწვდება და მოდით მიუწვდომელს ნუ წავებოტინებით. ერთი საწყალი, მშიშარა ტურები ვართ და ვიცხოვროთ, როგორც გვიცხოვრია, — ჩვენებურად, ტურულად.

— მაინც, როგორ? — ტარახინამ ცალი თვალი მოჭუტა და დაცინვით გასძახა.

— როგორ და კარგად, — ბუკამ ყურადღება არ მიაქცია ტარახინას დაცინვას და კვლავ დინჯად მიუგო, — ჩავიდეთ ქვევით ჰალის პირებზე, ახლა ყველა გაპირებული იქ არის თავმოყრილი. ბარდებქვეშ, მშრალში თავგებს რა გამოვლევს, დამამაობით ყინვისაგან დაბუხულ ჩიტებს დაევიერთ, ზღმარტი, პანტა-მაყალო და კენკრაც კიდევ იშოვება. მდინარის ნაპირებზე იქნებ მკვდარ თევზებსაც წავაწყდეთ. არადა, მდინარეს სოფლიდან გამოუღველად მოაქვს ნავავი. ნავავი კი, შენც იცი, ზოგჯერ ნახევრად გამობრული ძვლებიც მოჰყვება... ჰოდა, გამოდარებადმდე როგორმე თავს გავიტანთ. მერე ალბათ მზეც გამოვა და აღარც ჩვენ გაგვიპირდება... აი, ასე.

ტურებს ქუთაში დაუჯდათ ბუკას რჩევა და აპირებდნენ კიდევ დათანხმებას, მაგრამ ტარახინამ მოფიტვება და ხმის ამოღება არავის აცალა, ხმაიდალა გადაიხარხარა: — ხედავთ ბებრის ქუთას, რა გვირჩია? მაგის თქმით ისე გამოდის, უნდა დავყუცდეთ წყლის პირას და გულხელდაკრეფილები ველოდით, როდის ჩამოატარებს მდინარე ნავავს, ან როდის გამოირიყავს მკვდარ თევზებს ნაპირზე. ერთიც ვნახოთ და არაფერი ჩამოატარა, მაშინ რაღა ვქნათ, — გადავცვივდეთ წყალში და თავები დავიხრჩოთ? რაო? მგლური ხერხი ტურებს არ გამოადგებათ? ვითომ რატომ არ გამოგვადგება, კბილუნი ჩვენცა გვაქვს და იმათაც, ჩვენც მთსავით თოხ ფეხზე ვდგევართ, ყმულიში ხომ კიდევაც ვაჯობებთ... არა, ძმებო, ბუკამ ეს ლათიები თავისიბობა ბებრებს უმღეროს, ჩვენი კი ვუკაცები ვართ და საქმეც ვაქაუტური შეგვეყვინოს. ეგვეც არ იყოს, სად მყარალი ნავავი და სად თბილი ხორცი.

ტურებმა ყოყმანი დაიწყეს: ვეღარ გადაეწყვიტათ, ბუკას რჩევა დაეჯერებინათ თუ კვლავ ტარახინას გაყულოდნენ. ჰალაში მართლაც შეიძლება საკბილოს შოვნა — ეს გამოცდილებით იცოდნენ, მაგრამ ხორცის მოლოდინიც მაცდურად უღიბინებდათ გულში. ტარახინამ ეს შეატყო და, ტურები რომ საბოლოოდ თავის მხარეზე გადმოებირებინა, ხერხს მიმართა — მგელთან რჩევის საკითხავად წასვლა თვითონვე ითავა.

— თქვენ არც კი გავრჯით, — უთხრა მგლურულად, — მე თვითონ წავალ, ყველაფერს დაწვრილებით გამოვკითხავ, ყველა ჩემს ხეობაში ვიგებ, მოვალ, გეტყვით და მერე როგორც გინდათ, ისე მოიქცეთ.

ამაზე აღარც ტურებს ეთქმოდათ რამე, შევიცადოთ, უთხრეს ერთმანეთს, კითხვით არაფერი წაგვიხდებათ, თუ ხელსაყრელად ვცანით მგლის რჩევა, ხომ კარგი, თუ არადა, ჰალა და მდინარე არსად გაგვექცევიათ, და ტარახინას გზა დაულოცეს.

ტარახინამ კული აფშიკა, წამზე მივალ და წამზე დავბრუნდებით! — დაიძახა და ღამეში გაუჩინარდა.

— მე კი მითქვამს, რომ მგლური ხერხი ტურას არას არგებს და ახლა თქვენ იცით. — თქვა ბუკამ წყენით და ბუჩქის ძირას დაყუცდა.

ტურების საბინადრო ბუჩქნარიან სერს ცალ მხარეს სოფელი ეკრა, ხოლო მეორე მხრიდან ხშირი, დაბურული ტყე ესაზღვრებოდა, ეს უღრანი ტყე მტაცებელ ნადირთა საუფლო იყო. რას არ ნახავდით აქ — მგლები გინდათ, დათვები, აფთრები თუ ფოცხვერები — ყველა ჯურის მტაცებელს ამ ტყეში მოეყარა თავი. მაგრამ ნისლისფერ, პირმურა ხვად მგელს, ლეგჩოხას, ვერცერთი იმათგანი ვერ ედრებოდა. ის ყველაზე უფრო სახელგანთქმული იყო და ტარახინამდე პირდაპირ მისკენ გასწია.

ლეგჩოხა საშოვარზე გასასვლელად ემზადებოდა, სოროს წინ იდგა, ჰაერს ყნოსავდა და გზა-სავალს ზეერავდა. სამ დღეს არ გამოსულა სოროდან. სამი დღის წინ ერთი მსუქანი ცხვარი დაითრია, თავ-ფეხიანად შეახარამუნა და ამ ხნის მანძილზე საქმელს ინელებდა. ტარახინამ შორიდანვე შეასწრო თვალი, კრძალვით მიუახლოვდა და თავმდაბლად მიესალმა:

— დიდება და სახელი ტყის მეუფეს!

ლეგჩოხამ დაინახა კი ტარახინა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, არც სალაშზე უპასუხა. ის კვლავ აქეთ-იქით იყურებოდა, სათარეშო მხარეს ზეერავდა და ტარახინასთვის არ ეცადა. ბოლოს წასვლელად შეემზადა — ჯერ წინა ფეხებზე გაწევა, მერე უკანებზე, ტანი სივრდივ გაქიმა და კუნთები აამოძრავა. ტარახინამ ხელახლა დაუქრა თავი:

— ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი სახელოვანი, უფროსი ძმა!

— რა გინდა, რას შემომქნავი? — გამოსძახა ლეგჩოხამ.

— შენი სიცოცხლე და კარგად ყოფნა! — მიუგო ტარახინამ და ორი ნაბიჯით კიდევ მიუახლოვდა, მაგრამ ლეგჩოხა არ შემობრუნებულა და არც ხმის კილო გამოუცვლია.

— გავიგე, ჰო, თქვი, რა გინდა?

ტრახინამ უთხრა, რისთვისაც იყო მისული.

— რა? — დაიღრინა ლეგჩოხამ, ნელა მოაბრუნა მორგვევით მკერივი კისერი და ტრახინას თვალები დაუბრიალა. — მერე მარტო გაგება და ცოდნა რას გიშველით, ხერხს გამოყენებაც უნდა. სად შეგიძლიათ თქვენ, ქეციან ტურებს, ჩვენი ხერხის მოხმარება?

ტრახინას ტანში შიშის ფრუანტელმა დაუარა. მიხვდა, რომ ლეგჩოხას ტურებისაგან მგლური ხერხის მიჩემება არ მოეწონა და თავი რომ ემართლებინა, თავისი აქ წამოსვლა ბუკას გადააბარა. მეც ბევრი ვურჩიე, მაგრამ არ დაიშალა, ვინდა თუ არა, მგლური ხერხი უნდა ვისწავლოთ და ჩვენიც მათსავე ვითარე-შოთო.

— აი, ის ბებერი წუპაკი, ისა — ვანრისხდა ლეგჩოხა, — ერთი საღმე წაიასწრო და ვასწავლი, როგორ უნდა უფროსისათვის თავის ვატოლება. მაგრამ რაკი წამოსულხარ, ჯანდაბას შეინი თავი — გამომყვი და მიყურე, ვიცი ჩვენს ხერხსა და ჩვევას თქვენ მიიცი ვერ მოიხმარა და რა შენადგლება, — კუდი უკანა ფეხებშუა ამოიკეცა, ტანი მოშვეილდა და ადგილიდანვე ისკუბა.

ტრახინაც უკან აედევნა. ლეგჩოხა ძალდაუტანებლად, მსუბუქად და თანაზომიერად მიძუნძულვდა, ტრახინა დათხილი მიპყვებოდა კვალდაკვალ და წელში წყდებოდა, რომ უკან არ ჩამორჩენოდა. ოფლი ღვარად სდიოდა და დაღლილი სულს ვაპირვებით ითქვამდა.

ასე იარეს მთელი დღე, გადასერეს უთვალავი ვაკე, გადაჭრეს ამდენივე სერი, ფერდობი, აღმართ-დაღმართი და დაბინდებისას ერთ უსიერ ჭალაში გავიდნენ.

ჭალაში ლეგჩოხა წამით შედგა და პერი ისევ ყოველმხრივ მოყნოსა, მერე თავქვე დაეშვა, წვრილიანზე, და წყლის დინებას დაუყვა. იგი ისევ ისე ძალდაუტანებლად მიძუნძულვდა და დაღლა არ ემჩნეოდა. ტრახინას კი უკვე მუხლები ეკეცებოდა და წაქეცვას ბევრი აღარ უკლდა.

საბედნიეროდ, დიდხანს სიარული აღარ დასჭირდათ. მალე ქვევით, მდინარის გასწვრივ კოლმეურნეობის საზამთრო ფერმების დათოვლილი სახურავები გამოჩნდა. დარწყულებული ჯოგი და ნახორი უკვე ბოსლებსაკენ მოემარებებოდა. ჯოგს ერთი მომცრო ტანის შვარცხენი ჩამორჩენოდა, ნელა მოაბიჯებდა, დაბარდნილ ბარდებს შორის, და თოვლში აქა-იქ ამოშვერილ ნედლ ყლორტებს კორტინდა.

ვანმარტოებული ცხენის დანახვაზე ლეგჩოხა ფოლადის ზამპარასავით შეიკუმშა, ყველა კუნთი და სახსარი შეწყობილად აამოძრავა, კუდი თათრული ხმალივით გაფშოკა და თვალებიდან ბლუქა-ბლუქა ნაპერწკლები დააკეცა.

ტრახინა მთელი გულისყურით აკვირდებო-

და მგლის საქციელს. იგი ტყეში ლაღობდა და მოვიდა აქ მარტოკა. მართალია, წამოსვლისას თანამომეტ შეპირდა, მგლურ ხერხს დაუხერხებლეთ გვაგაცნობთო, მაგრამ ეს მართალი არ იყო. სინამდვილეში გულში სხვა ვანზარავა ედო: მგლური ხერხის ცოდნა მარტო თავისთვის უნდოდა, რომ, რა არის, სხვებისთვის ეგონებნა და ამით თავი უფრო მოეწონებინა. ამიტომაც ბეჭითობდა ასე და ყველა წვრილმანს, ყველაფერს სსოვენაში ღრმად იჭედვდა.

სანამ ცხენი დაუპირდაპირდებოდა, ლეგჩოხა ადგილიდან არ დაძრულა. მოზიდული იდგა და მხოლოდ კუდის მოთეთრო წვერს აცანცარებდა ოდნავ.

ცხენი ხიფათს არ მოელოდა და გულდამშვიდებით მოპყვებოდა საკენეტს, — ნელა გადმოდიოდა ბარდიდან ბარდზე. ასე თანდათანობით დაუსწორდა და მანძილითაც დაუახლოვდა. ახლა კი შეინძრა ლეგჩოხა, თვალებში ნაპერწკლები მოუხშირა, ყელში ყრულ წამოიღრინა და ბალანი ყალყზე დაიყენა. უცხად თოვლში პირქვე გაწევა:

— მიყურე! — უჩურჩულა ტრახინას კბილებდაკრეჭილმა და გასროლილი ისარივით მოსწყდა ადგილს. ისარივითვე გაიჭროლა ჭალის დამრეცი ნაპირი, თვალის დახამხამების უშუალ ცხენს ზურგზე დაახტა და მიწაზე ზღართანა მოადენინა. ცხენმა კისერი წამოსწია და დაჭიხინება დაამირა, მაგრამ ლეგჩოხა ბეჭმა არ აცალა, სწრაფად სწვდა ყელში, კბილები ყანყრატოში ჩაასო და ხმა ჩააწყვეტინა.

ტრახინა განაბული იჭდა ბუჩქის უკან, თვალს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა და გაშტერებულ შეპყურებდა მგლისა და ცხენის ბრძოლას. მგლებსა ღონესა და სიმამაცეზე ბევრი რამ ჰქონდა ვაგონილი, მაგრამ ცხენსაც თუ მოერეოდა და თანაც ასე იოლად, ეს კი აღარ ეგონა. ახლა თავის თვალთ რომ ნახა მგლური ხერხი ძალიან უბრალო და ადვილმოსახმარი მოეჩვენა. „რა უნდა, — ფიქრობდა გუნებაში, — ერთი დაივლე, დაახტი ზურგზე და მორჩა, შენია, ველარსად წავიკა“.

ლეგჩოხამ სულის ამოსვლა არ აცალა ცხენს. ჯერ ისევ ცოცხალს გამოფატრა ყელი და ჰამაც ცოცხალსვე დაუწყო — წინა ფეხები ზედ მიბაჭინა და მკერდიდან ლურთლურით ხორცი აავლიჯა. ტრახინას პირწყალი მოადგა, მაგრამ უთქმელად ახლოს მისვლას როგორ გახედვდა. მგელს კი თითქოს დაავიწყდა მისი იქ ყოფნა და სანამ ფარსავად არ გამოძდა, არც გახსენებია. მხოლოდ მერედა მოხედა და მიიწვია.

— მოდი, ჰამე, რა მიამუნივით იჭყიტები! — გასძახა ღრენით, — და თან ვააფრთხილა, —

სულხან ქათეღაშვილი
ტრახინა

მის შემდეგ ჩემთან შეტოლება აღარ ვანიხრახოთ, თორემ ცოცხლები არ გადავიჩნებოთ, — თვითონ განზე გავიდა, დაღლილი და გამაძლარი თოვლში ჩაწვა და ცხენი მთლიანად ტარახინას მიანება.

— არა... როგორღა გავებდავთ... — ამოიღულულა ტარახინამ, კრძაღვითა და შიშით ჩაუბრა ლეგროსას და გულაღმა წაქცეულ ცხენს ჩააფრინდა.

თბილი, ცვირანი ხორციით უზომოდ გამაძლარი ტარახინა ღიღინით დაბრუნდა თავისიანებთან. სახეზე ნეტარების ღიმილი ეფინა და სიმღერის ხმას ტანსაც აყოლებდა — რხევითა და ცეკვა-ცეკვით მოაბიჯებდა. დამშუელი და ლოწინით გაბზვრებული ტურები ზღაპრით აიშალნენ:

— რა ჰქენი, ნახე მგელი თუ ვერა? — შეეკითხნენ.

— ვნახე! — მიუგო ტარახინამ თავმოწონებით, ოფლი მოიწმინდა და დაყუცდა, — ვნახე და მგელი რ ხერხი მთლიანად შევისწავლე. ტურები ცას ეწვივნენ სიხარულით, ახლა კი გვეშველებაო, და ტარახინას ირგვლივ შემოერთყუნენ, ბარემ გვითხარი და საქმესაც აქედანვე შევუდგეთო.

— სათქმელი და დასასწავლი აქ არაფერია, — უთხრა ტარახინამ კუმტად, — წამოდით და ყველაფერს თქვენი თვალით დაგანახებთ.

— სად წამოვიდეთ? — შეეკითხნენ ტურები. ტარახინა ნელა წამოდგა, თოვლიანი კლდი დაიბერტყა, კისერი მედიდურად მოიღერა, თათი აღმართა და საზეიმო ხმით დაიძახა:

— ქვევით, ფერმებისაკენ!
ფერმების ხსენებაზე ტურებს იმავე წამს კბილალესილი ძაღლები წარმოუდგათ თვალიწინ და აკანკალდნენ. ისევ უკან მიდგნენ და თათები გაასავსავსეს:

— ო, არა, აღარასოდეს... ღმერთმა დაგვიფაროს!

— ჰეჰე, როგორ ვეტყობათ, რომ მგლური ხერხისა არაფერი იცით! — ჩიიცინა ტარახინამ, — ნუ გეშინიათ, თქვენ თითის განძრევაც აო მოვიწყეთ.

— ეს როგორ?! — გაოცდნენ ტურები.
— ძალიან უბრალოდ, — მიუგო ტარახინამ, — აი, წამოხვალთ და ნახათ.

— როგორ, ფერმაში მარტოკა შეხვალ?!
— ეგღა მაკლია, სხვა გავიყოლო.
ტურებს ეს მთლად დაუჯერებლად ეჩვენათ და ტარახინას უკვე ეპვიით შეხედეს, ხომ არ გაეძღაო.

— კი არ გავგიჟდი, — გაწყრა ტარახინა, — თვითონ მგლური ხერხია ასეთი: საქმეს ერთი აკეთებს და ნადავლს ყველანი თანატოლად იყოფენ.

ეს კი მოეწონათ ტურებს:

— კარგია, — თქვეს ერთმანეთში, — თუკა არც ვიწვალებთ, თავს საფრთხეში ვაყენებდებთ და გვარიანდაც გამოვძლებით, ამას რა ჯობია! — და ტარახინას უკვე ხალისით აედევნენ.

ისევ ბნელი, უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ცას ჯანდი და ღრუბელი აღარ ფარავდა და ვარსკვლავთა უშუქი პირშეყინულ თოვლზე ციმციმებდა. ტურები კვლავ ფრთხილად და უხმაუროდ მიაბიჯებდნენ და ღამის მყუდროებას ოდნავადაც არ არღვევდნენ. ტარახინა ახლა უფრო თავმოწონებით მიუძღოდა, სიარულში უკვე მგელს ბაძავდა და შეუფერხებლად და მსუბუქად მიაბიჯებდა. დროდადრო თუ გადმოხედვდა ერთმწყრივად დაწაღვნილებულ ტურებს და, რა დაწარმუნდებოდა, ყველანი უკლებლივ მომყვებიანო, ნაბიჯს აუჩქარებდა. თავის გამარჯვებაში ოდნავი ეპვიც არ ეპარებოდა და ერთი სული ჰქონდა, ჩქარა მიედწვია ფერმებამდე, ჩქარა ეჩვენებინა ტურებისათვის მგლური ხერხის ცოდნა და თანამომძივთა შორის უძლეველის სახელი დაემკვიდრებინა.

შუალამისას უკვე ფერმებთან იყვნენ. ტარახინამ ტურები ბარდებში ჩასხა, თვითონაც ბარდი იფარა და გათენებასა და ბოსელდან საქონლის გამოშვებას დაელოდა.

ტარახინას თავდაჯერება გზა-გზა ტურებსაც გადაეღო. ბარდებში ჩამსდრები უკვე იმედით გაპყურებდნენ ფერმას, თვალებს მსუნჯად აცეცებდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ გათენებას. ერთი ბუკა არ იზიარებდა თანამომძივთა მოლოდინს და არც იმედისა რამე ემჩნეოდა. კარვად იცოდა, რომ აქ არც ჭათამ-ინდაური იყო და არც ბატები, ეს მსხვილფეხი პირუტყვის ფერმა იყო და, რას უნდა გახდეს მარტო ტურა მოზგებთან და ხარ-ფურებთანო, — ფიქრობდა გაკვირვებით.

ნელ-ნელა ცის კიდურს რიყრაჟი მოეძალა და ფერმაც ახმაურდა: საღდაც ძაღლმა დაიყეფა, მერე კარში გამოსულმა მწყემსმა ჩაახველა და ამხანავს გაეხმინა.

ფერმის ეზოში პირველად სასაბაღე ვირები გამოჩნდნენ და ფუჩჩის ნარჩენებს დაუწყეს ძებნა. ერთმა ბებერმა, გამავლტყავებულმა ვირმა ეზოში საქმელი ველარაფერი იპოვნა და კარში გამოვიდა. ბარდნარს ბოლოზე გაუარა, სადაც ტურები იყვნენ ჩასაფრებული და ქვევით, მდინარის კიდურზე წამოდგმული თივის ზვინებისაკენ გაემართა.

უკვე დადგა დრო, რომ დანაპირები აესრულებინა და აღარც ტარახინამ დააყოვნა — ფიცხლად წამოხტა. მხოლოდ ის აჟღადა გულს, რომ ცხენის მაგიერ, ვირს უნდა შეებოდა, ეს სინანული ხმამალაიც გამოთქვა, რითაც ტურები უზომოდ გააოცა.

— რა, ვირის მოტაცებას აპირებ? — შეეკითხნენ.

— ნუ გიკვირთ, მგლური ხერხის მცოდნეს, ქვეყნად არაფერი გაუჭირდება, — მიუგო ტარახინამ დინჯად და როგორც მგელმა ქნა, სწორედ ისე დაჭიმა კუნთები, თვალებიც მგლურად დააბრიალა და, ახლოს მოდიოთ, უბრალო ტურებს.

ტურები მიუახლოვდნენ და წინ ჩამოუდგნენ. ტარახინამ საითთაოდ შეავლო მხერა და შეეკითხა:

— ხომ მცვივა თვალებიდან ნაპერწკლები?

ტურები გულსყურით დააკვირდნენ, აქეთ-იქიდანაც შემოხედეს და უარყოფის ნიშნად თავები გააქნეს. ტარახინას არ მოეწონა ტურების პასუხი და თვალები უფრო გადმოკარკლა, უფრო დაიძინებოდა ჩაშტერდა ტურებს და კარგად დამაკვირდითო, უთხრა.

— გიკვირდებით, მაგრამ ვერაფერს ვხედავთო, — მიუგოთ კვლავ ტურებმა.

— აი, თქვე მართლა ტურებო, თქვენა! — განრისხდა ტარახინა, — იმიტომ ვერ ხედავთ, რომ მგლური ხერხისა არაფერი გაგეგებათ, თორემ ნაპერწკლების მეტი რა მცვივა.

— კარგი, ჰო, ოღონდ ნუ გაბრაზდები და როგორმე დაინახავთ, — უთხრეს ტურებმა და, როცა ტარახინა ხელახლა შეეკითხა, მცვივა თუ არა ნაპერწკლები, ერთხმად დაუდასტურეს, სულ ბლუჯა-ბლუჯა იფრქვევაო.

— კბილებშიაც ხომ ჩანს ფოლადი? — ტარახინამ ახლა კბილები ააქაწაწა.

— ჩანს, ჩანს! — შესძახეს ტურებმა, — ისე ლაპლაპებს, რომ თვალი ვერ გაგვისწორებია.

— ჰო, აი, ასე უნდა, — მოუწონა ტარახინამ პასუხი და პირუკუ შებრუნდა, — აბა კუდზეც შემომხედეთ, ხომ მიგავს ალესილ ხმალს? ტარახინას მოკლე, ბირკებით გაქუცული კუდი არაფრით არ ჰგავდა ხმალს, მაგრამ რაკი მგლური ხერხისათვის ასე იყო საჭირო, ტურებმა ესეც ერთსულოვნად დაუდასტურეს, პირდაპირ შაჰის ხმალივითა გაქვს ალესილიო.

ახლა ერთი უკანასკნელი წესილა დარჩა და ტარახინამ ესეც ზუსტად ისე აასრულა, როგორც მგლისგან ახსოვდა: თოვლში პირქვე გაწვა, მიყურეთო და რყევით მიმავალ ვირს გაედევნა.

ვირს, ეტყობოდა, პირველად მგელი ეგონა, რადგან დაფრთხა და გაქცევა დააპირა, მაგრამ როცა დარწმუნდა, ტურა მომდევსო, ყურიც

ადარ შეიბერტყა. ისევ ნელა, ტატი-გაბიკა ვირის გაუფრთხილებლობამ ტარახინა ისე გაათამამა, თუ რამე სიფრთხილე ჰქონდა მგლურში, მთლიანად დააიწყა. სირბილს უმატა და უფრო გაბედულად გაქნდა წინ. აი, მივიდა სახტომ მანძილზე! აქ ერთხელ კიდევ გაისენა ლეგნობას წესი: წამით შედგა, უკანა ფეხებზე ჩაიკეცა, კამარა შეკრა და ზურგზე დახტომა დაუპირა, მაგრამ ბებერი ვირი არც ისეთი ბრყვი გამოდგა, თვალი ფხიზლად არ სჭეროდა და დაველებულ ტარახინას ტყუმი წიხლა დაახვედრა.

— აუუუ! — ტარახინამ გაბმით დაიწკაწკაწკა, რამდენჯერმე ამოტრიალდა პაერში და ფაფუკ თოვლში ბათქვანი გაადინა. ვირმა ნელა მოაბრუნა თავი და, ტარახინა რომ ამ ყოფაში ნახა, გახარებულმა ყროყინი გააბა. ყროყინს რომ მორჩა, შეიკუნტრულა და გზა კვლავ არხეინად განაგრძო.

საწყალი ტარახინა კი დარჩა თოვლში. თავბრულახვეულმა კარგახანს იფართხალა, მაგრამ ფეხზე დადგომა ვერ მოახერხა — ადგებოდა და დაეცემოდა. ტურებს შეებრალოთ, მიშველება დააპირეს, მაგრამ ძაღლების შიშით საფრებიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ. როგორც იქნა, ტარახინამ გამართა მუხლი და ბარბაცითა და ჩუმი კენესით თავისიანებისაკენ წალასას-და. ვირს პირდაპირ ღია პირში მოერტყა ნალიანი წიხლი და წინა კბილები ჩამეტკრია.

— აბა, არც ახლა გჯერა ჩემი ნათქვამი: — ჰოდა, ეგრე! — არც ახლა გჯერა, რომ ვისაც უფროსის სიტყვა არ ესმის, იმის ვენახს არ ესმისო? ლეჰე ახლა საკუთარი ღრძილები, — ბუკამ ეს საყვედური აშკარა ნიშნის მოგებით უთხრა, მაგრამ ტარახინას ხმა არ ამოუღია — შეპასუხების თავი აღარ ჰქონდა.

ტურები ფრთხილად და უჩუმრად გამოძინენ ბარდებიდან და თავიანთ საბინადრო სერისაკენ გაემართნენ.

ცალმწკრივად დაწყობილ ხროვას ახლა ისევ ბუკა მიუძღვოდა წინ. ტარახინა საღდაც ბოლოში მოაბიჯებდა, ფეხი კვლავ ერეოდა, ყრულ კენესოდა და დუფნარეც სისხლს აფურთხებდა. ხოლო მთის გასწვრივ, ცის კედურზე გაწოლილი წითელი ზოლი თანდათან დიდდებოდა და ფერმკრთალდებოდა: ეს დარის ნიშანი იყო. საღდაც მთის იქით მზე ამოდიოდა და, ალბათ. ტურების შიმშილსა და გაჭირვებასაც ბოლო ეღებოდა.



ზოგი კომპიუტერი

წითელი სასახლე

ოცდაერთი წლისა ვიყავი, ფილოსოფიისა და ისტორიის მეცნიერებას რომ ვსწავლობდი. რასაკვირველია, ჩემი ცოდნით თავი დიდად მომქონდა. საკმაოდ ვიცნობდი ფილოსოფიას და, ასე ვთქვათ, ცხოვრებისეული გამოცდილებაც არ მაკლდა.

ჩემი პირველი სიყვარული ჩემზე ათი წლით უფროსი შორეული ნათესავი იყო, მეორე კი — ქალთა გიმნაზიის მოსწავლე გახლდათ, რომელიც ერთ ლეიტენანტზე იყო დანიშნული, მაგრამ არ უყვარდა კი იგი. ასეა თუ ისე, ცხოვრებასა და საზოგადოებას იმდენად ვიცნობდი, რომ ორივე მძულებოდა პესიმისტი ფილოსოფოსებივით.

ქედმაღალი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ისე შეგნებული გახლდით, როგორც შეიძლება იყოს ახალგაზრდა, ჭკვიანი, უცოლო მამაკაცი.

ისტორიული განათლების მისაღებად ხანგრძლივი მოგზაურობა მომიხდა ფრანკონიაში, განზრახული მქონდა დისერტაცია დამეწერა ჰოპენცოლერების ბატონობაზე ბავარიის, რისთვისაც საჭირო იყო უკეთესად გაცნობოდი ამ მხარეს.

ერთ დღეს გავემგზავრე დანიშნულ ადგილისაკენ. მივაღეჭი გაშლილ მიდამოს, სანაც წითელი და ცისფერი სასახლე აღმართულყო.

ცისფერი სასახლე დღეს უკვე ყვითლად გამოიყურებოდა, თუმცე ხანშიშესულ აქაურ მცხოვრებთ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ეს სასახლე ოდესღაც ყვითელი იყო და არა სხვა ფერისა.

წითელ სასახლეში მოხუცი ბარონესა ცხოვრობდა.

დედაჩემის ყმაწვილქალობაშიც იგი ხანში შესული იქნებოდა.

შინიდან დავალბებული მქონდა ქალბატონისათვის მოკითხვა გადამეცა.

საკვირველია, რომ ამ ადგილას საკმაოდ კარგი პანსიონატი იყო, რომელიც ჩამოსულ სტუმრებს ჩინებულად ემსახურებოდა. განსაკუთრებული აქ არაფერი მოჩანდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ოდესღაც ცისფერი სასახლე დღეს ყვითლად გამოიყურებოდა. პანსიონატის მომსახურე ქალისაგან შევითხვე, რომ ამ სასახლეში მოსვლა მხოლოდ კვირა დღეს, სადილობის წინ, წირვის შემდეგ შეიძლებოდა. დილის ათი საათისათვის დავალების შესასრულებლად წითელი სასახლისაკენ გავეშურე.

„სასახლე არც ისე ბრწყინვალეა, — მითხრა ახალგაზრდა ქალმა, და — ქალბატონიც არცთუ ისე მდიდარია.“

ძალიან ცოტა ნაენობები მყავდა დიდბანოვან ქალბატონების წრიდან, ამიტომ ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი თავაზიანობა გამოემჩინა.

ცისფერი და წითელი სასახლეები ერთმანეთს ემიჯნებოდა, სანაც ერთი გვარის წარმომადგენელი ორი ოჯახი ცხოვრობდა. ეს ოჯახები ერთმანეთს მტრობდნენ. ყველაზე დიდი უხერხულობა კი ის იყო, რომ მათ მხოლოდ პატარა ეზო ჰყოფდათ.

ეზო გადაკეპი და წითელ სასახლეში შევიდა.

ქალბატონ პეტერსონის თქმისა არ იყოს, სასახლეში მდიდრული და ბრწყინვალე ვერაფერი შეენიშნე.

გრძელ და ვიწრო დერეფანში ვიდექი, რომელსაც იატაკი წითელი აგურისა ჰქონდა, კედლები უგემოვნო მუქწითელფერად შეედებოთ, კარები თეთრი ფერისა იყო, რადგანაც ოჯახის საყვარელი ფერები მხოლოდ თეთრი და წითელი გახლდათ. დერეფანი გავიარე, ფანჯრის ნიშის სიღრმეში ბებერი შავი კატა იჯ-



და, მას წითელი ენა გადმოეცა და ეს წითელი ენა უცნაურად შეხამებოდა კედლებს. ცხოველი გაუნძრევლად მომატერდა, ენაგადმოგდებულა. „საოცარია“, — გავიფიქრე ჩემთვის და კარებზე დავაკაკუნე. კარები სანებდანი-ოქებულმა მზარეულმა ქალმა გაიღო.

„გთხოვთ, გეთაყვა, შეატყობინეთ ქალბატონს ჩემი მოსვლა“, — ვუთხარი და სადარბაზო ბარათი გავუწოდე.

მოხუცმა გამიღიმა.

„შემობრძანდით, კეთილ ქალბატონს თქვენი მოსვლა ეამება“.

სადარბაზო ბარათი უკან დავიბრუნე და ქალმა სამზარეულოს გავლით, სალონში გამიყვანა, სადაც ყველაფერი, თევზებიც კი, წითელი იყო.

ცხადია, ამის შემდეგ წითელი კედლები, წითელი ავეჯი, წითელი ხალიჩები უკვე აღარ მაკვირვებდა.

პოლანდიური ღუმელი და თეთრი ფარდები ერთგვარ სტილს ქმნიდა.

ქალბატონი რომ წითელ კაბასა და თეთრ ჩაის ატარებდა, ამის შესხენებაც კი აღარ არის საჭირო.

მოველოდი, რომ საუბრის თემაც წითელი და თეთრი იქნებოდა, მაგრამ ამჯერად შევცდი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ოჯახის პატრონს მართლაცდა რაღაც საოცარი თბილი და სათნო დამოკიდებულება აქვს ადამიანებისადმი. კეთილი ქალბატონი განსაკუთრებით კეთილშობილური იყო ჩემადმი. ვახსენა, რომ ჭრე კიდევ პატარა ბიჭუნას მიცნობდა, როგორც ჩანს, ოცი წლის წინათ სტუმრად ყოფილა ჩემს მშობლებთან, კარგად იცოდა ჩვენი ურთიერთობა ოჯახში. გულითდად, თბილად საუბრობდა და იგონებდა ჩვენს ოჯახს.

„აი უკვე ვებრძობი (იგი 88 წლისა იყო), თქვენ კი ახლა დიდი კაცი ხართ. ამ დილით ეკლესიაში იყავით?“

მე უარით ვუპასუხე.

ქალბატონმა თვალები ბავშვურად, ეშმაკურად გაათახულა და თითქოს დამაჯერებელი ტონით მითხრა:

„არც მე“, — და ისე გაიღიმა, თითქოს უზენაესს ბოდიშს უხდოდა.

„აა, თქვენ მარკგრაფების ისტორიის შესასწავლად მოხვედით, არა? ამაზე შემიძლია ბევრი რამ ვითხრათ. თქვენ ხომ დიდხანს დარჩებით აქ?“

„დიახ, ქალბატონო“, — ვუპასუხე.

„ბატონო გერსდორფ, დღეს სადილობის შემდეგ გვესტუმრეთ ჩაიზე. პირბა მომეცით, რომ აუცილებლად მოხვალთ. ძალიან მოხარული ვიქნები“.

მე დავიბრდი და გამოვემშვიდობე.

ზუსტად ხუთ საათზე კვლავ ვეახელი, უხერხულია მოხუც ქალს ალოდინო.

მომეჩვენა, რომ კატა ახლა თავისი წითელი/ენით თითქოს მეგობრულად მეღრვივებდა. ჩაის მაგიდა უკვე გაშლილი დამეცა. რეული ქალი კომპიად მორთულიყო, ყვავილიანი თეთრ კაბაზე წინადაარი აედარებინა. „თქვენ ალბათ ჩაი გიყვართ“, — შემეკითხა ქალბატონი.

დავეთანხმე და ხელში მოთეთრო-მოწითალო ჩინური ფინჯანი მომაწოდეს.

ასეთი ჩაი ჩემს სიტოხლოეში არ დამილევიან. ნუთუ, ამ ჩაიში თავი მოეყარა ინდოეთის მცენარეთა, მშობლიური ფურისულასა და ცაცხვის ყვავილის ყველა სურნელებას? თუ იმ ლარნაიდან იყო, ჩვენი წინაბრები ვარდის ფურცლებს ღარიჩინთან ერთად რომ აკონსერვებდნენ?

ამ ტკბილმა სასმისმა საოცარი მოგონება ამიშალა, ნამცხვარიც გემრიელი მეჩვენა. მგონი სამზარეულო წიგნის რეცეპტით კი არა, სათუთად შემონახული ძველისძველი ხელნაწერის მიხედვით იყო დამზადებული. ქალბატონმა წარსულზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ უცებ შეწყვიტა თხრობა.

„ბატონო გერსდორფ, სიგარა ხომ არ გეჩნებათ? ხედავთ, ერთი ცალიც არა მაქვს. ჩემს ახალგაზრდობაში მიღებული არ იყო ქალებს თამბაქო მოეწიათ, და ამას არც მოხუცი ქალები აკეთებდნენ, მაგრამ თუ თქვენ თან გაქვთ თამბაქო, მე მისი სურნელებაც კი დიდ სიამოვნებას მომგვრის“.

სიგარა ამოვიღე და მივაწოდე, თან თვალს ვაყოლებდი, თუ როგორ იკარგებოდა ბოლის ბოლქვები ბნელ ოთახში, როგორ ეღებოდა ის ძველ სურათთან და გაცრეცილ შპალერს.

ერთი სურათი განსაკუთრებით მომეწონა. ეს იყო ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, კეთილშობილი კაცის სახე.

გამახსენდა, რომ ქალბატონს ამ კაცთან რომანი ჰქონდა.

უბრალო ამბავი იყო.

სამოცდაათი წლის წინათ, მიუხედავად ოჯახის წინააღმდეგობისა, ქალბატონი დაინიშნა ერთ ინგლისელ ექიმზე. იგი ქორწინებამდე ორი დღით ადრე გარდაიცვალა. ეს იყო და ეს. მარკგრაფების ისტორიას ბოლომდე ვერ მივრევინებ.

„ალბათ, თქვენ კიდევ მეტი გაინტერესებთ, — დაასრულა ქალბატონმა, — ჩემზე უკეთესად ყველაფერს ბეატრიჩე გეტყვით, იგი მთელ არქივს ზეპირად იცნობს, ზუსტად იცის, სადრა საბუთია. ბატონო გერსდორფ, თქვენ მალე ნახავთ ბეატრიჩეს.“

„მაპატიეთ, ვინ არის ის, ვისაც თქვენ ბეატრიჩეს უწოდებთ?“

„ბეატრიჩე? ჩემი ძმისწულია. მას მშობლები“

წიგნი მოშობილი
წითელი სასახლე

არა ჰყავს და არც სამშობლო გააჩნია. მოგზაურობს თითქმის მთელ კონტინენტზე. ხშირად არც ვიცი, სად იმყოფება. მხოლოდ ჩამოსვლის შესახებ მატყობინებს ბარათით. მისი ჩამოსვლა წინდაწინ მახარებს, თუ ჩვენთან იმყოფება, ისე ვაჭრება მოულოდნელად, რომ არც კი გამოიმეშვიდობება. ცოტა უცნაურია, ახლოს არავის იკარებს. ერთი სიტყვით, უნდა ვითხრათ, რომ იგი მართლაც კარგი გოგონაა. აი, შესატყობინებელი ბარათიც აქ დევს, ცოტაც მოიცადეთ და ყველაფერს ვაივებთ“...

ამასობაში ჩემი წასვლის დროც მოვიდა და მასპინძლებს გამოვემშვიდობე. გარეთ გამოსვლისას, ერთხელ კიდევ შევავლე თვალი ახალგაზრდა კაცის სურათს.

ქალბატონმა ეს შეამჩნია.

„ეს ჩემი საქმრო იყო, — ჩაილაპარაკა თავმომწონედ, — როგორი ერქვა“.

„ასახე არ გამოცია.

ერთხელ კიდევ გამოვემშვიდობე.

„მაღე დაბრუნდით“.

გარეთ გამოვედი. ივნისის მშვენიერმა საღამომ სეირნობის სურვილი აღმიძრა. მთელი ჩემი ფიქრებით მოხუც ქალბატონთან ვიყავი.

„რა საშინალებაა, — ვფიქრობდი ჩემთვის, — იქნებ სასახლეში და სამოცდაათი წლის წინათ დაქარგულ სიყვარულს მისტიროდ...“

ღმერთო ჩემო. მე ამას ალბათ სამოცდაათი დღეც კი ვერ ავიტანდი, შევიშლებოდი და მეც ისევე ვიქნებოდი ენაგაღმორღებულო, როგორც ის უცნაური კაცა“.

უცნებ დავიფიქრე ყველაფერი — მწვანე ველები, მწუხარების ფილოსოფია და თავი ფიქრებისაგან გავითავისუფლე. გამახსენდა, რომ მოწიფული ვაჟკაცი გახლდით, ცხოვრების გამოცდილებით აღსავსე; მახარებდა, რომ ახალგაზრდა ვიყავი და არ ვფლობდი წითელ სასახლეს, რომ უნდა მეცხოვრა წამდვილი ცხოვრებით, ერთი წუთით მომჩვენება, თითქოს ცხოვრების გაუმართლებელ გზას დავადექი, მაგრამ უცებ თავში გამოივლია, ახალგაზრდა, მხიარული და ბედნიერი ვარ, შემძლია სარგებლობა მოვეუბნა საზოგადოებას, ქვეყანას-მეთქი.

საღამოს ქალბატონი შემეკითხა: წითელი სასახლით აღფრთოვანებული დავრჩი თუ არა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მოხუცმა ქალბატონმა კეთილშობილური და ამადლეგბელი გრძნობები აღმიძრა.

ბეატრიჩე ჩამოვიდა. თან მსახური ქალი ჩამოჰყვა და ბევრი ჩემოდანი ჩამოიტანა. წითელ სასახლეში, აღმოსავლეთ მხარეს, მისთვის განკუთვნილი ერთი ოთახი დაიკავა.

შვიდი დღის შემდეგ ვივარძენი, რომ მეც სიამოვნებით გავატარებ სამოცდაათი წელს ბეატრიჩესთან ერთად წითელ სასახლეში.

ვერ გეტყვობ, რომ ის სახალაოე, რასაც მე მის მიმართ ვგრძნობდი, სიყვარული იყო.

ბეატრიჩე მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა. პატარა იყო, ნაზი, მუქი შავი ფერის თმა. პატარა ცხვირი და ოდნავ მოდილო კერძო მკერდი, მე მგონი, ის ჩემზე უფროსიც იყო, უფრო მომწიფებული და გონიერიც. მასთან სიახლოვე უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. დღითიდღე უფრო მხიარული, ცოცხალი და ხალისიანი ვხდებოდი. ყველაფერი, რასაც კი ის მეუბნებოდა, გულთან ახლოს მიმქონდა, საიდუმლოებით მოცულ გულში ღრმად ვინახავდი. სიტყვებიც კი არ მყოფნის იმის გადმოსაცემად, თუ როგორი იყო ბეატრიჩე.

ჩემს წარმოდგენაში წითელი სასახლე გარდაიქმნა ქალბატონის მისაღებ ოთახსაც სულ სხვა იერი მიეცა. ბეატრიჩემ ყველაფერი მაჩვენა, რაც ჩამოიტანა.

ჩვეულებად ვადაშქვია, ყოველდღე ხუთი საათისათვის ჩაიხე წითელ სასახლეში გამოცხადებულსიყვარულს.

ჩემს თავს შთავაგონე, რომ ორი კვირა ამ მშვიდ ადგილას უნდა დავრჩე სამეცადინოდ-მეთქი. ყოველ ექვს საათზე მოხუცი ქალბატონი გვეკითხებოდა: ახალგაზრდებს პარკში ვასივრებთ ხომ არ გსურთო.

ბეატრიჩე მითხროდა, გავყოლოდი.

„ბატონო გერსდორფ, — მითხრა ერთხელ ბეატრიჩემ, — თუ თქვენ გსურთ, როცა მამიდაჩემი ნებას დამრთავს თქვენთან ერთად ბაღში გავისეირნო, გთხოვთ, ჭერ ერთი: არ მომმართოთ: „მოწყალეო ქალბატონო“, და მეორეც, მიმიღეთ, როგორც აღამიანი და არა როგორც წითელი სასახლის მოწყალე ქალბატონი“.

„მამ, მითხარით, გეთავყვა, როგორ მოგმართოთ?“

მან წარბები შეიკრა და მითხრა:

— უბრალოდ მომმართეთ — „ქალბატონო“.

ცოტა არ იყოს ირონიულად გამოვიძმა.

„მამ, თქვენ გსურთ, რომ მხოლოდ „მოწყალეობაზე“ ავიღო ხელი?“

მან ბალისკენ ხელი გაიშვირა.

„რა მშვენიერია, შეხედეთ ამ ცაცხვებსა და ძველისძველი ქვის გრძელ სკამებს, მოგწონთ?“

„ძალიან მომწონს, საათობით მოცნებია აქ, თუმცა ამაზე უკეთესი ბალებიც მინახავს“.

ასეთი ტკბილი საუბრით მივყვებოდი ორივენი ბილიკს.

ბეატრიჩეს ახლა ყოველდღე ვნახულობდი. მან მიჩვენა ძველი არქები და ნამდვილი მეგობარივით მაცნობდა ყველაფერს.

ჩვენ ვსაუბრობდით ბუნებისმეტყველებაზე, ფილოსოფიაზე, სამყაროზე, ყველაფერზე, რასაც კი აღამიანის გონება სწვდებოდა. მოცუბდა მისი ცოდნა და ინტელექტი. მისი საუბრის მანერას აღფრთოვანებაში მოვყავდი.

ბეატრიჩეს ყველაფერზე საუბარი მოსახრება ჰქონდა. ჩვენ ყოველდღე ვისხედით ბაღში, და ვსაუბრობდით. მე მიყვარდა და დიდ ნაშრომებსაც მგვრიდა მისი წყრილა ხმა, მისი ნა-



ხო სახე. ჩვენ ზშირად ვსაუბრობდით მოდერ-
ნისტულ ლიტერატურაზე. მას ბევრი რამ
ქონდა წაკითხული და ცოტა რამ თუ მოს-
წინდა.

ერთხელ მითხრა:
„რა არის, რომანებში ყველაფერი ცოლ-
ქმრობასა და სიყვარულს გარშემო რომ ტრი-
უმებს. იშვიათად თუ გაისმის სიტყვები მეგ-
ობრობის, ადამიანობის, გმირობის შესახებ.
ბევრი ნიუანსია სურვილსა და გრძნობას შო-
რის. ვფიქრობ, რომ ყველა კონფლიქტის მიზ-
ნის სწორედ ისაა, რომ თანამედროვე ადამი-
ანს ამ პრობლემათა არჩევანის წინაშე დგას.
ეს არის ძიება ახალი ფორმისა, მაგრამ ამაზე
ლაპარაკს ვერაფერს ბედავს. მე რომ მწერალი
ვიყო, შევეცდებოდი გაურკვეველი და გამო-
უთქმელი გადმომეცა ვასაგებად, ნათლად. არ
უნდა შეიქმნას გონებისა და გულის ტრაგედია,
შეიძლება ეს იყოს ტრაგედია მუდმივი ოცნე-
ვისა.“

„რატომ არ წერთ ამაზე?“
„ეს ხომ მართო ჩემს სურვილზე არ არის
დამოკიდებული“.

მეორე ხნის სიჩუმის შემდეგ მომმართა:
„რას ინატრებდით მომავალში?“
„მსურს, ცნობილი გავხდე“, — ვუპასუხე და
წვერ-ულვაშზე ხელი გადავისვი. როგორც ყვე-
ლა შავგვრემან მამაკაცს, მეც წვერ-ულვაში აღ-
რე ამოვივლია.

„არ გინდათ, ამასთანავე ბედნიერი იყოთ?“
„რასაკვირველია, მინდა, მაგრამ ბედი თავის-
თავად არ მოვა, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ იგი“.

„მე სიტყვებზე მან ნაზად გაიღიმა.
უმწეო ბავშვით ვიდექი ბეატრიჩეს გვერ-
დით. არაფერი გამეგებოდა. „ჩემში საშაროს
წარსული ცოცხლობს, და რაც უფრო მეტი
ვიცი, მეტად ვანსწავლული ვართ, იმდენად
უფრო ინტენსიურად შევიგრძნობთ ცხოვრე-
ბას, მის არსს...“

თუ თავს შთავაგონებ, ყველაფერი შეიძ-
ლება მოგეჩვენოს. იქნება თქვენთვის ეს სა-
ოცარი იყოს, მაგრამ მე ვემსგავსები ყველა
იმ სახეს, რომლებიც მიზიდავს. ჰომეროსს,
ნიბელუნგებს, ბიბლიას არა მხოლოდ ვკითხუ-
ლობ, არამედ მათით ვსულდგმულობ. განვიც-
დებ კრიმპილდას ვაებას; მე ისე მოვიღვივარ,
როგორც რუფი იუდას მინდვრებზე, ქარონთან
ერთად გადავდივარ სტიქსს. მე ჩემი სიყვარუ-
ლის დრონი მაქვს წარსულში.

საუტპამბრონის ტყეებში ვოცნებობდი, ვმო-
წაწილდებოდი რელიგიის გარშემო გამართულ
კამათში. ჩემი გული სიხარულით იფხვება,
როცა ყოველივე ამას ვიგონებ, ნათლად წარ-
მოვიდგენ, რომ ეს არის გზა სინათლისაკენ,
გზა მომავლისაკენ“.

„სინათლის ხილვამდე შეიძლება შეწყვიტო
მოგზაურობა, თუ იგი ასე დიდხანს გაგრძელ-
დება. ჩვენამდე არსებული დრო უცნობი იყო,

ასევე უცნობი იქნება იგი ჩვენს შემდეგაც“.
„თქვენ ილიმებით და მეუბნებით, რომ ეს
მოჩვენებითი წარსული მხოლოდ თვითმდავობა
ნება იყო“.

„წარმავლობის დასადასტურებლად საკმა-
რისი არაა, რომ ჩვენ გვეკროდეს საკუთარი
არყოფნა? რომ ჩვენით მთავრდება ცხოვრება.
ამის გაგება არც თუ ისე ადვილია. თქვენ
როგორ ფიქრობთ, საიდან მოვა სინათლე:
უზენაესიდან, პირველყოფილი ნებისყოფიდან,
თუ დიდი ადამიანებისაგან, რომლებიც უნდა
მოველინონ ქვეყანას?“

ბეატრიჩე არც კი მიყურებდა.
„თქვენ გსურთ ყველაფერი ზუსტად იყო-
დეთ? განა, საკმარისი არ არის მხოლოდ
გწამდეთ“.

პატარა ბავშვით ვილიმებოდი და ვუსმენდი
მას.

„თუ თქვენ იპოვით მზის ქვეყანას, მაშინ
მეც დამიხატეთ, მოვალ“.

„სიტყვა მომეცით, რომ თქვენ მოხვალთ“.

„სიტყვას ვაძლევთ“.

გაიღივდა კვირები. მეჩვენებოდა, თითქოს,
საღდად შორეულ, ლამაზ ქვეყანაში ვცხოვრო-
ბდი.

ასე კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ.

წითელი სასახლის პარკი ტყეში ივარგებო-
და. ერთხელ, ივლისის ცხელ დღეს აქ შემ-
თხვევით შევხვდი ბეატრიჩეს, ის უწარმაზარი
წიფლის ხის ძირას, მწვანეში იჯდა და ილი-
მებოდა.

„შეიძლება აქ დავარჩე, ქალბატონო?“
მან თანხმობის ნიშნად თავი დამოქინა

„დიახ, მაგრამ ჯერ მარწყვი დამიძებნეთ“.

ეს ადვილი სამსახური იყო. მარწყვი დავუქ-
რიფე. შემოვბრუნდი, გამბედაობა მოვიკრიფე
და მის გვერდით, ბალახზე დავჯექი.

მარწყვს ნელ-ნელა კალათაში ვყრიდი, ბო-
ლოს მივაწოდე და ხელზე ვაქოცე.

„რას შვრებით?“

„რა საყვარელი ხელები გაქვთ, — ვუთხარი.
— გემუდარებით, ერთხელ მაინც იყავით კეთ-
ილი ჩემდამი“.

მან შემწყნარებლად გამიღიმა და თმაზე ხე-
ლი ვადამისვა.

„რა მშვენიერი ქურტი მოგისხამთ, ვთხოვთ,
კუნძზე ჩამოვლეთ კურდღლეოვით“.

ჩემი მეტი აღარც გვილაპარაკნა.

იგი გასტეკროდა ზაფხულის ცაზე მოცურა-
ვე ღრუბლებს. შორიდან ჰაერს დაბალი ხმები
მოჰყვებოდა და ტყესა და მინდორს ეფინებო-
და. თვალს ვერ ვაშორებდი მის მშვენიერ სა-
ხეს. თითქმის უტხო, მაგრამ მაინც ამქვეყნი-

ჯოზეფ კონფორმი
წიგნილის სახელობა

ური, წარმტაცი არსება იჯდა ჩემს გვერდით, ტყეში.

„ქარის ხმა გესმით?“ — მითხრა მან ბოლოს, — როგორ მიყვარს ეს ღვთაებრივი ხმა, — შენ ხომ არ იცი საიდან მოდის და საითკენ მიდის ის?“

ცამდე აწვდილი ხეები, ნაზად მოშრილვე ყვავილები, კამკამა წყარო და თვალუწვდენელი ზღვა, ურცით სავსე პატარა ბორცვები და თვალშეუღდავად მარადიული მთები მზერას გეტაცებდა.

„სიამოვნებით მოგვედგობდი ზაფხულში, გრილი ნიავის ქროლოვის ქაშის“.

„თქვენ არასოდეს არ უნდა მოკვდეთ“, — ვუთხარი აღელვებულმა, მტკიცე ხმით. ისეთი ადამიანები, როგორც თქვენა ხართ, არასოდეს უნდა კვდებოდნენ“.

„ოჰ, ნუ მიიღებთ ამას სერიოზულად. წავიდეთ, მამიდა ალბათ გველოდება ჩაიზე“.

ორივემ სასახლისაკენ გავწიეთ.

მამიდა მართლაც დიდხანს გველოდა. ჩაი კიდე უფრო გემრიელი იყო, ვიდრე ოდესმე.

„ხვალ ეკლესიაში უნდა წახვიდეთ, ბატონო გერსდორფ“. — მითხრა მოხუცმა ქალბატონმა.

დავიბრდი, რომ თავის/დროზე გამოვცხადებოდი. იმის უფლებაც კი მომცეს, ამბიონთან ახლოს დავმდგარიყავი. ეკლესიაში იმ დროს შევედი, როცა გალობა უკვე დაწყებული იყო.

მართლაც, მომაჯადოებელია, სოფლის ეკლესიის მწვენი ფერის მინებში მზე რომ შემოანათებს.

წირვის დროს ბეატრიჩეს ლექსების წიგნი გადავუშალე. ორივენი ერთად ჩაეყურებდით წიგნს. უცებ, ჩემდაუნებურად აღელვებულმა, პაულ გერჰარდის შემდეგი სტროფები ვაჩვენე:

ამ ქვეყანაზე შენა ხარ მართო
ჩემი იმედი, ჩემი რჩეული.
დღედაღამ შენზე ვფიქრობ და ვდარდობ
მადლი და შუქი მწვავს შენეული.

ეს გული შენთვის ფეთქავს და მღერის,
შენი თვალები მოიყვანს აპრილს,
ახარე ჩემი ფუძე და ჭერი
და სიყვარული მაგემე მძაფრი.

მას სახეზე სიწითლემ გადაურბინა. რამდენიმე ხანს ეჭირა წიგნი ხელში და შემდეგ ნაზი ღიმილით იმავე ავტორის სხვა სიტყვები მიჩვენა:

ამ ქვეყანაზე მოვსულვარ ხტუმრად,
ჩემი ადგილი აქ აღარ არი...

ეკლესიაში ხმამალალი გალობა გაისმოდა. მოხუცი მღვდელი აკანკალებული, სუსტი, მოლილი ხმით წირავდა.

ორლანო უკრავდა.

ეკლესიიდან გამოვედით.

ამ დღეს განსაკუთრებით სევდიანი ვიყავი.

ივლისის საღამო მიიწურა. ჩვენ გვერდით გვერდ ვისხედით პარკში. მას ლაბარაკი არ სურდა. მე კი არ შემეძლო ჩუმად მივსვამისი ოთახის ღია კარიდან მკრთალი შუქი გამოჰკრთოდა. ორივენი ქვის გრძელ სკამზე ჩამოვჯექით. დაბურულ ბაღში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ბეატრიჩეს სუნთქვაც კი მესმოდა.

„ბეატრიჩე, — ძლივს წარმოვთქვი, — თქვენ არასოდეს ყოფილხართ შეყვარებული?“

„მე მიყვარს მომავალი“, — მიპასუხა მან. გავჩუმდი.

ოცნებაში წასულმა ბეატრიჩემ დაბალი ხმით განაცხადა:

„გამიგეთ, ჩვენი გრძნობა უფრო წმინდაა, ვიდრე ის, რასაც ჩვეულებრივ სიყვარულს ეძახიან... შესაძლოა ის სიყვარული, რომელზედაც მე ვოცნებობ, სიკვდილია. მე ის ძალიან შორეულად წარმომიდგენია — მომავალთან დაკავშირებით, რომელიც უბრუნდება ძველ, წმინდა წარსულს, სადაც ოდისევისის ლანდშაფტში, ზღაპრულად მშვენიერი ხეების ძირში ბრღველია ყაყაჩოების მინდვრები გადაშლილი. აი იქ მსურდა ფეხი ზურვს წყალში განმებანა, ხოლო სული მარადიული სიჭაბუკის მომნიჭებულ პაერში. წარსული და მომავალი ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული“.

მწადა, მუხლებზე დაცემულიყავი მის წინაშე და მელოცა სიყვარულის ღვთაებრივ ძალაზე.

— იქნება ის აღარასოდეს მოვიდეს — იქნება ვეღარასოდეს ვიხილო მშვენიერი, სულიერი სამყარო. მაგრამ იმედი მაქვს, და იმედი ხომ კაცობრიობის ნაესაყუდარია. მთელი ჩემი არსებით მას ვეყრდნობი, როდგანაც ის ისეთივე მტკიცეა, როგორც ბედისწერა. მე მისი მწამს, მჯერა. შესაძლებელია, გაჰქრეს ახალგაზრდობა, სიცოცხლე, მარადიულობა, მაგრამ მე მაინც მჯერა და მწამს მისი“

ბეატრიჩეს წინ დავიჩოქე, თავი კალთაში ჩავუღე — სამუდამო, უკვდავმა ძალამ შემიბყრო.

„მე შენ მიყვარხარ, — ვუთხარი თავშეუკავებლად. — მიშველე რაზე, მე შენ მიყვარხარ“. ისე გავჩუმდი. თავისი ნაზი ხელი თმაზე გადამიხვეა.

„— ნუთუ, — მითხრა ხმადაბლა, მოწყენილმა, — კიდეც ვერ გამიგე? ისეც ბევრი გითხარი, მე შენ არ უნდა ვიყვარდე. გთხოვ ძალიან, ნუ იქმ ამას“.

წამოვიწვი. იგი დაიხარა და მკოცა.

„შენ აქ დარჩი, ჩემო კარგო“. — მითხრა მან და სასახლეში შებრუნდა.

ღია ფანჯარასთან ვიჯექი. წაბლის ხეების ხშირი ტოტები ძალუმაღ ირზეოდნენ და სასახლის კედლებს ეხებებოდნენ. ივლისის ვარსკვლავებიანი ღამე იდგა. მკრთალ შუქზე ყოველივე ბუნდად მოჩანდა. მთელი ბუნე-

ბა თითქოს ჯადოსნურ ფოკუსში მოქცეულიყო, გადიდებულიყო და იღუმალ ჩრდილებად მოვლინებოდა ადამიანს. ღამის წყვდიადში ჩაძირულ სოფელში სიმშვიდე გამოვლენისა და ფიქრის უნარი წამართვა. მხოლოდ ერთს ვგრძნობდი, ერთს განვიციდიდი: ეს იყო ბეატრიჩეს კონცა. ჩემში რაღაც უწმინდესმა, ამაღლვებელმა დაისადგურა, არავითარი სურვილი, არავითარი ნატერა აღარ მქონდა მისი კვლავ ნახვისა, მისი დაუფლებისა. ჩემი ოცნება აღემატებოდა ყველაფერ იმას, რაც კი ოდესმე მინატრია. ჩემს სულში სიმშვიდე გამეფდა. ძილი გამიბუდა. ფანჯარასთან ვიჯექი და გავცქეროდი წყვილად ღამეში ცაზე მოკაქამე ვარსკვლავებს.

მარტო ვიყავი საკუთარ თავთან. ღამე ხელში შემომადნა. ინათლა. ვარსკვლავები გაიცირცა. ხეთა ჩრდილები გაუფერულდა, შემდეგ დღე და ღამე ერთმანეთს შეეჭიდა, დღემ ჭამიარკვა, რძისფერი ბურუსი ჩამოწვა და გათენდა.

რაღა დამჩენოდა სათქმელი? ველოდებოდი.

საში დღის განმავლობაში მივიღიოდი ჩაიზე წითელ სასახლეში. გარეთ წვიმდა, ჩვენ კი ვიჯექით ქალბატონთან და ჩაის შევექცეოდით. აღრაფრის უნარი აღარ მქონდა. ასე დამუნჯებული ვიჯექი ბეატრიჩეს წინაშე. მას შეეძლო ყველაფერი მოეცა ჩემთვის, თუკი მოისურვებდა. მე კი ვერაფრის გამეორება ვერ გავხედე.

მესამე დღეს კვლავ შევხვდი. სანამ რამეს ვიტყოდი, მან ჩემი ხელი აიღო:

„მადლობელი ვარ შენი, — მიხბრა, — გმადლობთ“, — და მოულოდნელად დამტოვა სალონში, სიძველისაგან გაფერმკრთალებულ დაბზაში. არ ვიცი, როგორ გავიდა ის საღამო და როგორ დადგა მეორე.

მხოლოდ მას ველოდი. ვრთხელავ კი არ გამიბედნია, რაიმე მიმეწერა.

დაბზაში რომ შევედი, მოხუცი ქალბატონი მარტო იჯდა ჩაის მაგიდასთან და სუფრაც ორი ადამიანისათვის იყო გაშლილი.

„ხედავთ, იგი წავიდა, დიახ, ბეატრიჩე წავიდა. იგი ყოველთვის ასე იქცევა. მაგრამ ამჯერად გამომეშვიდობა და თქვენთვის პატარა ბარათიც დამიტოვა. დმერთმა იცის, სად წავიდა“.

სრულებითაც არ გამკვირვებია, თითქოს დი ხანია ამას მოველოდი.

ვერც კი ვიგონებ, რა პასუხი გავეცი, მხოლოდ ვგრძნობდი, რომ მოხუცი ქალბატონი კიდევ უფრო კეთილი და ყურადღებიანი იყო ჩემდამი და თავიდან მიყვებოდა თავის ძველ, ამაღლვებელ ამბავს ინგლისელ ექიმზე. წამოსვლისას მას დამქანარ, დალილ ხელზე ვეამბორე. ამით მიხვდა, რომ გამოვეშვიდობე. ოთახიდან გამოსვლისას მიხბრა:

„ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“

დერეფანში უმოძრაოდ იჯდა შავი კატა, წითელი ენა გადმოეგლო და მაშურადებოდა. წითელი ქვის კედლები სულს მიხუთავდა. უგონომ, გრძნობაწარმეულმა ძლივს მივადწიე ჩემს ოთახამდე. ბარათი წავიციოთხე:

„არ მინდოდა ისე წავსულიყავი, როგორც იქცევიან რომანის გმირი ქალები, რომლებიც სიყვარულს გაურბიან. სწორედ ამიტომაც კიდევ რამდენიმე ხანს დავრჩი სასახლეში. თუმცე ეს სულაც არ იყო საჭირო. მე შენ მიყვარხარ, მაგრამ მაინც ეს არ არის ჩემთვის ბედნიერება. რანაირი სახითაც არ უნდა მომევილინოს იგი. მე შენგან მივდივარ მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ბოლომდის ვერ გამიგე, მაგრამ ჩემთვის მაინც დიდი ბედნიერებაა და მიხბრია, რომ ვიპოვნე. ოცნებით მუდამ შენთან ვიქნები. ისევე, როგორც შენ ჩემთან. გრძნობ, რანი ვართ ჩვენ ურთიერთისათვის? თუ ეს არ იცი, თუ ამას ვერ გრძნობ, მაშინ წაიკითხე ვილჰელმ მაისტერის მშვენიერი სიტყვები: „ძმები, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან გზაჯვარდინზე, მიემართებიან უკუწიეთიდან სინათლისაკენ“.

ჩვენ კი ორივენი ჩვენი გზით მივდივართ სინათლისაკენ, ეგებ ძალიან შორსაა ეს გზა ბეატრიჩესათვის, ვინ იცის? იხილავს თუ არა მას იულიუსი, ვინ იცის? ჩვენ, რაკილა ამ გზაზე შევხვდით ერთმანეთს, გაბედულად უნდა წავიდე თ წინ.

მშვიდობით. თუ ოდესმე ერთმანეთს შევხვდებით, მაშინ ერთმანეთის გვერდით დავისვენოთ შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულებმა, რათა კვლავ დიდ გზაზე გავიდე.

მშვიდობით. ბეატრიჩე“.

გირმანულიდან თარგმნა
მერი გომარათელა.





ოდისეა

III

დიდმშენიერი ზღვის სიღრმეებიდან ცა-
რგვალზე ამობრწყინდა მზე-პელოსი და
სინათლე მოაფინა ოლიმპოს უკვდავ ღმერ-
თებსა და ნაყოფიერი დედამიწის მკვიდრთ.
სწორედ ამ დროს მიაღწენ მოგზაურები პი-
ლოსს, ნელეგის კეთილნაგებ ქალაქს. იქ, ზღვის
პირას, პილოსელები შავ ხარებს სწირადნენ
მსხვერპლად შავკულულებიან პოსეიდონს.
ცხრა რიგად დადგმულ სუფრაზე ხუთას-ხუთა-
სი კაცი იჯდა, თვითეულ რიგს წინ ედო ცხრა
დაკლული ხარი, რომელთა გულ-ღვიძლს შემ-
წირველნი თვითონვე ჭამდნენ, ხოლო მსუქან
ბარკლებს ღმერთს უწვავდნენ. მგზავრებმა
იალქანი შეხსნეს ხომალდს და ნაპირზე შეაყე-
ნეს. ხომალდიდან ჯერ ათინა გადმოვიდა, მას
ტელემაქე მიჰყვა. თვალსხივისანმა ქალღმერთ-
მა ასე დაარიგა ჰაბუკი:

გავრძელება. დასაწყისი იხ. „ციცკარი“ № 3.

— ამიერიდან ყმაწვილური თავმორეკილო-
ბა აღარ გმართებს, ტელემაქე! აკი იმისთვის გა-
დმოვცურეთ უნაყოფო ზღვა, რომ შეგვეტყო,
სად წაეფარა მიწა და რა ბედი ეწვია მამა-
შენს. თამამად მიეახლე ცხენთამხედნელ ნეს-
ტორს, შევედრე, ყოველივე წვრილად გაიმ-
ბოს. ტყუილს არ გეტყვის, კეთილგონიერი
კაცია ნესტორი.

— როგორ მიევახო ნესტორს, — შეცბა
ტელემაქე, — როგორ დაუწყუო საუბარი?
მევერმეტყველებაში ჯერეთ უწვითნელი ვარ,
მერიდება! პირველი სიტყვა როგორ ვკადრო
უმცროსიან უფროსს?

— ბევრ რამეს შენ თვითონ მიხედები, ტე-
ლემეაქე! — უბასუხა თვალსხივისანმა ათინამ,
— ბევრშიც დაიმონი შემოგეშველება. ვან-
ღმერთების ნებითა და თნევით არა ხარ შობი-
ლი და აღზრდილი?

ეს უთხრა და სწრაფად გაემართა ათინა,

ტელემაქე კვალდაკვალ მიჰყვა. მალე მიაღწინ პილოსელთა შესაკრებელ ადგილს. იქ შეიღებთან ერთად მერხზე იჯდა მოხუცი ნესტორი. იქვე ტრიალებდნენ მონადიმენი: ზოგა შამფურზე აგებდა ხორცს, ზოგიც მწვადებს წვავდა. უცხო სტუმრები რომ შენიშნეს, წამოიშალნენ, ხელის აწევი მიესალმენ და სუფრაზე მიიწვიეს. პირველად ნესტორის უმრწემის ძე, პინისტრატე მიეგება მოსულთ, ხელი მოჰკიდა და ქვიშიან ნაპირზე დაფენილ რბილ ტყავებზე, მამასა და უფროს ძმას, თრასიმედეს შორის დასხა. შემწვარი გულ-ღვიძლი მიაწოდა ზევისს ასულს, ღვინით აუფსო ოქროს ბარძიმი და ასე მიმართა:

— ძვირფასო სტუმარო! რაკი პოსეიდონის სამსხვერპლო ნადიმზე შემოგვესწარიტ, მადლი შესწირე მიწისმრყველს. ჯერ შენ დაღვარე ზედაზე, წესისამებრ შეევედრე ზღვათა მეუფეს, ხოლო მეერ ტაბილი ღვინით სავსე ბარძიმი შენს თანამგზავრს გადაეცი. დაე, მანაც აღასრულოს წესი, რადგან ღმერთების შეწვევის გარეშე ჩვენ, კაცნი, უმწურონი ვართ. შენზე უმცროსია იგი, ჩემი კბილა ჩანს, ამიტომაც ამ ბარძიმს ჯერ შენ გაევაზობა.

ეს თქვა და ზღვაშით სავსე ბარძიმი სტუმარს გადასცა. ეამა ათინას ამ ზრდილი ყმაწვილის საქციელი, პირველად მას რომ მიაწოდა ოქროს ბარძიმი. გულმდღურად შეევედრა იგი შაკუთლულებიან ღმერთს:

— შეისმინე ჩემი მუდარა, პოსეიდონ! ნუ უტყავდებ ჩვენს ვედრებას, გულის წაღილი აგვისრულე! დღევრძელი ჰყავ ნესტორი და მისი ვაჟები, წყალობა მიაგე ყველა პილოსელს ამ დიდებული ჰეკატომბისთვის. ხოლო მე და ტელემაქეს შეგვეწვიე, რომ კეთილად მოვიგვართ საქმე, რისთვისაც შაკვიინტიანი ზომადით ჩამოვედით აქ.

ასე ილოცა, წესი აღასრულა და ორძირიანი ოქროს ბარძიმი ტელემაქეს გადასცა. ოდისევის ძვირფასმა ძემაც იგივე გაიმეორა. პილოსელებმა სუკის წილობები ჩამოარიგეს და პურობას შეუდგნენ. სმაჰამით გული რა იჯერეს, ასე ბრძანა გერენიელმა მხედარმა ნესტორმა:

— ახლა კი დროა, ჩვენი სტუმრების ვინაობა შევიტყოთ. სადღურნი ხართ, საიდან მოყავხართ ღვინისფერ გზას? სასიკეთო რამ საქმე გაქვთ თუ იმ მეკობრეთა მსგავსად დაეხეტებით, თვისონაც ხილათში რომ იგდებენ თავს და სხვებისთვისაც უბედურება მოაქვთ?

გონიერმა ტელემაქემ თამამად მიუგო ბერიკაცს. სითამამე ათინამ შთაუწერა გულში, რომ დაკარგული მამის ამბავი გულდაგულ გამოეკითხა და სახელოვან კაცთა შორის თავი გამოეჩინა:

— ჰე, ნესტორ, აქველთა სიქადულო! გვიკითხები, ვინ ხართ, საიდანა ხართო. ვეტყვი: ნეონის მთის ძირას შეფენილი ითაკიდან ვართ.

იქიდან მოვიდვართ. საერო საქმეზე არ გავსებთ, კერძო რამ გავგვირვებია. მამიჩემის, ქვეთილშობილი და შეუპოვარი ოდისეუსის მამამს, შესატუობად ჩამოვედი. გამიგონია, ერთად გვებრძოლით ღვთაებრივი ილიონის დასამხობად. სხვა მგომართა ბედისა ბევრი გვსმენია: ვიცით, ვის სად ეწია სასტიკი სიკვდილი. მხოლოდ ოდისეუსის ხვედრი დაუმალავს ჩვენთვის კრონიონს. ვერაინ იტყვის ცხადად, სად ნახა აღსასრული მამაჩემმა, უცხო თესლისაგან მოიკლა ხმელეთზე თუ ამფიტრიტის ტალღებში შთაინთქა. გვევდრება, არ დამიმალო და უკეთუ მისებრ გზადაკარგულისგან გსმენია, ან თვალით გინახავს, — მიამბო მამაჩემის მწარე აღსასრულის ამბავი. უბედურ დღეზე გაუჩენია იგი დედამისს! ნუ შემიბრალებ და თნვეითაც ნურას მეტყვი. გულახდილად მითხარი ყველაფერი, რაც გინახავს და გაგიგონია. და თუ ოდისემ ქველი ოდისეუსი სიტყვით ან საქმით შემოგშველება ტროაში, სადაც მრავალი ქირი ვარდახდათ აქაველებს, ახლა გაიხსენე და დაუფარავად მათუყვი ყოველი.

ასე მიუგო ტელემაქეს გერენიელმა მხედარმა ნესტორმა:

— ძვირფასო ყრმო, ძველი ტკივილები ამიშალე და ის დღეები მომაგონე, როცა აქილეუსის წინამძღოლობით საშოვარზე წასულ აქაველ გვირებს ჯერ ნისლიან ზღვაში, მერე კი პრიამოსის ციხე-ქალაქის კედლებთან დიდი ქირი დაგვატყეს ღმერთებმა. იქ დაიხტონენ აქაველთაგან უეტყენი. იქ დავცა ძალგულოვანი აიანტი, მძლეთამძლე აქილეოსი და ღმერთების შესაგვანი პატროკლე. იქვე დავცა ჩემი საყვარელი ძე სახელოვანი ანტილოქე, ფეხმარდი მოასპარეზე და უებრო მეომარი. ბევრი სხვა ქირიც დაგვატყდა თავს, მოკვდავთაგანი ვინ მოთოგის ყოველივეს!

ხუთი ან ექვსი წელიც რომ გიყვებოდე აქველთა თავგადასავალს, სრულად მაინც ვერ შეიტყობდი მათ ამბავს და გულგაწვრილებული უკანვე გაბრუნდებოდი. სრული ცხრა წელიწადი ვედლობდით ილიონის დამხობას. თავად კრონიონმაც ძლიერ მოულო მას ბოლო. იცოდაე, ტროაში ვერაინ შეედრებოდა ოდისეუსს მოხერხებითა და მორკინალთა ხელოვნებით. ყველას აღემატებოდა მამაშენი, უკეთუ ქეშმარიტს ამბობ და მართლა მამაშენია იგი! გოცება კი მიჰყრობს, ისე მაგონებ ლაპარაკით ოდისეუსს. ვერც კი ვიფიქრებდი, თუ უწევარული ჰბუჟი ეგზოშო ვაწაფული იქნებოდი მჭვერტიტყვებში. მე და ღვთაებრივი ოდისეუსი თათბირებზე და უხუცესთა საბჭოში მუდამ ერთმანეთს ვუჭერდით მხარს, ჩვენი რჩევა არგოსელთათვის მუდამ სასიკეთო იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაეპყიეთ პრიამოსის დი-

კომაროსი
ოდისმა

დებულები ქალაქი და გამოგზავრებულნი, ღვთის
ნებით, ზღვაზე დაიქსაქსენით, ზეცსა არგო-
სელთა შინ არდაბრუნება განიზარაზა. სიმართ-
ლე და გონიერება აღარ ახლდათ და მწარე ხვე-
ლრი მითივალდა აჟი!

განრისდა თვალსხივოსანი ქალღმერთი,
მძღვევარის ასული, და აქვევლთა შორის შულ-
ლი ჩამოავდო. ერისმთავრებმა უდროო დროს,
მშის ჩასვლამდე შეჰყარეს სათათბიროდ აქა-
ველნი. ღვინით დამძიმებულნი გამოცხადდნენ
ისინი საერებულოში. ატრიდებმა შეყრის მი-
ზეზს შეატყობინეს, მეწელოსმა უბრძანა აქა-
ველებს, შინ დაბრუნებულ ეზრუნათ, მაგრამ
ავამემნონს ეს არ ებრძანა და აქვევლებს უბრ-
ძანა დაყოვნებულებენ, ვიდრე ათინას წმინ-
და ჰეკატომბას არ შესწირავდნენ და არ შეი-
რიგებდნენ განრისხებულ ქალღმერთს. რა იცო-
და იმ უფლებურმა, რომ ათინას მოლოზობიერება
გვიანდა იყო, რომ უკვდავნი ასე აღვივდნენ არ
იცვლიან ნებას! ასე ექიმებოდა ერთმანეთს
ორი ძმა — ატრესიანი, ხოლო ორ ბანაკად გა-
ყოფილი, ახვარასხმული მეომრები გათენებამდე
ბოლოქრობდნენ. ერთმანეთზე გულამღერეულე-
ბმა გავათენენ ღამე, არკი ვიცოდით, რომ და-
ღუბავს ვეიმზადებდა ზეცის.

გამთენისას აქვევლთა ერთმა ნაწილმა ნაღა-
ვლითა და მკერდსავსე ტყვე ქალებით დატვირ-
თული ხომალდები წმინდა ზღვაში შევაცურეთ.
დანარჩენი ლაშქარი ერის მწყემსთან, ავამემ-
ნონთან, დარჩა. ჩვენ კი ხომალდებზე ავედით
და გავშალეთ იალქნები. კეთილმა დაიმონმა
ზღვა დაგვიწყნარა და რა მივადექით ტენელოსს,
წმინდა მსხვერპლი შეწვირეთ, რომ ღმერთებს
შინ მშვიდობით დავებრუნებინეთ. მხოლოდ სა-
შინელ ზეცს არ უნდოდა ჩვენი დაბრუნება.
კვლავ შულლი ჩამოავდო ჩვენს შორის. ოდი-
სეისის წინამძღოლობით წამოსული აქვევლები
ავამემნონის გულის მოსაგებად უკანვე გაბრუნ-
დნენ ღრმამუცლიანი ხომალდებით. მე კი გზა
განვავრებე, რადგან ვიცოდი, კეთილს არაფერს
გვიქვალდა დაიმონი.

ჩემი ხომალდის კვალს ტიდევსის სახელო-
ვანი ძე, დიომედი გამოჰყავდა, მერე ოქროსთმი-
ანი მენელაოსი წამოგვეწია ლესბოსთან. იქ მო-
ეთათბიროდ, რა გზა ავგერჩია: ჩრდილოეთი-
დან მოგვევარა კლდოვანი ქიოსისათვის, ფსირი-
სიაკენ წავსულიყავით და მარცხნივ მოგვეტო-
ვებინა იგი, თუ ქარიანი მიმანტის კონცხისაკენ
ავველო გეზი და ქიოსისათვის სამხრეთიდან მო-
გვევლო. ღმერთს ვევედრებოდით ქუხილით მო-
ენიშნებინა გზა. ბოლოს ღვთაებრივმა ნიშნმა გვა-
ნიშნა შუაგული ზღვა გადავგებრა და ევბოისი-
საკენ წავსულიყავით. მხოლოდ ეს თუ ავგაც-
დენდა განსაცდელს. ზურგქარმა ზუზუნით დაგ-
ვიბერა და ჩვენი ხომალდები სწრაფად გააქა-
ნა თევზმრავალ ზღვაზე. დამით გერესტოს მი-
ვადექით და რა დაკვეცეთ ზღვის უსასრულო

გზა, პოსეიდონს ხარის უმარავი ბარკალი მთავრ-
თვით მსხვერპლად. მეოთხე დღე იწურებოდა,
როცა ცხენთამხედნელი დიომედის მძღვევარნი
არგოსს მიაღვა. მე კი პილოსისკენ წამოვედი.
ღვთისგან მომბერილი ზურგქარი არ ჩამდგარა,
ვიდრე მშობლიურ ნაბრის არ მოვადგე. ასე
რომ, საყვარელი შვილო, მამაშენის ამბის უტო-
დნელი დავბრუნდი, არაფერი ვიცი არც დაღუ-
პულთა და არც გადარჩენილთა. არ დაგიმალავ,
საკუთარ სახლში რა ამბავიც მომწვედა, იმასვე
გიაშობო.

მშვიდობით დაბრუნებულან შუბოსანი მირ-
მიდონელები, რომელთაც გმირთავგმირი აქილ-
ვისის ბრწყინავლ ძე წამოუძღვდა. მშვიდობით-
ვე დაუბრუნდა თავის სახლს ფილოქტეტე, პეო-
ნტის სახელოვანი ძე. იდომენესმაც უკლებ-
ლივ მიიყვანა კრეტას ომში გადარჩენილი თვის-
ტომნი. ხოლო ავამემნონს რაც შეემთხვა, თქმ-
ეცა შორის ცხოვრობო, შეიტყობდიო ალბათ.
გუკვდინებდა, — როგორ დაბრუნდა და რო-
გორ მოიკლა ეგისტეს მიერ. იმასაც ვიგვიბდიო,
რა სასტიკად მიუზლო მკვლელს ორესტემ: რა
სჯობს, როცა მოკვდინებულ მამას შურისმგე-
ბელი შვილი დარჩება! როგორ ვაზრდილხარ
და დამშვენიერულხარ, ჩემო ძვირფასო! გულ-
მაგრად და მტკიცედ დეგ, რომ შენც ქებით
მოვიხსენიო.

გონიერმა ტელემაქემ ასე უპასუხა ნესტორს:
— ჰე, ნესტორ, აქვევლთა სიქადულო! დია-
დაც საკადრისი მიუზლო ორესტემ მტერს და სა-
ხელიც მოიხვეჭა აქვევლთა შორის. რა იქნე-
ბოდა, ჩემთვისაც მოეცათ ღმერთებს ძალი, რომ
შური შეიძა ჩემს შეურაცხყოფელ სასიძოებ-
ზე! მაგრამ ეტყობა, ჩემთვისა და მამაკემის-
თვის არ გამოუმეტებიათ ღმერთებს ასეთი
ხვედრი. მოთმინების მეტი რაღა დამრჩენია!

კვლავ მიუგო გერენიელმა მხედარმა ნესტო-
რმა ტელემაქეს:

— ძვირფასო ყრმაო! შენ ის ვამახსენე, რაც
უკვე ვიცოდი. სასიძოებს შეუფეროებიათ დე-
დაშენი და თურმე შენც მახე გოგებენ შენსვე
სახლში. ახლა ეს მათუყე, — რატომ დაწყვეი
სასიძოთა ნებას, სახლში რომ შემოგვეტრუნე? ან
ქნებ ღმერთების შთაგონებით შეგიძლეს
თვისტომებმა? არავინ იცის, თვითონ ოდისეისი
მიაგებს მათ სამაგვიროს თუ აქვევლები. მიუ-
ზღავენ საკადრისს. ეჰ, ნეტავ ისევე შეგოყვარ-
ოს თვალსხივოსანმა ათინამ, როგორც ოდი-
სეისი უყვარდა ტროაში, სადაც მრავალი ღირ-
ვარდაგვხდა აქვევლებს! მე არ მინახავს, ასე
აშკარად შეუყვარებინოს ღმერთს მოკვდავთ-
ვანი! ეგ რომ ახლეს, ქორწილის ხალისს წაუხ-
ხდებოდათ სასიძოებს.

— ტკბილო მოხუცო! — უპასუხა გონიერ-
მა ტელემაქემ. — ვაი რომ შენს სიტყვას ას-
რულება არ უწყვირია! დიდად მაიმედებ, მაგრამ

შინი მიპყრობს, ვითუ ღმერთების შეწვენი-
თაც არ ამიხდეს ეგ იმედი!

მამის ეს უთხრა თვალსივისანმა ქალღმერთ-
მა ათინამ:

— ეს რა დასცდა, ტელემაქე, შენს კბილსა
ზღუდეს? თუ ღმერთს სწადია კაცის ხსნა, შორი
მანძილი რას დააბრკოლებს. სჯობს მრავალკირ-
ნახული დაბრუნდე შინ, ვინემ მალედაბრუნე-
ბულმა შენივე სახლის ზღურბლზე სიკვდილი
პოვოვ ავამეზონივით, რომელიც საკუთარი ცო-
ლისა და ევისთვის ხელით მოკლა. თუმცაღა
მოკვდავთ მათი მოყვარული ღმერთებიც ვერ
შეგლიან ხოლმე, როცა სასტიკი მოიარა გარდუ-
ვალ სიკვდილს განუვებს მათ. მოვა სიკვდილი
და მოელი სიგრძლით გამოტაცს მოკვდავს.

— გულსაქალია დიდად, — ამოიხარა გულ-
შეძრულმა ტელემაქემ. — ნუღარას ვიტყვი იმ
კაცზე! მას ხომ შავი სიკვდილი არგუნეს წილად
ღმერთებმა. აჲ მინდა, სხვა ამბავი გამოვკით-
ხო ნესტორს. გულმართალი და ბრძენი კაცია
ნესტორი. ამბობენ, მესამე თაობას მწყემსავსო
იგი და მის შემხედვარეს უკვდავი მგონია. ჰე,
ნესტორს, აქავედოთა სქადულში სწორი მოთხა-
რი, რამ მოკლა ავამეზონი, ეს ხელმწიფე კაცი?
ან სად იყო მამინ მისი მამა მენელაოსი? ან ისე-
თი რა მახე დაუგო ვერავმა ევისთემ, ამ უძ-
ლეველი მამრის დამარცხება რომ შესძლო? იქ-
ნებ არგოსში არ იყო მამინ მენელაოსი და მარ-
ტო რა მოიხელთა ავამეზონი მხაკერულად
მოაკვდინა?

— წვრილად მოგიყვები, ჩემო შვილო, —
მიუგო ნესტორმა. — არაფერს დავიმალავ. წე-
დან რომ თქვი, სწორედ ეგრე მოხდა ეს ამბა-
ვი. ილიონიდან მობრუნებულ ომშიმიყვარ მე-
ნელაოსს თავის ძმის სახლში ცოცხლად რომ
შეეპყრო ევროთე, არამითუ სამამსოვრო ბორცვს
აღუმართავდნენ მას არგოსში, არამედ ქალაქი-
დან შორს, ძაღლთა სათრევად და ფრინველთა
საიჭვნად დაავდებდნენ და ვერც ერთი აქავე-
ლი დიაცი ვერ დაიტრებდა მის გვამს. როცა
ჩვენ ილიონის კედლებთან ვიბრძოდით, იგი
ტუბილი ისტყვიით ინადირებდა ცხენმარავლ არ-
გოსში კლიტემნესტრეს გულს. მაგრამ დიდებუ-
ლი მეუღლე ავამეზონისა თავიდანვე არ დაჰ-
ყოლია უყუთური ევისთვის ნებას, რადგან კე-
თილგონიერი დიაცი იყო იგი. ატრეცისს ძემ
ტროაში გამგზავრებამდე თვალყურის სადევ-
ნებლად ხმატკბილი ავიდ მიუჩინა ცოლს. საბო-
ლოოდ სასტიკმა მოთრებმა დანაშაულად მი-
დრკეს კლიტემნესტრეს გული და ევისთემაც
მამინევე უკაცრიელ კუნძულზე გაავგზავნინა აე-
დი, რომ სვავების კერძი გამხდარიყო. ამრი-
ვად კლიტემნესტრე საკუთარი ნებით წაჰყვა
ევისთვის სახლში. მერე ღმერთების წმინდა სა-
კურთხეველზე მან ბევრი მსუქანი ბარკალი და-
სწვა, შესწირა უამრავი ძღვენი: ძვირფასი ლარი
და ოქრო-ვერცხლი და ასე დაავკირავინა თავი-
სი საშინელი საქმე.

ამ დროს კი ერთგული მეგობრები — მე და
მენელაოსი — ტროადან მოვემგზავრებოდით/
ათენელთა ნაპირებს რა მივალწიეთ დეკლემენ-
ნის წმიდა კონცი გამოჩნდა, მენელაოსისა და მე-
საკე — მღელვარე ზღვაში ხომალდის მართვის
დიდოსტატი ფრონისი, ონეტორის ძე — სნი-
ვოსანი აპოლონის ანაზღვეულმა ისარმა განგმი-
რა. აჲ დაუცენდა გზად აჩქარებული მენელაო-
სი, რათა დაეშარბა მიღებული მეგობრობა და
უქანასენელი პატევი დიეგო მისთვის. და როცა
კვლავ გამოემართა ღრმამუცლიანი ხომალდე-
ბით და მალეას კონცს მიაღდა, შორსმაცქერალ-
მა ზევსმა მისი დაღუპვა განიზრახა; ავადმსტიე-
ნავი ქარების სუნთქვა და მთებისოდენა ტალ-
ღები დაადევნა, ხომალდების ქარავანი დაარბია
და მიფანტ-მოფანტა. ზოგიერთი კუნძულ კრე-
ტაზე გაროყა, იორდანოსის შესართავთან, სა-
დაც კიდონები მკვიდრობენ. გორტინის მახლო-
ბლად ნისლიან ზღვაში უზარმაზარი ციკაბო
კლდე იყო აღმართული. მძვინვარე არავი აქეთ
დენიდა ვეებერთელა ტალღებს, რომელნიც
დაააღვლით, ფესტოს ქარავებზე ინთქროლ-
ნენ. სწორედ აქ ქარავებს შეაღწეა ზღვამ ხო-
მალდები, თუმცა ხალხი ვადურჩა სიკვდილს.
ხუთი შავკვინტიანი ხომალდი ქარიშხალმა ეგვი-
პტისაკენ წალაღა. მენელაოსმა აქ დიდძალი გან-
ძი და ოქრო-ვერცხლი ჩაივლო ხელში. მას შემ-
დედა თავისი ხომალდებით კიდევ დიდხანს იხე-
ტავოდა უცხოენოვან ხალხებს შორის. ამასო-
ბაში ევროთემ მუხანათურად მოკლა მისი ძმა
და ერიც მას დაჰორჩილა.

შვიდ წელიწადს მართავდა იგი ოქრომრავ-
ვალ მიკენს, მაგრამ მერვე წელს ათენიდან შე-
მოქცეულმა დეათებრივმა ორესტემ სიკვდილი
მოუტანა მამამისის მკვლელობა. შემდგომ ამისა
ბრალეული დედის და მხალცი ევისთვის ქელეხ-
ზე მოიბატონა არგოსელნი. სწორედ ამ დღეს
ურიცხვი საქონელით ავსებული ხომალდებით
შინ დაბრუნდა ომშიმიყვარი მენელაოსი... შენ
კი, ქაბუკო, დიდხანს ნუ იხეტიალებ გარე-გარე-
უბარტონოდ ნუ დაავდებ სახლს, თორემ სარ-
ჩო-საბადებლად ქედამალდი სასიძოვრო შეგიჟი-
მენ და ფუჰად ჩავივლის ეს მგზავრობა. გუ-
ლით გირჩევ, მენელაოსს მიაკითხო. ის ხომ ახ-
ლახან დაბრუნდა იმ ქვეყნიდან, რომელსაც ძნე-
ლად თუ დააღწევს თავს კაცთავანი, საიდანაც ამ
ვრცელსა და საშინელ ზღვას ჩიტიც ვერ ვად-
წოიფრენს ერთ წელიწადში. რა გზითაც გერ-
ჩიოს, იმ გზით წადი, — გინდა ზღვით, გინდა
ხმელით. ეტლსა და ცხენებს მე მოგცემ და შვი-
ლებსაც გაგაყოლებ, რომ სახელგანთქმულ ლა-
კედემონს მიგიყვანონ ოქროსთმიან მენელაოს-
თან. მიდი და შეევედრე, დაუფარავად გითხ-
რას ყოველი. არ გეცრუებო, — კეთილგონიერი
კაცია მენელაოსი.

ჰომეროსი
ილქობა

ამასობაში მზე ჩაივლიდა და მწუხრი მოეფინა მიდამოს. და მაშინ თვალსხივოსანმა ქალღმერთმა ათინამ თქვა:

— ბრძნულია შენი ნაუბარი, ნესტორ! ახლა კი დროა, ენები ამოვაპტროს ხარებს, ღვინო განვაზაოთ, რათა პოსეიდონსა და სხვა უკვდავებს დაუღუღვაროთ ზედაზე. საღამომ მოაწვია უკვე და მოსვენებაზე უნდა ვიფიქროთ. მზე ჩაივლიდა, ღმერთების სუფრაზე გვიარბამდის ჯდომა არა ხამს.

გულისყურით მოუსმინეს ზევსის ასულს, მისი სიტყვისაებრ მოიქცინეს: მესტუმრებებმა ხე-მისი დასაბანად წყალი მოიტანეს, ჭაბუკებმა ლაგვინები პირამდე აავსეს აჭაფებულნი ღვინით და თასები ჩამოურთვეს სტუმრებს. ხარის ენები ცეცხლზე დაყარეს და თასებს თავი წაუქციეს. მერე ნებაზე სვეს. სმა რა მოათავეს, ათინამ და ტელემაქემ ფერდგანიერი ხომალდისაკენ დაბრუნება დააპირეს. მოხუცმა ნესტორმა საყდღურით აავსო ისინი:

— ზევსმა დამიფაროს! ხომალდებზე როგორ გაგიშვებთ ღამის გასათევად! ასეთი რა გასაპირი მადგას? ქვეშავებელი არა მაქვს თუ სასთუმალი, რომ ჩემს სახლში ვერ მოგასვენოთ? ყველაფერი მრავლად მიწყვია. თავი ცოცხალი როლად მიწდა, თუკი ჩემს სახლში სტუმრებულ ოდისეისი ძვირფასი შეიღს ხომალდის კიჩოზე გავათევიანე ღამე!

ასეთი სიტყვით მიუბრუნდა მას თვალსხივოსანი ქალღმერთი ათინა:

— სწორს ამბობ, ნესტორ, ძვირფასო მოხუცო! კეთილი რჩევაა, ნებას დაგყვეს და შენს ჭერქვეშ გამოიძინოს ტელემაქემ. მე კი შავჭვინტიან ხომალდზე დავბრუნდები, თანამგზავრებს გავამხნეებ და ქუას დავარიგებ. მათ შორის მე ვარ უხუცესი, ყველანი ტელემაქეს თანატოლი არიან. იქვე ვავათევი ღამეს, ღრმამოცლიან ხომალდზე. დილაადრიან დიდსულოვან კავკონებთან მიწდა წავიდე, რომელთაც ჩემი დიდბინის ვალი მართებთ. ხოლო შენ, რაკი სახლში გეწევა ტელემაქე, ფეხმარდი ცხენები შეუბი ეტლში და შენს ვაჟიშვილთან ერთად სპარტას გაისტუმრე.

ეს თქვა, ზღვის არწივის სახე მიიღო და თვალს მიეფარა ათინა. შეძრწუნდნენ ამ ამბის შემსწრენი. განციფრებულმა მოხუცმა ხელი ჩასჭიდა ტელემაქეს და ასე უთხრა:

— ძვირფასო ჭაბუკო! ახლა კი ვხედავ, მხდალ და უჯიშო კაცად არ შეირაკებები! უწვერულ ჭაბუკს ღმერთები მიგიძღვიან წინ. ვინ გახლდა აქ ოლიმპოელთაგან, თუ არ ზევსის ასული ტრიტოვენია, ომში გამმარჯვებელი ქალღმერთი, რომელიმაც ქველი ოდისეისი აჭაველთა შორის ბედნიერად გამოარჩია. ო, დიდუფალო! მოწყალე იყავ ჩემდამო, შეწევნა და ძალა მოეცე ჩემს შვილებს და ღირსეულ მეუღლეს! შეგეგწვი და უღელში შეუბმელ, რქადაოქროვილ-

სა და ფართომუხლიან მოზვერს შემოგვრავ მსხვერპლად!

ამას ევედრებოდა და ათინა პატარავს მინა მისი ვედრება. მერე კეთილნაგებ სახლისაკენ წარუდგა გერენიელი მხედარი ნესტორი თავის ვაყებსა და სიძეებს. მამფარის დიდმშვენიერ სახლში რა შევიდნენ, რიგისამებრ დასდნენ სკამებსა და საკარცხულლებზე. ნესტორმა, მზეგრძელმა მახეშმა, მეკუქნავე ქალს უბრძანა თერთმეტი წლის ღვინისათვის მოეხადა თავი. სურნელოვანი ღვინო თვითონვე განაზავა ლაგვინში, ფარისმპყრობელის ასულს — ათინას დაუღვარა და ლოცვა წარმოსთქვა. ყველამ ნებისაებრ სვა არ ღუმობრეუღნი შინისაკენ წაბარბაცდნენ.

შემდეგ გერენიელმა მხედარმა, ნესტორმა ღვთაებრივი ოდისეისის ძე კეთილზმოვან პალატში კარგად გარანდულ საწოლზე მოასვენა. მან იქვე დაწვიანა თავისი უმრწემესი ვაჟი, შუბოსანი და მეგრძოლთა წინამდგომი პიზისტრატე, ჯერ კიდევ უტოლშვილო ჭაბუკი. თვითონ ნესტორი თავისი დიდებული სახლის შიდა პალატში შევიდა, სადაც თანამეცხედრის ხელით გაშლილი ლოგინი ელოდებოდა.

ცისკარზე, როდესაც ახლდშობილმა ეოსმა ვარდისფრად ირიყრაჟა, საწოლიდან აღვა გერენიელი მხედარი ნესტორი, ვართე გამოვიდა და იქვე, სახლში მდლად კარებთან ჩამოჯდა გისიპულ, თერთად მოეღვარე ლოდზე. ამ ლოდზე, მას ეამსა შინა, ღვთაებრივი მეტეხე ნელეგისი ჯდებოდა ხოლმე, ვიდრე ბედისწერამ არ უწინა და ჰადესს არ ჩახდა. აქვეელთა ფარი ნესტორი ამ ლოდზე იჯდა და ხელთ კვერთხს ეყარა. ხოლო მის გარშემო ვაკიბებოდნენ საწოლიდან ახლადამდგარი მისი ვაჟები: ექვეფრონი, სტრატოსი, პერსეგისი, არეტოსი და თრასიმედებოლოს მამაცი პიზისტრატეც გამოჩნდა ღვთისდარ ტელემაქესთან ერთად. მაშინ ასე დაიწყო გერენიელმა მხედარმა ნესტორმა:

— შეიღნო ჩემნო, ახლა კი დროა, ათინას გული მოვიგოთ, რაკი ხორცმესხმული გამოვეცხადა პოსეიდონის ნადიმზე. ერთი თქვენთავანი სწრაფად გამეგზავნოს საძოვრებზე, მწყემსებს მოზვერი მოადენინოს. სხვამ დიდსულოვანი ტელემაქეს შავჭვინტიანი ხომალდისკენ იჩქაროს და მისი თანამგზავრები მომიპატივოს. იქ მხოლოდ ორი კაცი დატოვოს. მესამემ დაუყოვნებლივ მიხმოს ოქრომკვდელი ლაერკე. მოვიდეს და კურატს რქები ოქროთი დაუფეროს. დანარჩენები აქვე დარჩნენ და მსახურ ქალებს უბრძანონ, ამ დიდმშვენიერ სახლში სუფრა გაშალონ, მერხები ჩამაწკრივონ, სამსხვერპლო შეშა მოზიდონ და ანკარა წყაროს წყალი მოიმარაგონ.

ბრძანა და აღასრულეს: მოზვერი მოდენეს, ტელემაქეს კიოლამაზი ხომალდიდან მგზავრები მოიპატიეს. ოქრომკვდელიც გამოცხადდა, თან

აპილენძის გრდემლი, ხელკვერი და მარწუხი მო-
იტანა, რითაც ოქროს ამუშავებდა ხოლმე. ბო-
ლოს ათინაც მობრძანდა მსხვერპლის მისაღე-
ბად. მოხუცმა მხედარმა ნესტორმა ხელოსანს
ოქრო მისცა და მანაც ქალღმერთის თვალის გა-
სახარად კურატს რქები ოქროთი დაუფერა. მოზ-
ვერი რქებით წამოიყვანეს ექვეფრონი და სტრა-
ტიონსმა. ხოლო არეტოსმა სახლიდან ყვეაილებით
მოხატული კოკა და ქერით სავსე პინაკი გამო-
იტანა. ომში მდგარმა თრასიმედემ ხელთ ორ-
ღესული ცული იპყრა და მოზვერის დასაკლავად
განეშადა. პერსევსს სამსხვერპლო სისხლის შე-
სავრობებელი ბარძიმი ეჭირა. მახვშმა ნესტორმა
ხელი განიბანა და ქერი გადააყარა კურატს. შემ-
დეგ ათინას წინაშე გულმხურვალედ მლოცველ-
მა წესი აღასრულა, — შუბლიდან ერთი ბლუ-
ჯა ბეწვი აპყრა კურატს და ცეცხლში ჩაყარა. მის
კვალად ყველამ ილოცა და სათითაოდ გადააყა-
რეს პირუტყვის ქერი. გულითურბავმა თრასი-
მედემ ორღესული ცულით ქედის ძარღვებით გა-
დაუსერა კურატს და ძირს დასცა. ქალღმერთმა
და ნესტორის მეუღლემ, კლიმენოსის პირშო
ასულმა ეგვიდიკამ შეპკივლეს. როგორც კი სუ-
ლთმობრძავი პირუტყვი მიწიდან ასწიეს, მამაცთა
წინამდგომმა პიზისტრატემ მახვილით განგმირა
იგი. სისხლისგან რა დაიკალა და სამშენიელმა
მიატოვა ძვლები, სასწრაფოდ აფეშხვეს, ბარკ-
ლებზე წესისამებრ ორ ფენად დაფარეს ქონის
ნაჭრები და ზედ უმი ხორცი დააწყვეს. მოხუც-
მა ცეცხლს დაუდგა მსხვერპლად დასაწველი
ბარკლები და წითელი ღვინო მოასხურა. რო-
დესაც კურატის ბარკლები დანახშირდა და გულ-
ღვიძლი იგემეს, დანარჩენი ხორცი წილობებად
აქნეს და მწვანელები შეწვეს.

ამასობაში ნესტორის უმრწემესმა ასულმა,
მშენიერმა პოლიკასტემ, ტელემაქე აბანავა,
სურნელოვანი ნელსაცხებლით დაუხილა ტანი,
ქიტონით შემოსა და ლამაზი მოსასხამი მოას-
ხა. აბაზანიდან გამოსულ ჭაბუკს ტანი უყვდავ
ღმერთებს მიუთავდა. იგი ერის მწყემსს, ნეს-
ტორს, მიუჯდა გვერდით. მონადიმებმა შემწვა-
რი სუკები შამფურებიდან ჩამოთალეს და პუ-
რობად დასხდნენ. დაფაცურებული მესტუმრე-
ები ოქროს თასებს ღვინით უცხებდნენ მენა-
ხთ. სმა-ჭამით გული რა იჭერეს, მოხუცმა მახ-
ვშმა ანა უბრძანა შვილებს:

— აბა, თქვენ იცით! გრძელფაფრიანი ცხე-
ნები შეუბით ეტლში ტელემაქეს, რომ დაუყოფ-
ნებლივ გზას დაადგეს!

მამის ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილნენ.
ფიცხი ცხენები შეუბეს ეტლში. მეტუქნავემ პუ-
რი და ღვინო გაუმზადა საგზლად და ზევისის
ნებიერი ბასილევსებმა საკადრი შექამადი გა-
იტანა. ტელემაქე მტკიცედ ნაგებ ეტლზე ავი-
და, მას მიჰყვა მამაცთა წინამდგომი პიზისტრა-
ტე, სადავებები მოსწია და ცხენებს შოლტი გა-
დაუჭირა. ეტლმა მინდორზე გადაიგრილა და
ნესტორის დიდებული ქალაქი თვალს მიეფარა.

ეტლის ხელნას მთელი დღე შეუსვენებდა
ევქლოდნენ ცხენები. მზე რა ჩაესვენა და სმირ-
ბინდი ჩამოწვა გზებზე, ფერას მიარეგულე-
ლმერთი ალფეოსის შთამომავლის, ორსილო-
ქვანთ დიოკლესის სტუმართმოყვარე სახლში
გათიეს ღამე.

ცისკარზე, როგორც კი ახლადშობილმა ეოს-
მა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, კვლავ შე-
კაშმეს ეტლი, ეზო გადაიარეს და მაღალი ბქით
გზაზე გავიდნენ. მთელი დღე მიჭკროდნენ ფიც-
ხი ცხენები. დაპურებულ ყანებს რა მიადგნენ,
სგლა შეაჩერეს. მზე უკვე ჩასვენებულყო და
ბინდს მოეცვა არემარე.

IV

მთავორიან ლაქედემონს ჩასულებმა ოქ-
როსთმიანი მენელაოსის სახლს მიმართეს, სა-
დაც ქორწილი იყო გამართული და დიდძალ
ნათესაობას მოეყარა თავი; მენელაოსი თავის
ასულს უძღვევლი აქილევსის ძეზე ათხოვებ-
და, რომელსაც ჯერ კიდევ ტროაში მისცა
თანხმობა. ახლა კი ღმერთების წინაშე გვირ-
გვინდებოდა ეს საქმე. მენელაოსმა ცხენების
რემა და მრავალი ეტლი განუშადა პატარ-
ძალს, სიძისულ სამფლობელოში, მირმი-
დონელთა ქალაქში წასატანად; ხოლო ძეს აქ-
ვის, სპარტიდან მოპვარა საცოლე — ალექტო-
რის ასული. ახლადლაქორწინებული მეგაბონ-
თე მენელაოსს ხანდაზმულობაში შესქენდა
მონა ქალისაგან, რაკი ოქროფროდიტეს და-
რი, სანატრელი პერმიონეს შემდეგ ღმერთე-
ბმა შეილი აღარ მისცეს ელენეს. გულუხვი
მენელაოსის სახლში მახლობლები და მეზო-
ბლები იმეჭიდნენ და იხარებდნენ. ფორმი-
ნებზე უკრავდა და მღეროდა ღვთაებრივი ადრი,
ხოლო ორი მოცეკვავე საკრავის ხმაზე როკა-
ვდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ კარიბჭეში
ტელემაქე და ნესტორის სახელოვანი ძე — პი-
ზისტრატე. დანახვისთანავე მათ მიეგება ეტეონი.
— კეთილშობილი მენელაოსის მანდატური. ეტ-
ეონი მამინეე შებრუნდა სახლში და ერის-
მთავარს მოახსენა:

— სტუმრები გვეწვიენენ. მენელაოს, ზევისის
ნებიერი, სახით ღვთისნასახი ორი კაცი დგას
კარიბჭესთან; რას გვიბრძანებ, ეტლიდან გამო-
ფსნათ მათი ცხენები თუ სხვაგან გავამზაფ-
როთ, იქ, სადაც გულიდები დახედებიან?
რისხვით მოუბრუნდა მას ოქროსთმიანი მე-
ნელაოსი:

— ბრიკველად არასოდეს მოქცეულხარ ეტე-
ონ, მამ, ახლა რა მოგივიდა, რას ლულულუმ
ბაღივით! დაგაეწყდა, რამდენჯერ შეუფარბ-
ბივართ უცხო ხალხს? განა ამის წყალობით
არ დაგებრუნდით სამშობლოში? დაე, ზევისმა
გვიხსნას ამიერიდან განსაცდელისა და ფათე-

კომიროსი
ოქსინა

რაიისავანი წადი, ცხენები გამოხსენი, ხოლო სტუმრები სახლში მოაბატყე!

ასე უბრძანა. ეტონმა კარს მიაშურა და თან მკვირცხლი მესტუმრეები გაიყოლია. მათ ეტლიდან გამოხსნეს ცხენები, თავლაში ბავაზე დაბანს და ქერში არეული ასლი დაუყარეს, შემდეგ ეტლი თეთრად შევლის კედელთან მიაყენეს, ხოლო სტუმრები სახლში შეიწვიეს. წვეულნი განცივდებოდათ ათვლიერებდნენ ზევისს ნებიერის დიდებულ დარბაზს; მზისა და მთვარის შარავანდელივით იფრქვეოდა ბრწყინვალეობა მენელაოსის პალატებში. ცქერით რა ვაძღენ, მოპირკეთებულ აბაზანაში ტანის დასაბანად ჩაეიდნენ. მონა ქალებმა სტუმრები დაბანეს, ნელსაცხებლით დაზილეს, ქიტონებით შემოსეს და თხისურის მოსასხამები მოასხეს. სტუმრები მენელაოსის გვერდით საკარცხულეებზე დასხდნენ. მოახლეს ხელის დასაბანად ვერცხლის ტაშით და მოოქროვილი სურა მოართვა და შწინდად გარანდული ტაბლა დაუდგა მსხდომართ. ხოლო მოკრძალებულმა მექუქნავემ გულუხვად მომატებული მრავალფერი ქაბადით გაუწყო სურა. მზარეულმა ხაშლამა და ოქროს თასები დაუდგა წინ. მარჯვენა ხელი სტუმრებისაკენ გაიწვია და ასე მიმართა მათ ოქროს-თმინამა მენელაოსმა:

— ქაბადს ვემო გაუსინჯეთ და ღვინით გული გაიხარეთ, ვინაობას შერე გამოაკეთხავთ! გეტყობათ, არ წარბოცილა თქვენი შშობლებიან ჯიშის და სწავტი, ორივენი ზევისს ნებიერი, კვერთხის მპყრობელი ბასილესების ნაშვირნი ჩანხართ. ქემპარტად, მდაბიორნი, თქვენს მსგავსთ ვერ შობდნენ!

თქვა ეს და თავისი წილიდან სუკის საუკეთესო ნაჭრები მიაწოდა. სტუმრები შეექცნენ. გული რა იჭრეს ქაბა-სმით, ტელემაქემ კბილთა ქვეშ უჩუჩრულა ნესტორის ძვს:

— ჩემო ძვირფასო პიზისტრატე! ხედავ, ამ ხმერ სახლში რაოდენი სპილენძი, ოქრო-ვერცხლი, ქარვა და სპილოს ძვალია, — ასეთი დარბაზი ზევისს თუ ექნება ოლიმპოზე! რა აუჩაყებელი სიმდიდრეს! ვაოცება მიპყრობს ყოველივე ამის მჭერტელს!

ოქროსთმინანი მენელაოსი მიუხვდა მოუბართ და ფრთიანი სიტყვით მიმართა სტუმრებს:

— შვილებო, არ ეგების უკვდავ ზევისს თავი გაუყადროს მოკვდავმა, რამეთუ მისი სახლიცა და საბადებელიც უხრწელი და მარადიულია. კაცთაგან ზოგი იქნებ აღმემატებოდეს კიდევ დიდოვანით, მაგრამ ზღვაზე ხეტილისას დიდძალი ქონება მოიხვეჭებ და მერვე წელს შინ მობრუნებულმა ხომალდებით მოვხიდენ. მინახავს კვიპროსი და ფინიკია, ესტუმრებივარ მეგვიპტელებს, ეთიოპიელებს და სიღონელებს, ლიბიაშიც მოვხვედრივარ, სადაც რქადასხმული ცხოვები იხადებიან და ყოველ წელსაწადს ცხვრები სამ-სამ ბატყანს იგებენ. იქ მებატრო-

ნესაც და მწყემსსაც თავზე საყრდელად იქით მსუყე რძე, ყველი და ხორცი, რადგან საძირებზე წლიდან წლამდე ჯიქანი ვერცხლად ძროხებს. ვიდრე მე შორეულ ქვეყნებში ქონებას ვიხვეჭდი, ცბიერი მეუღლის ხელშეწყობით მუხანათრად მომიკლეს ძმა. ამიტომაც გულს აღარ მიხარებს მონაგები სიმდიდრე. ენს უნდა იყოთ; გავეგონებათ ალბათ ეს აბავი მამებისაგან!

ბევრი ვიწუხე მაშინ იმ დიდნაშენი, მყუდრო, სიმდიდრით სავსე, აწ დაჯარულ სახლის გამო. ამასაც ყველაფერს არად ჩავაგდებდი. ოლონდ ცოცხალი დამრჩენოდნენ შორს, ვრცელ ტროაში დაღეშული გმირები! აი, ასე ვზივარ ჩემს სახლში და გულანდღვლიანი მათზე ტირილით ვიხიებ გულს. მაგრამ ტირილიც მობეზრდება კაცს! გულს კი ისე არავენ მიკლავს მათი მოგონებისა, როგორც ერთი ვინმე: ძილი მიკრთება და ქრთქაპყრულს ლეკვა აღარ გადამდის ყელში, როცა ვიგონებ მრავალტანჯულ ოდისესს. იმათეთვე მძიმე ხვედრი და ტანჯვა დაჰკვევებია ბედშევის და მეც მწუხარება მიწერია ვამუდმებულო, სანამ სამშობლოში არ დაბრუნდება იგი. ისიც არ ვიცი, — ცოცხალია თუ მეკვდარი: ალბათ მის გამო მწუხარებენ ახლაც მოხუცი ლაერტე, ერთგული ბენელაქე და ტელემაქე.

მაშის ხსენებაზე ტელემაქეს გული დაეწურა, ცრემლები გადმოსცივიდა და თვალეზე მეწამული მოსასხამი აფარა. მენელაოსს რალაც ენიშნა, ვერ გადაეწყვიტა — მათთვის დაეცლიათ თვითონ გამოკეთხა სტუმართათვის ვინაობა. ამ ყოყმანში იყო, რომ ჰერმადალი და სურნელოვანი პალტიდან ოქროსმწვილდოსანი არტემიდეს მსგავსი ელენე გამოვიდა. მას კეთილმშენელი სკამი მართავა მხევალმა ადრეტემ, ხოლო ალკაემ მატყლის რბილი ობოხვა დაუფლია ფეჭქვეშ. ფილომ ვერცხლის კალათა შემოუტანა. ეს ეგვიპტური კალათა/თებელი პოლიბოსის მეუღლემ — ალკანდრემ უბოხა ელენეს. თვითონ პოლიბოსმა — ამ საარაკო სიმდიდრის კაცმა — მენელაოსს ვერცხლის ორი აბაზანა, აწყვილი ზედადგარი და ათი ოქროს ტლანტი აწუქა. ბევრი მშვენიერი ძღვენი მოუთმევია ელენესათვის ალკანდრეს: ოქროს თითისტარი გორგოლებიანი კალათითურთ, რომელიც წმინდა ვერცხლისა იყო, ხოლო პირი ოქროთი ჰქონდა მოვარაყებულო. ეს შემოუტანა ელენემ და წინ დაუდგა კალათში იღო წმინდად დართული ძაფის მორგვი და დიდი თითისტარი, ზედგამოზმული იისფერი მატყლით. ელენე სკამზე დაჯდა, საფერზე მოიდა და მეუღლეს ასე მიმართა:

— მენელაოს, — ზევისს ნებიერო, თუ იცი, ვინ არაინა შენი სტუმრები? ეგების ვედლები, მაგრამ არსად და არასოდეს მინახავს, კაცო ასე რომ ჰგვანებოდეს ოდისესს; თითქოს ტელემაქე მედვასო თვალწინ. ის ხომ ახლადშობილი

დატოვა დიდსულოვანმა მამამისმა, როცა აქაველი ვაჟკაცები ტროას გაემგზავრნენ ჩემი უღირსი თავის გამოსასხნელად.

ოქროსთმიანმა მენელაოსმა ასე უპასუხა მეუღლეს:

— მეც ასე მეცნაურა, ჩემო ძვირფასო; ტანადობით, თვალწარბითა და გამოხედვით გამოსახული ოდისევსია! ვახსენე თუ არა ჩემი გულისთვის სევდამწარებელი ოდისევსი, ცხარე ცრემლები წამოსცვივდა თვალთაგან და მეწამული მოსასხამი აიფარა სახეზე.

საუბარში პიზისტრატეც ჩაერია, ნესტორის ძე:

— ერისმთავარო მენელაოს, — ზევსის ნებეირო, — არც შემეძარხარ, ოდისევსის ვაჟია ეს ქაბუკი. მაგრამ მოერიდა ამ სახლში პირველად სტუმრებულს დარბაისლურ საუბარში ჩაგრვოდა. მამაჩემმა, გერენიელმა მხედარმა ნესტორმა, მგზვნად გამომაყოლა ტელემაქეს: შერი ნახვა სურდა, ეგებს სიტყვით ან საქმით დახმარებოდი. დიდი გასაჭირი ადგას დაკარგული მამისა და უმწეოდ დარჩენილი სახლელულის გამო. ითაკაშიც კაცი არა ჰყავს, რომ მას გამოესარჩლოს.

ამის გაგონებზე მენელაოსმა შესძახა:

— ღმერთო კი მომკალი! ჩემი ვანუყრელი მეგობრის, ჩემთვის თავდადებული ოდისევსის ვაჟი მსტუმრებია! ვაი, სადა გვყავს ოდისევსი? უფრო ხელგაშლით დავუხვდებოდი, ვიდრე ჩემს თვისტომს, ჩვენი ხომალდები ერთად რომ გამოებრუნებინა არგოსში შორსმაცქრალ ზევსს. ქალაქს ვუბოძებდი და სასახლეს აუუგებდი ოდისევსს, ითაკიდან წამოუსხამდი სახლელუსა და საქონელს და დედაწულიანად დავამკვიდრებდი საგანგებოდ დაცლილ ქალაქში, რომელიც ჩემი მორჩილი ხალხით იქნებოდა დასახლებული. ხშირშირიად შევიყრებოდი ხოლმე მგზობლებში, ტბილად ვავატარებდით წუთისოფელს, ველარაფერი ვავყრიდა მანამ, სანამ სიკვდილის შავი ნისლი არ შემოგვებურავდა. ჩვენი ასეთი ყოფა თავად ღმერთებსაც შესურდებოდათ, რომელთაც დაბრუნების გზა დაუხმეს იმ სვეუბედურს!

მენელაოსის სიტყვად დაანადვლიანა ყველა იქ მყოფი. ატირდა ზევსის ასული არგოსელი ელენე, ატირდა ტელემაქეც და თვითონ მენელაოსს მოერია ცრემლი. ნესტორის ძეს, პიზისტრატესაც აუწულიანდა თვალი, მას თავისი სახელოვანი ძმა ანტილოქე მოაგონდა, რომელიც სხვისიანი ეოსის ბრწყინვალე ძემ მოკლა. მოაგონდა და ფრთიანი სიტყვით მიმართა ატირების ძეს:

— ჰე, მენელაოს, უგონიერესი ხარ მოკვდავთა შორის, — ასე იტყოდა ხოლმე შენს გახსენებზე მამაჩემი — მოხუცი ნესტორი, — გემუდარები, გამაგონო: ტირილით ნუ წავიმწარებთ მხსარულ სერობას, მალე გამოჩნდება ახლადშობილი ეოსი და მამინ დავიტყროთ

ბედისწერიოთა და სიკვდილით შემსუქნელი ჩვენი მკვდრები. ცოცხლებს ესლა დაგვრჩენია, ეს არის ჩვენი უკანასკნელი სახსოვრები, რილი თმის კულული და ღაწვებზე ჩამონადენი ცრემლები. მოკვდა ჩემი ძმაც, — იცნობდი, ალბათ, — არგოსელ მეომართა შორის უკანასკნელი არა ყოფილა ანტილოქე.

პიზისტრატეს დინჯად მიუგო ოქროსთმიანმა მენელაოსმა:

— ჩემო ძვირფასო, ისე გონიერულად უბნობ და ირჯები, როგორც დროულ კაცს შეეფერება. მაგრამ არ მიკვირს ბრძენი ნესტორის შვილისაგან. ადვილად გამოსაცნობია ნაშვირი იმ კაცისა, ვინც კრიონიმმა ბედნიეროდღეს გააჩინა, ბედნიერადვე დააქორწინა, გონიერი, მამაკი შვილები შესძინა და ტბილად დააბერა. მოვეშვით ტირილს, ცრემლი შევიმშრალეთ და ვახშაშ შევეუდგეთ. ხვალ დილით კი ასე მგებ მოვესაუბრები ტელემაქეს.

ასე თქვა.

ახოვანი მენელაოსის მსახურმა, მკვირცხლმა ასფალიონმა, მენინახეებს ხელები გადააბანინა, პურობა დიწყყო. მამინ ასეთი რამე მოითქრა ზევსის ასულმა ელენემ: ღვინით სავსე ლავკისში ჰიროთა უქუმყრელი, მწუხარების გამაქარვებელი წამალი გაახავა. ვინც ამოიგად გახვევებულ ღვინოს შესვამდა, მას ერთი კურხალიც არ გადმოუყარდებოდა თვალიდან, თუნდაც იმ დღეს დედ-მამა მკვდარი ეხილა და მის თვალწინ ძმა ან შვილი მახვილით განეგმირათ. ეს სამკურნალო ბალახები პოლიდანამა, — თოთონის მუდლემ გამოატანა ეგვიპტედან, სადაც პოხიერ ველზედ მრავლად იპოვება კაცთათვის მავნე და სასარგებლო ბალახები. იქაური მკვიდრნი ვანთქმულნი არიან მკურნალობით, რაკი თვითთულ მათგანი ეგვიპტელი პეონის — ღმერთთა მკურნალის შთამომავალია.

ლაგონში წამალი რა გაახავა, ელენემ ღვინის ჩამორიგება ბრძანა და მენინახეთ ასე მიმართა:

— ო, მენელაოს, ზევსის ნებეირო და თქვენ, სახელოვან მამრთა შთამომავალნი! ზევსი კაცს ხან სიკეთეს მოუტანს, ხან ავს დატაცეს ხოლმე თავზე. — ყოველი ხელეწიფება კრიონიმს! მამ, დრო გაატარეთ და სუფრაზე ტკბილი მუსაიფით შეიქციეთ თავი, მე კი შესატყვის ამბავს მოგიყუებით, მაგრამ ყველაფერს ვერ გავიხსენებ, ვერ ვიამბობთ, თუ რამდენი ბრძოლა გადგამდა ჰირნახულმა ოდისევსმა, რა წვალებდა გამოთიარა ძლევაამოსილმა, ან რით გამოიჩინა თავი.

ტროაში, სადაც დიდი ჰირო გარდახლათ ზქაველებს, ოდისევსმა ასეთი ხერხი მოიგონა: საკუთარი ხელით გაილახა თავი, მონის ძონძები გადაიცვა და საპყარივით შემოვიდა მტრის

კომპარსი

ოღისმა

ფართომოდენბიან ქალაქში. გლახაკივით და-
უილაობდა ტროაში; ისე იყო შეეცვლილი, რომ
აქვეღლათგან ვერაინ იცნობდა ღვთაებრივ
ოღისევისს. მხოლოდ მე მივხვდი ვინ იყო იგი.
გამოკითხვა დაუწყე, მაგრამ მოხერხებულად
იძერინდა თავს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც
განვბანე და ნელსაცხებლით დაუფილე ნავე-
მი სხეული, ახალი სამოსელით შევმოსე და გუ-
ტებელი ფითით შევფიცი, რომ მის საიდუმლოს
ტროელები მანამდე ვერ გაიგებენ, სანამ იგი აქ-
ვეღლათ ხომალდებისა და კარვებს არ მიადევნებდა,
— მხოლოდ მაშინ გამომოტყდა და გამანდო აქ-
ვეღლათ ფართული ზრახვები. მაგრამ სანამ არ-
გოსელებს ახალ ამბებს შეატყობინებდა, ქალა-
ქში მრავალი ვეკაცო განვგირა რკინის გრძე-
ლი მახვლით. ტროელი დედაკაციები მწუხარ-
ედ დასტიროდნენ დახოცილი, მე კი სიხარ-
ულით მეესებოდა გული, რადგან მოუთმენ-
ლად ვესწრაფვოდი შინ დაბრუნებას. ვერ მო-
მენელებინა — ასე რომ დამაბრმავა აფროდი-
ტემ, ოდეს ძვირფასი სამშობლოდან წამომიყვანა
და ერთადერთი ქალიშვილისა და ქეთილა და
მშვენიერებით შეუღარებელი ქმრის სარეცელს
მომწყვიტა.

ოქროსთმიანმა მენელაოსმა ასე მიმართა
თანამეცხედრეს:

— ჰეშმარტს იტყვი, ჩემო მეუღლევ! დედა-
მიწის ზურგზე ხეტილისას ბევრ გონიერსა
და გამჭირბას ვეკაცს შეხებედრეივარ, მაგრამ
ოღისევისთანა ჰიროთამთელი კაცი არ მიან-
ბავს. აი, სულის რა სიმტკიცე გამოიჩინა ოდი-
სეესმა, როცა არგოსელთაგან ურჩეულესნი
ტროელებისათვის საბედისწერო ხის ცხენში
ვისხედით. ღვთაებას ტროელთა გამარჯვება
შთავიანებინა თურმე შენთვის და ღვთაებრი-
ვი ღვიფიბეს თანხლებით ან განზრახვით მოუ-
ახლოვდა ხის ცხენს. სამჯერ შემოგვიარე გარ-
შემო ცხენში ჩასაფრებულებს და მათი ცო-
ლების ხმით უხმობდი რჩეულ დანაიდებს:
ცხენის მუცელში მსხდართ: მე, დიომიდეს და
ოღისევს გვესმოდა შენი ზეღვა. მე და დი-
ომიდემ გარეთ გამოსვლა და გამოხმალურება
დავაპირეთ, მაგრამ ოღისევსმა დაგვაკავა. სხვა
აქვეღლები მდუმარედ ისხდნენ; მხოლოდ ან-
ტიკლოსს განზრახა ხის გაცემა შენთვის და
ის-ის იყო უნდა გავაპსუებოდა, რომ ფიცხლად
წამოხტა ოღისევსი, პირი ძლიერი ხელით დაუ-
მუწა და მით ყველა აქვეღლი იხსნა აშკარა
დალუპისაგან. ასე ყბაშეკრული ჰყავდა ან-
ტიკლოსი, სანამ ათინა პალადას შთავიანებით
არ ვასცილდი იქაურობას.

— ზევისს ნებეირო, ერის მთავრო მენელაოს.—
მიმართა ტელემაქემ მასპინძელს, — ვი, რომ
რკინის გულმაკ ვერ იხსნა მამაჩემი სასტიკი
ბედისწერისაგან. ახლა კი დროა დაგეთხო-
ვით, დავწვეთ და ტბილი ძილით მოვისვენოთ.

ასე თქვა ტელემაქემ და არგოსელმა ელე-
ნემ მსახურ ქალებს უბრძანა მათთვის საწოლ-

ები დაედგათ წინკარში, ძოწისფერი დაჯგე-
ბი გეშალათ და მატყლის საბნებ მოეცნათ.
მონა ქალები ანთებული მამხალეებზე, გავდნენ
წინკარში და ლოკინი გაშალეს. შესაწყობა
უძღვა სტუმარებს. ტელემაქესა და ნესტორის
მშვენიერ ვაჟს მალე ჩაეძინათ. შინა პალატაში
ეძინა ატრეისის ძეს, მის გვერდით კი მსუბუქ
საფარველში გახვეული, დედათა შორის უტუ-
რფესი ელენე იწვა.

ცისკარზე, როგორც კი ახლადშობილმა ეო-
სმა ვარდისფერი თითები გამოიჩინა, საწოლი-
დან აღდა ოშშიმყვიარი მენელაოსი, ტანთ ჩა-
იცვა, მახვილი მხარისღეე გადაიკიდა, ნატიფი
ფეხები ხამლით შეიძოსა და ღვთივმშვენიერი
გამოვიდა პალატიდან. მენელაოსი ტელემაქეს
მიუღვა გვერდით, ჰკითხა: რა გასაჭირმა მოგო-
ყვანაო აქ, ტრუფა ლაქედროსნ? კერძომ თუ
საერთო საქმემ გადმოგალახვინა ზღვის ვრცე-
ლი ზურგი? გულახდილად მიამბეო ყოველივე.
გონიერმა ტელემაქემ მიუთო:

— ო, ატრეისის ძე, ზევისს ნებეირო, ერის-
მთავრო მენელაოს! მაშიჩემის ამბავი მინდა
გამოკითხო, ამისთვის გეახელ, ეგების რამე
შემატყობინო! მამეული მიბარტახლება, სიმ-
დიდრე მეღევა. მოძალადენი დემატრონენ
ჩემს სახლკარს, ჯგროდ მიხოცავენ ცხვარსა
და თხას და მრუდეფეხებინა, რქადაგრეხილ
ძროხებს, ხოლო თავხედი სასიძოები უტიფრად
შემოადგენენ დედაჩემს. აჲ, მუხლზე ხევენით
გემულარები, გამიხილო მამაჩემის აღსასრუ-
ლის ამბავი, შენი თვალით ნანახი თუ უცხოსა-
გან მოსმენილი. ჰეშმარტად შავ დღეზე გაუ-
ჩენია იგი დედამისს! ნუ დამინდობ, ნურც შე-
მიცოდებ, ყველაფერი წვრილად მიამბე, რაც
გინახავს, ან გავიგონა. თუკი ტროელთა ჰე-
ყვანაში, იქ, სადა, აქვეღლებმა ბევრი ქიერი
იწვნიეს, სიტყვით ან საქმით გეგწვევია როდი-
სმე ქველი ოღისევსი, გაფიცებ, ვაიხსენო და
დაუფარავად მიამბო ყოველივე.

— ვაი მათ ჯაბანთ, რომ ეგზომ ლომგუ-
ლი კაცის სარეცელის შეზღალვა მოუნდობე-
ბიათ, — შესძახა მენელაოსმა, — ეს იმასა
ჰგავს, ფურიერემა ძმუშუშოვარი ნუკრი ლო-
მის ბუნავში დააგდოს თვითონ კი ბალახოვან
ფერდობებს მიამუროს საძოვრად; რა დღე
დაადგება მათ, როცა ლომი თავის ბუნავს
დაუბრუნდება? ასეთსავე მწარე ხვედრს გან-
უშზადებს სასიძოებს ოღისევსი! მამა-ზევისს,
ათინასა და აპოლონი ვევედრებთ ისეთივე ძა-
ლმორკმული დაუბრუნდეს თავის სახლს, რო-
გორც მაშინ იყო, როცა ლესბოსში ფილომე-
ლიდს შეებრძოლა და აქვეღლათა სასიხარუ-
ლოდ მიწაზე დასცა იგი. შავად გაუთენდებათ
სასიძოებს ქორწილის დღე! წვრილად მოგიყ-
ვები, თუ რა გავიგე ბებერი, გრძნეული ზღვის-
კაცისაგან. არაფერს დაგიმალავ!

აქეთ რა განვიზრახე წამოსვლა, ღმერთებმა
ეგვიბტემე დამაყოფნეს, რადგან ჰეკატომბა არ

მქონდა შეწირული მათთვის, ღმერთებს არ უყვართ, როცა მოკვდები ეურჩებიან მათ ნებასურვილს. არის ერთი კუნძული მდღევარ ზღვაში: გვიგბტიდან, ზურგის ქარმა თუ დაუბერა, მზის ჩასვლამდე მიადწევს ფერდებანიერი ხომალდი იქამდე. ამ კუნძულს ფაროსს ეძახიან. სანაოსნოდ გამზადებული ხომალდის ზღვაში შესაკურებლად მშვენიერი ყურე აქვს ამ კუნძულს.

ოცი დღე იქ დავყავი ღმერთების ნებით, რაკი არსად ჩანდა მენაოსნეთა შემწე ზურგქარი. ამ მოლოდინში შემოგველია მთელი მარაგი და თანამგზავრებსაც იმედი გადაუწყვდით. მაშინ შეგვეწვია ძალმოსილი პროტევისი, ბებერი ზღვისკაცის ასული იდოთეა. შიმშილმა გავვაწმა. ილაჭავყვეტილი თანამგზავრები მთელი დღე დაბრუნდნენ ზღვის სანაპიროზე ანეკსებით, რომ როგორმე მოეკლათ შიმშილი. კუნძულზე მარტიოდმარტო მოხეტიალეს იდოთეა შემომეყარა და ჩემი ცოდვით გულშემართულმა ასეთი სიტყვით მომმართა:

— ჰე, უცხოელო, შენ ან უმეცარი ხარ, ან საქმეზე ხელჩაქნეული, მწუხარებით რომ ირთობ გულს. უქმად რატომ დაყილობ ამ კუნძულზე?

ეს მითხრა და მე ვუბასუხე:

— ეპე, ქალღმერთო, ვინც უნდა იყო, დაუფარავად გეტყვი ყველაფერს! ჩემი ნებით არ გავჩერებულარი ამ კუნძულზე: ციმა შორის მობინადრე უყვადვი ღმერთები თუ განვარისხე! ყოვლის მკოდნე ქალღმერთი ხარ და მაუწყე, რომელმა უყვადვამ ჩამიკეტა გზა თეზმრავალ ზღვაზე?

იდოთემ მომიგო:

— ჰე, უცხოელო, სიმართლეს გეტყვი. ერთი გრძნეული მოხუცი ზღვის კაცი მოადგება ხოლმე ამ კუნძულს, — უყვადვი მეგვიპტელი პროტევისი, ზღვათა უფესურლების მკვიდრი და ზღვათა მეუღლის პოსეიდონის მსახური. ამბობენ, ჩემი მოზბელი მამა არისო აგი. თუკი ჩაუსაფრდები და როგორმე ხელთ იგდებ, ყოველივეს გავიზხელს: ვასწავლის როგორ ვადალახო თეზმრავალი ზღვა, გაცნობს, ო, ზევისი ნებიერი, თუ მოისურვებ, შენს იქ არ ყოფნისას, ავი ან კეთილი რა ვადახდომია შენსავე სახელულს, მას აქეთ რაც ფათერაკით სავე დაუსრულებულ გზას დაადექი!

ასე მითხრა და სწრაფადვე მივეუცე: — მამ მირჩიე როგორ შევიპყრო ის ღვთაებრივი ბერიკაცი, რომ არ მიმიხედეს ვანზრახვის და ხელიდან არ დამიქრეს. მოკვდავისათვის ხომ ძნელია ღმერთის დაძლევა!

და ბრწყინვალე ქალღმერთმა მომიგო:

— მზე ცის შუაგულს რა მიადწევს, ზღვაურისაგან გრძნული ლურჯი ზვირთბიდან ამოყვინთავს გრძნული ზღვისკაცი და მღვიმეს მიაშურებს. აქაფებული ზღვიდან მას ამოპყვებიან და დასაძინებლად გვერდს მიუწვებიან

მშვენიერი ჰალოსიდნას ნაშიერი ფოკინე/ ზღვათა უფესურლების საშინელი ექიმეფულე ამოპყვება მათ. როგორც კი ირიტხარქმსამე მიიყვან და მათ შორის ჩავაწვენ. ხოლო შენ თანამგზავრთაგან სამი მარჯვე ვეკაცი შეარჩიე. ახლა კი ბებერი ზღვისკაცის ხრიკებს გავამხელ: ჩამოუვლის იგი თავის ფოკინებს, ყველას საითთოდ გადათვლის და დაღლილი მწყემსივით მათ შორის მიწვება. როგორც კი მიეძინება, ეცით და შეიპყარი. ღონივრად გაიბრძოლებს, აქეთ-იქით მიიწყვება, დასხლტას მოინდომებს; მაგრად გვეკიროთ, არასგზით ხელი არ გაუშვათ. ხმელზე მოარული ყველა არსების სახით მოგვევლინებათ; წყლად და მოგზიზგივე ცეცხლად გადაიქცევა, მაგრამ არ შედრკეთ, ვეპყვებულე ძალით მოთრგუნეთ! მოხლოდ მაშინ, როცა თვდაპირველი სახით გამოგეცხადებათ და ხმას გავცემთ, თავი დაანებეთ ბერიკაცს. შენ კი, მამაცო, გამოკითხე, უყვადვთაგან რომელი მარტოლებს-თქო შინ მიმავალს, რომ ვადალახო თეზმრავალი ზღვა.

ასე მითხრა და აქაფებულ ტალღებში გაუჩინდა და იდოთეა. ქვიშიან ნაპირზე შეყვნებულ ხომალდისკენ გავსწიე. გული საგულეს არ მედგა. ვივანშემთ და ღვთაებრივი დამეც ჩამოწვა.

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, ზღვის ნაპირს გავყვი და გზად მიმავალი უყვადვი ღმერთებს ვევედრებოდი. თან სამი სანდო და მეტამზავარი თანამგზავრი წავიტანე. ამასობაში დათქმულ ადგილს მოვედით, სადაც იდოთემ ფოკინის ოთხი ახლად გამოქნილი ტყავი და საყუჩი ორმო დაგვახვედრა. ქალღმერთმა ორმოებში ჩავესხა, ტყავებში გავგვხია და გვიბრძანა ასე დაეწვედრადი თ ზღვისკაცს. სულს გვიხუთავდა ფოკინების გულისამრევი და მანვე სიმყრალე, მაგრამ მეტი რა გზა გექონდა. შეპირვებულებს ისევე ქალღმერთი შემოგვეშველა: ნესტოებში სურნელოვანი ამბროზია ჩავვიზილა და საძაფვლი ხვითქების შმორი ვანაქარა.

მთელი დღეა მოთმინებით ველოდით ფოკინების გამოჩენას. აპა, ისინიც გამოვიდნენ ზღვიდან და ნაპირზე დასაძინებლად მიწვენენ. შუღლისას გრძნეული პროტევისიც გამოჩნდა. თავის ზონზოხსა ფოკინებს ჩამოუარა და თლა დაუწყო. ტყავში გხვეულთი ჩვენც ხვითქებს მიგვათვალა: ერთი წუთითაც არ დაეშვებულა, იქვე წამოწვა. ჩათვლიმა თუ არა, ყოვინით წამოვეცივდით და თავს დავაცხერიო. ბერიკაცმა მესივე გამოაჩინა თავისი გრძნეულება: ჯერ ფაფარაკილი ლომის სახე მიიღო, მერე ურჩხულად, ავაზად და უზარმაზარ ტახად გადაიქცა. შემდეგ წყლად დაიდვარა, ბოლოს კი ხშირფოთლოვან ხელ ამოიზარდა. მაგრამ

ალომარონი
ოლინა

ჩვენ მაკრად ვეყავდა ჩაჭერილი. გრძნეულე-
ბამ ვერ გასჭრა. მოხუცი მოიღალა და კაცური
ხმით შეგვესიტყვა:

— რომელმა ღმერთმა გასწავლა, ატრევისის
ნაშვირო, ჩემი დაძლევის ხერხი? მაუწყე, რა
გასუსს?

— რალას მკეთებები, თავადაც კარგად იცი-
მეთქი, რომ ლოდინით გულშეღონებულს, თავი
ვერ დამიღწევი ამ კუნძულისათვის. ყოვლის
შეოდებ ღმერთი ხარ და მამცნე, რომელმა
უკვდავმა ჩამიკეთა გზა?

— სანამ ხომალდზე ახვიდოდე, — მომიგო
გრძნეულმა პროტევსმა, — ზეესსა და სხვა
ღმერთებს წმინდა მსხვერპლი შესწირე. აგრე
ჰქმენ, თუ გინდა მამულისკენ მიქცეულმა
სწრაფად გადალახო ღვინისფერი ზღვა. თუკი
შენს კეთილნაგებ სახლში დაბრუნება, მახ-
ლობელთა და შინაურთა ხილვა გიქერია, ჭერ
ეგვიბტეში უნდა გაბრუნდე და ციდან მოდენ-
ნილ მდინარესთან წმინდა ჰეკატომბა უნდა შე-
სწირო ცარგვალის მპყრობელ უკვდავ ღმერ-
თებს. მხოლოდღა მაშინ გავგესხნება გზა.

გული გამიხეტია მისმა ნათქვამმა, მაგრამ
სხვა გზა არ მქონდა: მისი ბრძანებისამებრ ეგ-
ვიბტესკენ ანელსა და გრძელ გზას უნდა დავ-
დგომოდი. შეძრწუნებულმა მაინც ვკითხე
გრძნეულ ბერიკაცს: ბარემ ესეც მითხარი-მე-
თქი გულმართლად, ილიონის დაქვევის შემ-
დეგ რა ბედი ეწიათ აქველთა ხომალდებს, მე
და ნესტორმა რომ ჩამოვიტოვებთ? ვის რა გა-
რდახდა? — ხომალდზე მოესწრაფათ სიცოც-
ხლე, თუ ომგადახილებმა მეგობრის მკლავ-
ებზე დალიეს სული?

— ო, ატრევისის ნაშვირო, — მიპასუხა მოხუ-
ცმა. იმის გაგებას ნუ ეცდები, რისი ცოდნაც
არა ხამს! გულამოსკვნით ატირდები, ყველაფე-
რი რომ გაიბოგან. აქველთაგან ბევრი დაიღუბა,
ბევრიც გადარჩა. დაბრუნებისას რკალითო-
რიან აქველთა მხოლოდ ორ ერისმთავარს და-
უბნელდა მზე. ხოლო ტროაში ვინ დაეცა, შენც
კარგად იცი. ერთი მამაცი მამრი დღემდე და-
ხეტიალობს უკიდევანო ზღვის ზურგზე. აიანტი
კი გრძელნიხებებიან ხომალდზე დაიღუბა. პო-
სეიდონმა გირეების ტინებს შეანარცხა მისი
ხომალდი, თუმცა თავად აიანტი ზღვის უფსკ-
რულიდან იხსნა. ათინასგან მოჰტლებული სიკე-
დილსაც ვადურჩებოდა, თავხედურად რომ
არ დაევიწყნა, ღმერთების შეუწყველად გადა-
ვრჩიო დაღრჩობას. მაგრამ პოსეიდონს სისწე-
ვდა მისი ჭადილი, განრისხებულმა სამეპაი
დაჰკრა მეყსეულად გირეების ტინს და შუაზე
გააბო იგი. კლდის ზეთავი ზღვაში ჩაშვავდა
და ზედ მობლაუქებული გულგოროზი აიანტი
თან ჩაიბრუნა. ზღვის მორევმა ჩაითრია იგი და
მლაშე წყლით გაქვევლი უფსკრულს დანთქა.

ხოლო შენმა ძმამ — აგამემნონმა სწრაფმა-
ვალი ხომალდებით გაასწრო სიკვდილს, ქალ-
ღმერთთა დედუფალმა ჰერამ იხსნა იგი. მალ-

ეების პიტალო ქარაფებს რა მიადგა, სამიტილი
ქაბობობალა წამოეწია, სასომხებილი თევზ-
მრავალ ზღვაზე მოქანავე თიესსაგან
ქვეყანას ვადახეწეა, რომელსაც იმეამად თიე-
სტეს შთამომავალი ევისთუ განაგებდა. ამასო-
ბაში გრივლიც ჩადგა და აგამემნონმა სეიანად
მოაღწია მშობლიურ ნაპირებს. ბედნიერებით
გულშემბრულმა შედგა ფეხი წინაპართა მიწაზე
და თვალკრემლიანი ემთხვია მას. მაგრამ იგი
უმაღლე შეამჩნია მზირმა, რომელიც სათვალ-
თვალ კოშკზე ჰყავდა დაყენებული ვერაგ
ევისთეს. ევისთუ ათ ტალანტს დაპირებოდა
მოთვალთვალს და იგი მთელი წელიწადი და-
უცადებლად ვასკვეროდა უნაპირო ზღვას, რომ
აგამემნონი უჩუმრად არ ვადმოსულიყო ნა-
პირზე და სასახლეში ანახდევულად თავს არ წა-
დგომოდა მათ.

მზირმა უმაღლე აცნობა თავის პატრონს ეს
ამბავი. ევისთემაც არ დააყოვნა, მუხანათური
ხერხი მოიგონა: ოცი ურჩეულესი ჰაბუკი ჩაი-
საფრა იმ ადგილას, სადაც სანადირო სუფრა
უნდა გაშლილიყო. თავად კი ეტლზე ამხედ-
რებული პირმითენდ შეეგება ერისმთავარს.
მუხთალ და ვერაგ ევისთეს გულდიდ მიენდო
აგამემნონი. მან კი ლხინად გამადადებული ერის-
მთავარი ზავასთან დაბმულ ხარითი დაკლა.
ამ შეტაკებისას ერთობლივ ამოეყუწენ რო-
გორც ატრიდის მსღებელნი, ისე ევისთეს თა-
ნამზრახველებიც.

ასე მიამბო და საცოდავი გული ჩამიწყდა
მკერძში, ჩამიკეცე და ტირილი ამივარდა. სი-
ცოცხლე მიმამადა, მზის ცქერა აღარ მინ-
დოდა. სასოწარკვეთილი დიდხანს ვეგდე მიწა-
ზე. ტირილით გული რომ მოვიოხე, გრძნეულ-
მა ზღვისკაცმა საწუგეშო სიტყვა შემაწია:

— გეყო ცრემლის ღვრა, არას ვარგებს ეს
სიმძიმელი. ახლა ის გიკობს, სამშობლოში გამ-
გზავრებზე იფიქრო, იქნებ ცოცხალი მოეს-
წირო ევისთეს, არა და ვინ იცის, იქნებ ორეს-
ტესაგან შურმიგებული შენ თვალწინ დამარბონ
იგი. მითხრა და გული საგულეს ჩამიდგა, სულს
მომხეფოდა და გამხნევებული კვლავ შევეკითხე:

— ამ ორის ამბავი თუ უკვე ვიცი, ბარემ იმ
მესამის სახელიც გამიხილუე, უკიდევანო ზღვა-
ში რომ ვახირულა და აქამდე ეწვალებოდა. რა-
კინდ მწარე იყოს ამის მოსმენა, მამცნე, ცოც-
ხალია თუ მკვდარი!

ბერიკაცმა არ დამიბალა:

— ლერტესე ძეა იგი, ითაკის მკვიდრი. ერთ
კუნძულზე ნიშა კალიფსოს მღვიმეში ზის და-
ტყვევებული და ცრემლად იღვრება. გზა მოქ-
რილი აქვს სანატრელი სამშობლოსკენ. უხო-
მალდებოდ დარჩენილს თანამგზავრებშიც აღ-
არ ასლავან, რომ გადალახოს თევზმრავალი
ზღვის ზურგი. შენ კი გულს ნუ გაიტეხ, ზევ-
სის ნებეიერი მენელაოს, ცხენმრავალ არგოსში
სიკვდილს არ მოგაწევა. ქვეყნის კიდეს, ელი-
ზიუმის ველებზე დაგაიანებენ უკვდავი ღმერ-

თები, რადგან მშვენიერი ელენეს ქმარი და ზევის სიძე ხარ. იქ არის დამკვიდრებული ოქროსთმიანი რაღამანტი; სვებენდინერი ცხოვრება აქვთ მორტყმული იქაურთ. ამ ველებზე არც წვიმა იცის, არც თოვლი და არც ავი ჰბარები უბრავენი. მხოლოდ საამური სიო ჰბარის და გულს უამებს მუნ დავენებულ ნეტართ.

სათქმელს მორჩა და ზღვის უფსკრულში ჩაყვინთა გრძნეულმა პროტეგსმა. მე და ჩემმა გულადმა თანამგზავრებმა ხომალდებს მივაშურეთ. გული ძალუმად მიმგერდა. ხომალდთან მივედი, ვივასშმეთ და ღვთაებრივი დამეც ჩამოწვა. გულმოცემულებმა მშვიდად მივიძინეთ ზღვის ნაპირზე.

როგორც კი ახლადმოხილმა ეოსმა ვარდისფრად ირფრავა, ხომალდები შევაცურეთ ღვთაებრივ ზღვაში, ანძები აღმართეთ და იალქნები დაეჭიმეთ. თანამგზავრები თავთავიანთ რიკულებს მიუხსდნენ და ნიხებთ ააქაფეს ღვინისფერი ზღვა. გეზი ეგვიპტისაკენ ავიღეთ და იმ მდინარის ნაპირთან, ზევისს საუფლოდან რომ იღებს სათავეს, ჰეკატომბა შეეჭირეთ ღმერთებს. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, უკვდავთა ველისწყობა რა დაცხრა, ავამემონისას საიდგებლად ბორკვი აღმართეთ. ამ საქმეს რომ მოვრჩი, ვავბრუნდი. ღმერთებმა ზურგკარი შემაწიეს. აი, ასე მოვალწიე ჩემს ტბილ სამშობლოს.

შენ კი, ჩემო ტელემაქე, ათი-თორმეტი დღე კიდევ შეიცადე ჩემს სახლში. შემდგომ ამისა, კეთილად გავისტუმრებ, დიდებულ ძღვენსაც ვაგატან: გაკრიალებულ სამცხენიან ეტლსა და მშვენიერად ნახელავ ბარძიშს, რათა ჩემს სამასსოვროდ უკვდავ ღმერთებს ზედაშეს უღვრიდე. ასე დაამთავრა თავისი ამბავი მენელაოსმა.

მამის გონიერმა ტელემაქემ მორიდებთ სთხოვა:

— დიდხანს ნულა დამაყოვნებ, ატრევსის ძეო! მთელი წელიწადი დავრჩებოდი ამ ჰერქვეშ და შენი ენამზიანობით გულდამტკპარი ერთობლაც არ მოვიწატრებდი სახლსა და შინაურებს; მაგრამ პილოსში მეგობარნი მელოდებანი, ნუ დამაყოვნებ დიდხანს, შენგან მომღვნილი ყველაფერი ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ ცხენებს ითაკაში თან არ წაივითან. დაე, ისინი შენს ველებს ამშვენებდნენ. შენს საძოვრებზედ უხვად ბიბინებს იონჯა და კიპერონი, მძიმე თავთავიანი ჰქერი და ასლი. ზღვითგარემოცულ ითაკაში არა გვაქვს ვაშლიანი ველეები და ბალახოვანი მდელოები. მწირია ჩვენი მიწა, თხები ძლივს პოულობენ საზრდოს და ცხენები როგორ გამოვკვებოთ?

ომშიყვიარ მენელაოსს გაედიმა ამ სიტყვებზე. მხარზე მოხვია ხელი ტელემაქეს და აღერისით უთხრა:

— საყვარელო ჰბატუკო, კეთილშობილი სისხლი გალაპარაკებს ამას. მამე, ცხენების ნაც-

ვლად სხვა საჩუქარს გიბოძებ; საჭურჭელსა და სე მაქვს განმეულით: ვერცხლის ლავიონს მოგართმევ ოქროცურვილს, ჰეფესტოსის მიწვევით ვია იგი. გვირმა ფედიმოსმა მაჩუქა, სიღონელთა ერისმთავარმა, როცა სამშობლოსკენ შემოქცეულმა მის სახლში გავათიე დამე.

ამ საუბარში იყო სტუმარ-მასპინძელი, რომ ღვთაებრივი ბასილევსის ეზოში მეჭორწილენიც შემობრძანდნენ. ცხვარი შემორეკეს, ძვირფასი ღვინო ჩამოასხეს, ხოლო მათმა დიაცებმა ლამაზად მოწული ხახლებით პური შემოიტანეს. ასე იშლებოდა სუფრა მენელაოსის სასახლეში.

ამ დროს კი, ოდისევსის სახლის წინ, კარგად დატკპნილ მოედანზე სასიძოვნი ბირთვის ტყორცნასა და შუბის სროლაში ეჯაბრებოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ სასიძოთა შორის ღირსებით გამოჩნულნი, — ანტინოე და ევრიმაქე განაპირებულყოფნენ. მათ ფრონიოსის ძე მიეგონი მიეახლა და ასეთი სიტყვა უთხრა ანტინოეს:

— ხომ არ მეტყვი, ანტინოე, როდის დაბრუნდება ჰქერიანი პილოსიდან ტელემაქე? ჩემი ხომალდით გაემგზავრა, ახლა კი მე თვითონ მეჭირდება ხომალდი, რომ უხვსაძოვრებიან ელადაში ჩემს თორმეტკვიციან ფაშატსა და მუხლმაგარ ჯორებს მივაკითხო. ერთ-ერთი მინდა წამოვიყვანო და გავებდნო.

ანტინოე და ევრიმაქე საბედ დარჩნენ. არ ეგონათ, რომ ტელემაქე პილოსში ნესტორთან აღმოჩნდებოდა, — აქვე ახლომახლო, ცხვარში ან მეღორებთან ეგულებოდათ. ნოემონის კითხვას კითხვითვე უბასუხა ანტინოემ, ევკვითოსის ძემ:

— მართალი თქვი, ნოემონ, როდის გაემგზავრა ტელემაქე, ან ითაკის რჩელუ ჰბასუკათავანი წაიტანა? თავისი მონები ჰყავს წაბუნილი თუ ხალხი დაიქირავა? როგორ მოასწრო, ან როგორ ვახებრხა საქმე? ისიც გვითხარი, ძალით წაგართვა შავკვინტიანი ხომალდი თუ თხოვნით დაგიყოლია და ნებით გაატანე?

— არა, ნებით მივეცი, — მიუგო ნოემონმა. ანელა უბრით გაისტუმრა ასეთ ვასაპირში ჩაეარდნელი კაცი. ურჩეულებს ჰბატუკები ვაჰყვენენ თან. როგორც შევატყვე, მენტორის უნდა წინამძღვრობდეს მათ, ან მენტორის სახით გამოცხადებული ვინმე უკვდავთავანი. მე ის მაკვირვებს, რომ გუშინ დილით აქ მოვიკარი თვალი მენტორის, თუმცა ყველამ იცის, რომ ტელემაქესთან ერთად გაემგზავრა პილოსს!

სათქმელს მორჩა და ნოემონი მამისეულ სახლისკენ გაეშურა. ამ ამბავმა ელდა დასცა ორივეს. სასიძოვებს ასპარეზობა შეაწყვეტინეს და თავისთან მოიხმეს. გულამღვრეულმა ანტინოემ ასე მიმართა შემოკრებილთ, — თვალე-

აომბროსი
ოდისსა

ბიდან ცეცხლს აფრქვევდა და გული რისხვით
ჰქონდა საცხე:

— ხედავთ, რა გაბედა ტელემაქემ? ჩვენს
დაუკითხავად შეკაზმა ხომალდი, რჩეული ჭაბ-
უყები თან წაიყვალა და ბილოსს გაემართა.
კეთილს არ დაგვყარის ეს ამბავი! ზევსიმე
მოუღებს ბოლოს, სანამ ბოროტებას რასმე შე-
გვაძობხვედეს! სასწრაფოდ შემიკაზმეთ ხომალ-
დი, ოცი ნიჩბოსანი მომგვარეთ, რომ უკუშე-
მოქცეულს კლდოვანი სამცხის სრუტეში ჩაუვსა-
ფრდ. მაისს გზაკვალის მიძებნელს, თვითონვე
დავჯარგინებ გზას!

ყველა მხარი დაუჭირა. წამოიზღუნენ და
ოდიხევისს დარბაზში შევიდნენ.

პენელოპემ მალე შეიტყო სასიძოვბის ფარ-
ული განზრახვა; მანდატურმა მეღონმა ყური
მოჰკრა მათ საუბარს და საჩქაროდ მიაშურა
დედოფალს. პენელოპე კარის ზღურბლთან გამ-
ოვება მაცნეს:

— რა დაგაბარეს, მეღონ, სასიძოვბმა? იქნებ
ის ვითხრეს, ღვთაებრივი ოდიხევისს მსახურ-
ნი შინაურ საქმეებს მოეშვენ, და სანადიმო
სუფრა გავვიშალონ? ნეტამც თავიდან მომ-
წყდებოდნენ, ნეტამც უკანასკნელი იყოს მათი
ნადიმობა ჩვენსა. როგორ გვიჩანაგებენ დღე-
ღამის! როგორ გააბარტახეს ტელემაქეს საბად-
ლები! ნუთუ მაშობისაგან მაინც არ გაუფგონიათ,
როგორი ბასილევსი იყო ითაკელებისთვის ოდი-
ხევისი? მას ხომ არავისზე უთქვამს აუგი და
არც საქმით დაუშავებია მათთვის რაიმე. ასე
მოსდგამთ ღვთაებრივ ბასილევებს: ქვეშევრ-
დომთან ზოგი უყვართ, ზოგს კი მოიძულე-
ბენ ზოლმე, მაგრამ კეთილშობილ ოდიხევისს
არასოდეს გამოურჩევა ვინმე. ასე უხდიან
ეგ უმადურები საზავიეროს?

გაბრძნობილმა მეღონმა გაუმხილა სიტყმე-
ლი:

— ო, დედოფალო, რა გვიჭირდა მარტო
ამას რომ ჯერდებოდნენ! უარესი აქეთ განზ-
რახული, — ზევსიმეც დაუყენებთ თვალს!
უკან მობრუნებულ ტელემაქეს უნდათ ჩაუსა-
ფრდნენ და მახვილი განუგვირონ გულს. ის
ხომ მაისს ზოგი უყვართ, ზოგს კი მოიძულე-
ბენ ოდიხევისს და მზიურ ლაყვდემინს აღის წასული.

პენელოპე გაშრა, ხმა ჩაუწყდა. მუხლებმა
კანკალი დაუწყო. დაწვებზე დაპაღუპით ჩამო-
სდიოდა ცრემლები. ოდნე სული რომ მოით-
ქვა, ხმაათორღობულმა ესდა აღმოსთქვა:

— თავს რატომ იღუპავს? საით გაუწყვია
იმისიშორეს, ნუთუ ის უნდა, რომ მისი სახს-
ნებელი აღიგავოს ითაკაში?

— ვერ გეტყვი, დედოფალო, თავისი ნებით
წავიდა, თუ ღმერთებმა შთააგონეს ბილოსში
წასვლა, — უპასუხა მეღონმა, ისდა ვიცი, რომ
ოდიხევისის ასავლდასავალის გასაგებადაა გამ-
გზავრებული.

ეს სთქვა და განშორდა. გულშეღონებულმა
პენელოპემ საკარცხლულამდე ვეღარ მიაღწია,

იქვე სანთობოს ზღურბლზე ჩაიკეცა და წაწყ-
ლობლად ატირდა. შიმუნვარები შემოვრდნენ
და მასთან ერთად იწყეს ტირილი ^{გაქონეს} ^{გაქონეს}

— საყვარელო, — მიმართა მათ აქვითინე-
ბულმა პენელოპემ, — თანაგზარდილთა და
თანატოლთა შორის ყველაზე მწარე ხედილი მე
მარგუნეს უყვდავმა ღმერთებმა: ჯერ იყო
ლომჭული ქმარი დავაარგე, — დანაღლითა სი-
ქადული, მიეღს ელადასა და არგოსში სახელ-
განთქმული; ახლა კი ბობოქარმა ზღვამ მომ-
ტაცა ერთადერთი შვილი! მე უბედურმა არა-
ფერი ვიციოდი მისი გამგზავრებისა. თქვენ კი,
უკულოვებო, თქვენ ხომ იციოდით ეს! რატომ
არ წამომავდეთ საწოლიდან, როცა ის შავქვი-
ნტიან ხომალდში ჯდებოდა? ცოცხალი თავით
არ გაუშვებდით!.. საჩქაროდ მისმეთ მებაღე
დოლიონი, მამანემმა მზთიეგში რომ მჩაქუქა!
ახლავე ეახლოს ლაერთეს, ეგების რაიმე იღო-
ნოს ბერეკაცმა: სადიხვნოში უჩივლოს სასი-
ძოვებს, რომელთაც ოდიხევისის ჟილაგის ამო-
გდება განუზრახავთ!

— საყვარელო რძალო, — მიმართა მას იქვე
მღვამმა ერთგულმა ვერიკემ. — მომკალი
თუ ვინდა, არ დაგიმალავ: ყველაფერი ვიცრ-
დი, მე უბედურმა! თვითონ მოეუშნადე ტე-
ლემაქეს საგზლად ჰური და სურნალოვანი
ღვინო; მაგრამ საშინელი ფიცით დამაფიცა:
თორმეტი დღე არაფერი მეთქვა შენთვის, ვი-
დრე შენ თვითონ არ მოიკითხავდი ან ყურს
არ მოკრავდი ამ ამბავს: არ უნდოდა, მოშენი-
ერი პირისკანი ცრემლებით დაგლარვოდა. ახ-
ლა წაიღ, ტანი განიზანე, სპეტაკი სამოსელი
შეიმოსე და სანთობოში შიმუნვარებთან ერ-
თად, ათინას, ფარისმპყრობელი ზევსის ასულს,
შეევედრე. მხოლოდ ათინას შეუძლია დაითა-
როს ტელემაქე დაღუპვისაგან. იმას კი, ისე-
დაც შეჭირვებულ ბერიკაცს, ნულა შეაჭირვებ.
არა მგონია, არკესიანთა ღვთაებრივი მოღვა-
გაწიროს ნეტარმა ღმერთებმა; კიდევ აღზედდ-
ება ერთი მათგანი ითაკის ბუმბალაი სახლისა
და ნაყოფიერი ველების ხელმწიფედ!

ამ სიტყვებმა გამახნვევა პენელოპე. ცრემლი
შეიმშრალა დაწვებზე. მერე ტანი განიზანა,
სპეტაკი სამოსელი შეიმოსა, კალათაში ქერის
მარცვალი ჩააბნია, შიმუნვარებთან ერთად სან-
თობოში ავიდა და ათინას ლოცვა აღუვლინა:

— მისმინე, ფარისმპყრობელი ზევსის უძ-
ლეველო ასულო! თუკი როდისმე ამ სახლში,
დიდსულოვან ოდიხევისს შენთვის ხარისა ან
ცხვრის მოზიერი ბარკლები შემოეუწიარავს,
ახლა გაიხსენე და შემეწყე! საყვარელო ჩემი
ძე, ქვეგამხედვარი და გულღვარძლიანი სასი-
ძოვებისაგან იხსენი!

პენელოპეს მხურვალე ვედრება შეიწყნარა
ქალღმერთმა. ამ დროს, კი ჩამოხნულბულ
დარბაზში, ერთი ხორხოცი ჰქონდათ ზარხო-
ში შესულ სასიძოვებს. ერთი თავგასული ჭა-
ბუკთავანი ასე ლიზლობდა: საქმრომრავალი

დედოფალი საჭორწინოდ ემზადება, ის კი არ იცის რომ მის შვილს შავი ღლე ელისო.

ასე იტყოდნენ, მაგრამ არ უწყოდნენ თავად რა ელოდათ! მაშინ ანტინოემ ამგვარი სიტყვა უთხრა სასიძოვეს:

— უმეცარნო, რამ ვაგახელათ! ენას კბილი დააჭირეთ, არავინ შეგვიტყოს ვანზრახვა და არ ვაგვამედანოს! ავდგეთ და იღუმალ შევასრულოთ ის, რაც ერთობლივ გადაგვიწყვეტია!

ოცი წარჩინებული ვაჟაკი გამოარჩია და სწრაფმავალი ხომალდისაკენ გაემართა. ხომალდი ზღვაში შეათრის, ანძა აღმართეს, რიკულეზე ღვედებით დაამარგეს ნიჩბები, ყველაფერი მოამზადეს და აფრები გაშალეს. ერთგულმა მსახურებმა საომარი საქურველი მოუტანეს. მენაოსნენი ხომალდზე ავიდნენ. და შეამების მოლოდინში ვახშობას შეუდგნენ.

სანთობოში კი უსმელუტქელი პენელოპე კრიჭუმერული იწვა. შვილის დარდი არ ასვენებდა. მწარე ფიჭრები უღრღნიდა გულს. დაუსხტებოდა ტელემაქე განსაცდელს თუ ქვებუდანი სასიძოვეი საბოლოოდ დაღუპვდნენ? როგორც დამარტოხელებულ ძუ ლომს შესაყრობად ალყად შემოერთყმიან ხოლმე მონადირენი და დამფრთხალს თანდათან უახლოვდებიან, ისე შესეოდნენ პენელოპეს შავი ფიჭრები და ძილს უფრთხოზდნენ, მაგრამ ბოლოს ქანცმილულს ძილმა წაართვა თავი.

მაშინ ასეთი რამ იზრახა თვალსხვიოსანმა ათინამ: დიდსულოვანი იკარიოსის ასულის, იფთიმას სახება შექმნა. იფთიმა — პენელოპეს დაი — ევმელოსზე იყო ვახთოვილი და შორეულ ფერაში ცხოვრობდა. ოდისევსის საზღოში ვულმქმუნვარე პენელოპეს სანუგეშებლად მოავლინა მისი ანრდილი ქალღმერთმა. დის ანრდილმა კარის ჭუჭრუტანიდან შეაღწია სანთობოში, თავით დაუდგა მძინარე დედოფალს და ფრთიანი სიტყვით შეეხმინა:

— შენ გძინავს, პენელოპე, ჩემო მწუხარე დაო, ნეტარი ღმერთები არ ვანებებენ წუხილსა და ცრემლისღერას, რადგან უკვდავთა წინაშე უბრალოა ტელემაქე და შინ მშვიდობით დაგვიბრუნდება.

სიზმრის ბჭეთა შორის ტკბილად ჩაძინებულმა სათნო პენელოპემ ასე მიუთვ:

— აქ როგორ გაჩნდი, სანატრელო დედაქმუნველი რე არასოდეს მსტუმრებიხარ შენი შორეული სახლიდან. გინდა მწუხარება დამიამო და გულის მტანჯველი კავშანი უკუმეყარო? მაგრამ რამ უნდა მანუგეშოს: ლომგული ქმარი დეკარგე — დანაელთა სიქადული, მთელს ელადასა და არგოსში სახელგანთქმული. ახლა კი შეილიც გამშორდა სწრაფმავალი ხომალდით. ის ხომ ჯერ კიდევ ყრბაა, კირში გამოუცდელი და სიტყვა-პასუხში უწყრთნელი, ამიტომ მისი ბედი უფრო მაწუხებს, ვიდრე ჭირნახული ოდისევსისა. შოშით ალარა ვარ. ვაი თუ რაიმე ფათერაკი შეემთხვეს ზღვაზე, ან იმ ხალხთა შორის, სადაც მოხვდება. აქაც ბევრი მტერი და ავის მოსურნე ჰყავს. მამულისკენ შემოქცეულს დაღუბვით ემუჭრებიან!

დის ანრდილმა ძილისშორისში ასე გაამხნევა დედოფალი:

— ნუ გეშინია, — ისეთი მფარველი ჰყავს ტელემაქეს, გულმაგარი კაციც რომ ინატრებდა. ათინა პალადა მისი შემწე, შენი შემწყალებელი. მანვე გამომგზავნა შენს სანუგეშებლად და ამის საუწყებლად.

— უკეთუ ქალღმერთ ხარ, ჩემი ბედშავი მეუღლის ამბავიც მამცნე ბარემ, — შესთხოვა პენელოპემ, — ჯერ კიდევ ტუბება მზის შუქის ჭერებით თუ ჰაღდისის წყვდიადში — დანთქმული?

— არ ვიცი, მეკდარია თუ ცოცხალი, ვერაფერს გეტყვი. ფუჭსიტყვაობა კი უკადრისი საჭმეა!

ეს თქვა და კარის ჭუჭრუტანიდან ქარივით გაჰქრა იფთიმა.

დილით გულსავსედ გამოიღვია იკარიოსის ასულმა, რადგან იზრახა, ღვთაებამ მომივლინაო ეს სიზმარეული ჩვენება.

ამასობაში ტელემაქეს სასიკვდილოდ გამოწრევი სასიძოვეი მიადგნენ დათქმულ ადგილს. იქ ითავსა და სამეს შორის ერთი პატარა კლდოვანი კუნძულია ასტერიდად წოდებული. ამ კუნძულის მყუდრო ნავმისადგომში ჩაუსაფრდნენ აქველები ტელემაქეს.

ძვილბარძნულიდან თარგმნის
ზურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხენკელმა

გაგრძელება იქნება



ჯუჩხა ნერიკაძე

შეგვიანის პოის ყორღანები

ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასაბრუნს, დაახლოებით ოცდამეერთე საუკუნეში თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ისტორიაში დრამატული ძვრები მოხდა, მტკვრისა და არეზის ხეობაში მოსახლე მიწათმოქმედმა და მესაქონლე ტომებმა მამაბაბეული საცხოვრისები მიატოვეს და სადღაც გადასახლდნენ. ზეპირსიტყვიერება და იმ დროის ცივილიზებულ სამყაროში არსებული წერილობითი წყაროები ხსოვნას არ ინახავენ იმ ხალხზე, რომელმაც ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა შექმნა. მხოლოდ და მხოლოდ უძველესი სამაროვნები და ნახანძრალი მიწის ფენები ინახავენ ჩვენი შორეული წინაპრების ნაკვალევს. ამ მიწიდან ამოღებული უამრავი ნივთი ამშვენებს დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებს. ბევრმა მეცნიერმა არა ერთი და ორი დამე თეთრად გაათენა მათ შესწავლაში. მკვლევარებმა მტკვარ-არაქსის კულტურას ტომები მიუძღვნეს და მსოფლიოს არქეოლოგიურ ძეგლთა შორის შესაფერისი ადგილი დაუმკვიდრეს, მაგრამ დაბეჭივებით დღემდე ვერავის უთქვამს, როდის და რატომ შეაქცია ხალხმა ზურგი მშობლიურ კერას, სად გადაიხვეწა და, თუ შორს არსად წასულა, რად შეიცვალა ცხოვრების წესი.

ინგლისელი მეცნიერი ლეონარ ეული ხალხმრავალი ხეობების გაუქვაცივლებას მიწების გამოფიტვით ხსნის. თუ ეს ასე არ მომხდარა, მაშინ, მეცნიერის აზრით, შემოსეულმა მტერმა გადაბუგა მტკვრისა და არეზის ხეობაში მცხოვრებ ხალხთა სახლ-კარი, ხოლო გადარჩენილები სადღაც შორს უნდა წასულიყვნენ — ახალი სამშობლოს საძებნელად.

აკადემიკოს პ. პიორტროვსკის კი ისინი შორს არსად ეგულება და ფიქრობს, რომ მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად ხალხი კავკასიის ბარიდან მთაში გადასახლდა და ხუთასი-

ოდე წლის შემდეგ ისევ თავიანთ ძველ ნამოსახლარებს დაუბრუნდაო.

დაახლოებით ამავე აზრის არიან ქართველ მეცნიერებიც; ბარიდან მთაში ხალხთა მიგრაციის მოზეზად ისინი მეტალურგიის განვითარებასაც ასახელებენ, ფიქრობენ, რომ ძველი ნამოსახლარების დაცარიელება თანდათანობით უნდა მომხდარიყო და არა ერთბაშად. მკითხველს რომ ასეთ პროცესზე ნათელი წარმოდგენა შეექმნას, სიტყვასიტყვით მოვიტანთ პროფესორ ოთარ ჯაფარიძის აზრს — ახლახან დასტამბული მისი ნაშრომიდან: „ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ბოლოსათვის ბარში თანდათანობით ხდება მოსახლეობის ერთგვარი „ათხელება“. მართალია, აქ ამის შემდეგ ცხოვრება კვლავ გრძელდება, მაგრამ არა ისე ინტენსიურად, როგორც ეს მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში იყო. ეს გარემოება არ შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ამ პერიოდში მესაქონლეობის მომძლავრებასთან ერთად მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მთას მიაშურა. თქმა არ უნდა, რომ მესაქონლეობის დაწინაურება მთის უფრო ინტენსიურ ათვისებას მოითხოვდა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე მეტალურგიის განვითარებაც“.

ლოახვსა და ყვირილას ხეობაში ადრეც მიაკვლიეს და უქანსკენელ ხანებშიც გამოფინდა მტკვარ-არაქსის კულტურის სინქრონული ძეგლები. ყვირილას ხეობაში ბ. კუტინისა და ოთ. ჯაფარიძის მიერ შესწავლილი იყო ადრე-ბრინჯაოს ხანის ყორღანული ტიპის სამარხები. მეცნიერებმა ეს ძეგლები ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის შუა ხანებით დაათარიღეს. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, მოღინახეს ციხის ფერდობებზე, ბოლო წლებში ჩატარებულმა გათხრებმა დაადასტურა, რომ აქ არსებობდა ნამოსახლარი იმ ტომებისა, ვინც საჩხერული ადრე-ბრინჯაოს კულტურა შექმნა და დღემდე მხოლოდ სამარხეული მასალებით

ყოცნობილი. მოდინახეზე ადრეანტიკური და გვიანბრინჯაოს ხანის (XV-IV სს.) ნამოსახლარის ფენები უშუალოდ ებჭინებიან ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ფენებს (XXV-XX სს.) აქვს, ისე, როგორც მტკვრისა და არზის ასეთულობით ნამოსახლარზე, გამოტოვებულია ადამიანის მოღვეწეობის ხუთასწლიანი პერიოდი, ერთი ისტორიული ეპოქა, რომელსაც არქეოლოგები შუაბრინჯაოს ხანის უწოდებენ. უნდა ვიფიქრობოთ, რომ ამ ეპოქის დასაწყისისათვის მოდინახეს ფერდობებზე მცხოვრებმა ტომებმა, მესაქონლეობის განვითარების გამო შიდატოვებს თავიანთი საცხოვრისები და მთაში გადასახლდნენ. ასეთ ვარაუდს საფუძველი აქვს, მაგრამ საწინააღმდეგოს მტყიცებაც შეიძლება, რადგან მოდინახეს ფერდობები თითქმის მთავი არის და ყველაზე მაღალი ალპურ საძოვარად ნახევარი ღღის საელი გზაც კი არაა. სიკვლევა, რომ ასე მცირე ნაძვრების გამო მოსახლეობას ზოდატყუნიანი ხეობა მიეტოვებინა და უმკაცრეს კლიმატის პირობებში, შედარებით მცირე საძოვრებიან რაჟა-იმერეთის ქედის კლდე-ღრეებში გადასახლებულიყო მუდმივ საცხოვრებლად. იქნებ უფრო შორს ვარჯექს საქონელი და სამხრეთ ვავკასიონის გაშლილ ვალდებს მამურეს ყვირილის ხეობაში ნცხოვრებმა ტომებმა? მაგრამ აქ ხომ მეტალურგია შუაბრინჯაოს ხანამდე ათასი წლით ადრე აღმოჩინდა და განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ძველი წელთაღრიცხვის XXV-XX საუკუნეებში. ხომ ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დღემდე შესწავლილი ადრებრინჯაოს ხანის ძეგლთა შორის ლიონის ნივთებს ყველაზე უხვად ყვირილის ხეობის ამავე ხანის ძეგლები შეიცავენ. თუ მეტალურგიის შემდგომი აყვავება ხალხთა მიგრაციაში სხვაგან გარკვეულ როლს თამაშობდა, ყვირილის ხეობის ტომებს შორის ასეთი პრაბლემის არ უნდა მდგარიყო: აქ სალითონო ხელოვნების ტრადიცია საუკუნეობრივ გამოცდილებებს ემყარებოდა და საფუძველი არ არსებობს ვივარაუდოთ, რომ შუაბრინჯაოს ხანაში სხვაგან დაეწყოთ ლიონის ვადნის ახალი საბადოების ძიება და ბრინჯაოს სადნობი ქურა-სამქედლოების მშენებლობა. ყვირილას ხეობაში, რაჟა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე მრავალი მიმე წონის განმია აღმოჩენილი: 1967 წელს სოფელ დუნთაში მცხოვრებმა არსენ ყიფიანმა გაღმოგვცა მოდინახეს ციხის ჩრდილოეთით, შორიგურის ახლოში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდები. იმავე წელს მდ. ჩიხურას მარცხენა ნაპარზე, ქალოეთში, მოსწავლეებმა შემთხვევით იპოვნეს ბრინჯაოს ზოდები. მათი წონა, დაკარგულია და შევროვილის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, 150 კილოგრამამდე იყო. მოდინახეს ფერდობზე ნახანძარი მიწის ფენები დიდი დარღვენობით შეიცავენ ტიგელის ფრაგმენტებს. თიხის ეს თავისებური ჭურჭელი უტყუარი მოწმეა

იმისა, რომ აქ გამართული იყო ~~ლითონის~~ სადნობი ქურები. არსენ ყიფიანის მიერ შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს ზოდებს ~~თანამედროვე~~ თიხის ჭურჭლის ყური, რომელიც ადრე ბრინჯაოს გვიანი საფეხურის სამეთუნეო ნაწარმისათვისა აღმზასათებელი. ჭურჭლის ერთი ყურით განძის ზუსტ თარიღზე საუბარი, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება, მაგრამ ამაყრად თარიღს გადაწყვეტი მიწიწველობა არა აქვს. განძების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ყვირილის ხეობაში ადრევე აღორძინებული სალითონო საქმისათვის ყოველთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა და, მაშასადამე, შუაბრინჯაოს ხანაში აქ მცხოვრებ ხალხთა მიგრაციაში არ შეიძლებოდა რამე როლი ეთამაშა. ამ მხრივ სახეების ადრეული ხანის ძეგლები, როგორც ჩანს, გამოწაკლის წარმოადგენენ და მათი მომავალი შესწავლა, შესაძლოა, რამე კორექტივებს შეიტანს ძეგლების დღემდე მიღებულ თარიღში ან ხალხთა მიგრაციის თეორიაში.

აღნიშნული საკითხის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სამხრეთ საქართველოს მთიანეთში შუაბრინჯაოს ხანაში მცხოვრები ტომების ნამოსახლარების აღმოჩენას. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ საქართველოს ბარში დღემდე გათხრილ ადრებრინჯაოს ნამოსახლარებზე ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში ცხოვრება არ გრძელდება და არც თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის შემქმელი ტომების საცხოვრისება დღემდე მიკვლევია.

ექვთიმე თაყაიშვილისა და ბორის კუფტინის დაწყებული საქმის გამგრძელებელ არქეოლოგთა მთავარ საზრუნავს თრიალეთური საზოგადოების ნამოსახლარების მიკვლევა და შესწავლა წარმოადგენდა.

ამ მნიშვნელოვანი საქმის განმორციელებას ისახავდა მიზნად ოთარ ჯაფარიძე, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულ ექსპედიციას.



1957 წლის შუა ივლისში ექსპედიციის წევრებმა უნივერსიტეტის ეზოში მოვიყარეთ თავი. მარგით გავსებული ძველებური „ზისი“ ძარაზე მოვკალათდით და გუზი სამხრეთისაკენ ავიღეთ. მანქანამ ჩაუქროლა მეტეხის ტაძარს და თბილისი შევნაბადს ამოვფარა.

მდინარე მაშავერას და ხრამის ხეობებში მზისვერ პურის ყანებში და ლურჯად მოღველივე ზებურში, ტყეებით დაფარულ და ბუჩქნარით გახურებულ მთათა ფერდობებზე გულ-

ჯუზუხა ნაღრიამა
შაბაგინის მთის ყოვლანობი

მოდგინედ ვჩხრეკდით შუაბრინჯაოს ხანის საცხოვრისებს. საღამოობით დათქმულ ადგილზე ციყრიდით თავს, თიხის ქურქლის ნატეხებით სასვე ზურგჩანთებს მიწაზე ვაპირქვავებდით, მაგრამ ძველი ნაშუსრევის არც ერთი ფრაგმენტი არ ამყლავნებდა თრიალეთური მოსახლეობის ცხოვრების საიდუმლოს...

1959 წელს არქეოლოგიურმა ბილიკმა ექსპედიციის მონაწილენი მდ. ახისხრამისა და ყარაბულაღის სათავეებთან მიიყვანა. იმ სეზონში გათხრებში მონაწილეობა არ მიმიღია, ხოლო 1960 წლის ზაფხულზე, შამბიანის მთის ძირში, თვალწინ გრანდიოზული სანახაობა გადმოვალა. მთებით გარშემორტყმულ ყვავილოვან ველზე პირამიდებით დაყუდებულიყვნენ ნაციონალური ქვეებით ნაშენი ეგვიპტელა ყორღანები. კონსტრუქტორებმა აზომეს და იანგარირეს, რომ ერთი მათგანის სიმაღლე რვა მეტრს აღწევდა, მათვედახუთითაის კუბამეტრ ქვას შეიცავდა და ერთი ჰექტარი ფართობი ეტკავა.

სამი ასეთი დიდი ზომის ნაგებობა იდგა ზურტაქეტის ველზე — შავი მდინარის მარცხენა ნაპირზე, აწ გაუკაცრიელბულ სოფელ ორთაშუას სამხრეთით. ვახუშტი ბაგრატიონი ამ ეგვიპტელა ვაკეს ზურტაქეტს უწოდებდა. იგი წალკის ზეგანისაგან ხრამის ხეობითა გამოყოფილი და დღევანდელი დმანისის რაიონის დიდ ტერიტორიას მოიცავს. მდინარე ახისხრამისა და ყარაბულაღის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე გაშენბულ სოფლებში ბერძენბი და თურქული მოდგმის ტომები ცხოვრობენ, სამი სოფელი კი — ახა, დიდი და პატარა გომარეთი, ქართველებით არის დასახლებული. ყველგან, თითქმის ყველა სოფელში დგას ფეოდალური ხანის ქართული ტაძრები. ეს ტაძრები ეწულად დგანან ნაგრეგებბადქცეულ, გაპარტახბულ ნასოფლარებში. ეგვიპტელა ზეგნის სამხრეთით აღმართულია შამბიანის მთები: „სახელი ესე ეწოდებინ შამბ-ბალახის სიმაღლისაგან: რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არ გამოჩნდებინ... ამ მთასა შინა არის ირემთა სიმრავლე, ჭოგ-ჭოგად და ხროთ, და სხვათა ნაღრთაჲ. მოინადრო აქ მყოფმან ვახტანგ, და მოკლეს დღესა ერთს (რბ)“.

რა ხანია აქ აღარავის უნახავს დამფრთხალ ირემთა არე, სიმწვანეს შერეული ცხვრის თეთრი ფარები კი, ნისლის ფთილებთან ერთად, გამუდმებით დახეტიალობენ შამბიანის მთის ფერდობებზე. ზამთარი ამ მხარეში გრძელი და სუსხიანი იცის. ადრიან გაზაფხულზე ლურჯი ყინულით შეჯავშნულ ხეგუბებზე და ქედებს მზე ოქროს რქებით ჩხვერავს და ხერხემალს უმსხვრევს. ათქვეფილ ხორგს ნაკადულები ხეგვისისაგან მაჩჩხრალებენ. მზისა და ყინულის ბრძოლა აქ დიდხანს გრძელდება. შამბიანის მთის ღარტაფებში ივლისშიც კიაფილობს მიწნარევი თოვლის ნარჩენები. აღბუჩი იების

ქედებისაგენ უფრო ხშირდება. მუქქვამა ბრეების თავზე ცისფერი ველი და უერთბინა ცისა. შუაზაფხულში აქ ამინდი დღემი ხშირდებოქვჩერ იცელება.

პირველ დღესვე, ვიღრე მუშაობას შევეუდგებოდით, მთის გადამოცხნა ლეგაღრუბლებით გადმობობდნენ, მზის მცხუნვარება სუსხმა შესცვალა, გასკდა მეხი და რუხი ლოდები წვიმის მსხვილმა წვეთებმა შავად მოწინწკლა. ყორღანის ძირში გაშლილ თეთრ კარეებს შევაფარე თავი. დეღგამაში, ღრუბლებით ჩამობნელებულ და ფლვით განათბულ ცის ქვეშ, გორგოზად ლაღლაპებდა საიდუმლოებით მოცული უძველესი ნაგებობა. ოროდღე საათის შემდეგ ქარმა იმძლავრა. წვიმის სვეტებზე დაყრდნობილმა, დაცილილმა ლეგაღრუბლებმა წელი ათირიეს და დეგრძელებული კუდებით მიუბი გადახვეტეს. დაცივანამული ყვავილებით ავლენბებული დედამიწა კალმასის ზურგივით გაბრწყინდა ლურჯად მოკაქამე ცის ქვეში.

დიდხანს ვუტრიალეთ ყორღანს გარშემო, ნაწვიმარზე მისი ფერდობებიდან ნელ-ნელა აიზლახნა ორთქლი. ნაგებობამ თანდათან დაპკარგა სისველისაგან შეძენილი ბრწყინვალეება რუხად გამოიყვითა ცასა და დედამიწას შორის, ექსპედიციის უფროსმა ოთ. ჭაფარიძემ და მისმა მოადგილემ ოთ. სანებლიძემ გადაწვიტეს — გათხრა დასავლეთიდან დაეწყოთ, მაგრამ როდესაც ყორღანს ზემოდან ქვები გადაცალეს და დასაქრძალავი დარბაზის კედლების კონტურები მოიხაზა, მათ თავიანთი გადაწვიტებულმა შეცვალეს და ყორღანის გათხრა აღმოსავლეთის მხრიდან დაიწყეს. ათი მეტრის სიგანისა და ორმოცდაათი მეტრის სიგრძის თხარლს, რომელიც ყორღანს შვიდი მეტრის სიღრმეზე ტრიადა, რამდენიმე თვის შემდეგ დასაქრძალავ დარბაზში უნდა მივეყვანეთ.

თრიალეთის ტომთა ბელადები საქმაოდ დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ. მათი განსასვენებელი ყველაზე უფრო უხვმოსავლიან სათიბებშია აღმართული. გრანდიოზული ნაგებობა და მისი აღმოსავლეთით მდებარე ლურჯად მობინბენი გრძელი სათიბები იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენ ყველასაგან პატივცემულ და ყველაზე მდიდარ კაცს მივადექით დახმულ კარებზე.

ნაგებობის სახურავმა ვერ გაუძლო ეპის უსასრულობას და უხსოვარ დროში ზარზუიმით დაქრძალულ თავკაცს ახლა ასი ათასი ურემი ქვა და ლოდი აყრია გულზე. ამ მძიმე ტვირთის ახსნა ათასწლეულების შემდეგ მოსულთაობას იგი, რა თქმა უნდა, აუგად არ ჩამოართმევს. სამარხის ქვები ყრულ ეხეთქებიან ერთმანეთს. თხარლი თანდათან განიერდება, ნაგებობას შუაზე ფატრავს და ნელნელა მიიწევს საიდუმლოებით მოცულ სიღრმეში.

ათორღე დღის შემდეგ ყორღანის აღმოსავ-

ლეთ მხარეზე ჩახტრგილი უზარმაზარი ლოდები მინდორში ვადათორიეს. ნაგებობის შუაგულადან ორმოციოდე მეტრის დაშორებით ვაზიონდა მშრალად წყობილი ქვის ცალბირი კედელი. სულ მალე ასეთივე კედელი მოპირდაპირე მხარეზეც იპოვეს და არქეოლოგები-სათვის ნათელი გახდა, რომ მიავნეს დარბაზისკენ მიმავალ შესასვლელს. ამ უცნაური კარის სამირკველს სამი ათას რვაასი თუ სამი ათას შვიდასი წლის შემდეგ ადამიანმა პირველად გადააბიჯა და მეოცე საუკუნის სქელწინიანი ფესისამლით აჭრელებულ მიწაზე ერთმანეთს შეხვდა ორი ეგვომ შორეული თაობის ნაკვალიევი.

კლდისა და რიყის ქვისაგან ნაშენი შესასვლელო დასაწყისში ათი მეტრის სიგანისა იყო. სიღრმეში იგი თანდათან დავიწროვდა და კედლების სიმაღლემ შვიდ მეტრს მიაღწია. იგი აქ უკვე რთულად იყო ნაგები, ძირითად შესასვლელს გვერდებზე საყრდენი კედლები ჰქონდა ამოშენებული.

ერთი თვის შემდეგ თხრილი კარგა მოზრდილ ხეობას დაემსგავსა, ოცდაათვრამეტი საუკუნის შემდეგ ჩვენ ფრთხილად დავაბიჯებდით ვანიერ დერეფანში და შიშით შევეყრდებოდით მის ორსავ მხარეზე აუღლებულ დრო-ეამის სიშშიძისაგან გადრეკილ კედლებს. ეს კედლები თუ ჩამოიქცეოდა, თხრილი პირამდე აივსებოდა ქვითა და ლოდით, ვანადგურდებოდა ძეგლი და შრომა წყალში ჩაიყრებოდა. თუმცა შრომას ვინ დაეძებდა, როცა კედლებს ძირში ათეულობით ადამიანი მუშაობდა. ნაგებობაში გამოჩნროლი რიყის ლოდები თავს ძლივს იმაგრებდნენ ქვის ცალბირ კლდეში.

საბედნიეროდ, ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა. უძველესმა ქვის ოსტატებმა, როგორც ჩანს, ღვთისა და კაცის სახელით საშვილიშვილოდ ააგეს ეს გრძელი დერეფანი. გათხრების დამთავრების შემდეგ კედლები ორიოდ წელიწადს კიდევ დაუნგრევლად იდგა და შემდეგ საღდაც გაზიდეს მშენებლობაზე. დასანანი კი იყო ამ უძველესი გრანდიოზული ნაგებობის ვანადგურება! მომავალი თაობები ალბათ სინანულით მოიგონებენ ჩვენს გულგრილობას!..

● ორი დღეა ვადაუღებლად წვიმს, აყაციის ხეები და კარტოფილის პატარა ბაღჩები მწვანედ ხასხასებენ მოქუფრული ცის ქვეშ. დაბის ქუჩები დაკარიელებულია და დმანისი წვიმისა და მდინარის ხმაურითაა სავსე. მამავერა, ორი დღის უკან ძლივს რომ აჩნდა დაჩეხილ კლდეებს შორის რუხად მოკიაფე კალაპოტს, ახლა მღვრიე ტალღებში შეთრეულ ბაზალტის ლოდებს ერთმანეთზე უღვაფუნებს და ხეობას წარღვნით ემუქრება.

დმანისის საშუალო სკოლის საკლასო ოთა-

ხში, სადაც ჩვენ დროებით ვცხოვრობდით, რახანია შეწყდა საერთო საუბარი და ექსპედიციის წევრები თავს ახლა სხვადასხვა მიმართულებით იქცევენ. ამირან ჩხარტიშვილი, რომელსაც ფეხი მუხლზე ვადაუღვია და წვივზე ორჯერ შემოუღხევი, ჰადრაკს ეთამაშება გენო ნასიძეს. გენო პაპიროსს მილიმილზე ეწევა და რგოლბად გამობოლქული კვამლს ამირანს უხრჩობლებს. ამირანი ცალი ხელით ამ რგოლებს იგერიებს და გენოს სელაზე პასუხობს: „მაი აფერი არაა, ძამა“.

ბება ფრანგულად ქიყინობს, შემდეგ მთელი ხმით ვაყვირის იტალიურ რომანსებს, მაგრამ ვამეითხავი და გამჩუმებელი არავინაა. მისი „დამორტუენელი“ ოთარ სანედლიძე რადიოულიტბა „რასკლადუშას“ მიაჯავვა.

გია ავალიშვილი დავინებით იყურება ფანჯარაში. სათევზაოდ უნდა წასვლა და მგონი დმერთს წვიმის ვადაღებას ემუდარება.

„მდინარის ზათით შეშინებული კალმახები ახლა ნაპირზე შეტბორებულ მორცეში თვლიმენ ალბათ“, — ვფიქრობ მე და თვალი სკოლის მერხებზე ვასაშრობად ვაფენილ სასაოლ ბაღვედ მიჭირავს.

ოთარ ჯაფარიძემ ეს-ესაა დაამთავრა რომელიც ნემვიგრანტალი არტისტის მეშუარები, ფეხზე წამოდგა, თვალი და ყური ექსპედიციის წევრებისაკენ უჭირავს... სხვათა შორის მის ჩერებია ჰადრაკის დაფას და ასევე სხვათა შორის ხელიდან ხელი შენაცვლებით, აჩხრიალებს ძეწვეზე გამობმულ, კოლხური ცულის ვერცხლის მოდელებს.

როგორც იქნა ვადაიკარა. მე და გია წყლით სავსე ქუჩაში გამოვტყაბუნდით. ქუჩეში ისევ ცარიელი იყო. კედელში დრმალ შეთხრილი ოთახის სიღრმიდან ყსაბი იჩყიტებოდა. მუშტრის მოლოდინში თავგაბზრებულს ჩვენი დანახვა ვაუხარდა, თათრულად მოგვესალმა და ჩემზე ჩამოკიდებულ ცხერის ღუმას ხელი მოუტყაბუნა. ჩვენ ჩიხანისაკენ შევუხვიეთ და ყსაბი ბუზღუნით მივიძლა ოთახის სიღრმეში. ჩიხანაშ წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მოქიფვთა მიერ წარწერებით აჭრელებულ პლასტმასის მაგადას ცხერისქუდიანი კაცები უსხდნენ და ქამრიანი ჰიქებიდან სიამოვნებით წრუპავდნენ მწვანე ჩაის. „პრიმა“ ვიყიდეთ, სანაპიროზე ჩავედით და ხეობას აღმა შევეუყვით.

ყაყაოებით მოჩითულ ველზე ბალახი მუხლებამდე გეწვდებოდა. ნამისაკენ დამძიმებული შარვლის სველი ტოტები თბილ წვივებს უსიამოვნოდ ეტმანნება. მთაში ნისლი ჩამოწვა. თვალსაწიერი ცხვირწინ თავდება. საღდაც მდინარის ვალმა მწყემსი ფარას ავუგულავებს

ჯურხა ნადირაძე
შამგინანის მთის ქორღანები

და გამედგმებული შეძახილით აფხზლებს ყურებჩამოთლილ კავკასიურ ქოფაეებს. მამ- აერას სათავეებისაკენ მივდივართ. როგორც შეხმარლოელმა მწყემსმა მითხრა, მაშავერას შენაკადის — პანტიანის წყლის ნაპირზე ვე- ლი და დიდი შენობების ნანგრევები ყოფილა კლდისპირზე აღმართული. იქიანა და, როდეს- საც მთას თავზე მოვექეციით, თვალწინ ვარდი- სფერი ნისლის ოქანე გადაიშალა. ნისლი პტარავდა ორ მთას შუა მოქცეულ საქართვე- ლოს ბარს. ლურჯად დაბინდულ გამჭვირვალე სივრცეში ღრუბლებგადაყრილი დიდი და მცო- რე კავკასიონის მწვერვალები ესალმებოდნენ ერთმანეთს.

მდინარის მარცხენა ნაპირას, შავდ მოლაპ- ლაზე სველი კლდეების თავზე გამოჩნდა ვებ- ერთელა ნაგებობის ნანგრევები. მისი კედლე- ბი ალაგ-ალაგ ხეებამ სიმალღე დიყასა და შიმბს დადევარა. მზარლად წყობილი ქვის ორ- მაგი კედლების სივანე ზოგან სამ მეტრს აღ- წევდა. უფსკრულის პირზე გაწოლილი ნაგე- ბობა ორტონიანი გაუთლელი ლოდების გრძე- ლი ჯერით იყო ნაშენი. მეოცე საუკუნის ადამი- ანისათვის ძნელად წარმოსადგენია ტექნიკის ვარემ ამ უზარმაზარი ტინების ატანა. თუნ- დაც სამი მეტრის სიმაღლეზე...

სანადიროდ წასულიყვენ
ამირან და ძმანი მისნი,
გაღიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი აღვეთისი,
უცხო მთაზე კოშკი ნახეს,
ანაგები ბროლის ქვისი,
ძმებმა გარშემოუარეს,
ვერა პოვეს კარი მისი.

პროფესორი ლეონ მელიქიძე-ბეგი ფქ- რობდა, რომ ამ ბროლის კოშკებში, რომლებ- საც ხალხური სიტყუაკაზმულობა ზოგჯერ „სალის კლდისასა“ უწოდებს, ნაგულისხმევია საქართველოს ტერიტორიაზე აგებული, უღუ- ლაბოდ ნაშენი მონუმენტური ნაგებობანი, რომ- ლებსაც ხალხი ზოგჯერ „ლოდოვანს“ ეძახის და ზოგჯერ ქაჯთა ციხეებად აქვს წარმოდგე- ნილი. ამირანის ლექსში მოხსენებული მე- ათე მთა მას ალგეთის, ანუ ასურისის მიდამო- ებში ეგულებოდა. იქ, ფიქვის ტყეებით შემ- ოსილი ფერდობების თავზე, მართლაც მრავ- ლად გვხვდება ზღაპრული ნაგებობანი... ქვაზე ჩამოვჯექი და გონების თვლით მოვებნე წა- ლის ზეგანზე, თემის მახლობლად, მდინარე ქციის მარცხენა ნაპირზე, გრანდიოზული ლო- დებით ნაშენი ნაციხარ-ნაქალაქევი. მისი ორ- მეტრნახევრიანი სისქის კედლები ორსართუ- ლიანი სახლის სიმაღლეზეა ცაში აწვილილი. ასი მეტრის სიგრძეზე გაწოლილი საიდუმლოებით მოცული ციხე თავზე დაჰყურებს ქციის ხე-

ობას და მდინარეების ვერცხლის აშოთ პროქ- რგულ წალკის ზეგანს.

განა მართო ალგეთისა და ქციის მონუმენტები, და განა მართო პანტიანის წყლის ნაპირები? ამ უცნაურ ნაგებობათა ნაშთებით მოფენილია დიდი და მცოტე კავკასიონის ფერდობები — სომხითიდან, ვიდრე ლიხვის სათავეებამდე!

ვინ ააშენა ეს გრანდიოზული კედლები, რომელ ეპოქაში გამოიყვანეს ლარში ქვისხუ- რობმა. ვეება ნაციისფერი ტინები, რომელთა შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გაკვირვებული წერდა „საკვირველია, რამეთუ დიდრონთა ლოდთა შენი, რომელი აკეთაგან არა შესაძ- ლებულ არს მისი ქმნა“ ვახუშტი ბატონიანი გმირთა კვეთილად მოიხსენიებს მათ და ბარა- თიანთ ერთ საბუთშიც გმირთა კვეთილადაა წოდებული. მეოცე საუკუნის მკვლევარებმა აღნიშნულ ძეგლეს მეგალითური უწოდეს, რაც ბერძნული სიტყუაა და ქართულად დიდ ლოდს ნიშნავს. ციკლოპურსაც ეძახიან, რად- გან ეგეოსის სამყაროში აღმართული ამგვარი ნაგებობანი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ცალთვალა დევგმირებმა — ციკლოპებმა ააშ- ენეს უხსოვარ ღროში. ლოდოვან ნაგებობათა მშენებლობის ხანა ზოგიერთ მეცნიერს შო- რეულ წარსულში გადააქვს და ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ლითონის წარმო- ება ძალზე სუსტად იყო განვითარებული, აღ- ამიანებმა დაიწყეს ეტლკანის მიერ ამოვტკვე- ული ლოდებისაგან ციხეებისა და სახლების მშენებლობა. ასეთ მონაზრებას მეცნიერები თითქმის არ იზარებენ. აკადემიკოსი მეშჩანი- ნოვი ამერკავკასიის ტერიტორიაზე მეგალით- ური კულტურის შექმნას გვარტომობის რდგე- ვის ხანას უკავშირებს, ხოლო ლეონ მელიქი- სედი-ბეგი რამდენიმე აზუსტებს ამ თარის და ფიქრობს, რომ ციკლოპური ნაგებობანი ურ- რტული სახელმწიფოს წინადა ხანაში უნდა ად- ემართათ, ქრისტეს დაბადებამდე ათასი წლით ად- რე. აკადემიკოსი ნიკო მარი ვარაუდობდა, რომ მეგალითური კულტურა სომხეთისა და საქარ- თველოს ტერიტორიაზე ძალიან ადრე არსე- ბობდა; 1917 წელში გამოცემულ ნაშრომში მეგალითებთან დაკავშირებული საკულტო ქვების ე. წ. ვეშაების* განხილვისას წერდა, რომ ისინი შორეულ წარსულში მეხუთე ათას- წლელში შეიძლება წარმოქმნილიყვენ და ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე ვარსე- ბათ. 4500 წელი ძალზე გრძელი ჩარჩოა და ასეთი თარიღი მკითხველს ბევრს ვერა- ფერს ეუბნება.

მეცნიერები ლოდოვან ნაგებობათა სააღმ- შენებლო პერიოდს ერთ რომელიმე ეპოქას

*ვეშაები. საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე აღმართული საკულტო დანი- შნულების ქვის მონოლითები, თევზის ან ვე- შაპის გამოსახულებით.

რომ უკავშირებენ, ამ შემთხვევაშიც არაპირდაპირ საბუთებს ემყარებიან. გვარტომობის რღვევის ხანაზე რომ მიუთითებენ, ხალხთა უფრო დიდი გაერთიანების წარმოქმნას გულს ხსობენ, რადგან მხოლოდ დიდსა და მძლავრ გაერთიანებას შეეძლო აეშენებინა ეს მონუმენტური ციხე-ქალაქები.

განა გვარტომობის ხანაში ტომთა დიდმა გაერთიანებამ არ ააშენა თრიალეთის გრანდიოზული ყორღანები თავიანთი ბელადის გასაპატივებლად და სამუდამო სამკვიდრობლად? მას რაღა შეუძლიდა ხელს ამავე საზოგადოებას — თავდასაცავად და საცხოვრებლად გრანდიოზული საერო ნაგებობანი აეშენებინა? მე არ ვაპირებ სამხრეთ საქართველოს მეგალითური ძეგლების აღმშენებლობის ხანა დიდი ყორღანების ეპოქას დავუკავშირო. ის კია, რომ ძეგლები არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის და ამის გამო მეცნიერთა მიერ განსაზღვრული მათი ხნოვანება ზოგჯერ საეჭვოდ გვეჩვენება.

საუკუნეების მტვერით ამოვსებულმა და შაბით ვებურღულმა სათავსებმა შესაძლოა ახლა ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ნაშთები დაგვიდასტუროს, მაგრამ ეს სრულებითაც არ იქნება მოულოდნელი. ფეოდალურ ხანაში, მთებში აღმართულ მკვიდრად ნაშენ ციხე-სიმაგრეებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა გარეშე მტერთან ბრძოლაში და შინაური არეულობის დროს. ნაშუსრევიც, შესაძლოა, უმთავრესად იმ დროისა იყოს, მაგრამ გულმოდგინე არქეოლოგიურმა კვლევამ არ შეიძლება აქ უძველესი ფენები არ დადასტუროს. ერთი სიტყვით, საიდუმლოებით მოცული ეს ციხე-ქალაქები არქეოლოგის ბარს ელოდება, რადგან მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგის ბარსა და კალამს შეუძლია მათ შესახებ ჭეშმარიტების დადგენა.

ვიღრე ნაგებობის კედლებს ვათვალიერებდი, ვიამ ბადეს ჩამორღვეული საღონე შეაბა და დახეტული ჯიბეები გამოუბლანდა. ნაგებობას ირგვლივ შემოვუარეთ და ხრამს ჩავეყვით ხეობისაკენ. კალაპოტიდან გადმოსული მღვრიე მდინარე თანდათან უკან იხიკს და კლდეებს შორის მოქცეულ პატარა ველზე წალეკილ ბალახში ყვითელ შლამს ტოვებს. ტინის ძირში დატბორილ მორევში ბადე გადავისროლეთ. მღვრიე წყლიდან გამოთრეულ საღონეში კალმანის აბრეშუმის ყაჭვიით თეთრი მუცელი აკიაჯდა. თევზი წამის შემდეგ ნაპირზე ვგდო და სილაში ამოვანგულულ დაწინწკულ კუდს უმწეოდ ატყაპუნებდა რიყის ქვებზე. ვიამ იგი წყლით საესე სარწყულში ჩააცურა. ორიოდ

კილომეტრი ამაოდ ვიარეთ, მკლავებში წილა გამოვვლია, მაგრამ ველარაფერი დავიჭირეთ. მერე ერთ ადგილზე გავიშვართლა და წილა დაღამდა.

ავგისტოს მთვარემ კავკასიონს გადმოაბიჯა და ხეობაში შემოვიდა. დაჩეხილი კლდეები, ბნელი რომ ფარავდათ, მდინარის გაღმა-გამოღმა წამოიზუტნენ და ქიმები ვარკვევებით მოქედით ზეცას მიაბჯინეს. მდინარე ვერცხლისფრად ლაპლაპებს მთვარის შუქზე და მერე იღუმალებით მოცულ კლდეების ბნელ ჩრდილებში უჩინარდება. ტინებზე მოჩუხჩუხე წყალი რაყეზე ბროლივით იმსხვრევა და კლდეებს შორის სივრცეს თქორის ჰავლი ბუჩავს.



მეორე დღეს მზიანი დილა გათენდა. დმანისიდან ორთაშუამდე ჯაყაყაით ვავიარეთ ოცდახუთკილომეტრიანი გზა და საქმეს შევეუდეთ.

სწორედ იმ დღეს შესასვლელის სამხრეთ კედელში ერთ ქვაზე რაღაც წარწერისმსგავსი ნაკაწრი აღმოჩნდა. მისგან მოშორებით, მიწის პირიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, კიდევ აღმოჩნდა ნაკაწრებიანი ქვა. ეს ადგილი სასწრაფოდ გავწმინდეთ და კედელი რაღაც უცნაური და გაუგებარი ნახატებით შემკული ქვებით აკრულდა. თითქოს აშკარა იყო, ჩადრმაგებულ ხაზებისაგან შედგენილი რომბები წრეხაზები, ოთხკუთხედები და სამკუთხედები, საგულდაგულოდ შერჩეულ ბრტყელ ქვებზე რომ იყო გამოსახული, რაღაცას აღნიშნავდნენ. მაგრამ რას? ქვების განწყობაში არ შეინიშნებოდა გარკვეული წესრიგი. ისინი წინასწარშემუშავებული სისტემის მიხედვით არ იყო განლაგებული და ეს გარემოება ერთგვარად ანელეზდა იმ სიხარულს, რომელსაც არქეოლოგები განიცდიან დიდი აღმოჩენის დროს. მაგრამ იქნებ ლოდებით ამოქოლილი ნაგებობების შიგა კედლებში ეს ნიშნები გარკვეული სისტემის მიხედვით არის დალაგებული? პიკტოგრაფიებით ან იეროგლიფებით შედგენილი თუნდაც ორსტრიქონიანი წარწერა ნათელს დაადგამდა საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს. დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას აკლდა ის, რასაც კაცმა ცივილიზაციის გვირგვინი შეიძლება უწოდოს...



ავგისტოს მიწურულში ექსპედიციამ მუშაობა შეწყვიტა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც დარბაზი ქვებისაგან გავწმინდეთ, იქ სამოც-

ჯურხა ნადირაძე
შამანიანის მთის ყორღანები

დაათი ნიშნინი ქვა აღმოჩნდა. ამავე წელს გათხრილ მეორე ყორღანის კედლებში კი ას ჩიმიმეტო სხვადასხვა ნიშნით შემკული ქვა იყო ჩატანებული. სამწუხაროდ, ქვების განლაგებაში არც შივა კედლებში შეიმჩნეოდა რამე სისტემა. მკვლევარები დიდხანს და დაბეჯითებით აკვირდებოდნენ ნაკაწრის ქვებით აპრელებულ კედლებს და ერთგვარ უხერხულობას გრძნობდნენ, რადგან ძნელი იყო აქ მოთავსებული ნიშნების დამწერლობად მიჩნევა, და არც საწინააღმდეგოს მტკიცება იყო ადვილი. ამ შემთხვევაში ურნალისტები უფრო გაბედულნი აღმოჩნდნენ, მგონი იმავე წელს გახეთი „ნივესტია“ იუწყებოდა, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში უძველესი დამწერლობა აღმოჩნდა. შემდეგ გაირკვა: ეს ცნობა რამდენადმე შეეფერებოდა სინამდვილეს. მართალია, მკვლევარებს ყორღანებში აღმოჩენილი ნიშნების მიხედვით ჭერჭერობით წინადადება არ შეუდგენიათ და რაიმე აზრი არ ამოუკითხავთ, მაგრამ ისინი ზურტაკეტის ნაგებობის კედლებზე მოთავსებულ ნიშნებში ხედავენ იმას, რაც ძველი კულტურის მკვლევართა დაუსრულებელი ოცნების საგანს წარმოადგენს. სრულიად აშკარაა, რომ დიდი ხნის წინათ აქ მცხოვრებმა ხალხმა ამ ნაკაწრებში რაღაც აზრი ჩადო და შეეცადა მცნება ნიშნით გამოეხატა. ზურტაკეტის ყორღანში აღმოჩენილ ერთ ქვაზე მოცემულ ნაგებობის სქემატურ გამოსახულებას აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი მიიჩნევს პიკტოგრაფულ ნიშნად, რომელიც პროტოელამურ და პროტოშუმერულ დამწერლობაში, ხოლო უფრო გვიან — აქადურში სახლს, საყდარს ან ნაგებობას აღნიშნავდა. მეცნიერის აზრით, ზოგიერთ ქვაზე მოთავსებულნი „შეველი“, პორიზონტალური ან ურთიერთგადამკვეთი უამრავი ხაზი მაჩვენებელი უნდა იყოს მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა აღრიცხვისა. როგორც ცნობილია, დამწერლობის პირველი ცდები სწორედ აღრიცხვასთან არის დაკავშირებული.

თრიალეთის კულტურის მკვლევარი პროფ. ოთარ ჭაფარიძე დაწვრილებით განიხილავს ზურტაკეტის ნიშნინ ქვებს. მას შესაჯერებლად აღუარებელი მასალა მოჰყავს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ამოკაწრულ ქვებით შემკულ არც ერთ ძეგლს არ ტოვებს უყურადღებოდ ამიერკავკასიიდან, ვედრე შეუაყვრობამდე. მკვლევარი ფიქრობს, რომ უკრაინაში, სოფელ ვერბოვკასთან გათხრილ ერთ ყორღანში ქვებზე მოთავსებული ხაზები და ფიგურები გარკვეულად ემსგავსება ზურტაკეტის გამოსახულებებს. პალეს მახლობლად შესწავლილ ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი აპრელებული ქვების შესახებ მკვლევარები წერენ, რომ ისინი უბრალოდ სილამაზის გულისათვის იყო სამარხის კედლებზე

მოთავსებული და „ხალიჩის“ მაკვირლობის ასრულებდაო. ასეთივე აზრს გამოთქვამდა პროფესორი ს. პიგოტი — დიდ ბრიტანეთში აღმოჩენილ შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგებზე ძველებზე მოთავსებული ნაკაწრის ქვების მნიშვნელობას რომ ეხებოდა. ოთარ ჭაფარიძე სხვა მრავალ შესაჯერებელ მასალასაც მიმოიხილავს და შემდეგ წერს: „ახლა ძნელია გარკვევით თქმა იმისა, რას უნდა წარმოადგენდნენ ზურტაკეტის ყორღანების დასაკრძალავი დაბაზის კედლების ქვებზე დატანილი ნიშნები. საქმე იმაშია, რომ თვით ეს ნიშნები სხვადასხვა სახისაა, მრავალგვარია. ზოგიერთ ნიშანს, შესაძლოა, მართლაც წმინდა დეკორატიული ორნამენტული ხასიათი ჰქონდა“. მაგრამ, მისი აზრით, „ზოგიერთი ძალიან ახლოს დგას ურის სამეფოს სამაროვანის თხრილებში აღმოჩენილ თიხის ნატეხებთან, რომლებზეც სხვადასხვა გამოსახულებები გვხვდება. იქ სითხისათვის განკუთვნილ ჭურჭლის პირს ჭერ თიხით ლესავდნენ, რათა არ გაეხსნათ, შემდეგ საბეჭდავით ბეჭდავდნენ. თიხის ნიშნინი ფიგურები სწორედ ამ ანაბეჭდებს წარმოადგენენ. ეს გამოსახულებები სხვადასხვა ხასიათისაა, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ ფრაგმენტებზე აღბეჭდილი აბსტრაქტულ-გეომეტრიული სახეები, რომლებიც ზურტაკეტის ყორღანების ნიშნებთან ბევრ საერთოს ბოლოებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ანაბეჭდების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ისინი პიკტოგრაფებს, შემუშავებული დამწერლობის წინა საფეხურს წარმოადგენენ.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჩვენში დამწერლობის შექმნას ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში ცდილობდნენ. ეს ადრეული ხანა თრიალეთის ყორღანების ეპოქას ათასი წლით უსწრებს წინ. მაშინ შუამდინარეთის ცივილიზაციებთან ურთიერთობის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი შეეცადა საკუთარ ენაზე წარმოთქმული — საკუთარი ნიშნებით გამოეხატა. ამის საბუთი მართლაც არსებობს: ტ. ჩუბინაშვილის მიერ ახალციხის ამირანის გორაზე მოპოვებულ ერთ დოკუმენტზე აშკარად შეინიშნება უძველესი დამწერლობის ცდები. მსგავსი ნიშნები, აღმოჩენილია ქვაცხელებზეც. მაგრამ როგორც პროფესორი კუფტინი ფიქრობდა, თუ მტკვრის ხეობის მესამე ათასწლეულის ნამოსახლარებზე შექმნილი კულტურის გამარქებლებზე თრიალეთური მოსახლეობაა, მაშინ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. თრიალეთურმა მოსახლეობამ კულტურის სხვა დარგებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ხოლო დამწერლობაში, ზურტაკეტისა და მტკვარ-არაქსის ძველებზე აღმოჩენილი ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც დიდი წარმატებისათვის ვერ მიუღწევიათ. მით უმეტეს, რომ ყო-

რღანების ხანაში, სამხრეთ საქართველოდან არც თუ ისე შორს, თანდათან ძლიერდებოდა ხეობების იმპერია. ხეთი მეფეები კარგად ჩამოყალიბებული დამწერლობით სახელმწიფოს სამართავად კანონებს ადგენენ და დიპლომატიურ „არზებს“ უზღავნიდნენ ეგვიპტის ფარაონებს და სხვა ქვეყნების უზურბატორებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ჭრადჭრებით საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაჩქარევი იქნებოდა, რადგან ყორღანი მაინც საკულტო ძეგლია და მის კედლებზე რამის აღნიშვნა, შესაძლოა, უძველესი ტრადიციისამებრ ხდებოდა. რაკი ნიშნები არსებობს, თრიალეთის ნამოსახლარების მომავალმა შესწავლამ, შესაძლოა, დავიდასტუროს ისეთი დამწერლობა, როგორც დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას შეეფერება.

ყორღანში აღმოჩენილი ნიშნებიანი ქვებიდან ჩვენ ყველაზე საინტერესოდ მაინც ის გვეჩვენება, რომელიც დარბაზის კედლებში კი არ იყო ჩატანებული, არამედ სხვა, უბრალო ქვებთან ერთად შესასვლელის კუთხეში ეგდონა-გებობის თავზე. მასზე გამოსახულ, მთებივით აღმართულ სამკუთხედების წვეროებზე გავლებულ სწორ ხაზზე ირემი დგას. სამკუთხედების ქვემოთ დაქრელებული, მინარისებური ზოლია გამოხატული, ზოლს ქვემოთ კი ორ პორიზონტალურ ხაზს შორის ჩასმულ, ოდნავ დაგრძელებული ოთხკუთხედების რამდენიმე მწკრივია განლაგებული. ჭვარიცხები და რომისებური სახეებით შევსებული ოთხკუთხედების სწორი რიგი აშკარად მოგვაგონებს აზრის გამოსახატავად შექმნილ რაღაც გარკვეულ სისტემას. ამ სისტემის უფრო სრულყოფილი ნიმუშების მიკვლევამ შესაძლოა მომავალში მართლაც სერიოზული საქმე გაუჩინოს ფილოლოგებს.

...1961 წლის ივლისში ნაგებობამ ისეთი სახე მიიღო, როგორც მას მშენებლობის პროცესში ექნებოდა გადახურვის წინ. შესასვლელის სოხანე და მისი მაღალი კედლების ყოველი ქვა ახლა ჭარბისით იყო გაწმენდილ-გაყრიალებული. ფართო და გრძელი დერეფანი სამშტრიანი კარით შედიოდა დიდ დარბაზში (დარბაზის ფართობი 150 კვ. მ. უდრიდა). მთის ფეხალთ სწორად და ლამაზად ნაშენი დარბაზის კედლები, სარებმარცხიოდ მომზადებული, საგანგებოდ გასუფთავებული იატაკი ნაგებობას რაღაც იდუმალებით მოცულ ელფერს უბრუნებდა.

იმ დღიდან მუშებმა მეორე ძეგლზე გადაინაცვლეს, ხოლო ექსპედიციის წევრებმა დაწინა და ჩეიები მოიპარჯვეს და იატაკის გაწმენდას შეუდგნენ. შესასვლელში, მოლურჯო მიწაში აღმოჩნდა ხის ნაშთები. აშკარა იყო, რომ ისინი იმ უზარმაზარი მორენის გალუფულ ნარჩენებს წარმოადგენდნენ, რომლითაც ერთ დროს ნაგებობა იყო გადახურული. იატაკზე

შემორჩენილი სვეტის ქვის საყრდენები მოზდნენ, რომ დარბაზი სამ ნაწილად იყოფოდა, როგორც ჩანს, გადასაკიდები ტიპის კედლებს შორის უნდა ყოფილიყო გადებული და შემდეგ გადახურული. ახლა ძნელია გადახურვის კონსტრუქციაზე და მის ფორმაზე სრული წარმოდგენა შეიქმნათ, ის კი შეიძლება ითქვას, რომ ერთ პექტარ ფართობზე გაშლილი ნაგებობის სიმაღლე მიწიდან სახურავის წვერამდე დაახლოებით 15 მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. იმ დროის კვალობაზე ყორღანი საკმაოდ გრანდიოზული ნაგებობა იქნებოდა. ოთარ ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ შუაბრინჯაოს ხანაში „სამშენებლო საქმე, საინჟინრო ხელოვნება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. დასაყრდენი დარბაზების მშენებლობა, მათი გადახურვის სისტემა, ქვაყრილებში ნიშების ამოყვანა, გვერდითი სათავსების აშენება და მათი გადახურვა უთუოდ მოწმობს იმას, რომ უკვე ამ ტომებისათვის ცნობილი იყო არქიტექტურის ძირითადი ელემენტები. ყორღანი, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, უძველესი არქიტექტურული ნაგებობაა“. ყორღანების რთული კონსტრუქციები იმაზე მიუთითებს, რომ თრიალეთური საზოგადოება არანაკლებ დახელოვნებული იქნებოდა საერო ნაგებობათა სააღმშენებლო საქმეში. ეს შენობები ნაკლებად მონუმენტური, მაგრამ ცხოვრებისეული პირობების გამო, რატომ უნდა, უფრო რთული და განსხვავებული ფორმის შემცველი უნდა ყოფილიყო. თრიალეთის ძეგლების მავალითზე, მართებული არ უნდა იყოს რუსი მეცნიერის ა. ფორმოზოვის მისაზრება იმის შესახებ, რომ შუაბრინჯაოს ხანაში აღამიანები თითქოს საიქაო საცხოვრებელი სახლების მშენებლობით იყვნენ ვართული და სააქაო ნაგებობებზე ნაკლებად ზრუნავდნენ. ასე ხომ ისიც შეიძლება ითქვას, რომ წალკის ზეგანზე ყორღანებში აღმოჩენილი ძვირფასი ქვებით შემკული ოქროსა და ვერცხლის თასები იმთავითვე საიქაო ცხოვრებისათვის იყო გამოქანდაკებული და მათ მფლობელებს ძვირფასი ჭურჭლეულობა არასოდეს არ აუცხსათ რძითა და ლღით და, საიქითა ზრუნვით ვართულებს, არასოდეს არ დაუცლიათ ამქვეყნიური სიამის ფილა!..

ესეც რომ არ იყოს, ისტორიამ არ იცის ხალხი, რომელსაც სააღმშენებლო ხელოვნების შესწავლა სამაროვნების აგებით დაეწყო. რაკი ისინი სამუდამო საცხოვრებელს ქვის დიდ სახლებში მართავენ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საიქაო ცხოვრებას აქაურის მიხედვით აწყობენ. თრიალეთის თასზე, სადაც საკულტო რიტუალური ცერემონიალია მოცემული, ღვთაე-

ჯურხა ნაღრბაძე

შამგინის მთის ყორღანები

ბის წინ გამოსახულია ორი ცხოველი. თუ ამ ცხოველებს შევედარებთ თასის ქვედა ფრინზე გამოსახულ ირმებს, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ ირმები წარმოადგენენ ცოცხალ ცხოველებს, ხოლო ღვთაების წინააღმდეგ გამოსახული არსებანი ქვისაგან გამოკვეთილი ცხოველის ქანდაკებებს. ღვთაება ზის ტახტზე. მის უკან გამოსახულია წმინდა ხე. ეფიჭობთ, ყველაფერი ეს მოთავსებული უნდა იყოს კედლებს შიგნით — ე. ი. ტაძარში, სადაც მიმდინარეობს რომელიღაც ღვთაებისადმი დაწესებული რელიგიური ცერემონიალი. ოქრომკვედლობის ეს უძველესი ნიმუში თუ თრიალეთის კულტურის წრეში არის წარმოშობილი და ადგილობრივი ხელოვნების ტრადიციებს ემყარება, მაშინ მისი შესაფერისი სახელი, ტაძარიც და სახელოსნოც, სადაც იგი გამოქანდაკეს, საძებნელია მდინარეების მტკვრისა და ხრამის, ალგეთისა და მამაგერას ხეობებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უკანასკნელ ხანს — კიაზო ფიციგელაურის და შიო დედაბრიშვილის მიერ ილტოს ხეობაში უკვე მიკვლეულია ნამოსახლარი, რომელიც თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის მსგავსსა და თანადროულ ძეგლებს შეიცავს.

ღარბაზის ვასუფთაებებს, ივლისის შუა რიცხვებში რომ დაეიწყეთ, თითქმის თვენახევარი მოვანდომეთ. დიდი მოთმინებაა საჭირო იმისათვის, რომ თუნდაც ას ორმოცდაათ კვადრატულ მეტრ ფართობზე დანათა და ფუნჯით ნამეტყნამეტყ აილო ერთი მეტრი სისქის ფენა საუკუნეების ფერფლი გადაცალთ ათასწლეულების მიღმა ჩამარხულ ნივთებს და წინაპართა ნამოქმედარი მიწაზე დახატული სურათის მიხედვით წარმოიდგინო. რას აკეთებდნენ ისინი ამ სამი ათას რვაასი წლის უკან, როდესაც თავიანთ ბელადს ასაფლავებდნენ? საფარველია, რომ ამ გრანდიოზული ნაგებობის პატარანის დაკრძალვაზე არა ნაკლებ გრანდიოზული რელიგიური მისტერიები სრულდებოდა: თავს მოიყრიდნენ მეზობელი ტომის ბელადები და ქურუმნი, მეომარნი და მოხელეები, გვარის მეთაურნი და მათი ქვეშევრდომნი.

მოჩარდახებული ურმებით გაკვირვებულ ზურტაკეტის ველზე ხალხი დმერთს მსხვერპლს სწირავს მათ პატრიარქცემად, ვინც ლაშქარს ომში მამაკურად მიუძღოდა, ამქვეყნიურ საქმეებს ბრძნულად განაგებდა.

მსხვერპლშეწირვის შემდეგ სანოვავით ავსებენ უხარბაზარ ჭურჭლებს. მოკლე ქულაჯებში გამოწყობილი ღვთის მსახურნი, გრძელ პროცესიად მიემართებიან „ქვის სახლიში“ და ჭურჭლებს კედლის გასწვრივ სასოებთი ალაგებენ.

აი, ეს ჭურჭლები დღესაც აქ ალაგია, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ათასეული წლების უკან დადგეს. 1961 წელს, შუა ივლისში, მხო-

ლოდ ფარულები გამოუჩნდათ და აგვისტოს მიწურულში თავიანთი ბრწყინვალეობა წარმოადგინეს. ნატივი ორნამენტული შემკული ყელმალალი და ყელდაბალი, ღრუნილი მისი შუალევი ზომის დერგები ელვარე მზის ქვეშ, რაზე მიწაზე შავად ლაბაბებენ.

ღარბაზის შუაგულში აქა-იქ კიაფობს ნატივი ორნამენტული შემკული კაკლისოდენა ოქროს მძივები და წიწვოვანი ანდაზით მოტივირებული ოქროს ფირფიტები. სრულიად აშკარაა, რომ ფირფიტებით ხის რალაც ნივთი იყო მოკვდილი, მაგრამ რას წარმოადგენდა ეს ნივთი? იქნებ ბელადის დასაკრძალავად საგანგებოდ გაკეთებულ ურმის ცალკეულ ნაწილებს ამშვენებდა კეთილშობილი ლითონის ბრწყინვალეობა. არქეოლოგებს ახსოვთ მავალითები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის გარდაცვლილი თავკაცისათვის დასაკრძალავად ეტლებს მალალი ნივთი დაჯილდოვებული ხელოსან-მხატვრები ქმნიდნენ.

ორმოციოდე წლის წინათ დასაკრძალავი ტრანსპორტის ხელოვნებამ აღტაცებაში მოიყვანა ინგლისელი არქეოლოგები, როდესაც სახელგანთქმული ლონონად ვულის ხელმძღვანელობით ურის სამარხებში მოხდაიკითა და ოქროვერცხლისაგან გამოქანდაკებული ლომისა და ხარისთავეებით შემკული ურმები აღმოაჩინეს. აუარებელ სიმდიდრეს შეიცავდა ეს აულდამები. შთამომავალმა ყველაზე მეტად ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებმა მოხიზლა, მაგრამ დიდი იყო სინანულის გრძნობაც, როდესაც მეფეებთან ერთად მსხვერპლად შეწირული მშვენიერი ვაყკაცები და ქალები, მეომრები და მეეტლეები, მუსიკოსები და მხატვრები ნახეს დამარხული. საბედნიეროდ, თრიალეთის აკლდამები არ ამქვანდნენ ძალმომრეობის ასეთ შემაზრხებელ ფაქტებს. სხვა მხრივ კი დამარხვის წესი ძალზე უახლოვდება ძველი აღმოსავლეთის რელიგიებში არსებულ დაკრძალვის რიტუალს, როგორც ჩანს, აქაც ბელადის ნეშტითა და ქონებით დატვირთულ ურემს გრძელ დერეფანში დინჯად მოაგორებდნენ ტანალი და ლამაზი ხარები, ეტლს ღარბაზის შუაგულში დგამდნენ, საღმართო ხარებს მსხვერპლად სწირავდნენ. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ქვეებით ამოქოლილი შესასვლელის მიღმა შავი მღუმარება ისადგურებდა.

მიწაში, რომელსაც ეხლა ჯავრისით ასუფთავებენ, აქა-იქ ჩნდება ძალზე გალუული ხის ნარჩენები. ექვეარეშეა, რომ ეს იმ ურმის ნაშთებია, რომელზედაც მიცვალებული იყო დასვენებული. ღორღინ მიწაში შეინიშნება ვისი ბორბლების საუქუნების განმავლობაში ერთ ადგილზე დგომის ნაკალევი. აქვე აღმოჩნდა ოქროს ტიხარებით შემკული ხის ყუთის ნარჩენები, ლამაზად გამოყვანილი ბრინჯაოს ყურით, ბრინჯაოსა და ვერცხლის სადგისები, ობსიდინის ისრის პირები და შესანიშნავად ნახელა-

ვი ბრინჯაოს სატყვარი. რა თქმა უნდა, ამ უზარმაზარ ძველს და მასში აღმოჩენილ მატერიალური კულტურის ნაშთებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საქართველოს უძველესი წარსულის კვლევისათვის. და მანაც უნდა ვთქვათ, რომ ექსპედიციის წევრები იმედგაცრუებულნი დარჩნენ. ყორღანში აღმოჩენილი ნივთები ზღვრის წვეთია იმასთან შედარებით, რაც აქ უნდა ყოფილიყო. ქურდებმა დაასწრეს არქეოლოგებს და მეცნიერება ნამუსრევის ამბრა დატოვეს.

ოთარ გაფარიძე მოგვანებით სინაულით წერდა: „ზურტაკეტის პლატოზე შესწავლილი ყველა ყორღანი, სამწუხაროდ, გაპარცული აღმოჩნდა. სამივე დიდ ყორღანში მძარცველები ერთი გზით შესულან. ყორღანები მაშინ გაუძარცვიათ, როცა მათი ხის გადახურვა ჭერ კიდე ჩანგრული არ ყოფილა. მძარცველებს ყორღანის თავზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ქვები შემოუტყლიათ, შემდეგ ხის ძელებში საფარებო ხვრელი გაუკეთებიათ და დარბაზში ამ გზით შეუღწევიათ“.

ყორღანებში მძარცველების კვლის დადგენას გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ძველ სამყაროში სამარხების ძარცვა უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენდა. ეგვიპტის ავლდამების დიდი ნაწილი არქეოლოგებს გაპარცული დახვდათ და ქურდების კვალი დადგენილი იყო ურის დინასტიის მეფეთა მდიდრულ სამარხებშიც.

სრულიად აშკარაა, რომ ყორღანების უმრავლესობა გაპარცულია ქურდებისაგან, რომლებსაც ახსოვდათ ან გადმოცემით უხსტად იცოდნენ, სად რა იყო და წინასწარი შემუშავებული გეგმის მიხედვით შეუტეოდნენ მოქმედებდნენ. რაგინდ ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო მძარცველთა ეს უძველესი ბანდები, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მათი ხელი ყველა თავს მისწავდა. საეჭვო არ არის, მომავალი თაობები უსამიანის ფერდობებზე, იმამლიას მთის ძირში ან ფარაგნის ტბის სანაპიროზე უსათუოდ მიაგნებენ ტომის ბელადების ხელუხლებელ ავლდამებს, ცხენ-კაცის სიმაღლე შამბო დაფარული მათაა ფერდობები წარსულის მრავალ საიდუმლოს ინახავენ სამხრეთ საქართველოს მთიანეთში.

1962-63 წლების სეზონში დიდი მოცულობის კიდევ ორი გორა სამარხი გაითხარა ზურტაკეტის ველზე. მათ შედარებით მოკლე შესასვლელი დერეფნები ჰქონდათ. დერეფნები დამხრობა, როგორც ჩანს, გარკვეული წესით ხდებოდა. ყველა მათგანი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდა დარბაზის შუაგულში, იქ, სადაც ესვენებოდა კაც-მზე. სრულიად აშკარაა, რომ აქ დამარხვის წესი უკავშირდებოდა მნათობს, რომელიც სიცოცხლეს ამკვიდრებს დედამიწაზე. რაკ მზე სიცოცხლის მომინჭებელია, ადამიანიც მი-

სი შვილია. რაკი შვილია — იგი თანასწორი უზუნაუსისა. ამ ფორმულის თანახმად საესტაბი შესაძლებელია, რომ ტომის ბელადები მათთვის შორის უბრწყინვალესის სადარებელი ომერთ-კაცი ყოფილიყო. მსგავსი მოვლენები უცხო არ არი ძველი ქვეყნების რელიგიებისათვის. ეგვიპტურ სარწმუნოებაში მზის ცხოვრება კაცის ცხოვრების მსგავსად იყო წარმოდგენილი. ისიც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კრემაციის წესი, რომელიც დამახასიათებელია თრიალეთის ყორღანული კულტურისათვის, მზის კულტის თაყვანისცემიდან მომდინარეობდეს. ისე, როგორც მეწყანულისფრად მოკაფე მკვდრის მზე დღიური ნათების შემდეგ, სეზონდებისას, ქვეყნულში ითქმება და სიცოცხლეს აგრძელებს მკვდართა საუფლოში, გარდაცვლილი ადამიანიც აალებისა და ფერფლად-ქვევის შემდეგ კვლავ აღდგება და მზესთან ერთად სიცოცხლეს აგრძელებს ქვემო ნახევარ სფეროში, ანუ ქვესკნულში. ეს თვალსაზრისი უცხო არ არის ქართული მითოსისათვის.

ტომთა მსხვილი გაერთიანებების წარმოშობის დროს ცალკეული პირების ქონებრივ და სოციალურ აღწევებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ამ თუ იმ პირის ვადეთურებას.

საუფლისხობა, რომ შედარებით გვიან წარმოშობილ ბერძნულ მითში კოლხეთის მეფე აიეტი შვილია მზისა. კაცის გაღმერთების ამ ტრადიციის ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. იგი უსათუოდ უწყობდა ხელს გვაროვნული არისტოკრატის წარმოქმნას.

როგორც დავიანხეთ, ამ ფენიდან გამოსული ცალკეული პირები აუბარბელ სიმდიდრეს ფლობდნენ და დიდი პატივით იმარხებოდნენ ქვის გრანდიოზულ „სახლებში“. ამ სახლებში აღმოჩენილი ნივთების წყალობით ჩვენთვის ცნობილი ვახდა, რომ ძვ. წ. აღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასასრულიდან მოყოლებით, ექვსასი თუ შვიდასი წლის განმავლობაში, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში ცხოვრობდა ხალხი, რომლებმაც სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალ დარგში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და ძველი ცივილიზაციების შესადარი კულტურა შექმნა.

ვინ იყო ეს ხალხი? ოცდობთუთნეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პროფესორმა კუფტინმა დიდი ყორღანების კულტურის პირველი ძეგლები აღმოაჩინა. ხუთი სეზონის განმავლობაში მოპოვებულ მასალებს მან ბრწყინვალე შრომა მიუძღვნა. მალე ეს წიგნი ცნობილი ვახდა მრავალი ქვეყნის მეცნიერისათვის. იმ დღიდან მოყოლებული თრიალეთური მასალა ძველი მსოფლიოს ისტორიის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა. მეცნიერები განსა-

ჯურხა ნაღირაძე

შამბინის მთის ყორღანები

კუთრებით დანტრეკსდნენ იმ ხალხის ვინაობით, ვინც ღიდი ყორანების ბრწყინვალე კულტურა შექმნა. ზოგიერთმა მკვლევარმა სამხრეთ კავკასიაში შუაბრინჯაოს ხანის ახალი და თავისებური კულტურის გამოჩენა ძველ მსოფლიოში მომხდარ უდიდეს ისტორიულ ძვრებს დაუკავშირა.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასასრულს მცირე აზიაში საიდანღაც მოვიდა ხალხი, რომლებმაც შემდეგში აქ ხეთების უდიდესი იმპერია შექმნეს.* ეს ხალხი ინდოევროპულ ენაზე მეტყველებდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მათი სამშობლო კავკასიონის მთების გადაღმა, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულ უკიდევანო ტრამალებზე მდებარეობდა. მკვლევარები უსაბუთოდ არაფერს ამტკიცებენ, და აი ისინი იმომყებენ ხეთური მითოლოგიის ერთ ტექსტს, სადაც ლაპარაკია მზის ამოსვლაზე ზღვიდან. ვანა ანატოლიაში მდინარე პალისი** ან ხეთების იმპერიის ცენტრის ხათუსას აღმოსავლეთით სადმე მდებარეობს ზღვა? მაშ რაშია საქმე? — კითხულობენ ისინი და პასუხობენ, რომ მითი უძველესი წარმოშობისა არის და იგი ინდოევროპული ხეთების ყოფილ სამშობლოში შეიქმნა, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, სადაც მზე ზღვიდან ამოდიოდაო. რა თქმა უნდა, ერთი მითური საბუთით ღიდი ისტორიული მოვლენების ახსნა-მტკიცება ნაკლებად დამაჯერებელი შეიძლება იყოს და ამიტომ მეცნიერები თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად სხვა მრავალ საბუთსაც იშველებენ. ამბობენ, რომ კავკასიაში და მცირე აზიაში მესამე ათასწლეულის ბოლოს შემოდის ურემზე დაკრძალვის წესი, რაც ეტლთან ერთად, სტებებში მცხოვრები ხალხის კუთვნილება იყო. არქეოლოგები მსგავსებას პოულობენ აგრეთვე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მეტერიალურ კულტურათა შორის.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ინგლისელი მეცნიერი ჩ. ბარნეი ადვილად წარმოიდგენს ცხენშებულ ეტლებზე ამხედრებულ ინდოევროპულ ტომებს, რომლებიც დაირიასა და დარუბანდის გადასასვლებებს ველური ყიფით აყრუებენ და უკან ტოვებენ ცხენის ფლოქვებით აჭრელებულ მტერიან ხეობებს. გზად მომავალი ინდოევროპელები მუსრს ავლებენ კავკასიის ბარში მცხოვრებ მიწათმოქმედ ტომებს და დაყინებით მიიწვევენ წინ, სამხრეთისაკენ.

* ზოგიერთი მეცნიერის აზრით ეს ხალხი (ლაპარაკია ინდოევროპელებზე) მცირე აზიაში გაცილებით უფრო ადრე, III ათასწლეულში მოვიდა.

** პალისი დღევანდელი მდინარე ყიზილ-ირმაკის უძველესი სახელია. მოედინება თურქეთის ტერიტორიაზე და ერთვის შავ ზღვას.

ბარნეის მოსაზრების მიხედვით იხე რანს, რომ გადასახლებულთა ამ ტალღამ გზადგა უზარმაზარი გუბეები დატოვა. ინდოევროპულთა უმეტესობამ მცირე აზიის მიადწია, ხოლო ნაწილი კავკასიონის ფერდობებს შეეხიზნა. აქ „ხნული“ გაავლო და მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგად ძველი მსოფლიოს ისტორიის საკუთარი კვალი დააჩნია. ინგლისელ მეცნიერს თავისი მოსაზრება საყოყმანოდ მხოლოდ იმიტომ მიაჩნია, რომ თრიალეთურ კულტურაში შეინიშნება სამხრეთული ნაკადი. აქ უნდა ვავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის შუამდინართის მეფეთა აკლდამებში აღმოჩენილი მძიმე ურემები და თვით ურემებზე დამარხვის წესი ძალზე წააგავს თრიალეთში არსებულ ასეთსავე წესს. სრულიად გარკვეული მსგავსება შეინიშნება სამეთუნეო ნაწარმში, ოქრომჭედლობაში და სხვ. მიუხედავად ამისა, როდესაც თრიალეთის მოსახლეობის ვინაობაზე ლაპარაკობს, ბარნეი უბრატესობას: ჩრდილოეთიდან მოსულ ინდოევროპელებს ანიჭებს. ამ საკითხის დაზუსტებისას იგი ბეწვის ხილზე ვავლას ცდილობს და ამბობს, რომ თრიალეთური კულტურის ჩამოყალიბებაში კავკასიონის გადაღმა სტეპებიდან მოსულ ხალხთან ერთად დასავლეთ სპარსეთიდან მოსული ხალხებიც მონაწილეობდნენო. აქედან იწყება საკითხის გაბუნდოვნება; მკითხველს ნაკლებად ჯერა ორი საოცრად შორეული ქვეყნიდან მომდინარე ხალხთა სხვადასხვა ნაჯადის ერთ ეპოქაში, ერთ ადგილზე შეხვედრის ფაქტი, ძველი მოსახლეობის უკვალოდ გაქრობა და მოსულთა მიერ ერთიანი კულტურის შექმნა.

ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელგანთქმული მკვლევარი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი წერს: „თუ ჩვენ, ჩ. ბარნეისთან ერთად, კულტურის შეცვლას ხალხის ახალი ნაჯადის მოსვლით ავხსნით, ასეთი მოძრაობა ძირითადად სამხრეთიდან, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უნდა ვივარაუდოთ“. მეცნიერი ამ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაჯადში მესოპოტამია-ირანის სამყაროს გულისხმობს. მესამე ათასწლეულის ბოლოს სწორედ ირანის გზით შემოსეულმა ტომებმა შემუსრეს კავკასიის ბარში მცხოვრები მიწათმოქმედი ტომები. მათ გავლენის უძველესი მოსახლეობა და ამიერკავკასიის მიწა-წყალზე ცხოვრების თავისებური წესი და ახალი კულტურა მოიტანეს. მეცნიერის აზრით, კავკასიაში ახლად მოსული ტომები ხურიტები იყვნენ. მათ მოგვიანებით დიდი როლი შეასრულეს თვით ხეთების იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

ასეთია ინგლისელი და ქართველი მეცნიერის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება თრიალეთური კულტურის შექმნელი ხალხის ვინაობის შესახებ, მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება.



ვრდება. ქართველი ენათმეცნიერები პროფესორი თამაზ გამყრელიძე და აწ განსვენებული გივი მაჭავარიანი თავიანთ ნაშრომებში ქართულ ენას ტიპოლოგიურ პარალელებს უძებნიან ინდოევროპულ ფუძე-ენაში და ფიქრობენ, რომ ეს უნდა მომხდარიყო ინდოევროპულთან უშუალო კონტაქტის შედეგად, მაშინ, როდესაც ისინი სამხრეთ რუსეთის ტრამპლებიდან კავკასიის გზით მცირე აზიაში მთლიანდნენ. ეს მოსაზრება ქართული ენის ინდოევროპულთან შეჭრების შედეგად ახლებურად არის წარმოდგენილი. გაცელებით უფრო ადრე კი ასევე ფიქრობდა ჩეხი მეცნიერი ფ. ჰროზნი.

კავკასიის გზით ხეთების ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადასახლების თეორიას* ბევრი მეცნიერი იზიარებს, მაგრამ არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების მიხედვით ამ საკითხის შედარებით ზუსტ დათარიღებას და მისი სრული სურათის წარმოდგენას თითქმის ვერც ერთი მკვლევარი ვერ ახერხებს. ეს მეტად საძნელო საქმეა და სწორედ ამის გამოა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ერთ ეპოქაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობის საწინააღმდეგოდ ცდილობს დაამტკიცოს ხალხთა სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადასახლების ფაქტი. ერთი სიტყვით, ისე როგორც მეცნიერთა მიერ დაწერილ წიგნთა ფურცლები აჭრელებულია ასოებით, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დასერილია ინდოევროპელთა ცხენის ფლოკებით, იმ განსხვავებით, რომ ასოები წიგნის ფურცლებზე ერთი მიმართულებით ვრცელდება, ხოლო ინდოევროპელთა ცხენის ნაფეხურები ერთმანეთს წინაუკამო ჩეგავენ და ამის გამო კავკასიაში მათი მოსვლისა თუ მოძრაობის ნამდვილი გზა და გეზი დღემდე დაუდგენელი რჩება.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მკვლევარების დიდი ჯგუფი სრულიად სამართლიანად ცდილობს თრიალეთის კულტურის ფესვები წინამორბედი კულტურის წიაღში ეძებოს.

არქეოლოგები, რომლებმაც თრიალეთური კულტურა აღმოაჩინეს და შეისწავლეს, უარყოფენ ინდოევროპელების კავკასიის გზით მცირე აზიაში მოსვლის ფაქტს და მათ როლს თრიალეთის კულტურის შექმნაში. პროფ. კუფტინი ამ ოციოდე წლის უკან წერდა: „დაბეჯითებით შეიძლება თქვას, რომ თრიალეთური კულტურა ევროპელთა სამხრეთ კავკასიონის უძველეს მოსახლეობას, რომელიც სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ეთნიკურად და აქ ქმნიდა თავის ისტორიას. აღარავითარი საფუძველი აღარ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ამ კულტურის ცენტრები სადღაც შორეულ მესამოტამიაში და მცირე აზიაში

ვეძებოთ. სწორედ სამხრეთ კავკასიაში წარმოდგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსა და უძველეს სამშობლოსა“.

პროფესორ კუფტინის ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, პაერში არ არის გამოკვლევლი. ამ უნდა რესად განათლებულმა მეცნიერმა ცხოვრების დიდი ნაწილი თრიალეთსა და, საერთოდ, უძველესი ქართული კულტურის შესწავლას მიანდომა. იგი ძალიან ბევრ საერთოს პოულობდა დიდი ყორღანებისა და მის წინამორბედ კულტურებს შორის, ხოლო წინამორბედ კულტურის შემქნელად მას იბერულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები მიანდა და მართლაც, ამ ხალხს სხვაგან ისე დაბეჯითებით არსად არ ეძებნება სამშობლო, როგორც ამიერკავკასიაში. მათაა ზედრობებზე და მიუხედავად შორის მოქცეულ ხორდაბუნებზე, სადაც ისინი დღესაც დაფსფუსობენ ბაღებში და ზერებში, ხუთათასი წლის წინათ ქერს თესდნენ და მზისფერ ყანებში კაქის ნამკლებს ატრიალებდნენ. ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს უძველესი მიწათმოქმედი ხალხი ქართულ ენაზე ვეძებდნენ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კავკასიის გზით ჩრდილოეთიდან სამხრეთში მომავალი ინდოევროპელები ადვილად იკავდნენ გზას მცირე აზიისაკენ. ამ უდიდესი ლაშქრობის მთავარი მამოძრავებელი ძალა ცხენი იყო. ცხენის მოშინაურება და მისი გაწვრთვნა სტეპებში მცხოვრებ ინდოევროპელებს საგრძნობლად გაუადვილა გზა სამხრეთის ცივილიზაციებისაკენ. მათ იქ სამხედრო საქმეში კარგად დახელოვნებული მაღალი კულტურის მქონე ხალხების ჰეგემონია დაამხეს და საკუთარი გააბატონეს. ისინი ვინც თრიალეთური კულტურის შემქნელად ინდოევროპელებს მიიჩნევენ, ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა არავითარ ხსოვნას არ ინახავს ცხენის შესახებ. სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის მთიანეთში მოპოვებული შუბარიჩაის ხანის უმდიდრესი მასალა, რომელსაც მოზრდილი მუზეუმიც ვერ დაიტევდა, ცხენის ერთ ძვალსაც კი არ შეიცავს. არსად გვხვდება ამ ცხოველის გამოსახულება და შედარებით მსუბუქი სამხედრო ეტლები, რომლებშიც იგი შეიძლება შეხებულიყო. რაც შეეხება სომხეთში და თრიალეთში აღმოჩენილ მძიმე ურმებს, რომლებსაც ზოგიერთი მეცნიერი სრულიად უსამართლოდ ეტლს უწოდებს, მათი ზიდა მხოლოდ უღელ ან ყვეარ ხარს თუ შეეძლო. საგულისხმოა, რომ ხეთურ ენაში იმთავითვე სხვადასხვა სიტყვებით აღინიშნებოდა მსუბუქი სამხედრო ეტლი ცხენისისათვის და ტვირთმზიდავი მძიმე ურმები ხარებისათვის.

* მეცნიერების დიდი ჯგუფი იმ აზრისაა, რომ ინდოევროპელები მცირე აზიაში ბალანეთის გზით შეიჭრნენ.

ჯურხნა ნაღრიამაძე
შამაგინის მთის ყორღანები

თრიალეთის კულტურაში ცხენის არსებობის ფაქტს თუ სერიოზულ საბუთად მივიჩნევთ, იგი ამ კულტურიდან გამორიცხავს არა მარტო ინდოევროპულ ელემენტს, არამედ ხურიტულსაც. საქმე იმაშია, რომ ხეთების ძველ დედაქალაქ ხათუსაში არქეოლოგებმა გამოამჩვეურეს ათასტრიქონიანი წარწერა, რომელშიც საქმის ღრმა ცოდნითა და უდიდესი პედანტობით არის აღწერილი ცხენის გაწვრთნა-გახედნის წესები. ამ „სახელმძღვანელოს“ შემდგენელი ყოფილა ხეთების ქვეყანაში სავანგებოდ მოწვეული ვინმე „კიკული მითანის ქვეყნიდან“, მაშასადამე, ხურტი. ტექსტი შეიცავს მრავალ ტექნიკურ ტერმინს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მეცხენობა ხურიტებში მაღალ საფეხურზე იყო ასული. ამ დარგის განვითარება იქ საუკუნეობრივ გამოცდილებას ემყარებოდა და, თავისთავად ცხადია, თუ ხურიტებმა თრიალეთური კულტურის ჩამოყალიბებაში რაიმე როლი შეასრულეს, მაშინ ამ ხალხისათვის ცხენი ცნობილი უნდა ყოფილიყო.

პროფ. ოთ. ჯაფარიძე მიმოიხილავს რა არქეოლოგიურ ენათმეცნიერულ და ანთროპოლოგიურ მონაცემს, წერს: „თრიალეთური კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულს ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ საზოგადოება განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყო, ამიტომ აქ კულტურის შეცვლის ვარაუდისთვის არ არსებობს საფუძველი, რასაც

ზოგიერთ მკვლევარი, როგორც აღენიშნებოდა, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებებს უკავშირებს. სადღმოდინეობები არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და აგრეთვე ენათმეცნიერული მონაცემები ასეთი დასკვნისათვის საფუძველს არ იძლევა. არ უნდა იყოს მართებული მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურებს შორის მკვეთრი განსხვავების დანახვა. უკანასკნელი დროის ანთროპოლოგიური გამოკვლევები აღასტურებენ, რომ საქართველოში ბრინჯაოს ხანისდროინდელ მოსახლეობის უწყვეტი და გენეტიური იბერული და კოლხური ტიპები თავისი ფესვებით ადგილობრივ პალეანტროპოლოგიურ ტიპებს უკავშირდებიან. არც ლინგვისტური მონაცემები უჭერენ მხარს ქართველ ტომთა სამხრეთიდან მიგრაციის საკითხს. ქართველური ფუძე-ენის დონეზე არსებული ზოგიერთი ლექსიკური ერთობა შეიძლება ამ ტომების კავკასიაში არსებობაზე მიუთითებენ“.

მეცნიერი დიდი ყორღანების კულტურის შემქმნელად ქართულ-ზანური* მოღმის ტომებს მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ამ კულტურის შემდგომი კვლევა-ძიება კიდევ უფრო მეტ შუქს მოჰყენს იმ ხალხის წარსულს, მსოფლიო ცივილიზაცია თავისი მოღვაწეობით რომ გამდიდრა და, სხვა უძველეს ერებთან ერთად დედამიწის მატეიანეში თავისი ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი შეიტანა.

* ზანურში იგულისხმება მეგრულ-ჭანური მოღმის ტომები.



ლიტერატურა და ენა

ჟურნალ „ციხისკვის“ ფურცლებზე ამას წინათ გამართული დისკუსია რედაქციას სამწერლო ენის საკითხებზე დიდი საუბრის დასაწყისად მიაჩნია. ქართული ლიტერატურის მიერ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოპოვებულმა წარმატებებმა, ქართული ენის სრულქმნის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ კარგა ხანია შეამზადა ნიადაგი ასეთი საუბრისათვის. მხატვრული ნაწარმოების ენის პრობლემა კვლავ რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ჩვენს ლიტერატურაში. ამ საკითხს განიხილვენ არა მხოლოდ საგანგებო სამეცნიერო გამოცემებში, არამედ პერიოდიკაში და მკითხველთა წრეებშიც.

აღნიშნული საკითხის განხილვის უამს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვით მწერლის, სიტყვის ოსტატობის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ამიტომ მიეძღვნა „ციხისკვის“ მომდევნო, რიგით მეორე ანკედა პრობლემას: „ლიტერატურა და ენა“.

1. ხომ არ წარმოიქმნება თქვენი ნაწარმოების ენობრივი ქსოვილი თვითნებურად, „თავისთავად“, საერთოდ მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში? ან იქნება ნაწარმოების ენის პრობლემა ყოველთვის დაისმის თქვენს წინაშე, როგორც შედარებით დამოუკიდებელი პრობლემა? რა ადგილი უჭირავს მას სხვა პროფესიულ საკითხთა შორის? იცვლებოდა თუ არა ამ პრობლემისადმი თქვენი დამოკიდებულება თქვენს შემოქმედებით გზაზე, თუ იგი ძირითადად უცვლელი რჩებოდა?

2. როგორ თვლით პირადად თქვენ, როგორც მწერალი: ძველი ქართული ენა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის სრულყოფისა და განახლების გზაზე ისეთივე წყაროდ უნდა მივიჩნიოთ, როგორც, ვთქვათ, დიალექტები, ნეოლოგიზმები და ა. შ. თუ, მსგავსად ზოგიერთი ავტორის მაგალითისა, ამაზე უფრო შორს წახვლა არის საჭირო?

როგორია პირადად თქვენი პოზიცია არქაიზმების საკითხში?

3. პოეტის ყოველ სახელმძღვანელოში შეხედებით დებულებას, რომელიც პოეტებისათვის ითვალისწინებს ერთგვარ „ენობრივ კომპრომისს“; ამ დებულების მიხედვით, უნარობრივი თავისებურება ლექსისა უფლებას აძლევს პოეტს, ზოგჯერ ელემენტარული გრამატიკული ნორმებიც კი დაარღვიოს. მიგაჩნიათ თუ არა ეს სწორად?

4. მიგაჩნიათ თუ არა დასაშვებად თანამედროვე ადამიანის (პერსონაჟის) მეტყველების მთელ თავისებურებათა გადმოცემა (პროფესიული ფარგონი, ტერმინოლოგიური შტამები, საგაზეთო ფრაზეოლოგია, კანცელარიზმები, დიალექტი და ა. შ.)? ხომ არ ეწინააღმდეგება ეს მხატვრული ნაწარმოების ენის თქვენეულ გაგებას?

5. რა გავლენას ახდენს, თქვენი აზრით, ენაზე (როგორც პოეტურ, ასევე

პროზაიკოსთა ენაზე) პოეზიისა და პროზის ურთიერთგავლენა? შეკითხვა
პოეტებს: არსებობს თუ არა თანამედროვე ქართულ პოეზიაში პროზაიკოსის,
როგორც სტილისტიკური ხერხის, პრობლემა? ენობრივი თვალსაზრისით, რით
განსხვავდება პოეტის პროზა „ჩვეულებრივი პროზისაგან“. შეკითხვა პრო-
ზაიკოსებს: როგორ წყვეტთ თქვენს შემოქმედებით პრაქტიკაში გმირის
მეტყველებისა და ავტორის ენის კოორდინაციის პრობლემას? როგორ აფა-
სებთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი თანამედროვე პროზაიკოსის ნაწარმოებში
ავტორისა და პერსონაჟის ენა თითქმის სავსებით იდენტურია?

6. რამდენად ეხება ყოველივე ზემოთქმული მთარგმნელსა და მთარგმნე-
ლის ენას!

ჭაბუა ამირეჯიბი

„პირველიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა
იგი“. იოანე — 1,1“

სამწერლო ენის საკითხებზე ვსაუბრობთ. მაშ ჯერ იმის თქმაა საჭირო, თუ
ამ ცნებაში რას ვგულისხმობ, საიდან მოდის და რა არის იგი ჩემი აზრით.

სამწერლო ენას მისტიურ მოვლენად ვთვლი. იგი ერთ-ერთი ზეგარდმო
ნიჭთაგანია. მისი თავზე მავანი ადამიანის ჩანასახშივე თუ არ ჩაუდვია განგებას,
მწერალი ვერ მოვა.

ჯერ უნდა მოველონოს ქვეყანას ისეთი ყრმა, ვისაც სამწერლო ენის პოტენ-
ცია ექნება. შემდეგ მას უნდა უმაღლვე გამოუჩნდნენ მოძღვრები გარემოსა
და თვით ახალშობილის სხვა შინაგან ღირსებათა კომპლექსის სახით. აქედან
იწყება გზა მისი ენის განვითარების, ჩამოყალიბებისა და დახვეწისა. ნეტავ
მის ბედსა და იღბალს, ვისაც ბუნება ამ მადლს უხვად დააყოლებს, მერე რი-
გიან მენტორებს მიუჩენს და უამი წვრთნისა სიტყვის იღუმალობებს დაუსა-
ზავს, მათი დაუფლებისთვის აღუძრავს წყურვილს. ეს მხოლოდ წინამძღვარია,
საფუძველთა საფუძველია, — აუცილებელი და არასაკმარისი პირობა. დედა-
ენის საიდუმლოებათა წვდომისთვის გადამწყვეტი როლი აქვს კაცის სხვა
სულიერ თვისებათა დახვეწასა და გაფაქიზებას, უმნიშვნელოვანესის — კეთი-
ლისა და მშვენიერის დანახვის უნარის გამახვილებას. უამუნაროდ ვერც სამყა-
როსადმი საკუთარი დამოკიდებულება ჩამოყალიბდება. ორი რამ არის კიდევ:
ერთი, რომ ჭეშმარიტი სამწერლო ენის ფლობამდე ამაღლება მხოლოდ დედა-
ენაშია შესაძლებელი, დედის რძესთან ერთად შეწოვილ-შესისხლხორცებულ
ენაში. ამ მხრივ გამოწყლისიც რომ მოიძებნოს, იგი მხოლოდლა წესის მტკი-
ცება იქნება. მეორე, — სიყვარულია საჭირო! კაცი თუ ნეტარი არ არის, თუ
ენის მაქმანისა და ჩუქურთმის წვლილვა სიამოვნებას არა ჰგვრის, — სამწერ-
ლო ენის გალავნამდე ვერ მივა, ციხის კარის გავლაზე ნულარას ვიტყვი.



როგორც მოწიფულ ქალწულს, ერთ ბედნიერ დღეს, დაეფულება ხოლმე წყურვილი ძუძუზე ჩვილის ნუნა და ყელზე პაწაწა ხელის მოთათუნება იველი ნოს, ისე უნდა აიტაცოს ადამიანი თხზულების შექმნის ჟინმა. ესეც სამწერლო ენის ჩამოყალიბების გარდუვალი წინაპირობაა, რადგან მხოლოდ თხზვად დამჯდარი კაცი და მხოლოდ საწერ-კალამთან ურთიერთობაში მიხვდება, რომ, თურმე, ჯერ თვით სიტყვას სჭირდება ამეტყველება, რათა „სიტყვა იგი იყოს ღმრთისა თანა“. ვფიქრობ, მხოლოდ აქედან შეიძლება დაიწყოს სამწერლო ენა. ამის შემდეგ იგი ცხრაკლიტულში დამწყვედული მზეთუნახავია და მწერალი კი მიჯნური, რომელსაც გალავნის შესანგრევად შემართება უნდა ეყოს, სიმაგრის ასაღებად ილაჯი გასწვდეს, რაინდი იყოს, რომ მშვენიერების წინაშე მუხლი უდრტივინველად მოიყაროს, მერე კდემამოსილება ხელჰყოს და ეს არის ომი სამარის კარამდე.

ჩვენ ჭეშმარიტი მწერლის სამწერლო ენაზე ვილაპარაკეთ და არა სამწერლო ენის კანონმდებლის ტიტულის მაძიებელთა ენაზე. პოზიცია, დამოკიდებულება განვსაზღვრეთ. ახლა კი ანექტას მივყვით.

არასოდეს მქონია შემთხვევა, მეფიქროს, ესა თუ ის ნაწარმოები თუ პერსონაჟი როგორი ენით დავეწერო-მეთქი. თუ გარდასახვა მოვახერხე, თუ გმირში, მის ხასიათში, ნაწყვეტის ვითარებაში „შევსახლდი“, ჩემი სამწერლო ენა ჩემგან დამოუკიდებელივ თავის ერთ-ერთი წახნავით გამოეხმაურება ჩანაფიქრს და განზრახულს, საუბარში თუ მოქმედებაში საჭირო ინტონაციით, სინტაქსით, ლექსიკური მარაგით აქლერდება. სხვა სიტყვებით: სახეთა გაცნობიერებული მწყობრი რეზონანსში მოიყვანს სამწერლო ენას და თავის რიტმში აამეტყველებს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მწერლის უპირველეს ღირსებად ვთვლი სახეთა მწყობრსა და სამწერლო ენას შორის მიღწეული ჰარმონიის ხარისხს. უამისოდ „სიმართლე“ ვერ ითქმის.

ბუნებრივია, მეც მქონდა სამწერლო ენის ჩამოყალიბების პროცესი, ენობრივ-სტილისტიკურ ძიებათა პერიოდი. ვანგრევდი სიტყვისა და წინადადების ფორმას, რომ კონსტრუქციისთვის მეტი გამომსახველობა, ზემოქმედების სიმძაფრე მიმენიჭებინა. ეს ჩემს პირველ მოთხრობებში საკმაოდ ნათლად იგრძნობა. ამით აიხსნება მათი სისუსტე. თავს იმითლა ვიმშვიდებ, რომ ზრდას აუცილებელი დანაკარგებიც უნდა ჰქონდეს.

სულხან-საბას აქეთ, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველაფერი ახალი ქართული მგონია და; ამასთან ერთად, ვერც ბასილი ეზოსმოდღარი და შოთა მიმიჩნევია ძველ მოქართულეებად. დავით გურამიშვილისა და ანტონ პირველის სამწერლო ენებს შორის განსხვავება, რაღა თქმა უნდა, არის და თუკი ანტონის სამწერლო ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმების ახალ ქართულში გადმონერგვის საკითხი ოდესმე დადგება, ვიტყვი, ასეთი ტრანსპლანტაცია მიზანშეუწონელია-მეთქი, ამასვე ვიტყვი, თუკი ვინმე ქართული ენის ლექსიკური ფონდის ძველ და ახალ ფონდებად დაყოფას განიზრახავს. ჩემთვის არსებობს ქართული ენის ერთი მთლიანი, განუყოფელი ლექსიკური ფონდი. არა მგონია, ჩვენი ენის სრულყოფის ინტერესებსა და უბრალო კეთილგონიერებას შეესაბამებოდეს ამის უარყოფა. მოქმედი სიტყვიერი



მარავის გაფართოების, ძნელბედობის გამო დროებით მივიწყებული სიტყვიერი მასალით გამდიდრების საწინააღმდეგო გამოხდომები ან უმეტესად უნდა მიეწეროს, ანდა პოლიტიკით შეფერილ ანგარებას. სხვა ახსნა არ არსებობს.

ქართული სალიტერატურო, სამწერლო თუ ტექნიკური ენის შემდგომ სრულყოფასა და განახლებაში ჯერ ჩვენი ლექსიკური ფონდის მივიწყებული ნაწილი და დიალექტები უნდა გამოვიყენოთ და მერეღა ნეოლოგიზმები და ბარბარისმები. ეს არც ახირებაა, არც უკულო პატრიოტიზმი. საქმე ის არის, რომ უცხოური ან მისგან წარმოებული და ჩვენს ენაში ფეხმოკიდებული სიტყვა, ქართულ წინადადებაზე უარყოფით გავლენას ახდენს, თავისი უცხოური, არაქართული სინტაქსი მოაქვს. სცადეთ, საშუალო მოქართულეს მიეცით ექვსი-შვიდი ქართული სიტყვა და სთხოვეთ მათგან წინადადება შეადგინოს. დაინახვთ, რომ ათ შემთხვევაში რვა-ცხრაჯერ წინადადება ქართული სინტაქსით იქნება აგებული. შემდეგ, იმავე ექვს-შვიდ სიტყვაში შეიტანეთ ერთი უცხოური და ერთი უცხოურიდან გადმოქართულებული სიტყვა და ათი შემთხვევიდან რვა-ცხრაჯერ, უცხოური სინტაქსის წინადადებას მოისმენთ. სწორი ბალავარი ერთისა და იგივე ყალიბის აგურით იქნება. ჩემის ფიქრით, საშიშროება ჩვენს ენას, უწინარეს ყოვლისა, სინტაქსურ აღრევათაგან ემუქრება. ეს კი, უმთავრესად, თარგმნილი ლიტერატურიდან მოდის. ჯერ არის და, მთარგმნელს მისივე ჩანაგვიანებული დედაენა უძნელებს წინადადების ქართულად კონსტრუირებას და, მეორე მხრივ, დედნის ენაც თავისი სინტაქსისკენ იბირებს. გავითვალისწინოთ, რამხელა როლს ასრულებს თარგმნილი ლიტერატურა ჩვენს აღზრდა-განათლებაში, ჩვენი სასაუბრო, სავაზეთო, სატელევიზიო, ტექნიკური თუ სამწერლო ენის ფორმირებაში და ნათელი გახდება, რა სიმძლავრის დამანგრეველ ძალებს ერკინება ქართული ენა და მისი მოამაგე კაცი.

სალიტერატურო ქართულის სრულყოფისა და განახლების გზა ლექსიკური ფონდის დაწმენდა-გაქართულებაზე გადის. ჩვენმა ენათმეცნიერებამ და ქართულმა მწერლობამ თვით ენის შიგნით ისეთ ვითარებას უნდა მიიღწიოს, როდესაც ქართულ ენაზე მოლაპარაკე, პროფესიული მთარგმნელი, ჟურნალისტი თუ მწერალი იძულებული იქნება ააგოს წინადადება ისე, როგორც ამას ქართული ენა მოითხოვს. ჩვენს ენაში ამჟამად საგრძნობი აღდგენითი მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ვინ არის მონაგარის დამნერგავი? ლექსიკონები სავსეა ულამაზესი და უზუსტესი ქართული სიტყვებითა და თქმებით. სასაუბრო თუ სამწერლო ენაში კი ბარბარისმებს დარჩენიანთ ბურთიცა და მოედანიც. აი რამდენიმე მაგალითი სულხან-საბას ლექსიკონიდან: „სანდომი“ (ლამაზთან ნახე) — კეკლუცი იყოს თუ დუხჭირი, მაშინც კაცს სანახავად იამოს“. ეს სიტყვა გვქონდეს და „სიმპათიურს“ ვხმარობდეთ, განა კეკელობა არ არის? („კეკელა — სილამაზისა და მოხდომის მცდელი“). ზოგადი ცნება „ხასრავი“ გვქონდეს თავისი შვიდნაირი დანაწევრებით (სასრევი, ხოლაზნა, მაქურჩი, ხარტი, აფუარი, ლანგი, მასათი), ანუ არსებობდეს აბრაზიულ (სასრევე) ხელსაწყოთა სრულზე სრული ქართული ტერმინოლოგია და ჩვენი ზეინკლები კი ბრუსოკს, ასილოკს, კარუნდსა და ტაჩილას გაიძახოდნენ?..

ზემოთ ითქვა, სამწერლო ენამდე ამაღლება მხოლოდ დედაენაში, დედის რძესთან. ერთად შეწოვილ ენაშია შესაძლებელიო. დედაენის სიწმინდე განსა-

ზღვრავს სამწერლო ენის ხარისხს, თუ ენა არ არის წმინდა, არც სამწერლო ენაა სრულყოფილი და, მასასადამე, არც ენობრივად სრულყოფილი მხატვრული ლიტერატურა არსებობს.

ამდენად და ამ ფარგლებში მიმაჩნია საჭიროდ ქართული ენის ლექსიკური ფონდის სრული ათვისება და როცა ქართულ ზმნასა, საკუთარ და არსებით სახელზეა ლაპარაკი, არქაიზმი რასა ჰქვია — ამისი არა გამეგება რა.

ენობრივი კომპრომისი პოეზიის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობად მიმაჩნია. პოეზიად არ ვთვლი ლექსს, სადაც ენობრივი კომპრომისი ემსახურება, ვთქვათ, ფონეტიკურ ეფექტს ან ბწყარის ორიგინალურობასა და აზრისა თუ მხატვრული სახის უსუსურობის საფრად არის გამოყენებული. სახელმძღვანელოების მიხედვით, ლექსისთვის სამწერლო ენა პოეტურ სახეთა სიძერწი მასალაა და არა პროკრუსტეს საარეცელი. წინადადებისა თუ სიტყვის ფორმის დანგრევა, ზოგჯერ გრამატიკული ნორმების უგულვებელყოფაც კი, დასაშვებად მიმაჩნია, თუკი ამით სახეს სინატიფე შეემატება, აზრს ნათელი მოეფინება და მშვენიერება თავისი უდაზვეწილესი კუთხით წარმოჩინდება. ყოველგვარ ხელოვნებაში და პოეზიაშიც მთავარია: მნიშვნელოვანი, მშვენიერი ისე ითქვას, რომ „ღმერთი იყოს სიტყვა იგი“. თუ ამ მიზნის განსახორციელებლად გამოადგება ენობრივი კომპრომისი პოეტს — კომპრომისი გამართლებულია.

პროფესიული ქარგონი, ტერმინოლოგიური შტამპები, საგაზეთო ფრაზეოლოგია, კანცელარიზმები და დიალექტი, ჩემი აზრით, ყოველდღიური ცხოვრების, ყოფის სახატი მასალაა და არა გმირის ხასიათის, განწყობილების, ზნეობრივი კომპლექსის გახსნისა და ასახვის საშუალება. სამწერლო ენა, ექვს გარეშეა, ამ კომპონენტებსაც უნდა შეიცავდეს, მაგრამ ცოდვია მწერალი, რომელიც მხოლოდდა მათი წყალობით ცდილობს ლელო გაიტანოს. ასეთი ტენდენცია ბოლო წლების ზოგ ლიტერატურაში ნათლად შეიმჩნევა. სამწუხაროდ, აქა-იქ, ჩვენს ლიტერატურაშიც იჩინა თავი იოლი გზებით სიარულის, სიტყვიერი ეფექტების ხარჯზე ცხოვრების სურვილმა. საერთოდ კი, საჭიროების შემთხვევაში, ამგვარი სიტყვების ზომიერად გამოყენების წინააღმდეგი არა ვარ.

მხატვრულ პროზასა და პოეზიას შორის არსებით განსხვავებას ვერ ვხედავ. ამ ორი ფენომენის ურთიერთგავლენა აუცილებელია, ეს თვით მათი პარალელური არსებობით, ბუნებათა მსგავსებით არის განპირობებული და ორივესთვის დადებითი მოვლენაა.

გმირის მეტყველებასა და ავტორის ენას შორის მკვეთრი განსხვავება რივიანი მხატვრული პროზის უპირველეს პირობად მიმაჩნია. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც მწერალი თავისი პირველი პირით და მხოლოდ თავისთავზე წერს.

რაც ზემოთ სამწერლო ენაზე ითქვა, თანაბრად ვრცელდება პროზაიკოსზე, პოეტზე, მთარგმნელზე, კრიტიკოსზე. მთარგმნელის შესახებ ვიტყვი: იგი პროზის და ლექსის მწერალზე უარეს მდგომარეობაში ჩაყენებული მწერალია და, ამავე დროს, თავისი ერისთვის ის მწერალია, რომელსაც თარგმნის.

დასასრულ, ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე, ტექნიკური რევოლუციების ეპოქამდე, იმდენი მკვლევარი, მჩხიბავი და მწვლილავი არც ერთ მეცნიე-

რებას არა ჰყოლია, რამდენიც გრამატიკას და ენას ჰყავდა. კაცობრიობის უბრწყინვალესი ტალანტები დაშვრნენ ენის საიდუმლოებათა ამოხსნისათვის, მაგრამ ლექსიკური ფონდის სისტემატიზირებას იქით დამაჯერებელად ვერც ერთმა ვერ გადადგა, გზა ვერავინ გაიკვლია. სამწერლო ენა, ჯერჯერობით, მისტიურ მოვლენად რჩება და კვლევის უფრო ზოგად, ყოვლისმომცველ ხერხებს ელის.

მუხრან დოქტორი

1. ნაწარმოების ენობრივი ქსოვრილი საერთო მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში, რა თქმა უნდა, იცვლება, მაგრამ ეს თვითნებურად და „თავისთავად“ არ ხდება — ენობრივი ქსოვილის შეცვლა სიუჟეტზეა დამოკიდებული. ხანდახან რომელიმე ნაწარმოებში ძნელია ავტორის გამოცნობა ენობრივი ქსოვილის მიხედვით და ეს ავტორის ღირსებად მიმაჩნია.

თავისთავად, ის უზარმაზარი შრომა, რაც მწერალს ენის პრობლემის გადაჭრისათვის სჭირდება, მაფიქრებინებს, რომ ეს დამოუკიდებელი პრობლემაა, მაგრამ ნაწარმოებზე მუშაობისას, ბევრ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან კომპონენტთა გვერდით, ეს პრობლემა ორგანულად უნდა იყოს შერწყმული სხვებთან, ასე რომ, აქ მისი „დამოუკიდებლობის“ უფლება გამოირიცხება.

სხვა პროფესიულ საკითხთა შორის, რომლებიც ერთ მთლიან სხეულად წარმომიდგენია, ენობრივი ქსოვილი ხერხემლის ფუნქციას ასრულებს, რაც თავისთავად დიდი ამბავია, მაგრამ ამ სხეულს უნდა ჰქონდეს... ტვინიცა და გულიც. ზემოთქმული, შესაძლოა, არც თუ ისეთ ორიგინალურ დებულებად მოგვეჩვენოს, ამიტომ ერთი განმარტება აუცილებლად მიმაჩნია: ჩვენში დღეისათვის რატომღაც შემუშავდა აზრი, რომ თანამედროვე პროზაიკოსები დიდიანპატარიანად „კარგად წერენ“, რომ მთავარია, მნიშვნელოვან თემას მიაგნონ, თორემ სხვაფრივ „ყველაფერი იციან“. პირადად მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ თანამედროვე ქართული მწერლების დიდი ნაწილი „კარგად“ კი არა, არამედ „უშეცდომოდ“ წერს, ამაში კი ძირეული განსხვავებაა. უდიდესი სიამოვნებაა, როცა მშვენიერი ენით დაწერილ მოთხრობასა თუ რომანს ვკითხულობთ, მაგრამ როცა ამ ნაწარმოებს ხალასი ენის გარდა, სხვა რამ ღირსება არ გააჩნია, ეს უკვე არც თუ ისეთ აღმაფრთოვანებელ ფაქტად მიმაჩნია. ასეთი ნაწარმოებები კი ჩვენში ხშირად იბეჭდება. პირადად მე ეს ავტორები დიდებული ბადეებით აღჭურვილი მეთევზეები მგონია, მაგრამ ისინი მკვდარ ზღვაში თევზაობენ. სამაგიეროდ, გვყავს ისეთი ავტორებიც, რომლებიც დიდ-დიდ თევზებს ეტანებიან, მაგრამ ისინი ენის უცოდინარობის გამო უხვ მდინარეებში ძირ-გამოგლეჯილ ბადეებს ისვრიან. დაბოლოს, მეგულება ისეთი ავტორებიც, რომლებიც „კარგად წერენ“, მაგრამ თუ ჭეშმარიტი საზომით მივუღებთ, ძალიან ნაკლებად არიან.

ჩემი შემოქმედებითი გზა დღეისათვის მხოლოდ ათიოდე წელიწადს მოიცავს, მაგრამ ერთ ცვლილებაზე მაინც მოგახსენებთ: ახლა გაცილებით დიდ დროს ვუთმობ ენაზე მუშაობას, ვიდრე წინათ. და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის ასე იქნება: თითო-ორთა სიტყვა, საჭირო და ერთადერთი, მუდამ გულს გვაკლია. ერთხელ, სოფელ თვალადში, ასეთ სურათს შევესწარ: ახლად-

ამოყვანილ, ნოტიო კედელთან ზურგმიყრდნობით იჯდა ორმოცდაათ წელს გა-
დაცილებული ბრგე, დინჯი კაცი, ფანჯარი მოემარჯვებინა და იქვე მომუშავე კა-
ლატოზების საუბარს წიგნაკში იწერდა. როგორც ყოველთვის, თითქოს აქედან
მშვიდად ირჯებოდა, მაგრამ სახეზე უჩვეულო მღელვარების დალი აჩნდა. იგი
გახლდათ ჩემი უსაყვარლესი ადამიანი, მწერალი გიორგი შატბერაშვილი, ეს
სურათი ყოველთვის იდეალური იქნება ჩემთვის — ნედლ კედელს ამოფარე-
ბული დიდებული მოქართულე, თვალადელი კალატოზების მაღლიან სიტყვას
ჩასაფრებული.

2. თანამედროვე ქართულის „განახლება“ ძნელად წარმომიდგენია, მისი
სრულყოფისათვის კი, ვფიქრობ, ძველი ქართულის უფრო გაბედულად მო-
შველიება აუცილებელია. თავდაპირველად, მივიწყებული სიტყვა, რა თქმა
უნდა, ყურს მოგვჭრის, მაგრამ დროთა განმავლობაში ფრთხილი და გემოვნ-
ებიანი ზმარება ამ სიტყვას აუცილებლად გახედნის. მიმაჩნია, რომ ზურაბ
კიკნაძე, რევზ თვარაძე, ბაჩანა ბრეგვაძე და სხვა „არქაისტები“ დიდად სასარ-
გებლო, ძნელ სამუშაოს ეწევიან. გეგმაზომიერად მიმაჩნია ისიც, რომ ზემოთ-
ჩამოთვლილი და ჩამოსათვლელი მწერლები მხოლოდ ერთ ათეულს მოიცავენ
მთარგმნელთა ლეგიონში.

როგორია ჩემი პოზიცია არქაისტების საკითხში?

ნაწყვეტები „გილგამეშიდან“ პირველად „არმალანში“ წავიკითხე. ასე
იწყებოდა: „როსკიპმა განახვნა ბაგენი, ასე ეუბნება ენქიდუს“... გულახდილად
მოგახსენებთ, რომ სახელმა „ენქიდუს“ და სიტყვებმა „განახვნა ბაგენი“ ჩემი
დამყოლი ფანტაზია ბუნდოვანად შუამდინარეთს მიუახლოვა. ახლა „გილგამე-
ში“ ჩემი სამაგიდო წიგნია, შესანიშნავმა მთარგმნელმა და მეცნიერმა ზურაბ
კიკნაძემ ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობები საუცხოოდ შეუფარდა ამ
ბრწყინვალე ეპოსს. „განახვნა ბაგენი“ ამ წიგნში დიდებულად გაისმა, მიმაჩ-
ნია, რომ ამ შემთხვევაში ეს გამოთქმა გაცილებით უკეთ ჟღერს, ვიდრე „პირი
გალო (დალო)“ და „პირი დაფჩინა“. მაგრამ სწორედ ეს გამოთქმა სხვა სი-
ტუაციებში შესაძლოა ნაკლები დამაჯერებლობით, უფრო მეტიც, სასაცილოდაც
კი აღღერდეს, ეს კი „არქაისტებად“ მონათლულ მთარგმნელებს ჩემზე უკეთ
მოეხსენებათ — მაგალითად, რიღის „ლეოპარდი“ უაღრესად თანამედროვე
ენითაა თარგმნილი. და მაინც, ძველი ქართული ენისადმი უსაზღვრო სიყვარ-
ული ზანდახან აიძულებს ამ მთარგმნელს, რომ საშუალო მკითხველისათვის
გაუგებარი ესაა თუ ის სიტყვა ნაკლებად მეტყველ კონტექსტშიაც კი იხმაროს,
ასეთი დარღვევები იშვიათია, მაგრამ მაინც ისე ყვირის, რომ დიდხანს გვახ-
სოვს. თანაც, ა. თაყაიშვილის სტატიამ დამარწმუნა, რომ თარგმანების გაცნო-
ბისას ლიტერატურული ცხოვრების მოთვალთვალე პირებს ცუდის დანახვა გა-
ცილებით ემარჯვებათ, ვიდრე კარგისა.

თუკი არქაისტები საკმარისადაა ნახმარი რომელიმე ნაწარმოებში და მაინც
კარგად იკითხება და ამავე დროს გასაგებიცაა, ეს მთარგმნელის დიდ დამსახურ-
ებად მიმაჩნია, საერთოდ კი, ვფიქრობ, მივიწყებულ სიტყვებს მომვლელი
უფრო სჭირდება, ვიდრე ჯალათი.

ასეთია ჩემი პოზიცია არქაისტების საკითხში.

3. ელემენტარული გრამატიკული ნორმების დარღვევის უფლება აქვს
მხოლოდ იმ პოეტს, რომელმაც იცის თავისი საქმე. ამ შემთხვევაში გრამატი-
კული ნორმების დარღვევა პირიქით, აძლიერებს სტრიქონს, ხოლო როცა ეს
დარღვევა გრამატიკის უცოდინარობის გამო ხდება, რა თქმა უნდა, მიუღებე-
ლია.

4 თანამედროვე ადამიანის მეტყველების მთელ რიგ თვისებათა გადმოცემა

პროფესიული ქარგონი, ტერმინოლოგიური შტამები, დიალექტი და სხვა) დასაშვებად მიმაჩნია. სხვა რომ არაფერი, ეს მეორეხარისხოვანი, მაგრამ ნაცადი ხერხია პერსონაჟის დასახასიათებლად და „გასაცოცხლებლად“ მონადირე ტოლსტოის „კაზაკებში“ სწორედ ასე ლაპარაკობს და სწავლავს ვერც წარმომდგენია. მაგრამ ამერიკელი მკითხველისთვისაც ეს მონადირე უაღრესად შთაბეჭედავ და კოლორიტულ პერსონაჟად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეორეხარისხოვანი ხერხები თარგმნისას აუცილებლად იზარალებდა.

5. პოეზიისა და პროზის ურთიერგავლენა ენაზე უდავოდ სასიკეთო გავლენას ახდენს. პოეტიცა და პროზაიკოსიც სიტყვათა საუკეთესო და საჭირო შეხამების მაძიებელი არიან და ერთმანეთის მიღწევებით აუცილებლად უნდა ისარგებლონ. არა მგონია, რომელიმე პროზაიკოსმა გვერდი აუაროს ახლახან გამოცემულ კიბლინგის პოეზიის მურმან ლებანიძისეულ ბრწყინვალე თარგმანს.

დაბოლოს, უკანასკნელი პასუხი: როსინანტზე ამხედრებულ იდალგოს, მის საჭურველმტვირთველსა და დიდ ესპანელს „თითქმის სავსებით იდენტური“ ენით რომ ელაპარაკათ, „დონ კიხოტი“ მსოფლიო პროზის გვირგვინი ნაღდად არ იქნებოდა.

მუსრან მატაზბრიანი

ვიდრე პასუხს გავცემდე თქვენს მიერ დასმულ ერთობ აქტუალურ შეკითხვებზე, საჭიროდ მიმაჩნია ზოგადად მოგახსენოთ ერთი რამ:

ქართულ ენას საქართველოსათვის განსაკუთრებული ისტორია აქვს და ამიტომ იგი განსაკუთრებულ მიდგომასაც მოითხოვს.

მონღოლთა შემოსევით გამოწვეულმა საქართველოს პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ, — დანაფოტა ენაც ქართული; ამოაგდო საქართველოს მხარენი ენობრივი განვითარების საერთო კალაპოტიდან.

შემდეგ, არც ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, შეწყდა ქართული ენის ბუნებრივი განვითარებაც; საუკუნენახევრის მანძილზე სახელმწიფო ენა იყო რუსული (ეს ფაქტი, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა სალიტერატურო ენაზეც).

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ი. ჭავჭავაძისა და სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეთა მიერ ქართული ენის რესტავრირება, — წარმოებულნი ხალხური ქართულის ბაზაზე, — ყოველმხრივ გამართლებული იყო იმჟამად.

დღეს თანამედროვე ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწილის, დიალექტების პარალელურად არქაიზმებისაყენ გადახრა — გარდა პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინებისა, სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ესთეტიკურადაც! — ვინაიდან სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება, — სწორედ ხალხურისა და მწიგნობრულის ურთიერთშერწყმას გულისხმობს.

ენის, როგორც ასეთის, ჯეროვანი ყურადღებისათვის ქართველმა მწერალმა, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, ახლად მოიცალა და ისიც, სამწუხაროდ, არა ყველამ.

1. ცალკეული აზრისა და განწყობის გამოსახატავად სამყაროში არსებობს

მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი შესატყვისი ფორმა. შემოქმედებითი პროცესი სწორედ და მხოლოდ ამ ერთადერთი ფორმის ძიებას წარმოადგენს.



პოვნამდე არავინ არ იცის რანაირია ეს ერთადერთი ფორმა.

სათითაოდ ყოველ აზრსა და განწყობას აქვს მხოლოდ ერთის, **საძიებელი ერთის მსგავსი ხმა**. ამოცანაც სწორედ ამ მხოლოდ ერთის მსგავსი ხმის აღმოჩენაში მდგომარეობს (თავის მხრივ, საძიებელ ხმას, გარდა იმისა, რომ იგი არის ხმა, აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გემო, სუნი და ფერი).

რამეთუ საპოვნელი ხმის ძიება სხვადასხვა მეტრის, სიტყვისა და ინვერსიის მოხიზვებაში გამოიხატვის, რაც ხან ნაწარმოების შექმნისას წარმოებს (ნაწილობრივ), ხან პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ (მეტწილად), — ამიტომ ენობრივი ქსოვილი, რომელიც მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში წარმოიქმნება, თითქმის არასოდეს არაა **საბოლოო** ვარიანტი.

სიტყვასა და სიტყვათა ერთობლიობას, როგორც **ხმის წარმოქმნელს**, ჩემს მუშაობაში, ყოველთვის **უმთავრესი** ადგილი ეჭირა და უჭირავს.

2. წინასწარ:

ვინაიდან, საერთოდ, მხატვრულ ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი ლექსში მოქცევისას სიტყვას **უსხვაფერდება**, ან **უმძაფრდება** ის ფერი, რომელიც მას აქ მოხვედრამდე აქვს (ეს კი, თავის მხრივ, ცხადია, გავლენას ახდენს თვით ამ სიტყვის შინაარსზეც. — სცვლის ხოლმე კრდეც ხანდახან მას), — ამიტომ, მეტი რომ არა ვთქვა, დიდი მკრეხელობაა პოეტური ლექსიკისადმი **მხოლოდ** გრამატიკული მიდგომა.

შემდგომ ამისა! —

ჯერ ერთი:

უამრავი სიტყვა, რომელიც „მკვდარი“ გვეგონია, **ცოცხალია!**

ქურნალ „პიონერში“ მუშაობისას (4-5 წლის წინათ), შემოვიღეთ განყოფილება: „რა და რა ჰქვია რას და რას“.¹

ამ განყოფილებაში განმარტებებითურთ ვბეჭდავდით „დედისერთა“ სიტყვებს, რომლებიც, სამწუხაროდ, „ცოცხლებში“ აღარ ეწერენ, და, რომელთა, ჯერ, საერთოდ არსებობა, და, მერე, ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობით არსებობა ვერც კი წარმოგვედგინა სადმე.

თან მკითხველებს (ვინიცობისათვის) ვთხოვდით, — ეცნობებინათ: გაეგონათ თუ არა ეს სიტყვები, და, თუ გაეგონათ, — სახელობრ სად?!

ბევრი სიტყვა ცოცხალი აღმოჩნდა;

ერთერთი მათგანია სიტყვა „ტავარნა“.

დღევანდელი სალიტერატურო ქართული, რამდენადაც ვიცი, ამ სიტყვას არ იცნობს.

საბასთან და ჩუბინაშვილებთან ეს სიტყვა განმარტებულია, ვითარცა „ფეხთანაკრავი ტალახი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვის განმარტებისას მიუთითებს მხოლოდ საბას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა, ხსენებული ლექსიკონის ავტორთათვის, არც კუთხურია და არც ლიტერატურაში ნახმარი!

მკითხველი ნათელა ცისკარაძე კი, აი, რას გვწერდა ამ სიტყვის თაობაზე ახალქალაქიდან:

„ჩვენთან ამ სიტყვას გამოთქვამენ ასე: **ტაბარნა**, და იგი, საერთოდ მიკ-

¹ საინტერესოა, რომ „პიონერის“ ამ წამოწყებას, სხვა სახით, დღესაც აგრძელებს გაზეთი „კომუნისტი“, რითაც დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს, ვინაიდან ეს ლონისძიება, გარდა იმისა, რომ ენას ამდიდრებს, აღვივებს მშობლიური ენისადმი ხალხის სიყვარულს.

რულ ტალახს ნიშნავს, — ჩენება ესმანქანის ბორბალი, ურმის ბორბალი, ადამიანის ფეხი, თუ სხვა რაიმის ფეხი.

„— აბჯარაულს (ადგილია ჩვენთან), რომ გამოვცილდი, ისეთი ტალახი ყოფილა, ტაბარნამიკრულ ურემს ხარი ძლივს ეწეოდაო“. — გაიგონებთ ჩემს სოფელში. ანდა: დილით ადრე ყანის სამკალად გასული გლეხები გადასძახებენ: „— მოიცადეთ, ნამი შეშრეს, თორემ ტაბარნა თავთავს აფუჭებსო!“

მეორე:

არა ერთი სიტყვა დღეს დიალექტად ითვლება, მაშინ, როცა ეს სიტყვა ნახმარია ადრეულ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში, და ნახმარია სწორედ იმ ავტორთა მიერ, რომელთა უმრავლესობას არც დედით, არც მამით, არც სხვა რაიმეთი, როგორც ცნობილია, არასოდეს არაფერი საერთო არა ჰქონია კერძოდ იმ დიალექტთან, რომელშიც ეს სიტყვა ცოცხლობს ამჟამად.

მაგალითად, სიტყვას „თვარა“-ს (დღეს რომ იმერიაში თვლიან) წამდაუწუმ ხმარობს საბა („ბოროტსა ნუ იქმ, თვარა ბოროტად წაეგები“), აქვს ნახმარი გრ. ორბელიანს („სიყვარულმა მათქმევინა, თვარა მე ვინ, — ლექსი ვინა?“). იყენებს რუსთველი („თვარა, ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვდინო“)...

მაშასადამე:

1. არ შეიძლება არქაიზმად ჩაითვალოს სიტყვა, რომელიც ცოცხლობს თუნდ ერთადერთ დიალექტში.

2. არასწორია დიალექტად მიჩნევა სიტყვისა, რომელიც არაერთგზის და არაერთთანაა ნახმარი არქაულ ლიტერატურაში.

რაიცა შეეხება უფრო არქაიზმებსა და დიალექტებს და მათ ხმარება-არხმარებას თანამედროვე ლიტერატურაში! მოგახსენებთ:

თანამედროვე ქართულ, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ლიტერატურაში, დიალექტებთან და ნეოლოგიზმებთან ერთად (ამათზეც არქაიზმების გამოყენების პრინციპის გავრცელებით), — არქაული სიტყვებისა და სიტყვათა არქაული ფორმების გამოყენება გამართლებულად მიმაჩნია შემდეგ შემთხვევებში:

1. ოდეს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ მოიპოვება ამა თუ იმ ცნების გამომხატველი ერთი სიტყვა.

გარდა ამისა:

კოლორიტიზაციის,

იუმორისათვის,

ირონიისათვის,

მაღალფარდოვნებისათვის,

სიტყვის ხმიერი გააზრებისას,

ფილოსოფიური განსჯის დროს

(ოღონდ, ყოველთვის, გადამლაშების გარეშე).

ყველა სხვა შემთხვევაში, არქაული სიტყვებით წარამარობა, ისეთივე პროვინციალობა, პოზიორობა და მატრაბახობაა, ვითარცა მავანის უცხო ტერმინოლოგიით ტლიკინი, ოდეს მშობლიურ ენაში უხვად მოიპოვება ამ უცხო სიტყვათა ბადალი.

3. ქეშმარიტ პოეტს არავითარი ენობრივი შეღავათი არ ესაჭიროება.

სამყაროში არც არსებულა და არც არსებობს რაიმე ისეთი აზრი ან განწყობა, რომლის უზადოდ გამოთქმა არ შეიძლებოდეს. საჭიროა მხოლოდ (ცხადია, ნიქთან ერთად) თავის უფრო მეტად შეწუხება, უფრო მეტი ჯაფა და სხვა არაფერი.

ელემენტარული გრამატიკული ნორმების დარღვევად მიმაჩნია ფრაზა „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენმ გიყმა რა იცოდა“.

მაგრამ, უკეთეს ვინმეს გრამატიკული ნორმების დარღვევა ჰკონიატორისაა ქონი:

მისხა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

მან არც გრამატიკა იცის და არც არა გაეგება რა პოეზიისა, ვინაიდან სიტყვათა სწორედ ამგვარი განლაგება, გარდა იმისა, რომ ერთმანეთისაგან ანსხვავებს ლექსსა და პროზას, სრულიად ახალი ფერითა და ენერგიით მუხტავს სიტყვას.

4. პერსონაჟის დიალექტით, საგაზეთო ფრაზეოლოგიით, კანცელარიზმითა და ა. შ. მეტყველება, — ისევე მიზანშეწონილად მიმაჩნია, ვითარცა კოლორიტის გადმოსაცემად არქაიზმის გამოყენება.

ოლონდ, ეს არ უნდა იყოს მწერლისათვის პერსონაჟის დახატვის არც ერთადერთი და არც უმთავრესი ხერხი.

5. პროზასა და პოეზიას შორის მსოფლიო მასშტაბით თანდათანობით იშლება ზღვარი. ლიტერატურის ეს ორი ქანრი, — ერთიმეორეში თავიანთი ნიშანდობლივი თვისებების გაცვლა-გამოცვლით, — უფრო და უფრო მეტ გამომსახველობით ძალას კმატებენ ერთმანეთს.

ეს საერთაშორისო მოვლენა, ცალკეული ერის ენას ჰხდის უფრორე ტევადსა და კომპაქტურს (ტევადობა ხდება პროზის ხარჯზე, კომპაქტურობა — პოეზიის ხარჯზე).

პოეტის „პროზას“ „ჩვეულებრივი პროზისაგან“ ანსხვავებს რიტმი, რომელიც მუდამ, როგორც წესი, ინვერსიაზეა დამყარებული.

მაგალითი:

1. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი! — არის პოეტური ფრაზა.

2. ნაზრახსა სიცოცხლესა სახელოვანი სიკვდილე სჯობს! — პროზაულია.

ამ, ერთმანეთისაგან მხოლოდ და მხოლოდ ინვერსიით განსხვავებული ორი ფრაზიდან, სწორედ და მხოლოდ ინვერსიის გამოა! — პირველი — „პოეტური“, მეორე — „პროზაული“.

ღადრო სულაბერიძე

გავიმეორებ საყოველთაო ჭეშმარიტებას: მხატვრული სიტყვა იგივე ფენომენია პოეზიაში, რაც ფერი და ბგერა ფერწერასა და მუსიკაში, საღებავების თავისებური განლაგებით ან მათი შეზავების მეოხებით მხატვარი ახერხებს შექმნას თავისი ფერი, ამიერიდან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. მხატვარი არ ემორჩილება საყოველთაოდ აღიარებულ კანონს, გვერდს უვლის ბუნების ფერთა რეალობას და თავისი ფერით გადმოგვეცმს ასასახავის ფერის მსგავს რეალობას. რომ არსებობდეს „ფერების ლექსიკონი“, ნამდვილ მხატვარს არ დასჭირდებოდა შემოქმედებითი პროცესის დროს მასში ჩახედვა, — იგი უკვე მზად არის ლექსიკური მასალით და აზროვნებს ამ საფუძველზე.

მე მაქვს ღღემდე არსებული ყველა სახის ქართული ლექსიკონი. ისინი წიგნის კარადაში კი არა, საწერ მაგიდაზე მიწყვია. მე ხშირად გადავშლი მათ.

ჩემთვის საყურადღებო სიტყვას ამოვიწერ ხოლმე ცალკე რვეულში და მერე ვცდილობ ჩემს ყოველდღიურ აზროვნების პროცესში შევეჩვიო მას, შევისისხლხორცო ის ისე, როგორც ჩემი გონების, ჩემი მეხსიერების არსებითი მანამდე არსებული სხვა სიტყვები და თუ ეს ახალი სიტყვა ჩემი სიტყვიერი მასალის სისხლს შეუერთდა, მერე აღარ მჭირდება მხატვრული აზრის გადაწყვეტის პროცესში შეჩერება მის გასახსენებლად, ის თავისთავად მოდის და ნებმარება მხატვრული აზრის სრულყოფილად გამოხატვაში. ქაღალდზე გადმოტანის შემდეგ შეიძლება ბევრჯერ გადაადვილდეს სტრიქონებში ესა თუ ის სიტყვა, შეიძლება ბევრი წაიშალოს და შეიცვალოს სხვა სიტყვით, მაგრამ ეს ხდება იმავე ლექსიკური არსენალიდან, რომელიც ჩემს გონებაში, ჩემს მეხსიერებაშია.

რაც შეეხება გრამატიკულ და სტილისტურ ნორმებს, რა თქმა უნდა, ძირითადად პოეტი უნდა ემორჩილებოდეს მათ, მაგრამ ვერც ერთი გრამატიკოსის სახელმძღვანელოს პოეტი ყველაფერში ვერ დაემორჩილება. დიდი გალაკტიონი ნებიერად წყვეტდა ხოლმე ამ არტახებს. სიტყვასთან პოეტის ნებისმიერ მიდგომას მრავალი მხატვრული ფაქტორი განაპირობებს: ინტონაცია, რიტმი, რითმა, მუსიკა. ეს ფაქტორები ისე არიან გადახლართული ერთმანეთთან საერთო მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში, რომ ამ რთულ გზაზე ხანდახან სიტყვა მოითხოვს კერძო, შენეულ დამოკიდებულებას. ასეთ დროს შეიძლება უეცრად დიალექტმა გაცდუნოს, ან შეიძლება უმნიშვნელო გრამატიკული ლაფსუსიც გაგეპაროს. მაგალითად, გალაკტიონი ერთ ლექსში ამბობს:

თქვენი სასახლის ძველი მოტივით
გული მიცურავს წყალზე მოტივით,
ოჰ, ლურჯ კუნძულებს დაენახვება,
ხან სიზმარივით, ხან ნაფოტივით.

საერთომო სიტყვებს: მოტივით — მოტივით — ნაფოტივით „ოტ“ მარცვალი ისე მუსიკალურს ხდის, რომ გრამატიკულად სწორი ფორმის „მეტივით“-ის „ეტ“ მარცვალი დაარღვევდა ამ ჰარმონიას. რა თქმა უნდა, ასეთი გამოწაკლისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრული ცდუნება სისტემად არ უნდა გახდეს პოეტისათვის, სხვა პოეტებმაც არ უნდა გადაიტანონ ის თავიანთ პრაქტიკაში და ამ შემთხვევაში საერთო ლიტერატურული ენა დიდად არ დაზიანდება. მაინცდამაინც დიდ ცოდვად არ მიგვაჩნია ჩვენ, როცა გალაკტიონის პოეზიაში ვხვდებით: „მტკვარი ღრიალებს ტივების ტევით“, ანდა „მინდოდა წყაროს წყალი გემოთი“.

ამ გრამატიკულსა და სტილისტურ შეუსაბამობას ვერ ვგრძნობთ, როცა სტროფს მთლიანად ვკითხულობთ:

მინდოდა წყაროს წყალი გემოთი
და მშობლიურით სუნთქვა სიოთი,
მე მივდიოდი და ვეცემოდი,
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.

(მე ერთადერთი მქონდა წუხილი)

რაკი ავრე ჰარმონიულად არის აგებული სტროფი, არა მგონია „და მშობლიურით სუნთქვა სიოთი“ დიდ ზიანს აყენებდეს საერთო სალიტერატურო ენას.

ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება ისეთი მეტად თავისებური და კოლორიტული პოეტების ლექსებიდან, როგორებიც არიან გ. ლეონიძე და ტ. ტაბიძე.

არიან პოეტები, რომლებსაც თითქმის გრამატიკის სახელმძღვანელო წიგნად ვეძღვეთ და წერის პროცესში ჩაიხედავენ ხოლმე შიგ. სალიტერატურო ენის მხრივ მათ ლექსებში თითქმის ყველაფერი რიგზეა, მაგრამ აკლიათ პოეტური ენის ლიათ თავისი ფერი, თავისი მუსიკა.

ენის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში ცალკე, დამოუკიდებელ პრობლემად ვერ წარმომიდგენია. წარმოუდგენელია შემოქმედებითი პროცესის დაწყებამდე პოეტმა წმინდა პოეტიკის თვალსაზრისით ან სტილისა და ლექსიკური მასალის გამოყენების წინასწარი სქემები შეადგინოს. მაგალითად: „მომდევნო ლექსი დაიწეროს მაღალი შაირით, ჯვარედინი რითმით, ამა და ამ სიტყვიერი მასალით, — მეტაფორა იყოს ამდენი, შედარება — ამდენი, ალიტერაცია — ამდენი“. ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ლიტერატურის თითქმის ყველა თეორეტიკოსი დაწერდა ლექსს. თუმცა ვლ. მაიაკოვსკი (და ბევრი სხვა პოეტიც) შემოქმედებითი პროცესის სამზადისის ბევრ საიდუმლოებას გვიმხელს თავის წიგნში „როგორ ვწერ“, მაგრამ არა მგონია, ამგვარ ლაბორატორიულ საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს შემოქმედებითი პროცესისათვის.

მე პირადად არასოდეს დავფიქრებულვარ პოეტიკისა და ენის საკითხებზე მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში. ამ პროცესის მსვლელობაში ჩემთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ის იდეა, რომლის გვერდითაც ბევრჯერ ჩავიარე, დავაკვირდი, გულითა და გონებით მრავალჯერ შევეუსადაგე ჩემს საერთო პოეტურ მიზანსწრაფვას და ბოლოს მოულოდნელად თუ ოდნავ მიძალებით დავიწყე მისი მხატვრული ხორცმესხმა. მე არ შემიძლია ლექსებში იდეის განვითარებას ფეხდაფეხ არ მივყვე. არ შემიძლია ჯერ თავი დავწერო, ნერვ-ბოლო, მერე შუა ნაწილი და ასე წინ და უკან ვიარო ლექსში მის საბოლოო გაფორმებამდე. უკვე გარკვეულ იდეას მოძრაობაში მოჰყავს გონებისა თუ მეხსიერების არსენალში დაგროვილი ენობრივი მასალა და იწყება მისი შერჩევა და განლაგება რიტმის, ინტონაციის, რითმისა და მუსიკის მიხედვით. წერის პროცესში მე უეტრად დავინახე, რომ დაბინდულ ტყეში ნაწვიმარი მიწიდან სოკომ წითელი ღიმილი ამოიტანა და ამ ჩემს მიერ ჯერ თვალთ დაახულმა სურათმა სიტყვებით ამგვარი მეტაფორის სახე მიიღო:

და წითელ ღიმილს
დაბინდულ ტყეში
ზე ამოიტანს მიწიდან სოკო.

რა თქმა უნდა, ენის პრობლემისადმი დამოკიდებულება ჩემს შემოქმედებით გზაზე უცვლელი არ დარჩენილა. ყმაწვილობაში ერთ ლექსში მისის ნიავეი გაზაფხულის შიკრიკია-მეთქი, ვთქვი. მერე საბას ლექსიკონში ამოვიკითხე შათირი, უფრო კეთილზმოვანი მეჩვენა ის და ლექსში შიკრიკი შათირით შევცვალე. ასევე დავბუქდე. მაგრამ ყოველთვის ყურით მოთრეული მეგონა ლექსში ეს სიტყვა. არ იქნა და ვერ შევივთვისე, ვერ შევისისხლბორცე ეს არაბულის გზით ჩვენში შემოსული სიტყვა, რომელიც შემდეგ ხშირად შემხვედრია ქართულ ლიტერატურაში. ამის შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი ლექსის ჩასწორების დროს არასოდეს არ მესარგებლა წიგნებიდან და ლექსიკონებიდან ამოკითხული, ჯერ კიდევ შეუჩვეველი სიტყვებით.

ადრეული ლექსიკური მასალის სიმდიდრით მე ახლაც ვერ დავიტრბაბებ, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მიმაჩნია ჩემს შემოქმედებაში: ჩემს ადრეულ ლექსებში ჭარბობდა პროზაული სტილი და ინტონაცია, რის გამოც ხშირ შემთხვევაში სტრიქონები დუნე გამოდიოდა. ვცდილობდი სათქმელი ზედმი-

წევნით თანმიმდევრულად მეთქვა და ეს ანელებდა, აგრილებდა ლექსის ციურ მხარეს. ვფიქრობ, ამ ბოლო წლებში წერის ამგვარი მანერა შეიცვალა ჩემს შემოქმედებაში.

სალიტერატურო ენის ძირითადი საფუძველი იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი მეტყველება. ცოცხალი მეტყველება კი ვითარდება ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილი მიზეზების გამო და მწერალი უეჭველად ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს მას, მაგრამ ამავე დროს აქტიურად ერეოდეს მის განვითარებაში. ენა, უპირველეს ყოვლისა, გაგებინების საშუალებაა და მწერლის მხატვრული ენაც, პოეტური ენაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს. დიდი მწერალი თავის მხრივ ანდიდრუჰს ხალხური მეტყველების ფორმებსა და ლექსიკასაც კი. „ვეფხისტყაოსანს“ ზეპირად ვერ შემოინახავდა მომდევნო თაობები, რომ მისი მეტად რთული მეტაფორები, აფორიზმები, რითმები, ალიტერაცია და სხვა პოეტური საშუალებები, ვთქვათ, მაგალითად, „შუშანიკის“ ენით ყოფილიყო გამოთქმული. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ — უაღრესად თანამედროვე კონსტრუქციის ფრაზაა. ამავე ფრაზას სულ სხვაგვარად გამოთქვამდა, მაგალითად, ჩახრუხადე და ამ შესანიშნავ აფორიზმს შეიძლება ჩვენამდე ასე ცოცხლად ვერ მოეღწია.

მე პირადად ჩემს შემოქმედებით პრაქტიკაში ვერ ვგვაუბებ არქაულ ფორმებს, მაგრამ ძალიან მსიამოვნებს, როცა მათ ვხვდები ანა კალანდაძის პოეზიაში. ბევრი სხვა ჩვენი თანამედროვე პოეტიც ცდილობს არქაული ფორმების გამოყენებას, მაგრამ მათ ლექსებში ისინი მაშინვე თვალში გეცემიან, სტრიქონების საერთო ენობრივი ქსოვილიდან განცალკევდებიან ხოლმე და ყურით მოთრეულს გვანან.

ანას ლექსში კი ისინი პოეტის მხატვრული ენის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ცალ-ცალკე მათ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევ. მე ასე მეჩვენება, ანა იმავე ფორმებით აზროვნებს კიდევ და, ალბათ, ამიტომაც ბუნებრივი ფერადი ძაფებია მისი ენობრივი ქსოვილისა.

სხვა საქმეა ლექსიკა. მივიწყებულსა და მტვერწყაროდ სიტყვებს თუ საძეოზე გამოვიტანთ, ამით ენას გავამდიდრებთ და მწერლობის ერთ-ერთი მიზანიც ხომ ეგ არის.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ლექსიკური მასალის სიმდიდრით ვერ დავიტრაბახებ-მეთქი და ეს მიმანჩია ჩემს დიდ ნაკლად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით, და ჩემი ამ მწარე გამოცდილების გამო ახალი თაობის ბევრ ნიჭიერ პოეტს, რომელთაც მე დიდ პატივს ვცემ და მალეღვებს მათი პოეტური ბედი, ვუსაყვედურო: სჯობს ერთნაირი ფერის კოსტუმები გეცვათ, ოღონდ თქვენს სალექსო იდეებს და აზრებს ჩააცვათ სხვადასხვა ფერის ენობრივი ქსოვილი. დღეს ხშირად ამბობენ. ისინი ერთმანეთს გვანანო. რამდენიმე ნიჭიერი პოეტის შესახებ მეც ამგვარი აზრისა ვარ. ამის მთავარი მიზეზია ინტონაციის, სტილისა და ლექსიკური მასალის ერთფეროვნება. ამაზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო.

რა გავლენას ახდენს ენაზე (როგორც პოეტურ, ასევე პროზაიკოსთა ენაზე) პოეზიისა და პროზის ურთიერთგავლენა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემათ ჯერ ისევ გალაკტიონი უნდა მოვიშველიო.

გულო, ოცნებას მალავ!
ცაო, ღურჭდება ზოლი!
ვაჟი: — დაიცა, ქალავ!
ქალი: — დაგიბრმა თოლი!
შორით ბრუნდება წყალი,

ნისლი იცრება მთაში.
— არა! — ჩურჩულებს ქალი.
— კარგი! — ამშვიდებს ვაჟი.
გულს, ოცნებას მალავ,
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ისევ: — დაიცა, ქალავ!
ისევ: — დაგიბრმეს თოლი!

ამ პატარა ლექსში პროზაული ელემენტებია შემოჭრილი: პერსონაჟები (ვაჟი და ქალი), მათ შორის დიალოგი, პერსონაჟები თავისი ენით ლაპარაკობენ, ავტორის რემარკა, პერსონაჟების პორტრეტებსაც კი ვხედავთ. მაგრამ პროზაულმა ელემენტებმა ვერ გაანელა ლექსის ლირიკული მგზნებაარება. ლექსში ნათქვამ ამბავს პროზაიკოსი უფრო ვრცლად, უფრო მრავალი სიტყვით გადმოგვცემდა. პოეტს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი დასჭირდა ამისთვის, პროზაულ ელემენტებს მეტი დაძაბულობა მისცა და ამიტომ აქ, ლექსში ამ ელემენტებმა დაჰკარგეს პროზაული იერი.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში არსებობს პროზაიზმის, როგორც სტილისტური ხერხის, პრობლემა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჭურმან ლებანიძისა და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება. მათ სასაუბრო ინტონაცია და ზემოხსენებული პროზაული ელემენტები მაღალ პოეტურ ხარისხში აიყვანეს, მაგრამ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხელწერილი.

ცხოვრებაში, ძამო, — შიშველი მკლავები!
ეგვიპტური მკლავები — ხორციანი!
ეს — ყოველდღიურ ცხოვრებაში, ელგუჯავ ჩემო,
ხოლო სიდრმეში ქართული გულის,
ხოლო სიდრმეში ქართული სულის —
მე ვენაცვალე კოჭებამდე და მაჭებამდე
განფენილ სამოსს ქართველის დედისას!

ჭურმან ლებანიძის ლექსის ამ სტროფის დასაწყისში „ძამო“, „მკლავები—ხორციანი“, „ელგუჯავ ჩემო“ და სხვა ამგვარ პროზაულ მიხრამოხრას სტროფის ბოლო სტრიქონი „განფენილ სამოსს ქართველის დედისას!“ პოეტური ელვარებით ავსებს და პროზაული ელემენტები ლექსში პოეზიის კუთვნილება ხდება.

ბურამ ფანჯიქიძე

1. წერის დროს არასდროს არ ვფიქრობ ენაზე, როგორც ცალკე, დამოუკიდებელ პრობლემაზე. ვფიქრობ მხოლოდ გმირებზე და იმ თემაზე, ვისზედაც ვწერ და რაზეც ვწერ. ნაწარმოების გმირები კი ყოველთვის როდი დადიან ავტორის ნება-სურვილზე და ხშირად ისინი განაპირობებენ ნაწარმოების ენობრივ ქსოვილს.

წერა ბრძოლაა, ბრძოლა გმირებთან, თემასთან, ენასთან. ამ რთულ პროცესში პირველადია ბრძოლა გმირებთან და თემასთან. თუ ეს ბრძოლა ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა, მე რე იწყება ხოლმე ბრძოლა მეორე ფრონტზე — ენასთან. ვცდილობ ენობრივი ქსოვილი ჩემს სტილს, ჩემს ენობრივ კონცეფციას დაეუმორჩილო.



მწერლები კომპოზიტორები როდი არიან, რომლებიც მუსიკას წერენ. მაგრამ თვითონვე არ ასრულებენ. მწერლებს შემსრულებლები არა გვეყავა. ჩვენ ნაწარმოებები ჩვენ თვითონვე უნდა „შევასრულოთ“ მკითხველის წინაშე. ამიტომ ჩემთვის ენის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვე, არა როგორც დამოუკიდებელი პრობლემა.

2. მე არ მიყვარს არქაიზმების ხმარება. შეიძლება იმეტომ, რომ „ჩემი თემები“, ჩემი ნაწარმოების გმირები ვერ ეგუებიან არქაიზმებს? ამიტომაც და არა მარტო ამიტომაც.

ჩემი აზრით, არქაიზმი (როგორც სინტაქსური, ასევე ლექსიკური) თანამედროვე ქართულ ენაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც სტილისტური საშუალება, ვთქვათ, ისტორიულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებისათვის სათანადო ეპოქის კოლორიტის მისანიჭებლად. ამასთან, მაშინაც კი აუცილებლად მიმაჩნია მისი ზომიერი გამოყენება.

თანამედროვე თემებზე დაწერილ ნაწარმოებში არქაიზმების ხმარება ერთგვარ კოპიაობაში გადადის. პროზაიკოსს კი კარგად უნდა ახსოვდეს, რომ წინადადება ფოტო არ არის, მას არავითარი რეტუში არ სჭირდება. რატომაც ჩვენში „კარგ მოქართულეს“ ეძახიან იმ მწერლებს, რომლებიც არქაიზმების ხმარებაში დაოსტატდნენ ან დიალექტებს ფლობენ კარგად (განსაკუთრებით ქართლ-კახურს).

მე პირიქით, ყველაზე კარგ მოქართულედ ის მწერალი მიმაჩნია, რომელიც კარგად გრძნობს ენის ევოლუციურ ბუნებას, კარგად ერკვევა იმ ძვრებში. რასაც ეპოქის ცვლებადობა განაპირობებს ენაში. ამის ბრწყინვალე მაგალითებად მარტო ილია და აკაკი კმარა.

არქაიზმები შესაწყნარებლად მიმაჩნია მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოყენებულია ქართული ლექსიკური ფონდის შესავსებად იმ მივიწყებული სიტყვებით, რომელთა შესაბამისი ახლა ან არაფერი გავვაჩნია, ან თუ გავვაჩნია, ძალზე ხელოვნურია და შეკოწიწებული.

3. არავითარი „ენობრივი კომპრომისების“ გათვალისწინება პოეტთა სასარგებლოდ მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. გამონაკლისების დაშვება შესაწყნარებლად მიმაჩნია მხოლოდ იმ პოეტებისათვის, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ გამონაკლისს.

4-5. მე-4 და მე-5 კითხვას ერთად გავცემ პასუხს, რადგან მეოთხე კითხვა ერთ-ერთი შემადგენელი პუნქტია მე-5 კითხვისა. გმირის მეტყველებისა და ავტორის ენის კოორდინაციის საკითხი ურთულესი პრობლემაა მწერლობისა. უფრო სწორად, ეს არის მწერლობა.

მწერლისა და გმირის ენა ხშირად დიალექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ხშირად უარგონით.

მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ უარგონის ხმარებისა, მიმაჩნია, რომ ეს არის ლიტერატურის ვულგარიზაცია. განსაკუთრებით უსუსურია მწერალი, როცა გმირის ხასიათის დახატვას უარგონით ცდილობს. მთავარი ის კი არ არის, როგორი სხვადასხვანაირი უარგონით ლაპარაკობენ ინჟინერი და მუსიკოსი, არამედ ის, თუ როგორ სხვადასხვანაირად აღიქვამენ ისინი ამა თუ იმ მოვლენას.

რაც შეეხება დიალექტებს, მისი ხმარების დროსაც ზომიერება გვმართებს. იგი ნაწარმოებისათვის უნდა იყოს სურნელების მიმცემი და არა ფაქტურა. ნუ დაგვავიწყდება, რომ დიალექტით შექმნილი ხასიათი თუ პორტრეტი ზოგადად და არა ინდივიდუალური.

კანცელარიზმს, ტერმინოლოგიურ შტამებს, საგაზეთო ფრაზეოლოგიას კი მხოლოდ ავტორისეული იუმორი თუ აიტანს გმირის მიმართ.

მწერალი უფრო რთული პრობლემის წინაშე მდგას, როცა მის გმირები ეგრეთწოდებული „ინტელექტუალური სამყაროს“ წარმომადგენლები არიან, როცა მათი ენა, ისევე როგორც ავტორის ენა, იდენტურია ერთმანეთსა და ლიტერატურულ ენასა.

ამ შემთხვევაში ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ, რას ვეძახით გმირთა ენას — მხოლოდ მის სინტაქსურ წყობას და ლექსიკას?

რასაკვირველია, არა. გმირის ენა მეცნიერულ-გრამატიკული კატეგორია როდია, იგი უფრო რთული ფენომენია. სწორედ ამიტომაც მწერალმა გმირების ენა და საკუთარი ენა უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან ტემპერამენტით, სიღინჯით, სისხარტით, იუმორით, სინაზით, უხეშობით, სიტყვაძვირობით, სიტყვაშრატობით თუ ცინიზმით, რასაკვირველია, გამომდინარე გმირის ხასიათიდან.

გავიხსენოთ გრემ გრინის „წყნარი ამერიკელი“. მე იგი რუსულ ენაზე წავეითებ. მაგრამ არა მგონია ფაულერისა და პაილის ენა იმით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, რომ ერთი ნამდვილ ინგლისურს ლაპარაკობს, მეორე კი ამერიკულ ინგლისურს. რუსულ თარგმანში ორივე ერთნაირი რუსულით ლაპარაკობს. საკმარისია წაიკითხოთ ამ ნაწარმოების თხუთმეტი-ოცი გვერდი, რომ ერთმანეთში აღარ აგერევათ ამ ორი გმირის არც ერთი ფრაზა ავტორის რემარკის გარეშეც კი.

დასასრულ, ლევ უსპენსკისა არ იყოს, ის კიდევ არაფერი, როცა მწერლის და გმირების ენა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, უბედურება ისაა, როცა მწერლები თავის გმირებიანად აღარ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ალეკო შენგელია

1. ენობრივი ქსოვილი მთავარი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი მასალაა მხატვრული ჩანაფიქრის გამკლავებისათვის და, იგი არ შეიძლება კომპონენტს წარმოადგენდეს. ენის პრობლემა მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში განყენებულად არ არსებობს, ნაწარმოების ენობრივი სრულყოფა, თავისთავად მხატვრული ჩანაფიქრის სწორ წარმოქმნას ნიშნავს, რამდენადაც მწერლის ერთადერთი გზა მკითხველისაკენ ენაა.

2. დიალექტების, ნეოლოგიზმებისა და არქაიზმების სიჭარბე მხატვრულ ნაწარმოებში თავისთავად მეტყველებს მის მოუმწიფებლობაზე, დაბალ დონეზე. ძველი ქართული ენა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის წინაპარია, მისი მშობელია. ჩვენი დღევანდელი ენის განვითარება ემყარება ძველი ქართული ენის ფაქტურას და ნორმებს, მის შინაგან სულს. ყველაფერი, რაც საჭიროა ძველი ქართული ენიდან, ბუნებრივად, თავისთავად დამკვიდრებულია და შემდგომ განვითარებული თანამედროვე სალიტერატურო ენაში. არქაიზმები მხატვრულ ნაწარმოებში მოგვაგონებს ფერ-უმარისსა და იაფფასიან სამკაულს უსახიერი დედაკაცის მორთულობაში, რომელიც ამაოდ ცდილობს დაფაროს მშვენიერების სიღარიბე.

თუმცა, ზოგიერთი დიდი ოსტატის ლაბორატორიაში, რომელიც შორეულ წარსულის ლანდებს აცოცხლებს, არქაიზმის ზომიერი წილი სავსებით მისაღები ჩანს და ავტორის ორგანულ სამყაროში მიტმასნებულად არ ვლინდება.

ნეოლოგიზმები ძალზე ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული, რომ ქნის ბუნებას, მის სტრუქტურას სავსებით შეესაბამოს. ზოგიერთი, ხალხისთვის დიალექტური გამოთქმის ბუნებრივი შემდინარება მხატვრულ ლიტერატურაში ყოველთვის სასურველია, მით უმეტეს, თუ იგი ხასიათისა და სახის სრულყოფას ემსახურება და ახალ სიტყვიერ ფერს მატებს ნაწარმოებს.

3. ენობრივი კომპრომისი ნიშნავს ლიტერატურის დალატს, იმ წმინდათა-წმინდაზე ხელის აღებას, რისთვისაც მწერალი ცოცხლობს! ენის პოეტური თავისუფლება, საყოველთაოდ მიღებული გრამატიკული ნორმების საზიანოდ, თუნდაც, ამის ხარჯზე, მკაფიო პოეტური გამოსახვის მისაღწევად (ე. წ. „პოეტიკა ლიცენცია“), სათანადო ენობრივი ინვენტარის უკმარობის დროს გეხვდება ყოველთვის. ეს ცოდვები ჩვენთაგან ბევრს აქვს და, ყოველ კერძო შემთხვევაში იგი მკითხველს გემოვნებას უფუჭებს, გზა-კვალს ურევს და მტკიცედ დამკვიდრებული თანამედროვე პოეტური სტილის შებღალავს წარმოადგენს.

ასევე, ჩვენი პოეტური კულტურისათვის შეუსაბამოა „თეთრი ლექსის“ ტენდენცია, რომელიც ქართული ლექსის ბუნებას ეწინააღმდეგება. ქართველი კაცის სულის მგზნებარება საქართველოს ბუნებას ჰკავს. იგი ჩვენი სამშობლოს წიაღისეული თვისებაა, ქართველი ადამიანის შინაგანი თვისება. ეს მგზნებარება და სულის ფერადოვნება პოეტური აზროვნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. პოეტური გრძნობის ხორცშესხმას უნდა ნიშნავდეს. ატეხილ-ჩატეხილი რახნობა სტრიქონება, ყრუ რითმები და არეული რიტმი ჩვენი ლექსია ზუნებისაგან შორსაა. „თეთრი ლექსიც“ ერთგვარი ნეოლოგიზმია, რომელიც არაბუნებრივად შემოიჭრა ჩვენი ლექსის სტიქიაში და მისი დამკვიდრება შეუძლებლად მიმაჩნია.

4. პროფესიული ყარგონი. ტერმინოლოგიური შტამპები, კანცელარიზმები, საგაზეთო ფრაზეოლოგია მხატვრული აზროვნების ელემენტებს არ შეადგენენ. ლიტერატურული პერსონაჟი, როგორც წესი, უნდა მეტყველებდეს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების ფარგლებში, ვინაიდან ეს ნორმები ხალხის ენობრივი მეტყველების ხასიათიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტებზე ჰარბად დაყრდნობილ დიალოგს, დღეს იგი, ჩემი რწმენით, მოძველებულია, რადგან ქართული ეროვნული ერთიანობის მშენებლობა უკვე დასრულებულია და ჩვენი ხალხური მეტყველება ძირითადად იდენტურია თანამედროვე სალიტერატურო ენისა.

5. ჭეშმარიტი პროზა იგივე პოეზიაა და ორივე ყანრი ერთნაირად დგას ადამიანის ესთეტიკურ-მორალური აღზრდის სამსახურში. პროზაიზმის ტყვეობაში მყოფი პოეტი ცუდი პოეტიც არის და ცუდი ბელეტრისტიც. მას ლიტერატურის შენებაში თავისი წვლილი ვერ შეაქვს.

რეპეზ ჰაზარიძე

ენობრივი ქსოვილის გამოყოფა მხატვრული ნაწარმოების სხვა მხარეებისაგან და მისი ცალკე განხილვა მხოლოდ პირობითად, მეთოდური თვალსაზრისით თუ შეიძლება. ეს იმიტომ, რომ ენობრივი ქსოვილი მხატვრული ნაწარმოების მატერიალური სინამდვილეა, ის, ნაწარმოები, მხოლოდ ამ სახით, ამ

ფორმით არსებობს ბუნებაში, როგორც სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობა. აი, რად არის ძნელი უმასუხო კითხვას, როდის და რა გვარად წარმოიქმნება იგი. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ენობრივი ქსოვილის შექმნა შემოქმედებით პროცესში ხდება, როცა ჩანაფიქრი ხორცს ისხამს და გააზრებული ემოცია მხატვრულ სიტყვად იქცევა.

ტყუილად როდია ნათქვამი: სიტყვა აზრის არსებობის ფორმა არისო. აბა, მოაშორეთ ცოცხალ ადამიანს ის, რაც მიწიერია ადამიანში, ანდა სცადეთ მოიქცეთ პირიქით — გამოაცალეთ მიწიერსა და წარმავალს ღვთაებრივი საწყისი, რა მოხდება? გაქრება ადამიანი. მხატვრული ქმნილების არსებაში სწორედ ეს „მიწიერია“, მატერიალური, ხელშეშახები არის სიტყვა ანუ ენობრივი ქსოვილი. გამოაცალეთ ნაწარმოებს ენობრივი ქსოვილი (თუნდაც წარმოდგენით) და ის გაქრება, შეწყვეტს არსებობას, რადგან ერთადერთი მასალა, რითაც სიტყვა-კაზმული მწერლობის ქმნილება შენდება, სიტყვაა, სიტყვა და მეტი არაფერი!

პირადად ჩემთვის „ენის პრობლემა“ დამოუკიდებლად არ ისმება ხოლმე, რადგან ღრმად მწამს, რომ არ არსებობს „ენა თავისთავად“. მას ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს, ის ყოველთვის რაღაცას გამოიხატავს, რაღაცით არის სავსე. ენა ჩემთვის, როგორც მწერლისათვის, მხატვრული ნაწარმოების ასაშენებლად საჭირო ერთადერთი მასალაა. ის იგივეა ჩემთვის, რაც მხატვრისათვის ფერი, კომპოზიტორისათვის — ბგერა, ხოლო მოქანდაკისათვის — მარმარილო. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, თითქოს ენის სრულყოფილი ცოდნა და ოსტატურად გამოყენება მწერლისათვის ერთადერთი და უნივერსალური პრობლემა იყოს. როცა ენაზე და შემოქმედებით პროცესზე ვლაპარაკობ. მე აქ საგანგებო მოხსენიების გარეშე ვგულისხმობ მასალის ღრმა ცოდნას და მიზანდასახულების სიცხადეს, რადგან უამისოდ შენ არ გექნება ის, რაც ენის საშუალებით უნდა გამოიხატოს. ამიტომ მე ხშირად არ მესმის ხოლმე, რისთვის უქებენ ენას ზოგიერთ საექვო ნიჭის მქონე პოეტს თუ პროზაიკოსს. მავანს და მავანს კარგი ენა აქვსო. კიდევ რა აქვს კარგი? თუ შემოქმედი, როგორც იტყვიან, „ზეგარდმო ნიჭით“ არ არის დაჯილდოებული, თუ ის მალალი შთაგონებით და რწმენით არ აჯადოებს, არ იპყრობს მკითხველის გულსა და გონებას, როგორ შეიძლება კარგი მოქართულე იყოს!

აბა, გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის „ნიკორწმინდა“. ამ ლექსს რომ კითხულობთ, თქვენ, მკითხველი, უშუალოდ ეზიარებით ნაწარმოებში განსხეულებულ „ღვთაებრივ საწყისს“, თქვენი გული, როგორც კამერტონი, პოეტის გულს ეხმაურება და განწმენდილი და ამაღლებული მასთან ერთად მარადისობის უსასრულობაში მიისწრაფვის. რით და როგორ ხდება ეს? ნუთუ იმით, რომ გალაკტიონი კარგი მოქართულეა? ეს ხომ თავისთავად ცხადია, ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო, მაგრამ ლექსის აღქმის დროს თქვენ ხომ არცერთი სიტყვა არ შეგიმჩნევიათ, თქვენ ისე გატაცებული და აღტაცებული იყავით, არც კი გიფიქრიათ, თუ ეს ჯადოსნური სიმფონია სიტყვებში, სტრიქონებში, ენობრივ ქსოვილში იყო გამოხატული. დიდი, ჭეშმარიტი პოეტის სიტყვამ თქვენამდე, მკითხველამდე, მოიტანა ამაღლებული მხატვრული სახე, უზენაესი პოეტური ფიქრი, მთის ბროლივით გამკვირვალე სევდა და თვითონ კი „გაქრა“, მიიშალა, არც კი დაგენახათ. აბა, ერთ სიტყვას მაინც „ემეტიჩრა“, თავი წამოეყო, კოპწიაობა დაეწყო, შემომხედეთ, რა ბიჭი ვარო, — უმალ შეკრთებოდით, გულზე ხინჯად მოგხვდებოდათ ეგ სიტყვა და იქნებ მთელი ესთეტიკური სიამოვნებაც გაქარწყლებულიყო.

ე. წ. „კარგი ენა“ ის არის, რომელიც არ ჩანს, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და თვითონ კი ჩრდილში დგება, ხოლო ის შე-

მოქმედნი, რომელთაც ენას უჭებენ ხოლმე, მხოლოდ პედანტები, პაწიწები და დილექტანტები არიან.

ენის საკითხი, ზემოთაც ვამბობდი, მწერლობის უპირველესი საკითხია. ჩვენ, მოკამათენი, პროფესიონალური თვალსაზრისით ვუდგებით მას და განზრახ გვერდს ვუვლით საკითხს, ანუ საკითხის მეორე მხარეს, თუ რა ადგილი უჭირავს ენას ერის ცხოვრებაში.

ენას, ისევე როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე, სწავლა უნდა, შესწავლა უნდა მის ლექსიკურ ფონდს, მის შინაგან თავისებურებებს, რაც ხანდახან თვითონ ენის გამოცდილ სპეციალისტებისთვისაც კი არ არის ხოლმე ხელმისაწვდომი. პირადად ჩემს ლიტერატურულ პრაქტიკაში ენისადმი დამოკიდებულება არ იყო ყოველთვის ერთნაირი და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. ზემოთ მე უკვე ჩამოვაცალიბე ჩემი დღევანდელი შეხედულება ამ საკითხზე. იყო დრო, როდესაც კარდინალურად საწინააღმდეგო მოსაზრებისა ვიყავი. ეს იყო დიდი ხნის წინათ, პატარა ბიჭობაში, როცა სხვათა და სხვათა კეთილისმყოფელი გავლენით პირველ მოთხრობებს ვწერდი, როცა ვცდილობდი მკითხველი უცნაური სიტუაციებით და ამაზე არანაკლებ უცნაური, თავმოძრონე ენით განმეცვიფრებინა. ენისადმი ახალი და, ჩემი აზრით, ერთადერთი გონივრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მრავალი წელი დასჭირდა, ტანჯვის წლები. ნამდვილად შეეძელი და თავი საბოლოოდ დავაღწიე „ენობრივი ბუტაფორიის“ ვაჟუნას? აი, ეს საჭირობოროტო კითხვა დღესაც მწვავედ მისერავს ხოლმე გულს.

სალიტერატურო ენა, როგორც ცნობილია, განუწყვეტელ განვითარებას და სრულყოფას განიცდის. ახალი ყოფა, მეცნიერებისა და კულტურის ახალი მიღწევები ახალი შესატყვისებით ამდიდრებენ ლიტერატურულ ენას. ენის გამდიდრება და შემდგომი სრულყოფა, რათა მან ამომწურავად ასახოს თავისი დრო, დიალექტების, ნეოლოგიზმების, სხვათა ენებისაგან ნასესხები სიტყვების ხარჯზე ხდება. მივიჩნით თუ არა ძველი ქართული თანამედროვე სალიტერატურო ქართულის შემდგომი განვითარების და სრულყოფის ერთ-ერთ წყაროდ? რასაკვირველია, უნდა მივიჩნიოთ, თუ აქაც ძალდატანებას არ მოვახდენთ ენის განვითარების ბუნებრივ პროცესზე და ზომიერებას გამოვიჩინოთ. ძველი ქართულის წინაშე (ვგულისხმობ ხმარებიდან გამოსულ სიტყვებს) დიალექტს ერთი თვალშისაცემი უპირატესობა მიიხსივს აქვს. დიალექტი მოქმედი სალაპარაკო ენაა და მისი ყოველი სიტყვა, თუმცა ის მხოლოდ ამათუ იმ კუთხეში იხმარება, ცოცხალია. თუ ის კეთილზმოვანია, ქართული სალიტერატურო ენის ბუნებას არაფრით ეწინააღმდეგება და ამავე დროს ნეოლოგიზმით თუ ლცხობათა ენიდან ნასესხები სიტყვით გამოხატულ ცნებასაც არანაკლები სიცხადით გამოჰხატავს. მე, პირადად, იმ ცოცხალი სიტყვის დანერგვას ვარჩევდი. სხვა შემთხვევაში, რასაკვირველია, ვერც ძველ ქართულ, აწ უკვე გარდასულ მკვდარ სიტყვას ვკრავთ ხელს, თუკი ეს საქმის საკეთილდღეოდ იქნება გამოყენებული და არა ვისიმე უსაფუძვლო ახირების დასაკმაყოფილებლად.

არქაიზმები? არაფერი ისე არ ვეცემა კაცს თვალში, როგორც არქაიზმი. რა არის არქაიზმის ხმარება? ენაზე ძალის დატანება. არქაიზმი მე მაგონებს თევზის ქონს, რომელიც ალბათ მარგებელია, მაგრამ ძალით კი ასმევენ საბრალო ბავშვებს. რა ბედნიერება იქნებოდა, ექიმებს რომ ის სხვა, უფრო ადვილად დასალევი და მოსანელებელი წამლით შეეცვალათ! რად ქვია არქაიზმს არქაიზმი? იმიტომ რომ მოძველდა, ხმარებიდან გამოვიდა, განსაზღვრული ისტორიული ეპოქის რეალიად იქცა, მისი ადგილი სხვა სიტყვამ დაიჭირა. ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ის არქაიზმი არ იქნება, თუ პატივცემული მწერალი თავის



ადგილზე, თავის ისტორიულ კონტექსტში იხმარს, მაგრამ თუ იგივე სიტყვა იქ გამოჩნდა, სადაც სხვა, მისი შემცვლელი და მემკვიდრე ახალი სიტყვა უნდა ყოფილიყო, მაპატიონ მკრეხელობა და, ვერცთუ ისე მაღალი აზრი შემეკვიპება ავტორის ცოდნასა, გამოცდილებასა, გამოგონებასა და კეთილსინდისიერებაზე.

არა მგონია „პოეტის უოველი სახელმძღვანელო“ იწყნარებდეს „ერთგვარ ენობრივ კომპრომისს“ პოეტებისათვის ლექსის ქანობრივი თავისებურების გამო. საკითხს თუ ამ „თავისებურების“ მხრიდან მივუღებთ, „თავისებურება“ არც სხვა ქანრის ნაწარმოებებს აკლია. ცოცხალი სალიტერატურო ენა ერთი და სავალდებულოა ყველა ქანრისათვის. ე. წ. „ენობრივი კომპრომისი“ უფრო შორს უმიზნებს, ვიდრე კაცს შეიძლება ერთის შეხედვით მოეჩვენოს. ენის წინაშე შეცოდებისათვის, სამწუხაროდ, ჯერ არავინ გაუსამართლებიათ, მაგრამ ერთი რამ კი ყოველგვარი დაქვევების გარეშე უნდა მივიღოთ: მხატვრული ნაწარმოების ენობრივი გაუმართაობა, დიდი თუ მცირე, ნაკლია ნაწარმოებისა და როგორც ყოველგვარ სხვა ნაკლს, მას ყოველი ჰეშმარიტი და ფხიზლად მოაზროვნე ოსტატი უნდა გაუტბოღდეს. პოეტის მიერ „ელემენტარული გრამატიკული ნორმების დარღვევას“, აქაოდა ლექსის ზომამ და მუსიკალობამ ასე მოითხოვათ, არავითარი გამართლება არა აქვს. განა ათასგზის უკეთესი არ იქნებოდა, ავტორს ლექსის ფორმაც უზადოდ შეენარჩუნებინა და ამავე დროს „ელემენტარული“ წიგნიერებაც გამოეჩინა? გულუბრყვილოდ ნურავინ იფიქრებს, რომ ძიების დროს მან (ვინც არ უნდა იყოს!) ამოსწურა ყველა შესაძლებლობა მოთმინება აღარ ეყო და თავისი სამუშაო ბოლომდე ველარ მიიყვანა.

პერსონაჟის მეტყველების თავისებურების გადმოცემა, როგორც ამას ადასტურებს მსოფლიო ლიტერატურის პრაქტიკა, სასურველია. თუ როგორ მოხერხდება მისი შეთავსება ავტორის ტექსტთან, ეს უკვე მხატვრის ტალანტის თავისებურებისა და ძალის საქმეა.

პოეზიისა და პროზის ურთიერთგავლენის საკითხი ამ ბოლო დროს ძალზე ხელოვნურად და ზერელედ ისმის. რაში გამოიხატება ეს ხელოვნურობა და ზერელობა? იმაში, რომ შედარების დროს პოეზიისა და პროზის ცნება სხვადასხვა მოცულობით არის წარმოდგენილი. პოეზიად გულისხმობენ მარტოდენ იმას რაც გალექსილია და პროზად კი იმას, რაც გაულექსივად იწერება. სინამდვილეში კი ასეა ეს? პოეტურობა მარტოდენ გალექსილი სტრიქონით როდი მიიღწევა. პოეზია ყოველი ჰეშმარიტი ქმნილების სულია, ლექსით იქნება შესრულებული ის ქმნილება თუ პროზით. ასე რომ „პოეზია“, „პოეტურობა“ არც ერთი ქანრის განუყოფელი კუთვნილება და პრივილეგია არ არის. ის ერთნაირად განეკუთვნება მხატვრული შემოქმედების ყველა დარგს. ე. წ. ურთიერთგავლენა, რაზედაც ბოლო დროს ლაპარაკობენ ხოლმე, ხშირად ზერელედ, მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზეა დაყვანილი. რაღა შორს წავიდეთ — გადავშალოთ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტის ლექსთა კრებულები. ერთმანეთის მიყოლებით ალაგებენ სხვადასხვა სიგრძის ნებისმიერ სტრიქონებს, რომლებიც აზრობრივად, სახეობრივად, მუსიკალურად თუ განწყობილებით ძალზე შორეულიდან ან სავსებით არ ენათესავენ იან ერთმანეთს. ზოგი ამასაც აღარ აკეთებს, ყველა სტრიქონს ბოლომდე ავსებს, როგორც ჩვეულებრივ წერენ პროზას, და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სათაურის ქვეშ მიაწინებებს, ეს ლექსი არისო.

ვითომ ეს პროზის გავლენაა? ნუთუ ყველაფერი ის, რაც არ არის ლექსი. უთუოდ პროზაა? ნუთუ პროზა ან პროზის სტრიქონი აზრისა და განწყობილების, ფორმისა და შინაგანი მუსიკალობის უქონლობით ხასიათდება? ცუდი და

უნიჭო ლექსი, ცუდი და უნიჭო ლექსია, მას პროზასთან და საერთოდ ხელოვნებასთან არავითარი ნათესაობა არა აქვს. ეს, ჩემი აზრით, კარგად უნდა მახსოვრონ „პოეზიაში“ „პროზაიზმების“ შეჭრის მომხრეებმა. აქ სხვადასხვა უნდა ითქვას, რომ „პროზაიზმი“ სალანძღავი სიტყვაა. პროზაიზმად გულისხმობენ მკვდარ, უსულგულო სახეს, პოეტური აღმადრენის ემპირიზმამდე დაშვებას, პოეტური რეგისტრის მკვეთრ დაქვეითებას. პროზაიზმი ამ გაგებით, და ის მხოლოდ ამ გაგებით უნდა გვესმოდეს, განა მარტო ლექსის მანკია. იგი ხშირად პროზაშიაც იჩენს ხოლმე თავს. აქედან რა დასკვნა გამოდის? პროზაიზმი, რაც ძალიან შორს დგას სიტყვის ხელოვნებისაგან, არცერთი ქანრისათვის არ არის სახარბიელო და სასურველი.

სხვა ამბავია პროზის მხატვრული საშუალებების ზომიერი გამოყენება სალექსო მეტყველებაში. თუ მხოლოდ ახალი ქართული პოეზიით შემოვიფარგლებით, ამ მხრივ ბევრ საინტერესო და საგულისხმო ექსპერიმენტს მოგვაწვდიდა ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატის სიმონ ჩიქოვანის პოეტური მემკვიდრეობა. ს. ჩიქოვანი თავის ლექსებში შეგნებულად მიმართავდა და იყენებდა პროზისათვის დამახასიათებელ გამომსახველობით ფორმებს და საშუალებებს და ამით ლექსს მეტ კონკრეტულობას, მონუმენტურობას და შთამბეჭდაობას ანიჭებდა. მოვიგონოთ თუნდაც „აღმზრდელი ძიძის გახსენება“ ციკლიდან „დავით გურამიშვილი“, აგრეთვე „ლოდინი ვსესვიატსკოეში“, „წყარო“ და მრავალი სხვა, განსაკუთრებით ცხოვრების ბოლო წლებში შექმნილი ლექსები. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სხვა ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაშიც. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელო არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე და ტარიელ ჭანტურია.

ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა შეკითხვა: ენობრივი თვალსაზრისით რით განსხვავდება პოეტის პროზა „ჩვეულებრივი პროზისგან“. უპირველეს ყოვლისა, ამ კითხვის პასუხად იმის თქმა შეიძლება, რომ ბუნებაში არ არსებობს ე. წ. ჩვეულებრივი პროზისაგან განსხვავებული რაღაც „პოეტის პროზა.“ პროზა პროზაა! ვინც მას დასწერს და კარგადაც დასწერს, პროზაიკოსი იქნება, მიუხედავად იმისა, თუ რა მოსაქმეობას ეწეოდა ამ პროზის დაწერამდე. პოეტობდა თუ ექიმობდა, ინჟინრობდა თუ მეთევზეობდა. შეიძლება დავსვათ საპირისპირო კითხვა: რით განსხვავდება, ენობრივი თვალსაზრისით, პროზაიკოსის ლექსი „ჩვეულებრივი ლექსისაგან“? რასაკვირველია, არ შეიძლება რატომ? იმიტომ, რომ თუ ჭეშმარიტი შემოქმედი ხარ და ლექსს წერ, მხოლოდ ნამდვილი, ასე ვთქვათ, „ჩვეულებრივი ლექსი“ უნდა დაწერო. შეიძლება განსჯის ლექსის ხარისხს და არა იმას, თუ ვინ არის ავტორი, რას საქმიანობდა ის ამ ლექსის დაწერამდე.

გმირის მეტყველების ინდივიდუალიზების შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. დამატებით რის თქმა შეიძლება? ავტორისა და პერსონაჟების ენის იდენტურობას, რაც თანამედროვე ქართულ და ჩვენთვის ხელმისაწვდომ მსოფლიო პროზის ნიმუშებში შეინიშნება, ვერ მივესალმებით.

ყოველივე ზემოთ თქმული ზუსტად ამავე ზომითა და ოდენობით შეეხება მთარგმნელსა და მთარგმნელის ენას.



ზვიად გამსახურია

ტრადიციის გაცემა ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში

ტომას სტერნზ ელიოტი მართებულად მიეკუთვნება თანამედროვე ეპოქის უდიდეს შემოქმედთა რიცხვს. ძნელია დასახელება თანამედროვე მსოფლიოში ისეთი პოეტისა, რომლის შემოქმედებაშიც ესოდენ სრულყოფილად არეკლილიყოს ახალი ცივილიზაციის, ახალი კულტურის თავისებურებანი. მისი პოეტური მემკვიდრეობა იმდენად დიდია და იმდენად რთული, რომ მომავალში, ალბათ, თაობების შრომა დასჭირდება მისი კონცეპციების მრავალმხრივ გაშუქებას, მისი გენიის თავისებურებათა განსაზღვრას, მისი პოეტური ენისა და ლექციის შესწავლას. დიდი და რთული გზა უნდა განვლოს მკვლევარმა, რათა მიახლოებით მიიწვინოს განსაზღვროს ელიოტის ადგილი კულტურის ისტორიაში. თანამედროვე ლიტერატურის პრობლემების გარდა, მან უნდა ვაარკვიოს ის კულტურულ-ფილოსოფიური, რელიგიურ-ეთიური, სოციალური და ესთეტიური ფაქტორები, რომელნიც განაპირობებენ თანამედროვე ხელოვანის გზას, ესოდენ რთულსა და წინააღმდეგობით აღსავსეს. მკვლევარმა ნათელი უნდა მოჰფინოს აგრეთვე იმ კულტურულ-ისტორიულ წინამძღვრებს, რომელნიც საფუძვლად დაედნენ ელიოტის შემოქმედებას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განსაზღვროს ტრადიციის როლი ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში. აგრეთვე მოგვეცეს დახასიათება თვად ელიოტის დამოკიდებულებისა ტრადიციის გაცემათან, რამდენადაც ელიოტისიული გაცემა ტრადიციისა ძირულად განსხვავდება აღრინდელი პოეტების კონცეპციებისაგან. ეს დამოკიდებულება განსაზღვრულია ელიოტის კრიტიკულ წერილებში „Tradition and the Individual Talent!“ და „Function of Criticism“,

სადაც ელიოტი არა მარტო განსაზღვრავს ტრადიციის როლს, არამედ გვაქვს მოსაზრებას, თუ როგორი უნდა იყოს თავისთავად ლიტერატურული კრიტიკა, როგორ უნდა გარდაიქმნას იგი თანამედროვე ხელოვნებასთან დამოკიდებულებაში. უპირველეს ყოვლისა, ელიოტის აზრით, არ არსებობს ტრადიცი, როგორც ძველის, გარდასული ეპოქის კუთვნილება. პოეტი იმდენად ცოცხლად უნდა განიცდიდეს ტრადიციას, რომ აქციოს იგი თანამედროვეობად. ამით პოეტი თავისუფლდება დროისაგან, იგი დროზე მაღლა დგება და ეზარება უდროობის, უყამობის შეგრძნებას, რომელიც არის ამავე დროს ისტორიის ქვეშაირი შეგრძნება. აქედან გამომდინარე, მხოლოდ პირობითად შეიძლება საუბარი „ძველსა“ და „ახალ“ პოეზიაზე. სინამდვილეში კი პოეტი უნდა აღიქვამდეს პოეზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ერთ მთლიანობაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება იგი ქვეშაირითა თანამედროვე პოეტი.

„არ არსებობს პოეტი, არ არსებობს ხელოვანი, რომლის სრული მნიშვნელობის გაცემაც შეიძლებოდაც მხოლოდ თავისთავად, განკერძოებულად. მისი მნიშვნელობის დაფასება არის მისი დამოკიდებულების დაფასება გარდაცვლილ პოეტებთან და ხელოვანებთან. თქვენ ვერ შეაფასებთ მას განმარტოებულად, თქვენ უნდა დაყენოთ იგი კონტრასტისა და შედარებისათვის მიცვალბულთა შორის. მე ვგულისხმობ, რომ ეს არის პრინციპი ესთეტიური და არა მხოლოდ ისტორიული კრიტიციზმისა... როდესაც იქმნება ხელოვნების ახალი ნიმუში, მაშინვე გარკვეული რამ ემართებათ ყველა ძველ ნიმუშებს ხელოვნებისას. უკვე არსებული ძეგლები ქმნიან იდეალურ წყობას ურთიერთშორის, რომლის მორღიფიცირებაც ხდება

¹ T. S. Eliot-Selected Prose, London, 1955.

მათვის ახალი (კემბრიჯის ახალი) ქმნილების შემადგენელი. არსებული წყობა სრულია, ვიდრე გამოჩნდება ახალი ნამუშევარი. მაგრამ ეს წყობა ახლის შემოტანის შემდეგაც რომ დარჩეს, ამისათვის მთელი არსებული წყობა ოდნავ მაინც უნდა შეიცვალოს; ასე რომ, ურთიერთმინართან, პროპორციები, ღირებულებანი თვითელი ნამუშევრისა ხელახლა უნდა შეეგუოს ახალ მთლიანობას; აი, ეს არის თანხმობა, პარამონა ძველსა და ახალს შორის. ენსავე მოსწონს ეს იდეა ევროპული ან ინგლისური ლიტერატურის წყობისა, თუ გნებავთ ფორმისა, იგი არ ჩასთვლის უაზრობად იმ დებულებას, რომ წარსული უნდა შეიცვალოს აწმყოს ზემოქმედებით, ისევე, როგორც აწმყოს განსაზღვრავს წარსული. ასე რომ. პოეტს, რომელსაც შეგნებული აქვს ყოველივე ეს, უნდა გრძნობდეს, რომ არსებობენ დიდი სიძნელებები და პასუხისმგებლობანი!

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ის ფაქტი, რომ XX საუკუნეში შეიქმნა მავ. ელიოტის „ოთხი კვარტეტი“, გარკვეულ გავლენას ახდენს დანტის „ღვთაებრივ კომედიაზე“ ან, თუ გნებავთ, გეთეს „ფუსტეტზე“, მაგრამ არა გარკვეანი თვალსაზრისით. უაზრობა იქნებოდა გვეფოქრა, რომ ამით რაიმე შეიცვალა „ღვთაებრივი კომედის“ ფორმაში ან შინაარსში. ეს ცვლილება ეხება შინაგან სამყაროს ადამიანისას, იმ ადქმას, რომელიც გვაქვს ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას და განცდისას. უფრო სწორედ, იმ წყობის ადქმას, რომელიც არსებობს ლიტერატურის ისტორიაში. ვინაიდან არსებობს ლიტერატურის ორგვარი ისტორია: ერთი დაწერილი და ობიექტურად არსებული წიგნების სახით, ხოლო მეორე ჩვენს სულში, ჩვენს ცნობიერებაში არსებული. წყობას ჰქმნის სწორედ ეს უკანასკნელი. მეოცე საუკუნის ადამიანი უკვე სხვაგვარად აღიქვამს „ფუსტეტს“, მაგრამ არა იმის გამო, რომ იგი გეოგრაფიულად ამა თუ იმ ქვეყანაში იმყოფება, ან იმიტომ, რომ კალენდარულად მისი დაბადება XX საუკუნეში მოხდა, არამედ იმიტომ, რომ არსებობს მეოცე საუკუნის პოეზია და ფილოსოფია და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება სწორი, თანადროული ადქმა წარსულის შემყვიდრებობისა, თუ იგი ორგანულად შეისისხლბორებს თანამედროვე კულტურას, რომელიც ჰქმნის ერთ მთლიან წყობას წარსულის კულტურასთან ერთად. ამის გარეშე ადამიანი მოწყდება დროს და აღარ ექნება საშუალება დროის დაძლევისა, ე. ი. დროისმიერი წარმოდგენებისაგან განთავისუფლებისა ისტორიის ადქმისას. დროის ამგვარ დაძლევას გულისხმობს ელიოტი „ოთხ კვარტეტში“ როდესაც ამბობს:

„Only through time time is conquered.“
(„მხოლოდ დროით დაიძლევა (დაიპარება)“)

ამგვარი თვალთახედვის გამოშუშება აუცილებელია როგორც პოეტის, ასევე კრიტიკოსისათვის. ელიოტის აზრით, კრიტიკოსმა სწორედ ტრადიციის როლის გაგებით უნდა დავეანახოს, თუ რაში მდგომარეობს ნოვატორობა ამ თუ იმ პოეტისა. ამავე დროს კრიტიკოსი უნდა იყოს ღირებულებათა დიდი ვადამფასებელი, თავისი თაობის პოზიციებიდან, რა თქმა უნდა.

ყოველ თაობას, ყოველ ინდივიდუალობას ხელოვნების ჰერტიკისას შემოაქვს საკუთარი კატეგორიები დაფასებისა, ხელოვნებას უყენებს თავის საკუთარ მოთხოვნებს, აქვს თავისებური მიდგომა... ამიტომ კრიტიკა ისევე აუცილებელია, როგორც სუნთქვა... ჩვენ ვეაქვს ტენდენცია, რომ პოეტის ქებისას შევჩერდეთ მისი ნამუშევრის იმ ასპექტებზე, რომლებითაც იგი ნაყოფიერად გვაგონებს სხვა პოეტებს. ამ ასპექტებში, მისი ნაშრომის ამ ნაწილებში, ჩვენ ვცდილობთ ეპოქით, თუ რა არის მასში ინდივიდუალური, რაში მდგომარეობს საკუთარივე მისი არსი. ჩვენ კმაყოფილნი ვჩერდებით ხოლმე იმ განსხვავებებზე, რომელნიც არსებობენ პოეტსა და მის წინამორბედებს შორის, განსაკუთრებით მის უშუალო წინამორბედებს შორის, თუმცა თუ მივეახლებით პოეტს ამ ცურუმენის გარეშე, ხშირად აღმოვაჩენთ, რომ მისი ნაშრომის უაღრესად ინდივიდუალური ადგილები ენათესავენად სწორედ იმ ადგილებს, რომელნიც გვიმოწმებენ იმ გარდასული დროის პოეტების უკვდავებას მთელის სიხადით. თან ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ არა ქაბუჯური უმწიფარობის პერიოდს, არამედ პერიოდს სრული სიმწიფისას.

მაგრამ ტრადიცია მხოლოდ იმაში როდი მდგომარეობს, რომ ერთი თაობა აგრძელებს წინაურ თაობის გზას ბრმა მიმბაძველობით და გაუბედავობით. „ტრადიცია“ სწორედ ამ შემთხვევაში წაერთუოდა ძალა. ჩვენ მრავლად ვვინახავს ამგვარი პატარა ნაყოფილები, რომელნიც მალე გაუჩინარებულან ქვიშაში. განსაზღვრებას სიახლე სჯობს, ტრადიცია კი უფრო ფართო გაგების ცნებაა. მის შემყვიდრებობა ვერაინ მიიღებს და თუ თქვენ გსურთ მისი მიღება, უნდა გასწიოთ უდიდესი შრომა. აგრ გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, ისტორიის შეგრძნებას, რომელიც უშუალოდ უნდა ჰქონდეს ისეთ ადამიანს, რომელიც აპირებს პოეტად დარჩენას ოცდახუთწლიანი ასაკის შემდეგაც. და ისტორიის შეგრძნება გულისხმობს წარსულის ადქმას არა მხოლოდ წარსულად, არამედ აწმყოდაც; ისტორიის შეგრძნების მქონე ადამიანი სწერს არა მხოლოდ საკუთარი თაობის პოზიციებიდან გამომდინარე, არამედ ისე,

¹ ib. T. S. Eliot—Selected Prose, p. 23—24.

თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა პომეროსიდან დღემდე და მისი ქვეყნის ლიტერატურა ერთდროულად არსებობენო. ეს ისტორიის შეგრძნება, რომელიც იმდენადვეა უფრობის შეგრძნება, რამდენადც უამიერებისა, ალფეს მწერალს ტრადიციულობას (ხაზი ჩვენია, ზ. გ.) იგივე ალფეს მწერალს უნარს, რათა უკიდურესად ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილი დროში, თავის საკუთარ თანადროელობაში¹.

ელიოტის აზრით, პოეტის ნოვატორობას მხოლოდ მასში ექნება ფასი, თუ იგი შესაძლებს თავად ტრადიციის ნოვატორობად აღორძინებას.

ელიოტის აზრით, ჩვენს ცივილიზაციაში პოეტი უნდა იყოს რთული. უნდა აღინიშნოს, რომ მას უპირატესად თავისებური გაგება აქვს პოეტისა და პოეზიისა. უპირატესეს ყოვლისა, უნდა გაეარკვიოთ ელიოტისეული გაგება პოეტისა, რათა ნათელი გახდეს, თუ რას მოითხოვს იგი ახალი დროის პოეტისაგან. თუმცე უნდა ითქვას, რომ იგი არ ცდილობს მოგვეწოდოს ჩაიმი ფორმულა პოეზიის განსაზღვრისათვის. იგი გარკვევით ამბობს: „პოეზია არ არის ფილოსოფიის, რელიგიის ან თეოლოგიის შემცვლელი (Substitute); მას საკუთარი ფუნქცია აქვს. მაგრამ რადენდაც ეს ფუნქცია ემოციონალურია და არა ინტელექტუალური, ამიტომ შეუძლებელია მისი გადმოცემა ინტელექტისმიერი ტერმინოლოგითი“. ასე რომ პოეზიის ფუნქცია ბოლომდე ვერ განისაზღვრება აღმინაწერი, რაციონალური ენით. ცნებითი აზროვნება არ კმარა იმისათვის, რომ იგი მიიცივას. მცდარი აზრია, თითქოს ელიოტი ინტელექტუალური პოეტია ან სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მისი აზრით, აზროვნება პოეზიაში უნდა განიმსჭვალოს ემოციით. ამიტომ მოითხოვდა ელიოტი ყურადღების მიპყრობას ინტელისეული პოეტი-მეტაფიზიკოსების შემოქმედებაზე. მათთან ჩაისახა ის ტენდენცია აზრის ემოციით განმსჭვალვისა, რომელიც ეგზომ განეთარდა ახალ ინგლისურ და ამერიკულ პოეზიაში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: პოეზიის, განსაკუთრებით ლირიული პოეზიის ტრადიციული გაგება გულისხმობს სუბიექტურობას, პერსონალური ემოციებისა და განწყობილებების პოეტურად გადმოცემას. ელიოტის გაგებით კი პოეტმა უნდა მიადგინოს იმპერსონალურობას, ე. ი. პირიქითისაგან განთავისუფლებას შემოქმედებაში: „პოეტი არის მეტაქცეზიონალური სრულყოფილი მედიუმი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული, ნიარგვარი, თავისუფალი გრძნობები, რომელთაც იგი გვაძლევს ახალ-ახალ კომბინაციებში“. ამავე დროს არსებითა ემოციის ტრანსმუტაცია ანუ გარდასახვა.

პოეტმა კი არ უნდა შექმნას ახალი ემოციები, არამედ უნდა აიღოს ჩვეულებრივი ემოციები და გარდაქმნას ისინი პოეზიად. ამიტომ პოეტი თავის „პირიქითებს“ კი არ გადმოსცემს, არამედ იმ განსაკუთრებულ მედიუმს, რომელიც ღვას მისი პირიქითების მიღმა და რომელსაც გააჩნია სრულად მოულოდნელი კომბინაციები წარმოსახვათა და განცდათა. ის, რაც დიდმნიშვნელოვანია პოეზიის თვალსაზრისით, შესაძლოა უმნიშვნელო იყოს პირიქითებისათვის, კაცისათვის. ეს „განსაკუთრებული მედიუმი“ არის აღმინიშნული უმაღლესი, მეტაფიზიკური „მე“, რომელიც განსხვავდება პირიქითებისაგან. პირიქითება, თავად ფსიქიკა, ერთგვარი ნიღაბია ამ Ego-სი. ეს დებულება ენათესავენ მეტაფიზიკის პოეტების გაგებას სულის სუბსტანციური ერთიანობისას. ელიოტის დევიზი ასეთია: „ხელოვნებაში ემოცია იმპერსონალურია“. პოეტი ვერ მიადგენს ამ იმპერსონალურობას, თავის-თავის დათმობის გარეშე. მან უნდა შესწიროს თავისი პირიქითება ნაწარმოებს, რომელსაც ჰქმნის. აღრიხედლ პოეზიაში, მისი აზრით, ჰარბად არის პირიქითული განცდები. თვით დანტეს ზეციურ პოემაში ხშირად იგრძნობა მისი პერსონალური ემოციების მოზღვაება, რომელიც დაკავშირებულნი იყვნენ დანტეს პარტიულ ბრძოლებთან, იმდროინდელი იტალიის პოლიტიკურ ვითარებასთან და სხვა. ამიტომ ახალი პოეზია უფრო და უფრო უნდა ცდილობდეს იმპერსონალური გახადოს ლექსის ემოციური შინაარსი.

ძირეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პოეტური ენის თვითყოფადობას. „თუ მწერალს არ გააჩნია ენა, რომლითაც იგი გადმოსცემს ემოციებს, ე. ი. მას არ გააჩნია არც ემოციები“. აქაც ნათელია, რომ ელიოტი ენასა და სტილის პრობლემას უკავშირებს ცნავე ემოციის პრობლემას, ისევე როგორც მისთვის განუყოფელია აზროვნების პრობლემა ემოციის პრობლემისაგან. აქ იხსნება ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება პოეტური ენის შესახებ. ჩვენთვის ცხადია, რომ მწერლის, პოეტის დამოკიდებულება ენასთან არამც და არამც არ უნდა იყოს თეორიული, გონებისმიერი. პოეტი ენათმეცნიერის მსგავსად კი არ უნდა აანალიზებდეს ენობრივ მოვლენებს, კი არ უნდა ცდილობდეს ზოგადი კანონების საფუძველზე გარკვევას ამა თუ იმ ენის სპეციფიკიას, არამედ იგი უნდა მონაწილეობდეს თავად ენის შექმნის პროცესში. უფრო მეტიც. იგი უნდა ჰქმნიდეს საკუთარ ენას. არსებობს შექსპირის ინგლისური ისევე როგორც ლაუტერის გერმანული. ენათა განვითარების ისტორიაში არის ეტაპები

ზვიად გამსახურდია
ტრადიციის გაგება ტ. ხ. ელიოტის
შემოქმედებაში

¹ T. S. Eliot—Selected Prose, p. 23.

დიდი მწერლების ეპოქალური ზეგავლენებისა, რომელიც მიმართულებას აძლევდნენ ენის განვითარებას ყოველ დროში. მაგრამ ამა თუ იმ მწერლის მიერ შექმნილი ენობრივი სპეციფიკა იმდენად მჭიდროდ იყო მუდამ დაკავშირებული მის მხატვრულ ინდივიდუალობასთან, რომ მომდევნო თაობების თვითშეყოფად შემოქმედო უხდებოდათ ენის ახლებური გარდაქმნა, რამდენადაც მათთვის უცხო იყო წინა თაობის მწერლის ენობრივი საშუალო. ხშირად ენის ინდივიდუალიზაცია უკიდურესობებამდისაც მიდიოდა. ამის გამო ელიოტი გამოსთქვამს ერთს შეხებულ პარადოქსულ მოსაზრებას: „დიდი ინგლისელი პოეტები ბოროტად იყენებდნენ (abused) ინგლისურ ენას. ისინი ავიტარებდნენ საკუთარ იდიომს ენაში, იმდენად სპეციალურს და თითქმის ექსცენტრიულს, რომ იგი აღარაფერში არავით მომდევნო თაობის პოეტებს“¹.

მაგრამ, რამდენადაც ჩვენ დავინახეთ, ახალ პოეზიაში ხდება უპირველეს ყოვლისა ემოციის იმპერსონალური გარდაქმნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟამიერებასთან, ემიზირიულ, თუნდაც ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებულმა ემოციებმა უფრო და უფრო უნდა დაუთმონ ადგილი ისეთ ემოციებს, რომელიც მომდინარეობენ ადამიანის შინაგანი სულიერი ცხოვრებიდან. „განსაკუთრებული მედიუმი“, რომელიც ახდენს „ემოციის ტრანსმუტაციას“, არის უშინაგანესი არსი ადამიანისა, რომელზედაც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. იგი უქამობასთან უფრო ახლოა, ვიდრე ყამთან. მხოლოდ მისი უშეგობით შეიძლება დადგინდეს ჟამიერის მიმართება უქამობასთან. ამიტომ არის, რომ ელიოტი ყველა სხვა ადამიანურ საქმიანობაზე მაღლა აყენებს ისეთ აქტივობას, რომელიც ადგენს ჟამიერის მიმართებას უქამობასთან. ეს ნათელი ხდება პოეზიაში „ოთხი კვარტეტი“. ამ პოემის ერთ-ერთ თავში იგი გვეუბნება, რომ მართან დაკავშირება, სულიების გამოძახება, პორსკომპების შედგენა, ხირომანტიული დაკვირვებანი, სარკოფაგების გათხრა, სიზმრების ახსნა და ა. შ. უბრალო, მეორეხარისხოვანი ამბები, პრესის კეთენილება. ადამიანის ცნობისმოყვარეობა მუდამ იკვლევდა წარსულს და მომავალს. ასე რომ ეს ყოველივე დროს ეკუთვნის და წარმავალია. ყოველივე ამას კი უპირისპირდება შემდეგი:

„მაგრამ წმინდანის საქმიანობა არის დადგენა იმ წერტილისა, სადაც გადაკვეთს უქამობას ჟამიერება. არა მხოლოდ საქმიანობა, არამედ ნიჭი მომადლებული და წავგრილი,

სად სიყვარულში

კვდება სიცოცხლე, მგზნებარება, თავგანწირვა და თვითღატოობა.“²

არქანჯელის

ამავე პოზიციითაა გაპირობებული მწერლის დამოკიდებულება პოეტურ ენასთან. მისი აზრით, თანამედროვე პოეტი უფრო მინიშნებით უნდა სწერდეს, არაპირდაპირად, რათა შესძლოს ენის „დისლოკაცია“ მნიშვნელობისაგან. მაგრამ აქაც საჭიროა ზომიერების დაცვა, რათა უკიდურესობებში არ გადავიდეთ. ფრანგულმა სიმბოლიზმმა სიტყვას დაუტოვა მხოლოდ მუსიკალური ფუნქცია, რითაც შეიქმნა საფრთხე პოეზიის მუსიკად ქცევისა, საკუთრივ პოეზიის სპეციფიკურობის დაკარგვისა. Poesie, musique, c'est la même chose — ამბობს მალორმე, ფრანგული სიმბოლიზმის მამამთავარი, ხოლო ვერლენმა პრაქტიკულად განხორციელა ეს დევიზი. ვერლენი სიტყვას ისევე უყურებს, როგორც კომპოზიტორი აკორდს, ხოლო ტეოფილ გოტიე, როგორც ოქროსქედელი — ძვირფას თვალს (თუმცა იგი უფრო გვიანდელი რომანტიზმის წარმომადგენელია, ვიდრე სიმბოლიზმისა). ზემოხსენებულ დევიზთან ერთად ელიოტი ავიტარებს აიღვე ერთ მოსაზრებას, რაც განასხვავებს მის პოზიციას ფრანგი სიმბოლიზტების პოზიციისაგან: „სიტყვამ უნდა შეინარჩუნოს ხილული სილამაზე, კეთილმოყვანება და აგრეთვე საკომუნიკაციო, გრამატიული მნიშვნელობა“. ასე რომ ენის დისლოკაცია მნიშვნელობისაგან თანდათანობით უნდა მიმდინარეობდეს, დიდის სიფრთხილით და ზომიერებით. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტური ემოციის ნაცვლად მივიღებთ მუსიკალურ ემოციას. მართალია, პოეზია უნდა დაუახლოვდეს მუსიკას, მაგრამ მან არ უნდა დაქარგოს ძირეული ქარგა შინაარსისა, მნიშვნელობისა. ამასთანავე მან უნდა შეინარჩუნოს ემოციის გარკვეულობა (ხაზი ჩვენია).

ახლა საკითხავია, რად დაეუკავშირეთ ჩვენ ელიოტის ფილოსოფიური თვალსაზრისი მის შეხებულებას პოეტურ ენაზე? ენის მნიშვნელობისაგან დისლოკაციამ შესაძლოა მიგვიყვანოს შემდეგ მოსაზრებამდე. თავად ენაში შეინიშნება ორი ფაქტორი: ერთი, რომელიც უკავშირდება მნიშვნელობას და რომლითაც ენა ეკუთვნის ჟამიერებს, წარმავლობას. მეორეს კი მიგვიყვართ მნიშვნელობის მიღმა, უქამობის ელემენტისაკენ. ემოციის იმპერსონალური გარდაქმნა მხოლოდ იმ შემთხვევაში ძალუძს პოეტს, თუ იგი გრძნობს ამ უქამობას ენაში, თუ იგი განიხილავს ენას, როგორც უქამობის ფენომენს. ამიტომაც ელიოტის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება. თითქოს მას ეცხოვროს ყველა დროში, შეეისისსხობრეცნიოს

1 აქ მოყვანილი ლექსების თარგმანები წერილის ავტორს ეკუთვნის.

2 პოეზია იგივეა, რაც მუსიკა.

¹ T. S. Eliot—Selected Prose, p. 45.

ყველა ეპოქის, ყველა სტილის თავისებურებანი. მისთვის ახლოა როგორც ჩოსერისდროინდელი, ასევე შექსპირისდროინდელი ინგლისური ენის ინტონაციები, ულტრათანამედროვე საქციელები გვხვდება არქაიზმების გვერდით, მის ლექსებში შემოდის აგრეთვე სხვა ძველი და ახალი ენების მასალა. **ენის დისლოკაცია კი ხორციელდება მნიშვნელობისათვის მეორადი როლის მინიჭებით.**

დღემნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე პოეზიაში ტრაპული მეტყველების გაგება. ახალი პოეზიის მსგეურნეობა ერთსულროვნად გამოუტყდადეს იმე შედარებაში, მეტაფორის იმგვარ გაგებას, რომელიც არსებობდა ადრინდელ პოეზიაში. ელიოტის შემთხვევაში აქაც ტრადიციის ახლებურ გაგებასთან გვაქვს საქმე. როგორც ითქვა, ელიოტის შემოქმედება უადრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლისელი პოეტ-მეტაფიზიკოსებისა და გვიანდელი ფრანგი სიმბოლოისტების ტრადიციებთან. საერთოდ ელიოტის პოეტური მეთოდი ამ პოეტების ერთგვარი გაგრძელებაა. მეტაფიზიკოს პოეტებთან პირველად ვხვდებით კონვენციონალური მეტაფორული კლიშეების იგნორირებას. მეტაფიზიკოს პოეტის შედარება მუდამ შეუცავს შეუსაბამობას (ყოველ შემთხვევაში — გარეგან შეუსაბამობას) შესაძარებელ საგანთან². თვალებს ისინი არასოდეს შეადარებენ მაგ. ვარსკვლავს, სიყვარულს — ვარდს და ა. შ. მათი მეტაფორებიც მუდამ მოულოდნელია, ერთის შეხედვით ნაძალადევი. მათთვის დამახასიათებელია მოულოდნელი, მკვეთრი კონტრასტები და, რაც მთავარია, ის „დისლოკაცია“ ენისა, რომელსაც ესოდენ აუცილებელ ფაქტორად სთვლიდა ტ. ს. ელიოტი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ყოველივე ჯერაც ჩანაახანის მსგავსად არსებობს ამ პოეტთან. მართალია, მათთან მოსჩანს ტენდენცია ენის „დისლოკაციისა“, მაგრამ ისინი ჯერ არ მისულან იქამდის, რომ „მისცენ ენას ახალი მნიშვნელობა“, რასაც განხორციელებულად ვხვდეთ გვიანდელ სიმბოლიზმში და განსაკუთრებით მოდერნიზმში. ამიტომ ამბობდა ელიოტი: ლაფორები და კორბიერი უფრო ახლოს დგანან პოეტ-მეტაფიზიკოსებთან, ვიდრე რომელიმე ინგლისელი პოეტი.

უფრო გვიან ჩვენ დავწვრილებით განვიხილავთ პოეტ-მეტაფიზიკოსების შემოქმედებით სამყაროს ელიოტთან მიმართებაში, აგრეთვე ლაფორებს, კორბიერს და სხვათა, ამქამდე კი დავუკვირდეთ მეტაფორის ევოლუციის მეტაფიზიკური პოეზიიდან მოდერნიზმამდე. გან-

ვიხილოთ, როგორ ვითარდება ტრადიციის შემოქმედებაში, როგორ ჰპოულობს იგი თვითმყოფად გზას პოეტურ მეტყველებას. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ თანამედროვე პოეტები უკვე სხვაგვარად უყურებენ მეტაფორას. მათთვის ამ უკანასკნელს უკვე აღარა აქვს ის მნიშვნელობა, როგორც მას ჰქონდა, მაგალითად, რომანტიკულ პოეზიაში. პოეტური განწყობილება მათ ლექსებში ტრაპების სრულყოფის შედეგად როდი იშვის, არამედ მხატვრულ სახითა ერთგვარი დამოწმის შედეგად. ერთი შეხედვით უკიდურესად შეუსაბამო ფრაზები გვეძლევიან ახალ-ახალ კომბინაციებში, თუმცა საგრძნობია ერთგვარი ქვეცნობიერი ერთიანობა მასალისა. სხეულული მეთოდის განვითარება იწყება მეტაფიზიკოსებთან. კრიტიკოსი ჯონსონი ამბობდა, რომ მათ ერთად შეაკოწიფეს, უადრესად პეტროვსკელი იდეები, ვინაიდან მათი ცდები უპირატესად ახალიტური იყო. მართალია, მეტაფიზიკოსებს ახასიათებთ პოეტური მასალის პეტროვსკელობა, მაგრამ ისინი იძლევიან ამ მასალას ახალ ერთიანობაში, ახალ მთლიანობაში. ჯონსონი ხედავდა მათი მეთოდის ანალიტიკობას, მაგრამ იგი ვეღარ ხედავდა, თუ როგორ იძლეოდნენ ისინი, ამ დისლოკაციის შემდეგ, ახალ ერთიანობას.

მაგალითად, ჯონ დონისათვის დამახასიათებელია ამგვარი შედარებები:

„ბრწყინვალე თმის სამაჭური ძვლის გარშემო“.

ეს ასოციაცია აღეძვრის მას ქალის თმის შეხედვისას. ან:

„სიყვარული, შენ ხარ ერთადერთი უფალო სიკვდილისა და სიცოცხლისა“.

მეტაფიზიკოსებთან უკვე შეინიშნება ჩვეულებრივი ლოგიკობის დარღვევა, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია ელიოტის ლექსებში. ელიოტისათვის დამახასიათებელია ერთგვარი წინასწარგანზრახული დარღვევა ლოგიკისა, რაც საერთოდ ხშირია თანამედროვე პოეზიაში, ასე რომ „სალი აზრის“ თვალსაზრისით მისი ზოგიერთი სტრიქონი შესაძლოა გაუგებრად მოგვეჩვენოს. მაგალითად, მისი პოემის „იავარქმნილი მიწის (The Waste Land) შესავალი:

უმაკრესი თვა აპრილი, აღმოაცენებს მკვდარი მიწიდან იახამანს, იცის შერევა სურვილისა და მოგონების. გაახალისებს პირქუშ ფისვებს უფუფუნა წვიმით. ზამთარმა თბილად შეგვიანა, მიწას მოჰფინა დავიწყების თოვლი, გამაოშუმა

¹ ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ჩვენი წერილი ენის საკითხებზე („ციცქარი“, 1968, № 12).

² შ. Cleanth Brookes—Modern Poetry and Tradition.

ზვიად გამსახურდია

ტრადიციის ბაზმებზე ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში

**ჩუმი სიცოცხლის ნატამალი მშრალ
ტუბერებში.**

უპირველეს ყოვლისა, თვალში გვეცემა აბრილის განსაზღვრა, როგორც უმკაცრესი თვისა. შემდეგ ის ტონი, რომლითაც ავტორი გვესაუბრება აბრილის შესახებ. პოეზიაში გაზაფხული, განსაკუთრებით აბრილის თვე მულამ იწვევდა აღმაფრენას, სიხარულს, რომელიც დაკავშირებულია ბუნების გაღვიძებასთან, სიყვარულთან, სიცოცხლესთან. ამ შემთხვევაში კი საბირნიპირო განწყობილება შემოდის. შემდეგ ლაპარაკი ზამთარზე, რომელმაც „თბილად“ შეგვიანა. კვლავ ერთი შეუსაბამობა, მაგრამ ამგვარი შეუსაბამობები ნათელი გახდება, როდესაც აღვიქვანთ ნაწარმოებს მთლიანობაში. მეტაფიზიკოსებთან შედარებები და მეტაფორები მულამ ნაწარმოების ორგანულ მთლიანობასთან არიან დაკავშირებული. ასე რომ მათი განხილვა ცალკე, თავისთავად მხოლოდ გაუგებრობას იწვევს. რომანტიკოსი მოუტების მეტაფორებს კი აქვთ თითქოსდა დამოუკიდებელი ცხოვრება, შეიძლება მათი გამოთიშვა ნაწარმოების მთლიანობიდან. ამით ისინი არაფერს ჰკარგავენ. ამ შემთხვევაშიც ელიოტი უფრო მეტაფიზიკოსებს გვაგონებს. მისი აზრით, საერთოდ, თანამედროვე პოეზიაში, განვითარდა სწორედ ეს ტენდენცია, მოულოდნელი, შეუსაბამო მეტაფორებისა, რომელთა გაგებაც შეიძლება მხოლოდ ქვეცნობიერი ალლოთი:

**ჩვენ ვართ დამარცხებულ გამოქვაბულთა
წამწამები.
(ოლენ ტეიტ)**

მოდერნისტი პოეტის ამგვარი შედარების ცალკე, თავისთავად განხილვა ლოგიკის თვალსაზრისით არაფერს გვეუბნება. ან თუნდაც აპოლინერის შედარება:

**ჩენი ამბავი კეთილშობილურია და
ტრავიული, როგორც ტირანის ნიღაბი.**

აი, რა გზით ხორციელდება ენის დისლოკაცია მნიშვნელობისაგან. ახალი მნიშვნელობის ძიება ძველის სრული იგნორირებით როდი მიმდინარეობს, არამედ თანდათან, მნიშვნელობისათვის მერობადი როლის მინიჭებით. ელიოტს მოჰყავს ეძულ ლაფორგის მაგალითი, რომელსაც განსაკუთრებით ახსიათებდა ამგვარი „დისლოკაციისაკენ“ მიდრეკილება:

**იგი შორსაა, იგი სტირის,
გლოვობს უზარმაზარი ქარი.**

ჭერ კიდევ ოსკარ უაღლი აღნიშნავდა იმ საფრთხეს, რომელიც თან ახლავს ტრივიალური შედარებების ხმარებას პოეზიაში. ეს საფრთხეა ეპიგონობის საფრთხე. თავად უაღლიმა შემოი-

ღო ასლებური ტროპები, რომელნიც განსაკუთრებული სითამამის გამო, ხელოვნურად, არაბუნებრივად ეჩვენებოდათ თავიანთივეებს. ელიოტი ამ შემთხვევაში უფრო მკაცრს მიიღის. აი, მაგალითად, როგორ წარმოთვიდგება მთავარე მის ლექსში „ქარიანი ღამის რაფსოდია“:

**ოთხის ნახევარი,
შოშინებს ქუჩის ფარანი.
ჩურჩულებს ქუჩის ფარანი.
ქუჩის ფარანი ამბობს:
„გახედე მთვარეს
La lune ne garde aucune rancune!
მიმჩრალი თვალების პაჭუნით
უღიმის იგი ჩაბნელებულ შუკებს.
თმაზე ხელს უსვამს მდელოს ეფერება
მთვარეს დაუკარგავს მესხიერება,
ჩუტყავილა მოსდებია ქათათა სახეზე,
ცალი ხელით ფშვინს ქაღალდის ვარდს
რომელსაც ასდის
მტვრისა და eau de cologne-ის სუნი,
იგი მარტოა
ყოველგვარ დამეულ სურნელებათა
პირისპირ
რომელნიც სკულეტენ და სკულეტენ მის
ტვინს.**

აქ არის ერთგვარი გაპიროვნება მთვარისა, რომელიც პოეტის წარმოსახვაში ერთგვარ პარადოქსულ, მაგრამ უადრესად დამაჯერებელ იერს ღებულობს. მთავარია ის მოულოდნელობა, რომელიც ახლავს ამგვარ ტროპებს. ვარდა ამისა, ელიოტის შედარებებში მულამ მოჩანს თანამედროვე ადამიანის თვალი:

**სალამო გაწოლილა ცის ქვეშ,
როგორც ეთერიზებული პაციენტი
მაგიადაზე.**

ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი მომენტი ელიოტის პოეტური ენის ევოლუციისა. აგრეთვე ვცადეთ დავედგინა ელიოტისეული გაგება ტრადიციისა. მაგრამ იმისათვის, რომ განვიხილოთ ელიოტის კავშირი პოეტ-მეტაფიზიკოსებისა და გვიანდელი ფრანგი სიმბოლისტების ტრადიციებთან, საჭიროა თვით ამ პოეტების განხილვა, მათი მსოფლმხედველობის, მათი პოეტური მრწამსის დახასიათება, რამდენადაც მათი პოეტური მეთოდი უადრესად მკიდროდა დაკავშირებული ამ მომენტებთან. საჭიროა დადგინდეს, თუ რა განსხვავებას ხედავდა ელიოტი ინტელექტუალურ პოეტსა და რეფლექტიურ პოეტს შორის. მეტაფიზიკოს პოეტებში იგი ხედავს აზროვნების პროცესის განსკველვას ემოციური პროცესის, აზროვ-

1 მთვარე არავისადმი არ მალავს სიძულვილს.

ნებით ექსტაზს, რომელიც განაპირობებს მათი პოეტური სამყაროს თავისებურებას. ამ მიმართებით მეტაფიზიკური პოეზია განხილული იქნება ჩვენს მიერ შემდგომში. რაც შეეხება ფრანგულ სიმბოლიზმს, ასევე აუცილებელია ბოდლერისა და ფრანგი სიმბოლისტების განხილვა ელიოტთან მიმართებაში. მაინც ძირითადი რამ, რამაც ელიოტი მიიყვანა სიმბოლისტებთან, არის იგივე. რაც მას ანათესავებს მეტაფიზიკოსებთან. კერძოდ, ეს არის „იდეთა გარდაქმნა განცდებად, დაკვირვების ტრანსფორმაცია გონებისმიერ მდგომარეობად (აზრის სინამდვილედ, ზ. გ.)“. ვარდა ამისა, მათ სწევით გაძლიერება მინიშნების როლისა, საგნის არაპირდაპირი დასახელება, არაპირდაპირი ასოციაციები, რითაც ისინი ახერხებენ გრძნობის უფაქიზეი ნაფანების გადმოცემას. მათ ახასიათებთ ბნელი გამოთქმების შეთავსება უბრალო ფრაზებთან, განწყობილებათა უეცარი ურთიერთშენაცვლება: სახუმაროს უეცრად მოსდევს სერიოზული, მაღალი საზოგადოების ქარგონს — ესთეტიური და ა. შ. ეს ყოველივე განსაკუთრებით ახასიათებს ქაულ ლუფორგს, ელიოტის ერთ-ერთ წინამორბედს.

ელიოტის შემოქმედების წინამძღვრებზე, აუბრისას აუცილებელია აგრეთვე განვიხილოთ მისი დამოკიდებულება დანტესთან. მას დანტეში ხიბლავს სადა სტილი, ნათელი ვიზუალური ხატები. გარკვეულობა დიქციისა, ეკონომია სიტყვისა. მართალია, იგი გაფრბის იმის თქმას, რომელი „უფრო დიდია“ — შექსპირი თუ დანტე, მაგრამ აღნიშნავს, რომ მუდამ იხრებოდა ამ უკანასკნელისაკენ, რომელსაც „თუმც ესოდენ ფართოდ არ მოუცავს ადამიანური ცხოვრების ნაირფეროვნება, მაგრამ მაინც ჩასწვდა ადამიანის დაცემის უფრო ღრმა ჭურღმულეებს და ზეადსვლის უფრო მაღალ სფეროებს (ვიდრე შექსპირი)“.

ელიოტის თეორიულ შეხედულებებზე საუბრისას აუცილებელია აგრეთვე გათვალისწინება მისი დამოკიდებულებისა კლასიციზმის ესთეტიკასთან. არამც და არამც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს კლასიციისტი პოეტების შემოქმედებამ მოახდინა რაიმე გავლენა ელიოტზე. საქმე ეხება უფრო თეორიულ შეხედულებათა ფორმირებას, რასაც ჩვენ განვიხილავთ შემდგომში.



პედიკი ზუკაბაშვილი

პერსონოლოგიური პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ილია ჭავჭავაძის ტიტანიური სულისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივი ნიჭიერებანი: იგი არის მგოსანი და პროზაიკოსი, ლინგვისტი და ისტორიკოსი, ფსიქოლოგი და ეთნოფსიქოლოგი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მასწავლებელი და დამრიგებელი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელი, თავისუფლებისა და პატრიოტული სიყვარულის მლადღებელი...

ილია ჭავჭავაძეს აინტერესებდა თავისი ხალხის კულტურული, სოციალური და ეკონომიური ყოფიერების პრობლემები...

საქართველოს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი შემოქმედებითი წამოწყება, რომელსაც არ შეხებოდა დიდი ჰუმანისტის მძლავრი კალამი.

თავის ავტობიოგრაფიული ზასიათის წერილში ილია გვაცნობებს: „ამის გარდა ბევრი წერილია კიდევ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრეთვე წერილები საუბრალო საგნების შესახებ“ (ტომი IX, 1957. გვ. 313).

ილია ჭავჭავაძე გახლავთ ფუძემდებელი თანამედროვე სინთეზური მიმართულებისა, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს მთლიანი ადამიანი (totus homo) და ამით დაამყაროს მტკიცე და მჭიდრო კავშირი მეცნიერებასა და ლიტერატურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის. უფრო მეტიც, ილიას მთელი შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, რომ გადაუდებელი, საჭირო და აუცილებელია სიმბოლური მეცნიერულ ფსიქოლოგიასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის.

ილიას აზრით, თუ პოეტი საქმიანოდ არ ერკვევა მეცნიერების საკითხებში, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ცხოვრების წიგნს. ამასთან ერთად, მეცნიერება და ხელოვნება

მოწოდებულია პასუხი გასცეს ცხოვრების ყოველ საჭირობოროტო საკითხს. მოუესმინოთ აქტორს: „მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღემდე მთელ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვაველი მისი მოპკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან ივინი და რანი არიან, — მეცნიერება და ხელოვნება სხვა და სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“ (ილია ჭავჭავაძე, ტომი III, „სახელგამი“. 1959 წ. გვ. 60). და შემდეგ განაგრძობს: „მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორივე ერთ და იგივეს მსახურებენ“ (იქვე, გვ. 63)... „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარებელ და გამოსადგესა“ (იქვე, გვ. 68).

პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ გენიოსის ცნების ილიასეულ განმარტებას მთლიანად ასახავს მისი პიროვნების ღვაწლსა და მისწრაფებას. ჩვენ ვკითხულობთ: „შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სელაშბ შემოიბღერტავს ხოლმე მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა“ (იქვე, გვ. 57).

მწერლის საზრუნავ საგანს შეადგენს ისტორიისა და სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკისა და პედაგოგიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის და, ამასთან

ერთად, მისი სამშობლოსა და მისი ხალხის კეთილდღეობის პრობლემები.

მთელი მისი მორალური და ფიზიკური არსით ილია ჭავჭავაძე ემსახურებოდა ხალხს, მის ინტერესებს და ამიტომ მოიპოვა დიდი პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული, როგორც **სამშობლოს მამამ.**

მისი მოღვაწეობის სპექტრი გვანცეფრებს სიღრმით, მრავალმხრივობით, სიდიადით და იმსახურებს განსაკუთრებულ შემოქმედებით ყურადღებას პერსონოლოგიის იდეათა შექმნე.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ილია შოთა რუსთაველისეული სულისა და გრძნობის, აზრისა და გონების, სურვილისა და სწრაფვის, მოვლეობისა და შეგნების, გმირობისა და სულგრძელობის, პატრიოტიზმისა და თავდადების, სიყვარულისა და სიმძლავრის, მადანდვიცობისა და დათნაფიცობის აპოლოგეტია. ავტორი გვაფრთხილებს: „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ილია ჭავჭავაძე იძლევა ტირილისა და საერთოდ, ცრემლის პრობლემის არა მარტო ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს, არამედ ცრემლს იგი განიხილავს პერსონოლოგიური სხვადასხვა დონის თვალსაზრისით. „დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს აღენს; დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი — დიმილი; დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუხჯია, უტყუია, და პატარა კი ყბედი და ლაქლაქა“ (იქვე, 172).

პერსონოლოგიურად განსაკუთრებულად საინტერესოა ილიას აზრი ტარიელის სულიერი თვისებების — მისი გულისთქმის შესახებ. ჩვენ ვგებულობთ, რომ გულისთქმის კაცს ძალუქს დაიმორჩილოს ჭკუა და ფონება. პერსონოლოგიური ვიციით, რომ დამორჩილები ასეთი ძალა მხოლოდ მირთვნების ხედრია; ამიტომ შინაარსულად ილიას ცნება გულისთქმის შესახებ გულისხმობს პირთვნების თანამედროვე გაგებას. ავტორი წერს: „კარგს, გონებაშავილს და გამჭრიახს ფსიქოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალდამიერობა ტარიელისა აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ, — პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ტარიელი დიდის გულისთქმის კაცია, იმი-სთანა გულისთქმისა, რომელიც ჭკუას, გონებას მთლად იმორჩილებს, როგორც ზარი, ელდა, მებხ... ეს თვისება გულისთქმისა რუსთაველმა ძლიერ კარგად იცის და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულისთქმას იმორჩილებს და ეურჩება“ (იქვე, გვ. 170).

პირთვნულ პრობლემებს სიმართლისა და ჭეშმარიტების და აგრეთვე პატიოსნებისა და უფლების შესახებ, პოეზიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

გკონის თანახმად, სიცოცხლე ყოველივე უღელზე მძიმე და საშინელია, როდესაც ხშირად ხდება სიმართლის სიტყვის დათრუვნება.

შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვას მართალს გულში ჰკლავს...
აქ, მენდე, ლაზავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.



გკონის მოგვიწოდებს, რომ პატრიოტის ძირითადი მიზანია ემსახუროს სიმართლეს, ჭეშმარიტებას და ამით ხალხის ცხოვრებაში დატოვოს ღრმა კვალი:

დაე თუნდ მოკვდე, არ შეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

ორ სურვილს შორის ბრძოლის პრობლემა, როდესაც ისმება საკითხი: „სამშობლო“ თუ „შვილი“, პოეზიას პატრიოტულ გარდაწყვეტას აღამიანის პიროვნების დონეზე. საბედობრ, აქ პირთვნული ცნება პატრიოტული მოვლეობის შესახებ აძლევს მანდილოსანს შესაძლებლობას დასძლიოს ბიოლოგიურად პირობადებული დედობრივი გრძნობა. ჩვენ ვხედავთ, რომ შვილი დედისათვის დაკარგულია, თუ იგი სამშობლოს ერთგული არ არის, ხოლო დედის არ ჰყვარებია თვისი ძე, თავი იშვილი, თუ იგი მას სამშობლოს მსხვერპლად არ მიუტანს. მიემართოთ მკონისა:

დედათა გული ჩვილი
შამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი მშვილი
თუ მისთვის არ მოკვდება;
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს შამულს სჭირებია,
შვილი, იმ ვაგლახ დედას,
შვილი არ ჰყვარებია.

აქ პატრიოტიზმი განხილულია მაღალ პიროვნულ დონეზე; ხოლო სამშობლოს სიყვარულის წმიდა საქმეში დედაცა და მამაცა აბსოლუტურად თანაბარი არიან.

ილიასათვის ქართველი ერი, ანუ მისი სიტყვებით, რუსთაველის ხალხი უნდა იყოს მთლიანი, შეკრული ერთი აზრითა და გულით... უნდა იყოს, „განუყოფელი ქართული გემარჯვება“. ჩალო „ვინ იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვინ იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი“ (ტომი III, გვ. 76).

პირველ რიგში უნდა დაიცვათ დედაენა,

ავლინი ზურაბაშვილი
პარსონოლოგიური პრობლემა ილია შავშავაძის შემოქმედებაში

ქართული მეტყველება, უნა რუსთაველისა და აქ დაუდევრობა ყოველად დაუშვებელია.

მოუესმინოთ ილიას: „რომ არა გვეყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჭრიგოლ ორბელიანი, კიდეც ჰო, რომ გვეყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ენას. დაუდევრელები ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიდებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე“. (ტომი III, გვ. 15).

ფსიქიკური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია მუდმივ ანალიზთან და დამატულ ორიენტაციასთან, ხშირად უპირისპირდება ინდივიდუალის განწყობას, ტენდენციებს, სურვილებსა და მიზიდულობებს. ამის შედეგად ადამიანის ფსიქიკურ აპარატში წარმოიშევა კონფლიქტურ განცდათა კარკვეული კვანძი, რაც მოითხოვს ლოკიკურ ახსნას. რაც უფრო რთულია სტრუქტურით და ობიექტური სიტუაცია, მით უფრო ღრმად და მწვავედაა წარმოდგენილი კონფლიქტური ბუნების ანტინომური რეაქცია. ამიტომ გამოჩენილ მწერალთა მხატვრულ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული სიმდიდრით წარმოდგენილია ანტინომური ბუნების შეჯახებანი, მსჯელობანი და გადაწყველებანი. ხსენებულ ასპექტში ილია ჭავჭავაძის პოეზია და პროზა მოითხოვს სპეციალურ ფსიქოლოგიურ ანალიზს.

მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშვილი“ ჩვენ ვხვდებით ანტინომური რეაქციის ბრწყინვალე მაგალითს პიროვნების დონეზე. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოროტების დამახსოვრება გმირისათვის არ არის დამახასიათებელი; რომ გმირი უნდა იყოს კეთილშობილი და დიდსულოვანი ყოველგვარ პირობებში, ხოლო შურისძიება და უსიამოვნო აფექტის დახსოვება დაბალ და წვერილად ადამიანთა ხვედრია. მოხუცმა მებრძოლმა ნიკოლოზ გოსტაშვილიმა ჩამოავლო ცხენიდან თავისი მოწინააღმდეგე და მიწაზე დასცა, მაგრამ უშმაღვე ჩამოხტა, მტერი წამოაყენა და უთხრა: ნუ გეშინია, თავს არ მოკვეთავ, ცოდვია შენი სიკვდილი, წადი მშვიდობითო. ჭავჭავაძის გმირის მსგავსად ვაჟა ფშაველას გმირი ალუდა ქეთულაური აგრეთვე განსაკუთრებულ კეთილშობილებას და დიდსულოვნებას იჩენს.

მაღალი ჰუმანიზმი და გულწრფელი კაცობიერება, რაიც ახასიათებს ჭავჭავაძის მოთხრობის გმირ-ქალს ოთარაანთ ქვრივს, ხორციელდება ანტინომური ქარაქტეროლოგიური თვისებების საშუალებებით.

ილია ჭავჭავაძე არის მოქმედების ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენელი მხატვრულ ლიტერატურაში. მისი აზრით, შრომისა და

წესრიგის კატეგორიები უნდა განსაზღვრავდეს და მიმართავდეს ადამიანის სულიერი ცხოვრების მიუღ შეინარსს. ამასთან ერთად, ჩვენი გვესმის, რომ შრომის კატეგორიის შექმნის დეგად ადამიანი შეიძლება დაეშვას ბიოლოგიურ საფეხურამდე.

მოქმედების ფსიქოლოგიის იდეები განსაკუთრებული სიჭაბდით და ლოგიკური სიმტკიცით მოცემულია მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“. ჩვენ აქ ვხვდებით, რომ უსაქმურობა, ფუჭსავეტობა და ლიტონი ჰედონიზმი შესაძლოა გახდეს მიზეზი უგვახო, მოქმედებათა, სურვილთა და საბოლოოდ ადამიანს მიიყვანს კატასტროფამდე, როდესაც ყველაფერი დაღებთი და სუფთა ისპობა.

ილია ჭავჭავაძის თანახმად, უსაქმურობა წარმოდგენს ყველაზე საშინელ და აუტანელ მანკიერებას ცხოვრებაში. პოეტი წერს:

**ყველა გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა
ბედთანა ბრძოლა ვით მემშინება...**

**ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალშიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება.**

შრომა და წესრიგი ქმნის მტკიცე რწმენას მომავლისადმი და ამასთანავე სახავს მდიდარ ოპტიმისტურ მომავლას.

ახალგაზრდობას უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვრებაში მთავარია მოქმედება და მუდმივი წინსვლა. მგოსანი აფრთხილებს ახალგაზრდობას, რომ ბედნიერია ის, ვინც ნაყოფიერად იყენება დროს.

შრომის პრინციპი ერთნაირად ეხება როგორც მამაკაცს, ისე დედაცაც. ოთარაანთ ქვრივი გვეუბნება: „თუ არ გავგონიოთ, ეხლა გავიგონოთ, — ამბობდა ხოლმე. — მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ ვოგიაზედ. თუ იმასა ჰქვინის ბარი და თობი, მე რალა ღვთისაგან შეერისხელი ვარ. რა ვუყუოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაცაიო. მითამ ჩემზედ წინ რით არის. იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და შეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რალა დარღუბალა გადამკიდებია... რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო“.

რკინის ნებელობით შრომისადმი ოთარაანთ ქვრივი ინახავდა თავისი ოჯახისა და თავისი მეთულის სახელსა და პატივს. „კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოედო ეს იარაღი და გულდაღებთ არ გავწმინდა. როცა ამას შეუღლებოდა, გეგონებოდათ ჰლოცულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა. რაც ქმარი მოკვედომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთმობრძავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ

დაწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხერის ღუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოპარეოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულყოფს. გაპტყდა შუაზედ ჩვენის წუთისთფლის უღელციცა, მოაკვდა, ოთარაანთ ქვრივს, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალაღ...“

მითხრობაში „სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძე გვიმტკიცებს, რომ ყოველი ჰუმანიზმი და მასთან ერთად გულთბილი მგრძობიარობა კარგავს თავის მიზანს და დანიშნულებას პიროვნების აქტიური მოქმედების გარეშე.

ავტორის თანახმად, მორალი პოულობს ნამდვილ განხორციელებას მხოლოდ და მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში.

ზოგჯერ მამობრივ ზრუნვასაც აქტიური დახმარების გარეშე შეუძლიან მოპყვეს უარყოფითი შედეგი. ბოროტებისთან და უსამართლობასთან ბრძოლა არ შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ ემოციური თანაგრძობის გზით, აქ საჭიროა აქტიური მოქმედება. პირდაპირ საზოგადოებრივი ბრალდება გვესმის შემდეგ სიტყვებში: „პატარები ვიყავით, ყველა ხელდავდა—რომ თვალნათლივ გამარცხავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“. და შემდეგ: „განა შენ კი ამხანავი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა. განა შენც კი არ დაიბრუნე ერთადერთი ძმა. განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე, „შეილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დასახა. — მე რა შუაში ვარო. — დაიძახა კნესით დ თრთოღვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა. მართლად ჩემი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს“.

საკითხი სულისა და ხორცის ურთიერთკავშირის შესახებ წარმოადგენს პერსონოლოგიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას. პიროვნება მოწოდებულია მიმართოს და გარკვეული კორექცია გაუწიოს ინსტინქტებს და მიზიდულებებს.

რით შეიძლება დასრულდეს ალტერნატიული ბრძოლა ორ საწყის შორის: ფსიქიკურსა (პიროვნულს) და ბიოლოგიურს (ინსტინქტურა მიზიდულებანი) შორის?

ეს განსაკუთრებულად რთული, მძიმე და მასთან ერთად მნიშვნელოვანი პრობლემა გენიალურად არის გაშუქებული ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდეგილი“.

ავტორის ნათლად აქვს წარმოდგენილი პიროვნული კონტროლის საზღვრები და შესაძლებლობანი. იგი გვაფრთხილებს, რომ გული თავისებური და იდუმალი რეაქციების მქონეა; რომ გულისათვის სიტყვა ზოგჯერ წარსული თოვლის მსგავსია.

პოემა „განდეგილი“ წარმოდგენილია სიტუაცია, როდესაც ინდივიდუუმის ფსიქიკამ, სიტყვამ და მორალურმა განწყობამ შექმნა დაძლიოს ფიზიოლოგიური საწყისი მდგომარეობა ასეთი დასკვნისათვის ყველა პირობა მოცემული. როგორც ვიცით, ამ სოფლისაგან წასული ბერი დასახლდა შორს საღდაც მთებში. ავტორი მიუთითებს:

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.

და შემდეგ:

სულით გაწმენდილ და განბანილი.
დღედა-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმენდილი
ცრმლით ურეცხავს უსოვლებია.

ამნიარად, შექმნილია პირობები, რომელთაც შეეძლოთ ბერის აბსოლუტური გარანტია ყოველგვარ შემთხვევითობისაგან, ხორციელი სურვილებისა და მაცთურობისაგან.

მაგრამ შემთხვევითმა გარემომებამ შექმნა ახალი ვითარება: ბერთან გამოქვამულში ხედება ლამაზი მწევესი ქალი.

ეს მოულოდნელი სტუმარი აღმოჩნდა მშვენიერების განსახიერება, რომელსაც შეეძლო გაშმაგებული მხეცის დაოკება-დაწყყნარება. ავტორი წერს:

ყოვლად ძლიერი მშვენიერება.
თქმულა, მხეციც კი გააფრთხილები
მის წინ დატკებდა და დაწყყნარებდა.

პოემა გვაუწყებს, რომ ასეთი სილამაზის წინაშე არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეეძლო თავის შეკავება:

ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღმილით.
იმა ღმილის გრძნულივით ჯაღო.
ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურობასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...

ვერ გაუძლო აგრეთვე მწირმაც:

და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ემა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა...
ნუთუ იძლია. არა და არა!
მის სასოება არ დაუძლურდეს

ავლინი ზურაბაშვილი

პერსონოლოგიური პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს...
არა და არა... არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალეხს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით
ძლიელს.

ვხვდებით მოულოდნელობას: ბერი და-
მარცხდა, ხორციელმა საწყისმა გაიძარცვა. ამ-
ნაირად, ინსტინქტური მიზიდულობა დაუძლე-
ველი შეიქმნა.

შეეძლო თუ არა ილია ჭავეჭავაძეს ასეთი
დასკვნის გამოტანა, რომ პიროვნება მარცხ-
დება ინსტინქტით; რომ ხორციელი თუ ფიზი-
კური ძლიერია პიროვნებაზე?

რასაკვირველია, არა. ამ პოემაში ლოგიკურ-
ი სიმტკიცით ნაჩვენებია, რომ პიროვნული
კატეგორიები მოვალეობის, სინდისის და მო-
რალის შესახებ კარგავს თავის მნიშვნელო-
ბას და დანიშნულებას თუ ადამიანი არ არის
ექტიურად მოქმედი და მოწყვეტილია შრო-
მას, გარჯას.

ხალხისაგან სასარგებლო შრომითი მოქმე-
დებისაგან განსვლა ყოველთვის მთავრდება
დამარცხებით; ამით აიხსნება ბერი-განდებე-
ლის სამწუხარო დასასრული.

მაღალი სურვილი და სულიერი სწრაფვა
უსარგებლოა შრომითი კავშირების გარეშე.
პიროვნების სამსახური ყოველთვის დაკავში-
რებულია რეალურ ცხოვრებასთან და სიყვით-
მელავენდება მხოლოდ მოქმედებაში.

ამით ილია ჭავეჭავაძემ გენიალურად განს-
ჭვრიტა თანამედროვე შრომათერაპიის თეო-
რიული საფუძვლები.

ილია ჭავეჭავაძემ მოქმედების ფსიქოლოგიის
ბრწყინვალე წარმომადგენელია და ამიტომ მის
შემოქმედებაში ყველგან და ყოველთვის გან-
საკუთრებულია ყურადღება აქვს დათმობილი
გარჯა-შრომას.

მისი აზრი გარჯისა და სინდისის ოფლის შე-
სახებ წარმოდგენს შრომის ჰიმნს, რომელიც
არის არა მარტო მოწოდება, არამედ მოქმე-
დების პროგრამა კაცური კაცის დანიშნულე-
ბისა. მოუესმინოთ ავტორს: „ვაყვაცობა უნდა
შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტ-
ყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჩება და
ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრ-
თხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს...
ხმლით მოსულმა ვერა დაგვაყო-რა, —
შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით
მოსული — კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშდამ
მიწას გამოვავალის, სახელს გაგვიქრობს, გაგ-
ვიწყებდა, სახსენებელი ქართველისა ამოიკვე-
თება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც
უპატრონო საყდარს, სხვანი დაუპატრონებ-
ან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ეე-
რავინ-ლა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა,

ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ... წინ არ
დავახედებრებ, წინ არ დაუყუენეთ... ცხლაც
ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი აუკუღმყოფე
ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი...
ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა-პატიო-
სანი, ნამუსიანი, და ისეთივე თავმოსაწონებე-
ლი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა
და ხმლის ომი იყო. ვაყვაცობა ამისთანა ომში
ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაყვაცობა-
ზე. ვაყვაც გულადზე მშრომელი სამის გაფ-
რენით მეტიაო, იტყოდა გლეხკაცი“ (ტომი V,
გვ. 13).

ილია ჭავეჭავაძის სიტყვები ილია ოქრო-
მედლიშვილის ღვაწლის შესახებ შეადგენს
თანამედროვე პერსონოლოგიის წამყვან იდეას.
ოქრომედლიშვილს თამამად შეუძლო ეთქვა:
„ჩემის მხნეობით ვძლიე წყალსაც, ცეცხლსაც,
ნიღვარსაც, არაფერს შეუუშინდი, არაფერს
გავექმეცი, საქმე საქმეზე მივიყვანე და ჩემი
გავიტანეო. გაიტანა და მერე როგორ. არა მდა-
ბალი ჩავკრით, მტაცებლობით და ხევეით. საქ-
მიანი კაცობაც ეს არის. გამარჯვალე და მშრო-
მელი ამისთანა მხნე კაცს ეთქმის“ (ტომი IV,
1955 წ. გვ. 260). ჭავეჭავაძის შემოქმედებაში
შრომის, ანუ გარჯის გრძნობა გაშუქებულია
მალალ პერსონოლოგიურ დონეზე და იგი შე-
ფასებული უნდა იყოს, როგორც პიროვნული
ბუნების განცდა, ესე იგი, ინტელექტუალური
გრძნობა.

განსაკუთრებულად საინტერესოა ის გარე-
მობა, რომ ორი სახის ინტელექტუალური
გრძნობა-გარჯა და პატრიოტიზმი — მოცემუ-
ლია ერთი მთლიანი პიროვნული კატეგორიის
სახით, ილიას აზრით, გარჯა და პატრიოტიზმი
ურთიერთშერწყმული, ურთიერთგანუყოფ-
ბელი და ურთიერთგანმსაზღვრელი ფსიქოლო-
გიური ცნებებია. იგი წერს: „თვითულის
ჩვენგანის გული ერთს გრძნობაზედ არის ასხ-
მული და ეგ გრძნობა ის პატივისცემაა, რო-
მელსაც ყოველი მამულისშვილი გულში უნდა
მოიწიებით იმხანადეს და სამართლიანად შეს-
წირავდეს ქვეყნისათვის გამარჯვლსა და მოამა-
გესა“ (ტომი IX; 1957 წ.; გვ. 259).

თანამედროვე პერსონოლოგიაში ცენტრ-
ლური ადგილი უკავია დენოტოლოგიას, ესე
იგი, მოძღვრებას სინდისის სიფაქიზისა და სა-
ერთოდ ადამიანის ზნეობრივი შინაარსის შე-
სახებ. ხსენებული პრობლემა განსაკუთრებუ-
ლად აქტუალურია მეოცე საუკუნის მესამე
მეოთხედის მიწურვისას, როდესაც ტექნიკურმა
აზროვნებამ და კიბერნეტიკულმა მანქანებმა
თითქმის დათრგუნა ადამიანის სულიერი სით-
ბა. მისი გრძნობა და გულისტქმა, ხოლო ორი
მსოფლიო ომის შედეგად მოხდა ესოდენ ღრმა
ფსიქოლოგიური კატაკლიზმები, რომ შეირყა
ტრადიციული წარმოდგენები ადამიანის სი-
ცოცხლის მიზნის, აზრის, მნიშვნელობისა და

დანიშნულების შესახებ. ამიტომ დეონტოლოგიის მნიშვნელობა დღეს საყოველთაოდ აღიარებულია.

ეროვნული სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ დეონტოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია, იგი ეხება და ჭკორენად წყვეტს ზოგადსოციალოგიურ, მსოფლიო მნიშვნელობის საკითხს. ავტორი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება და ურყევი ლოგიკით გვიხატავს კაცური კაცის მდიდარი, ნათელი და მაღალი პიროვნების სურათს.

ჭკრ ისევ რუსთაველის დროიდან, და კიდევ უფრო ძველად, მომავალმა დეონტოლოგიურმა იდეებმა შეინახა ქართველი კაცის პატრიოტული სული, მისი გულადი ვაჟკაცობა, სინდისის ოფლის პატივისცემა და შეუდარებელი კეთილშობილება. ხოლო ეს იდეები ილიამ გააღვივა, განამტკიცა და აუცილებლობის სამართის შემკული მოგვარადა მუდმივ სახელმძღვანელოდ.

ილია გვასწავლის, რომ მთავარია კაცური ხასიათი, ესე იგი, ადამიანის პიროვნების დონე და მისწრაფება და არა ცენზი თუ სახელმწიფოებრივი საშობი. იგი წერს: „არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა. და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა სრულნი. მძლედ მობურთაღნი ქვეყნიერობის მოედანზედ მართო დიდ ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მართო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულთა, დიდ-ხასიათთა, იმისდა მიუხედავად. — ტრიალო ემარჯვათ, თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც — კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიანი კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა; ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ“ (ტომი IX; 1955; გვ. 223).

ყოველი ადამიანი ვალდებულია იფიქროს თავის კაცობაზე, გაამართლოს თავისი არსებობა — ეგზისტენცია. ამიტომ ილიას თანახმად, „აქედან დიდი სახტომი არ არის იქამდე, რომ კაცმა თვლი შიგნით ჩაიბრუნოს და თავის ვულში დაიწყოს იმის ბასუსხის ძებნა თუ, — რისთვისა ვარ. რა გამიკეთებია. რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა. დიხ, ამისთანა ვაგალითი მოგვიკლენს ხოლმე თავის-თავის განკითხვის დღესა, გვწერთნის, გვასწავლის და გვზრდის (ტომი IV; გვ. 230). „ხოლო მართალიც არის. კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა: თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ“ (იქვე, გვ. 299კ).

მსგავსად ივანე ტურგენევისა ილია მართა-

ლი გულის თქმას ჭეშმარიტებაზე მიდრეკილებს. აი რას წერს იგი დიმიტრი ყიფიანის შესახებ: „ერთმა ჩვენმა მეგობარმა ვიფიქრეთ: „იგი იყო კაციო, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“; ძნელია უყეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა; დიხ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი; იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა სთქვა, როცა გული „არას“ ამბობს. „მართალიო, — ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, — ის კი არ არის, რომ კაცმა სთქვას, რაც ჭეშმარიტია, არამედ ისა, რასაც ვფიქრობთ და რაც გულში გვაქვსო“ (იქვე, გვ. 222).

ილიას თანახმად, კაცი მართო თავის თავზედ არ უნდა ზრუნავდეს. მისი წმიდა მოველობა სხვაზე ფიქრია და იგი ვალდებულია გამოეხმაუროს, გამოესარჩლოს სხვას, როცა ხედავს უსამართლობას. „ერთხელ და ორჯერ არ შეგვხვედრია, რომ კაცი კაცს უსაბუთოდ ჰქადავდეს და ლაფში სვრიდეს და როცა გამოსარჩლება ვინმე, უყითხავთ: „შენი რა არისო“ — ჩემი რა უნდა იყოს, არც კი ვიცნობო. — „თუ არ იცნობ, შენ სხვისთვის რად იქაუბნობო“. — „იმიტომაც, რომ ისიც კაცია და უსაბუთოდ შებლაღვა კაცის ნამუსისა უნამუსად, და თუ დღეს ის ამოგლიან ნიშანში, ვინ გვითავედებებს, რომ ხელო სხვას ვისმე მავ დღესვე არ დააყენებსო“ (ტომი VIII, გვ. 262).

ყველაზე საშინელებაა უგვანობა, როდესაც ადამიანი ზნეობრივად შიშვლდება, კარგავს ნამუსს და ეცილობს არაკაცური გზით უღლის გავიდეს. ცილობს დააკამყოფილოს მხოლოდ თავისი ბინძური ზრახვები, გადაწყვეტილებანი და ადამიანს გასრესს, ვით ჭიანჭველას. უწმინდური იარაღის ხმარება უნდა ამოიწვას, დიშანთოს, დაიდლოს... მოვუსმინოთ ილიას: „პატიოსანს, ნამუსიანს კაცს ხელთა აქვს მარტო პატიოსანი და ნამუსიანი სახსარი მტრის მოგერიებისა და გაძლიოსათვის. თუ არ ამისთანა სახსარს, იგი ხელს არა ჰკიდებს, თუ არ ამისთანა იარაღს, იგი სხვას არას ჰკადრულობს, და ამის გამო უფრო ჭრჩიებს დამარცხებულ იქნება უნამუსო მტრისაგან, ვიდრე უწმინდურის იარაღით ეჭიდოს და გაიმარჯვოს, ურცხვს და უნამუსო კაცს — კი ამისი დარდი არა აქვს: ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველგვარს სძაგლობას ჰკადრულობს, ყოველგვარს უკადრის იარაღს ხელსა ჰკიდებს“ (ტომი VIII; გვ. 22). და იქვე: „სამარცხენო გამარჯვებას ისევ პატიოსანი დამარცხება სჯობია, როგორც ნამახს სიკიცხლეს — სახელოვანი სიკვდილი“ (იქვე, გვ. 22).

ამასთან ერთად, გულითადი აზრი ის არის,

პვლინი ზურაბაშვილი
პერსონოლოგიური პროგნოზები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს.

ზნეობრივი სიფაქიზე განსაკუთრებულად მოთხოვება ლიტერატურას, ხოლო მორალურ განზრახვას უსაზღვროა „როცა ლიტერატურა — ეგ ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საგანზე, — შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მამულარს თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების განზრახვება ცხადია და სულთ-მობრძაობა მისის წყობისა შემკველია“ (ტომი VIII; გვ. 8).

გრძობუნდებით, რომ ნამუსის შებლაღვა, ნამუსის ახდა, კაცის სახელის ვატეხვა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ აქ ბრძოლაში ლიტერატურამ არაფერს არ უნდა დაუთმოს ერთის იოტის ოდენაც.

ილია აგვიწერს უკვანო შემთხვევას, უსაზღვრო „დოსტოვეშჩინას“, როდესაც „კაცმა სინდისიც უნდა დაივიწყოს, ნამუსიც უნდა მჭვარში გამოჰკრას, პატიოსნებაცა ჰგმოს, ერთის სიტყვით, ყოველს ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას უნდა გადაუღვდეს“ (იქვე, გვ. 20).

ილია გენიალური ფსიქოლოგიური დაკვირვებით გადმოგვცემს ვითარებას, რომელიც უნდა შეფასდეს, შექსპირის გვირის ჰამლეტის სიტყვებით რომ ვიხმაროთ, როგორც „დროის ღრძობა-ამოვარდნა“.

მორალური მარაზში, ესე იგი, „დროის ამოვარდნილობა“. უსაზღვრო კატასტროფა. აქ ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით: ეუღლი მაგალითი საქირაა გაიკიცხოს, ხოლო კარგი მაგალითები გამარავლდეს, რათა საზოგადოებას ჰქონდეს მორალური საყრდენი, სინდისის საბჯენი.

ილიას დეონტოლოგიური იდეები შეიძლება შევამოვდეს მის მიერვე მოწოდებული ფორმულით: „არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უღვეს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც ვინდა იყოს“ (ტომი IX, გვ. 304). აღნიშნული ერთნაირად სავალდებულო ზნეობრივი კანონი დაფუძნებულია პერსონოლოგიურ კატეგორიებზე.

ილიას თანახმად, ცხოვრების მოდუსს და, ამასთან ერთად, ზნეობრივ კანონს ჰქმნის ხალხი. მას სწამს და უყვარს ხალხი, ოპტიმისტურად სჯერა ხალხის და აქვს მისი იმედი. ავტორის რწმენით, ხალხი წყაროა სულიერი საუნ-

ჯისა: მიმართეთ ხალხს, ისწავლეთ მათგან, იცოდეთ, სულიერი სალარო ხალხისგან გვაფრთხილებს: „ჰკუა, რომ დაიკარგოს, მთაში მონახეთ. არა, ჰკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახათ. სულიერს განძს კაცობრიობისას აქა აქვს თავისი სალარო და ლოდო-კაც — ეს უყუთსი ნიჭი ადამიანისა, — აქა. ჰპოულობს თავის სადგურსა“ (ტომი VIII, გვ. 272).

დღეს კულტურის ყოველ უბანზე წამოჭრილია მეტად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პრობლემა, რომ ძიების სინთეზურმა კვლევამ უნდა დაფაროს ვიწრო ანალიზური ხასიათის მიმართულბანს. საქირო ხდება ადამიანის შესწავლა მთლიანობის ასპექტში.

ხსენებული გზა-წესის აუცილებლობა და პერსპექტიულობა ილიამ გენიალურად განსკვრიტა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. უფრო მეტიც, პიროვნების მთლიანობის პრობლემას, იგი ანზოგადოებს და მსჯელობს, ხალხის, ერის მთლიანობის ერთგულ მნიშვნელობაზე. ხოლო ერის მთლიანობის მძლავრ და უტყუარ დუღაბს წარმოადგენს მისი ისტორია. წარსულის შემოქმედებითი ტრადიციები აწმყოსი და მყობადის მტკიცე საფუძველია. ილია წერს: „ყოველი ერთი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანზე, საცა ერთი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობის და ვონების აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“ (ტომი IV, გვ. 9). მთლიანად პიროვნულად მტკიცე ადამიანს მუდამ სწამს თავისი ჩანაფიქრი; იგი არ უშინდება არც კიცხვას, არც ლანძღვას, არც მტქარს და თავისი სიმართლით ჩადის საფლავში.

ილია ჰავეკაჰაის პერსონოლოგიური იდეები წარმოადგენს მნიშვნელოვან მეცნიერულ განძს ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიისათვის. ჩვენ ვეცნობით მომქმედი პიროვნების სულიერ სამყაროს, ადამიანის მნიშვნელობასა და დანიშნულებას. ჩვენ ვეცნობთ კაცური კაცის ფაქიზ სულიერ საუნჯეს... ჩვენ ვიგებთ, რომ უკვანო ადამიანის სულიერი სიბინძურე დიდო „შმაგანი სატყვარია, სანაღვლელოა“.



წიგნი დელაენის წარსულზე

ყოველი კონკრეტული ენა უფართოეს განმთხავებს მოვლადებს, სადაც დაცულია ერის სულიერი კულტურა — მისი უხილავი საფუძველი. ამ გავებით, ენა არა მარტო საერთოეო და საზრუნო საშუალებაა ცალკეულ თაობათა ზღვებში, იგი იმედრთულად ამ თაობათა დამაკავშირებელი და მათი ცხოვრების ამსახველიც არის. მასში ცხოვრობს არის აღბეჭდილი საუკუნეთა კვალი, იგრძნობა გარდასულ ეპოქათა შიშისცემა და გამოსკვივის წინაპართა ყოფიერების ყოველი მხარე. ამის გამო ენა მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის წარსულზე, როგორც მისი ცოცხალი მოწმე და ეპოქის ზუსტი შრიტხველი. ამის საფუძველზეა, რომ საკაცობრიო კულტურის უძველესი საფუძვლების შესასწავლად ისტორიის მეცნიერება ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ენას მიიჩნევს.

თავისი შინაგანი შესაძლებლობითა და განსაკუთრებით ლექსიკური ფონდით ენა უფრო მეტად მდიდარებული და სარწმუნო მაცნეა წინარე ისტორიული ცხოვრების, ვიდრე თუნდაც ყველაზე უძველესი ნივთიერი ნაშთების ზანსმოკიდებული კედლები, ზღუდე-ქვაბ-კარნი, ციხე-კოშკები, თუ საკულტო ნაგებობანი.

ამა თუ იმ ენის სტრუქტურულ გარსში, თუ მას ღირსეულად შევისწავლით, მეტ-ნაკლებად შეინიკნება ერის ხასიათი, მისი ბუნება, მისი ცხოვრების გზა, ერისა, რომელმაც შექმნა, განავითარა და ჩამოქნა-ჩამოაყალიბა თავისი მსოფლმხედველობა და რწმენა, ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, შთაბერა ეროვნული სული.

ქართული ენა ამ მხრივ ენათა შორის უძვირფასესია, რამდენადაც მისი საწყისები საკაცობრიო კულტურის გარიჟრაჟს სწვდება, მისი სიღრმეში ბევრი რამის ამოცნობას ახერხებენ მეცნიერები არა მარტო მისი შემქმნელი ქართველი ერის წინარე ისტორიული თუ ისტორიული პერიოდების შესასწავლად, არამედ ოდესღაც მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ძველი აღმოსავლეთის ხალხების გასაცნობადაც (აქუმერები, ელამიტები, ხეთები, ურარტუელე-

ბი, ქალდეელები, ჰურიტები და სხვ.), რომელთა მალალ კულტურას ლერსმული წარწერებით ვიცნობთ.

დიდია ქართული ენის ისტორიულ-კულტურული და სამეცნიერო მნიშვნელობა, ამ თვალსაზრისით, ქართულის პროფილი, შეიძლება იიქვას, მსოფლიური ხასიათისაა. მის შეუსწავლელად შეუძლებელია გადაწყდეს წინა აზრისა და შუამდინარეთის ქვეყნების უძველესი ისტორიის პრობლემები.

თუ რაოდენ დიდია ქართულ-ქართველური ენებისა და მათი კოლოების ზედმოწეებით შესწავლის მნიშვნელობა თვით ქართველი ერის ისტორიის საკითხთა რკვევისას, ეს კარგად ჩანს სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიებიდან. მკვლევარმა თავის უუნდამენტურ საისტორიო გამოკვლევებს წინ წარუმდებარა ჩვენი ენისა და კოლოების მიმოხილვა, მანვე სპეციალური ნაშრომი უძღვნა ქართველური და კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის პრობლემას, ხილო ქართველთა წარმართობის ხასიათი და რაობა ძირითადად ენობრივი ფაქტების ანალიზით გააშუქა.

ამის შემდეგ ბუნებრივად გვეჩვენება ნ. მარის შეხედულება ჩვენი ენის შესახებ: ახასიათებს რა ქართული ენის მკვეთრ გამომხატველობითს ძალას, მეცნიერი ასკენის, რომ „შინაგანი თვისებებით იგი (ქართული ენა, ი. მ.) მსოფლიო ენაა“.

ეს სიტყვები ეპიგრაფად უძღვის შოთა ძიძიგურის წიგნს, რომელსაც „ქართული ენის თავდადასავალი“ ეწოდება (გამოსცა „ნაკადულმა“ 1969 წლის ბოლოს) და რომლის მიზანს შეადგენს მოკლედ გააცნოს მკითხველს ჩვენი ენის შესწავლის დიდი მეცნიერულ-თეორიული მნიშვნელობა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ისტორიისათვის, გვიჩვენოს მისი ფესვები ქართველი ხალხის წარმოშობის პროცესთან მქიდრო კავშირში და განსაზღვროს ის ადგილი, რაც მეცნიერთა დასკვნით, უჭირავს ქართულ ენას მსოფლიო ენათა სისტემაში. წიგნში დახასია-

ათებულია აგრეთვე კონტაქტები, რომლებიც ჰქონდა ქართულ ენას მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს თუ შემდეგდროინდელ ხალხთა ენებთან და მოცემულია ჩვენი ენის შესწავლის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

ამ საკითხთა თანამიმდევრობის მიხედვით წიგნი თავებდა არის დაყოფილი.

ჩვენ შევეცდებით გავაცნოთ ჰეთხველს საყოვალდებო მომენტები შოთა ძიძიგურის წიგნის ცალკეული თავებიდან.

ამთავითვე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ქართული ხალხისა და მასთან დაკავშირებით ქართული ენის წარმოშობაზე მსჯელობა შეიძლება იყოს მხოლოდ მიახლოებითი და ზოგადი ხასიათისა. იგი ვერ გაცხადდება საერთო მოსაზრებებსა და მეცნიერულად დასაბუთებულ ვარაუდებს, რომელთა ქრონოლოგიური მიჯნები საუკუნეებისა და ათასწლეულების ფარგლებში ცვალებადობს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი ხალხისა და ენის დასაბამი ადრეანტიკური ხანის სიღრმეებში ივარდება, სადაც წერილობითი წყაროების შუქი ვერ სწვდება და მკვლევართ მხოლოდ ლინგვისტური ან არქეოლოგიური მონაცემები მოეპოვებათ ხელთ მათთვის საინტერესო პრობლემის გადასაწყვეტად.

წიგნის ავტორის დაწვრილებით შეუსწავლია ამ მიმართულებით არსებული კონცეფციები, რომლებსაც მოკლედ მიმოიხილავს და გვაცნობს მათგან გამომდინარე დასკვნებს:

ქართველთა ტომების არსებობას მეცნიერება ფაქტად ცნობს ჩვენი წელთაღრიცხვამდე 11 ათასწლეულის დამდეგიდან (გვიანბრინჯაოს ხანა), „ქართველები ამიერკავკასიის, კერძოდ, დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და სამხრეთ-დასავლეთითაც საკმაო მანძილზე იყვნენ გავრცელებული დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, აქ ისინი ენობრივად იყვნენ ხური-ურარტულ და ხეთურ-ლუვიურ ტომებს (გვ. 34).

მკვლევარმა ვერაუდით, ძველ-აღმოსავლურ ლიტერატურულ წარწერებსა და ელინურ-რომულ წყაროებში მოხსენიებული პენიონები, იგივე სანიგები (სვანები), კოლხები, მუშქები (მუსკეები, მოსხები, მესხები), კარდუხები (კარდუ, ქართუ, ქართვენი), ხალდები, იგივე ხალიბები, ბიბლიური თუბალები, იბერები, იგივე სასპერები, ტაბალები და სვანის ის ეთნიკური ჯგუფები იყვნენ, რომლებიც მოსახლეობდნენ რა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გაყოლებულ ზონაში, ჯერ კიდევ სუსტად დიდფრენციკრებულნი, წარმოდგენილნი იყვნენ კოლხეთისა და იბერიის სამეფოების სახით. ამის მიხედვით ვარაუდობენ, რომ ამ სატომო გაერთიანებებს ენაც დაუნაწევრებელი ჰქონდათ, რომ მათ საერთო ენაში მხოლოდ

დიალექტური განშტოებანი თუ შენდნენ, რადგან, ეს იყო წინარე ქართულ-ზანური ენა (ბრეგენა), რომლის წიაღში ძველი წელთაღრიცხვით 11 საუკუნის ბოლოდან იწყებანობრივი ერთობის დაშლა, „დასაბამი ეძლევა ქართველისა და ზანების (მეგრულ-ქანების) ენობრივი განცალკევების პროცესს“ (გვ. 32).

ქართველური დიალექტების ცალკეულ ენობრივ ერთეულად ჩამოყალიბებას, როგორც ფიქრობენ, საფუძვლად უნდა დასდებოდა ამიერკავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთში კიმერიელებისა და სკითების შემოჭრა, რამაც ბოლო მოუღო საერთო ქართულ ეროვნულ კონსოლიდაციას და ხელი შეუწყო ტომობრივ გათიშვას, ეთნიკურ პარტიკულარიზმს.

უფრო ადრინდელ ხანაში (ქეოთხე ათასწლეულში), როგორც ეს აკად. ს. ჯანაშიას ეთნოგენეზისის სქემით არის ნაგარაუდები, აზიასა და სამხრეთ-ევროპაშიც მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. მათ შორის ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები, ამ უკანასკნელთა აქტიურ ძალას თუბალები და მესხები წარმოადგენდნენ. IX-VIII საუკუნეებში (ძვ. წ.) ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ურარტუს ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, მაგრამ გამუდმებული ომების შედეგად ურარტუ დასუსტდა და განადგურდა. მას შემდეგ, რაც ვანის ტბის რაიონში მოისპო ურარტუს გაერთიანების ცენტრი, სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ ჩრდილოეთით ვადმოინაცვლა და კასპიისა და შავ ზღვას შორის ორი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა — იბერია და კოლხეთი, პირველში ქართველის ენა იყო აღიარებული, მეორეში კი კოლხური (მეგრულ-ქანური) და სვანური, მას შემდეგ, რაც ძირითადი ქართველური ტომები—ქართველი, მეგრულ-ქანები და სვანები ეპრობორო-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის საფუძველზე მეტიკეთ ერთიანობაში აღმოჩნდნენ, ეს ერთიანობა ენობრივ ერთობაშიც გამოიხატა — ერთ მიწა-წყალზე მცხოვრები ხსენებული ტომები იბერიის (ქართლის) ირგვლივ შეკავშირდნენ და მათს საერთო სამწიფოებო ენას ქართველის (იბერების) მეტყველება დაეღო საფუძვლად. ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებული ეს ენა, ქართულად წოდებული, მთელი ქართველობის ეროვნულ-კულტურულ დედადად, მის შემკავებშირებად, „დედაენად“ იქცა.

„ქართული ენა ქართველი ერის ისტორიული განვითარების ყველაზე დიდი მონაპოვარია“ (გვ. 5). იგი ეპოქების მანძილზე ერის კულტურულ წინსვლასთან ერთად ივსებოდა, იხვეწებოდა და მდიდრდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეიქმნა ქართული ანბანი და ქართულმა ზემოქმედებამ სიტყვამ წერილობითი სახითაც გაიყავა გზა მსოფლიო ცივილიზაციის ასპარეზზე.

მოღწეული წერილობითი ძეგლების (წარ-

წერებს) მიხედვით ქართული დამწერლობის სათავედ ახ. წელთაღრიცხვის V საუკუნის ბოლო უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მრავალი უტყუარი ნიშანი თუ მოსაზრება გვარწმუნებს, რომ ქართველებს ამაზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ საკუთარი ანბანი და მწიგნობრობა. სხვა სარწმუნო საბუთებთან ერთად, ამის მაჩვენებელია ქართულ პალეოგრაფიულ ტერმინებში ჩაქსოვილი სემანტიკური ჩვენებანი, როგორცაა „კითხვა“; (ე. ი. კითხვის დასმა ნიშნის ამოსაცნობად), „წერა“ (რაც ნიშნავდა საგნის ზედაპირის ჩამოჭრა-ჩაყვათას, ამოაწურას). სხვათა შორის, ამავე ტერმინით დღესაც აღინიშნება ხვნა, თხრა (შეად. წერაქვი, აგრეთვე კაწწრა ანუ წერა-კავა, რაც ხეცურეთში კვიან სახვნელს ნიშნავს და სხვ.), წერტილი (ნაჩხლეტი) და ა. შ.

ეს ტერმინები წერის იმ უძველეს ტექნიკაზე მიგვანიშნებენ, რაც ლურსმული დამწერლობისათვის იყო დამახასიათებელი.

მეცნიერებაში დასაბუთებულია აზრი, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული ანბანი ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში უნდა წარმოშობილიყო.

სალიტერატურო ქართულის ძველი და ახალი საფეხრები გრამატიკული აგებულებითა და ლექსიკური შემადგენლობით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ე. ი. ქართული ენა დროთა მანძილზე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ჩვენი ენის ეს კონსერვატივობა (თავშენახულობა) მრავალი მიზეზით აიხსნება. სარეცენზიო წიგნში ვეცნობით ამ მიზეზებს, რომლებიც გამოჩენილი ენათმეცნიერის გ. ახვლედიანის მიერ არის ჩამოყალიბებული.

მდიდარი მწერლობაა შექმნილი ძველ ქართულ ენაზე. მათი შესწავლით მეცნიერები ხშირად ახალ ფურცლებს შლის სხვა ცივილიზებულ ენათა ლიტერატურის მატანიდანაც, რადგან ჩვენ ძველ მწერლებს ქართულად ბერძნულიდან, არაბულიდან, სირიულიდან, სპარსულიდან და სომხურიდან ისეთი თხზულებებიც უთარგმნიათ, რომელთა დედნები ხსენებულ ენაზე არ შემონახულა. X-XII საუკუნეებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ინტენსიურად გაჩაღებულმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ ახალი ძალა შეჰმატა სალიტერატურო ქართულს, გააფართოვა მისი ფარგლები და განამტკიცა. ჩვენ გვაოცებს კლასიკური ქართულის სიმტკიცე, მოქნილობა და სისხლსავსეობა.

მდიდრად არის წარმოდგენილი ქართული ენა ძველი და ახალი საუკუნეების მწერალთა სასულიერო თუ საერო ორიგინალურ ნაწარმოებებში. მათ შორის ბრწყინავს უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ შ. რუსთაველისა, რომელიც ქართული ენის ნამდვილი ოლიმპიური ზეიმია.

დღეს ქართული ენა არანახული აღმავლობის გზაზე დგას. იგი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა,

მის ღირსებას, სიწმინდესა და ეროვნულ ინტეგრაციას თავისუფალი ქართველი ერი, როგორც დიდი საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი მწველი წევრი, რომელიც მშობლიურ ენაზე ქმნის და ავითარებს თავის ნაციონალურ კულტურას.

თავის არსებობის გრძელ მანძილზე ქართულ მსოფლიოს მრავალ ენასთან ჰქონია შეხვედრა, რასაც თავისი კვალი აღუბეჭდავს მის ლექსიკურ ფენებში.

საერთოდ, ენათა კონტაქტებს სახელმწიფოთა, ერთა და ხალხთა თანაცხოვრება, მათი ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთკავშირი წარმოშობს. საქართველო ამ მხრივ ყველთვის ინტენსიური შეხების ცენტრში იყო. მის ორბიტში ხალხთა და ტომთა სიმრავლე ტრიალებდა.

შ. ძიძიგურის წიგნში მოკლედ დახასიათებულია ის კონტაქტები, რომლებიც ქართულს ჰქონია სხვა ენებთან. აქ პირველ ყოვლისა, მითითებულია იმ ფაქტზე, რომ ქართული ენა თავის წიაღში ინახავს მცირე აზიის გადაშენებულ ცივილიზებულ ენათა ლექსიკურ ელემენტებს. ეს კი იმ მქიდრო ურთიერთობაზე გვანიშნებს, რაც ქართველურ ტომებს პრეისტორიულ ეპოქაში ჰქონდათ მცირე აზიისა და შუამდინარეთში მცხოვრებ ძველ ინდოევროპულ ტომებთან.

ავტორი ამის შემდეგ ყურადღებას ამახვილებს ირანულს, ოსურს, ბერძნულს, არამეულს, არაბულს, სომხურს, თურქულს ლექსიკური ურთიერთობის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ ამ ენებიდან ქართულს არა თუ მარტოდღენ უსუსებია ცალკეული სიტყვების მნიშვნელოვანი რაოდენობა, არამედ თავდაც გაუცია მათზე ლექსიკური ერთეულები. ამ გზით არის შესული, მაგალითად, ძველ ბერძნულში სიტყვა „მოლი“, რომელიც ჰომეროსის „ილიადაში“ გვხვდება, როგორც ერთგვარი ჯადოსნური ბალახის აღმნიშვნელი ტერმინი. სომხურში დამკვიდრებული ქართული სიტყვებია: **ურმა, ცხოვარი, საუნჯე, პირი**; არაბულში, სემიტურ და ინდოევროპულ ენებში შესულია ქართული **ღვინო** (სხვადასხვა ვარიანტული ცვლილებით); აზერბაიჯანულ-თურქულში — **გუთანი** (კოტანის სახით), **მოდგამი, თოხი, მარგილი, ტაღვარი...**

მკითხველი უთუოდ ინტერესით გაეცნობა მკვლევართა დასკვნებზე დამყარებულ დებულებას იმის თაობაზე, რომ მადნეულობის აღმნიშვნელი ყველა ქართული ტერმინი მშობლიური წარმოშობისა და „არც ერთი ნასესხები არ არის რომელიმე ენიდან“, როგორც: თქრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, ტყვია, ბრინჯაო. პირუტყუ: მოიპოვება ისეთი ენები, რომელ-

ილია მაისურაძე

წიგნი დედამისის წარსულზე

თავ მადნის სახელწოდებანი ქართულიდან აქვთ შეთვისებული, ასეთებია ბრინჯაოს და თითბერის ევროპული სახელები, რომელთაც ქართული ძირები უდევთ საფუძვლად.

რკინის ბერძნული სახელწოდება „ხალიფს“ ქართულ ეთონიმს (სატომო სახელს) ხალიბს ანუ ხალღს უკავშირდება და ა. შ.

ბოლო თავი შ. ძიძიგურის წიგნისა ქართული ენის შესწავლის საკითხს ეძღვნება. აქ ძლიერ მოკლედ, ჩამოთვლის წესით, მოხსენებული არიან ის ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერნი, რომელთაც ამავე დასდეს ჩვენი ენის მეცნიერულ კვლევა-ძიებას და რომელთაგან ბევრი დღესაც განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.

„ქართული ენის თავგადასავალი“ საინტერესო წიგნია. იგი უთუოდ დაეხმარება ახალგაზრდა მკითხველებს (და არა მარტო მათ), მოკლედ გაეცნონ ქართველი ენისა და მისი ენის სათავეებს, გაიზარონ მშობლიური მეტყველების ბუნება და თვისებები, გონების თვალთ მიადევნონ დედაენის ქმნალობა-განვითარების ხანგრძლივ პროცესს და კარგად შეიმეცნონ მისი ძალი, მნიშვნელობა, რათა აღიძრან მისი ღრმად დაუფლებებისათვის.

ამ დანიშნულებას წიგნი, ჩვენი აზრით, უკეთ შეასრულებდა, რომ უფრო გასაგები და პოპულარული ენით ყოფილიყო დაწერილი. ავტორის სტილი ნათიფი და დახვეწილია, მაგრამ მაღალ-აქადემიური და ერთგვარად მშრალიც. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთ თეორიულ დებულებას არ ახლავს კონკრეტული საილუსტრაციო მავალითები, ან ზოგადად დასახელებული ენობრივი ფაქტების ასხნა-განმარტებანი. მავალითად, აქ ნათქვამია, რომ ქართულში დამკვიდრებული ირანული წარმოშობის სიტყვები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს, დასახელებულია ეს ჯგუფებიც, მაგრამ არც ერთი მავალითი არ არის მოტანილი; ასევე არ არის დასახელებული ოსური ენის მიერ ქართულიდან შეთვისებული სიტყვების ნიმუშები, რაც უთუოდ მიიპყრობდა მკითხველის ყურადღებას; ამავე მიზნით შეიძლება მოხმოზილი ყოფილიყო უნარტულ ტომთა ნაშთების ქართუბთან შერევის შედეგად ჩვენს ენაში დღემდე შემონახული არქაული სიტყვები, რომლებიც ძველ ქართულ მისაღწერებში ხშირად — „პარი არალე“, „თარი არალე“, „იერი არალე“; ჩვენთვის ეს გაუგებარი სიტყვები, ჰური-ურარტულ ენის თუ მოივიშვლიეთ, გასაგები გახდება; ისინი თურმე ღვთაება არალესადმი, ანუ ალალესადმი მიმართავს შეიკავენ: „იერი“ ნიშნავს ბატონს მეუფეს, მეფეს; „არი“ ბრძანებითი ფორმა „მი-იციმა“ ზმნისა, „თარი“ კი ძლიერს, ძლევამოსილს აღნიშნავს. ამგვარად, გამოიტქმა „იერი ალალე (არალე)“ უნდა გაიგებოთ როგორც „მეუფეო ალალე (არალე)“, „თარი ალალე (არალე)“ — ძლევამოსილო ალალე (არალე)“, ხოლო „იერი ალალე (არალე)“ — „მოგვეც (ჩვენ ღვთაებათ)!“. (ა. სვანიძე, გ. მელიქიშვილი).

ჩვენ აქვე გვსურს დავძინოთ, რომ ხსენებული ღვთაების სრული ლექსიკური მოცულობის ქართულ ტომონიმიაშიც იპოვეთ ანალოგიას არალი, რომელიც ადიგენის რაიონში ერთ-ერთ სოფელს ეწოდება.

არალე (ალალე) მოსავლის ღმერთი ყოფილა, რომელსაც მოლოცვლი ვალობით შესთხოვდნენ მოწყალეებს (შეად. ქართული ხალხური საშობაო სიმღერა-გალობა „ალილო“ და მასთან დაკავშირებული რიტუალი). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, დღევანდელ არალის მიდამოებში, წარმართობისდროინდელი სალოცავი (ტაძარი) ხომ არ იყო, სადაც ადიღებდნენ იქ მდგომ არალეს (იგივე ალალეს) კერპს, როგორც ეს იყო არმაზის, ზედაზნის და ზადენის მთებზე (ზადენი ნასოფლარია სამცხეში, ქობლიანის ხეობაში).

არა ნაკლებ საყურადღებო იქნებოდა ახალგაზრდობისათვის ამავე რკინის სხვა სიტყვებზეც ემსჯელა ავტორს. პირველ ყოვლისა, მმდველობაში გვაქვს რთული სიტყვა ყირამალა, რომლის შედგენილობას მკვლევარნი აგრეთვე უნარტული ენის მონაცემებით ხსნიან. სიტყვის პირველ ძირად ყირას — სენობენ, რაც უნარტულად მიწა ყოფილა (წარწერებში მოხსენიებულია „ყირას“), მეორე ნაწილს კი ქართულ „მალა“ სიტყვას უფარდებენ, ამგვარად გამოიყავთ ხსენებული სიტყვის ასეთი მნიშვნელობა: ყირამალა — „მიწის მალა“, „მიწის ზევით“, ყირაზე გადასვლა — გადასვლა მიწაზე, თავდაყირა — „თავით მიწისკენ“. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მსგავსი აგებულების მესხურ სიტყვას თავალა-ს, — რომელიც დღესაც იხმარება და აღმართის ნიშნავს, პირველ ნაწილში აქაც ჩვენთვის ცნობილი თავი მონაწილეობს, მეორე ნაწილში კი — ალა, რაც იმავე კილოზე ნიშნავს იმას, რასაც „მალა“, „ალმა“, „ზევით“. (მესხეთში იტყვიან: დათვი ალაზე ადგო). ს. ს. ორბელიანს ალა განმარტებული აქვს როგორც „სიგარძეზე ამართული“.

ანალოგიური საილუსტრაციო მასალის გამოყენება, მართალია, გაზრდიდა წიგნის მოცულობას, საშაიგროდ, მთელი ნაშრომი დიდად მოიზარდა; ჩვენი ენის წიაღში არსებულ წარსულზე მალადებელ ფაქტებს გვაცნობდა მკითხველთ და უფრო ხალისიან საკითხავს გახდიდა „ქართული ენის თავგადასავალს“.

წიგნში ხშირად არის ნახმარი საშუალო დონის მკითხველისა და, მით უმეტეს, მოსწავლისათვის მიუწვდომელი უცხო სიტყვები და გამოთქმები: აპერცეპტია, ავთენტური ძველუბი, დეფინიცია, იდენტიფიკაცია, ინტერპრეტაცია, კონსოლიდაცია, კონცეფცია, რემინისცენცია... საჭირო იყო ავტორს ეზრუნა ამგვარი სიტყვა-თქმებისა და ტერმინების გაქართულებისათვის და, სადაც ეს არ მოხერხდებოდა, განმარტა ისინი.

ბოდლერის ცივი მზე

ფრანგულ კრიტიკაში არსებობს თავისებური ცნება „სალხინებელისა“, რითაც იმ დროებით დუმოილს თუ დავიწყებას აღნიშნავენ, რომელიც მებტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით მოიცავს ხოლმე მწერლის გარდაცვალების შემდეგ მის შემოქმედებას. ასე ერთგვარი შემოწმება ხდება, დროისა და მიუკერძოებელი მკითხველის მიერ მწერლის ნამდვილი ღირებულებისა და ადგილისა.

თუმცა შარლ ბოდლერის (1821-1867) შემოქმედება დავიწყებას არასოდეს მისცემია, მანაც თავისებური და ეკლებით მოფენილი „სალხინებლის“ გზა გაიარა.

თავისი გზა ხელოვნებაში ბოდლერმა დაჯგუფებებსა და ლიტერატურული სკოლების გარეშე დაიწყო და შეეცადა ეს დამოუკიდებლობა ბოლომდე შეენარჩუნებინა. მართლაც, ბოდლერის შემოქმედება არც ერთ ცნობილ ლიტერატურულ მიმართულებას არ მიეკუთვნება, თუმცა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ხაზს უსვამენ მისი პოეზიის მრავალი მამხილებელი მხარის სიანლოვეს კრიტიკული რეალიზმის მეთოდთან. ასეა თუ ისე, რა თქმა უნდა, ბოდლერმა ვერ აიცილა თავიდან და ვერც აიცილებდა იმას, რომ სხვა მის დროინდელ ლიტერატურულ მიმართულებებთან თავის დამოკიდებულებით საკუთარი შემოქმედების ხასიათი დაედგინა და დაეზუსტებინა.

შარლ ბოდლერის შემოქმედების სწორად გაგებისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იგი თითქმის ერთდროულად გამოვიდა შემოქმედების ორ ასპარეზზე: პოეტისა და ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიტიკოსის.

ბოდლერის, როგორც ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის ყურადღებას იპყრობს მისი თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის თვალსაჩინო მოვლენები: გუსტავ ფლობერის „ქალბატონი ბოვარი“, ვიქტორ ჰიუგოს „სამბარლონი“. ნიშანდობლივია ბოდლერის სიმპა-

თიები და მისი დაინტერესება მემარცხენე მწერლობით, მუშური პოეტის პიერ დიუპონისა და პარიზის კომუნის მოღვაწის მწერალ ლეონ კლადელის შემოქმედებით. სხვა მხრივ, ნიუანსირებულია ბოდლერის დამოკიდებულება თეოფილ გოტიეს შემოქმედებისა და ესთეტიური მრწამსისადმი. ერთის მხრივ, იგი მაღალ შეფასებას აძლევს მის მხატვრულ ნიჭსა და ოსტატობას, მეორეს მხრივ კი რამდენჯერმე, პირდაპირ თუ გადაკრულად, გამოთქვამს თავის უარყოფით დამოკიდებულებას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ თეორიისადმი, რომლის ერთ-ერთი მქადაგებელი თეოფილ გოტიე იყო.

გარკვეული კვალი დატოვა ბოდლერის ნაწერებში ამერიკელი პოეტისა და მწერლის ედგარ პოს შემოქმედებამ. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა უცხოელ მწერალს ბოდლერი ასეთი ყურადღებით არ მოკიდებია. თხუთმეტი წლის განმავლობაში იგი სხვა თავისი ლიტერატურული მუშაობის პარალელურად თარგმნიდა ედგარ პოს ნაწარმოებებს და სანიმუშო ხუთტომეული თარგმანიც დაგვიტოვა ამ მწერლისა. ედგარ პოს ბოდლერისეული თარგმანი ისეთივე მოვლენა იყო ფრანგულ ლიტერატურაში, როგორც თავის დროზე გალანის მიერ შესრულებული „1001 ღამის“ თარგმანი, ანდა ბოდლერის უფროსი თანამედროვის ყერარ დენრვალის მიერ თარგმნილი გოეთეს „ფაუსტი“.

ფერწერაშიც ბოდლერს, პირველ რიგში, დიდი მხატვრები იზიდავს: რომანტიკოსი ეყენ დელაკრუა, რეალისტი გუსტავ კურბე, კლასიციისტი ენვრი. როგორც ფერწერის კრიტიკოსმა, ბოდლერმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში. იგი ღრმა პროფესიულ დონეზე ჩასწვდა ფერწერის საკითხებს, იცნობდა პირადად მხატვრებსა და ჩახედული იყო მათ „ლაბორატორიაში“, უნარბი შესწევდა საფუძვლიანად გაეანალიზებინა მათი ქმნილებები. თანავარძლობით ეკიდებოდა ბოდლერი კარიკატურის საპირბორო-

ტო უნარს და, განსაკუთრებით, ონორე დომიეს მებრძოლ დემოკრატიულ სატირას. ბოდლერი იშვიათი მოვლენაა იმ მხრივ, რომ იგი თითქმის არ შეეცდარა თანამედროვე მხატვრების ავტორების დადგენაში და მის მიერ გამოტანილი მსჯავრი ბევრ შემთხვევაში დღემდე არ მოქმედებულა. როგორც ავტორიტეტს ამ დარგში, ბოდლერს დიდროსა და სტენდალის გვერდით აყენებენ, უფრო კი დიდროს გვერდით, ვინაიდან სტენდალის ნაწერებში ხელოვნებაზე უმთავრესად აღიბეჭდა მისი პირადი გამოცენება და მიღწერალებები.

ფერწილის ცოდნამ და სიყვარულმა ბევრ რამეში განსაზღვრა აგრეთვე ბოდლერის, როგორც პოეტის ადვილი ფრანგულ ლიტერატურაში. საქმე ისაა, რომ ფრანგული მწერლობა თავის უმნიშვნელოვანეს ნაწილში, ხილვადია, ვიზუალური. ამ მხრივ ბოდლერის ფერწერული და პლასტიკური პოეზია დამახასიათებელია, ტიპური და, ამავე დროს, უბადლო მოვლენაა წმინდა ფრანგული კულტურისა.

რა თქმა უნდა, რაზედაც არ უნდა ემუშავა ბოდლერს, იგი პირველ რიგში პოეტი იყო და მთელი თავისი შეგნებული ლიტერატურული მოღვაწეობა უდიდესი დამაბეითა და საკუთარი თავისადმი მკაცრი მოთხოვნებით დაუმორჩილა თავის მთავარ პოეტურ კრებულს, „ბოროტების ყვავილებს“, რომელიც 1857 წელს დაისტამბა.

ამ დროისათვის ბოდლერი 36 წლის იყო და შედარებით ცოტა ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული ლიტერატურულ ჟურნალებში. მოწინააღმდეგეებსა თუ სექტიკოსებში მას ისეთივე სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც მოგვიანებით პოლ ვალერის, სახელდობრ პოეტისა, რომელმაც ისე მოიხვეჭა სახელი, რომ მნიშვნელოვანი არაფერი დაუწერია.

სინამდვილეში ბოდლერი ბევრსა და დამატულად მუშაობდა, ოღონდ ნაყოფის ნაადრევად გამოშვებულებას არ ჩქარობდა. მან მხოლოდ მამინ გადასცა „ბოროტების ყვავილები“ დასაბეჭდად, როდესაც დარწმუნდა, რომ ისინი უკვე ისეთ მთლიანობას წარმოადგენენ, როგორც ენაც იგი ისწრაფვოდა.

კრებულის კრიტიკულმა და რეალისტურმა შემართებამ მწუვავე რეაქცია გამოიწვია კონსერვატიულ ბურჟუაზიულ წრეებში და ავტორის წინააღმდეგ ფარისევლური პროცესი აღძრეს (იხილეთ, როგორც, დაახლოებით იმავე დროს, ელობერის „ქალბატონი ბოვარის“ მიმართ). გათამაშებული სასამართლოს ფარსი დამთავრდა კრებულიდან 6 ლექსის აკრძალვით. ამან მძიმე მატერიალური შედეგები გამოიწვია და არა ნაკლები მორალური ჭრილობა მიაყენა ბოდლერს.

სიცოცხლეშივე დევნილი და გამწარებული პოეტის მიმართ ეს განაჩენი მისი სიკვდილის შემდეგაც ძალაში დარჩა. 90 წელი იყო ოფი-

ციალურად აკრძალული სამშობლოში საფრანგეთის დიდი პოეტის ლექსები, ვიდრე 1946 წელს საფრანგეთის პარლამენტმა ანუ, მეტაბოლიზმის ამ განაჩენის კასაცია და მოგვიანებით არ გამოასწორა მისდამი დადებითი დანაშაული. სწორედ ამ გარემოებას ვგულისხმობდით, როდესაც ზემოთ ბოდლერის მიერ განვილი ეკლიანი „სალხინებელს“ ვახსენებდით.

მთელი XX საუკუნის მანძილზე და, კერძოდ, უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში ბოდლერის პოეზიის ხვედრითი წონა გათუწყვეტლივ მატულობს საფრანგეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც. სადღესოდ იგი ბევრის მიერ არის მიჩნეული პოეზიის ერთგვარ მაღალ ეტალონად, სანიმუშო და ქემშარიტი პოეზიის წარმომადგენლად. იმის დასადგენად, თუ რამდენად პოეტისა ან თუ იმ პოეტის ქმნილება, მას არააშვიათად „ბოროტების ყვავილებს“ ადარებენ. ამიტომ აღნიშნავს 17 აპრილს მთელი მსოფლიო ბოდლერის დაბადების 150 წლისთავს.

ქვემოთ ჩვენ შევიხებთ შარლ ბოდლერის ამ ქმნილების ზოგად ატმოსფეროს და გამოვყოფთ ზოგიერთ მთავარ თემას.

ცოტა ყვავილია „ბოროტების ყვავილებში“.

თუმცა რა გაახარებდათ? უკაცრიელი დამაინის მრგვალი სფერო. პოლუსზე ზუბადანეულ ზომილს ჰბროლის მახე ატყვევებს. სხვა განედლებზე საპარის ვახურებულ წმინდა ქვიშა ან ციმბირის ყინვა, რომელსაც აქა-იქ მყინვარები ამოსდგომია მხარში.

ყველგან ლითონი და ქვის მასა. ამ „ტყვიის ჰორიზონტიან პირქუშ სამყაროს“ იცავს მრავალფეროვანი კლდეები: „ბრინჯაო, შავი და შიშველი კლდე“. „მოჩვენებებით სავსე კლდეებში“ წმინდა ანტუანის დაუნახავს მაკლუნებელი ქალღმერთის ლავის შიშველი გულმკერდი. მომხიბლავი სათამაშოა ბროლის კლდე და „ძვირფასი მოგონებები კლდეებზე უფრო მძიმეა“.

ბუნებას ახრჩობს უღმობელი რკალი: ჩამოხმარია ეკლიანი ბუჩქნარი, დაუძლურებულა ჭაბა, ფერულად ქცეულა ზრიოკი, დახეთქილი ნიადაგი.

გაქვავებულა ყოველივე: ტაძრად აღმართულა ტყე; თვალს „ბურუსის უზარმაზარი კედელი“ აჭარბებია, სხივი ბროლიდ ქცეულა, მზერა კი — აღმასად.

ადვილი მისახვედრია: ქვამ, ქალაქის საწყისმა შიანთქა სივრცე. სანატრელ სითბოს დაეძებენ ავადმყოფები და ძლივს მიათრვან ფეხებს „გაცრეცილი პოსპიტლის დიდი კედლის“ გასწვრივ. თვით ბუნების წიაღში წარმოშობილ უფსკრულს შეეხო ქალაქის ხელი და აქცია იგი „უმოაჯირო მარადიულ კიბედ“.

ადამიანი კი, ქალაქის ფარული კანონზომიე-

რების თანხმად, ან ქალაქის ანარეკლად იქცა, ან — ქანდაკებად. „საცოდავი მონუმენტი“ სუ-ლი, გული ქალაქმა მოაშინაურა და იგი იქცა „გახუნებულ სასახლედ“ ანდა თეატრად, ან კი-დეც „მარადიული გლოვის ოთახებად“. თვა-ლები ბროლს დაემსგავსა.

შიაქცეთ ყურადღება დაბინდულის, ფერმკრ-თალის, ფერგადასულის, გახუნებულის მოზღვა-ვებას. ხშირად ასე გვგონიათ, თითქოს ხედავდეთ ბნელ კუთხეში ანდა უკუნ დამეში ამოხულ მცე-ნარეთა ღეროებს.

გაქვავებულ მიწაზე სრულდება აგონია სი-ცოცხლისა და პოეზიისა. გემბანზე სულს და-ფაფს ალბატროსი, გალიიდან გაქეული გედი კი მიბარბაცებს ქვაფენილზე, თეთრი ბუმბულით მტვერის ფანტავს და კოკისპირულ წვიმას ნატ-რობს.

არარაობა ფრთას შლის ძველ ნანგრევებზე, საფლავებზე, აკლამებზე, სასაფლაოებზე. ასე აღიმართენ დასაბამიდან ნილოსის პირას სარ-კოფაგები და პირამიდები, „გაწოლიან დიდი სფინქსები მარტოობის სიღრმეში“. სიღრმე და მონუმენტურობა ორი არსებითი განზომილებაა ბოლდერის პოეზიისა.

ზოგჯერ მიწა ვეღარ ეგუება სიცოცხლის გა-მოკროთმასაც კი და მაშინ პოეტს ებადება სურ-ვილი სატრფოს, მომდევნო საუკუნის ატომური სანგრებოებით, აუშენოს „მიწისქვეშა სასახლე თავისი სასოწარკვეთილების სიღრმეში“.

თუკი სამარადისოდ დადუმებულ პომპეიში ლავამ შემოუხახხა მომავალ თაობებს გარინდე-ბული სიცოცხლის კვალი, „ბოროტების ყვავი-ლებში“ ეს ფუნქცია ხშირად ბროლს აკისრია. ბროლისაა რიჟმა და კლდე, ბროლივით ნათე-ლია თვალები. არის, როგორც ვნახეთ, ისეთი შემთხვევაც, როდესაც ტყე ტაძარია.

მთელი ამ ქვეის სამფლობელის სუბლიმიაცია ხდება ძვირფას ლითონებსა, თვლებსა და კეთი-ლშობილურ მასალაში. რაც უფრო მაღალი იდე-ისაკენ მივდივართ, რკინას, ფოლადს, ლოდებს და კენჭებს ისევე, როგორც გონგორასთან, ცვლის მარმარილო, გრანიტი, საფირონი, ოქ-რო, ალმასი, ოპალი, მარგალიტი.

სადღაც მათ მეზობლად მიკუნჭულა „ფერმკ-რთალი ზიზილა“. მისი დანახვა აქ უზომოდ გა-ხარებთ. თავს გეხვევათ: მედიდური ვარდი, წა-მით გაილეგებს იაგუნდი ან უცხო ლატოსი, მეტწილად კი, ფრანც კაფკას პერსონაჟებით, სახელდაკარგული „ყვავილები“ გელონებოიან.

ვარდი ზატონობს. ვარდი ვარდობს პირობი-თად. მზე აღვიძებს ევლად ლუქისა და ვარდ-საც. ნურავინ იფიქრებს, ვარდი თითქოს შეუც-ვლელიაო. წიგნში „ლუქსი“ იცვლება „პოეზი-ით“, ვარდი — „იშვითი ყვავილით“. რჩება პარალელი, იდეა, სიმბოლო. მთავარია არ და-ირღვეს ზოგადი, წვრილმანი ზოგადს მორჩი-ლად ემსახურება.

ასეა თუ ისე, მინც ვარდის შეოხებით, მხა-

ტვარ გავარნის ქმნილებებთან დაპირისპირე-ბით, იფეთქებს მოულოდნელი, მაღალი ძაბვის ბოლდერი:

...ამ ფერმკრთალ ვარდებში ვერ მიპოვია ყვავილი, ჩემს წითელ იდეალს რომ ჰგავდეს.

ბოროტების კლანჭებში ზოგადია ნერევა, და-შლა, სიკვდილი, არარაობა. ამ ზოგადის ერთი სახესხვაობაა ტენობა:

მე ვარ დამტყნარი ვარდებით სავსე ძველი ბულდერი:

იგივე მოურიდებელი შეცვლა ვარდისა:

...გამხდარი ობლები ყვავილებივით ტენებია.

ზრდით, სინთეზით მოპოვებული სიბრძნეა ფსიქოლოგიური და არა წამიერი მომხიბველო-ბა, ამიტომაც ღირსეული შემოდგომის ხილა, „ბნალურია“ გაზაფხულის ყვავილები.

ოცნება ოცნების სამყაროში ეძებს თავშესა-ფარს:

...უცნაური ყვავილები თაროებზე, ჩვენთვის გაშლილი უფრო ღამაში ცის ქვეშ.

მაგრამ ამ სათბურის ობობებზეც ყვავილებს მიწა ზრდის:

და ვინ იცის, ჰოვებენ ჩემი ოცნების ახალე ყვავილები

ქვიშასავით გარეცხილ ამ ნიადაგში მისტიურ საკვებს, მათ ძალას რომ მისცემს?

ეგზოტიკა ოცნებას ერწყმის. სათბურში თუ არა, სადმე ნილოსის მხარეში მინც იხარებს ლატოსი.

შეუმჩნევლად ილუზიონისტის კარავში შედი-ხართ. სიტყვას დაგიგორებთ და ამ ჩვეულებ-რივად შემოსილი სიტყვით კი უცნობ ცნებას შემოგაპარებთ. ისევე, როგორც „ოცნების ყვა-ვილებში“, ყვავილის კვალი ქრება „მოგონების ყვავილში“, საოცარ „ტენის ყვავილში“, დაკა-ნონებულ ალგორიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ: „გრიგალი ახალგაზრდაებს ყვავილებს“ (წაი-კითხება — ქალებს).

ილუზიონისტი ქალაქელია, ამიტომ ნუ გაი-კვირებთ თუ მის წარმოსახვაში იხადება სანა-ხაობა „ყვავილთა ბაღეტი“.

ღილის ნაშთი დაფარულ ღილილოს თუ ყა-ყაროს ძებნას ამოდ ღაუწყებთ აქ. ეს თიგული, ბოტანიკოსებს რომ არსად უნახავთ, ისეთი „ბოროტების ყვავილებით“ არის შეკრული. ისინიც ზოგადისა და კერძოს ურთიერთობამ შვა, ისინიც ილუზიონისტმა კარვიდან გამოიტა-ნა (მართალია, ეს მოხდა ბოლდერის მეგობრის რჩევით). ამას ადასტურებს პოეტური კრებუ-

გასტონ ბუაჩიძე

ბოლდერის ცივი მზე

ლის თითქოს და ყრუ კედლით ერთმანეთისა-
გან გათიშული, სინამდვილეში კი ერთმანეთ-
თან ასე თუ ისე დაკავშირებული ვარიანტები
სათაურისა: „ლესბოსელი ქალები“, „ლიმბე-
ნი“, „ბორტების ყვავილები“. ამ ყვავილთა
სელექცია ჩატარდა ადამიანთა კრილობებისა და
სიმანჩეში, ოღონდ უღირსი ნედლეული მო-
ქანდაკის საკრეთელმა სრულყო.

„ბორტების ყვავილები“, გვეუბნება ბოდ-
ლერი, წიგნია და არა შემთხვევით თავმოყრილ
ლექსთა ალბომი. წიგნს აქვს დასაწყისი და
ბოლო. წიგნი სამყაროს შინაგანად დასრულე-
ბულ სურათს იძლევა. ამ კუთხით „ბორტე-
ბის ყვავილები“ შეგნებულად დანტეს „ღვთა-
ებრივი კომედის“ და არსებობად ბალზაქის
„ადამიანური კომედის“ პერსპექტივაში თავს-
დება.

სამივე ნაწარმოებს ერთი ამოსავალი წერტი-
ლი აქვს: ცხოველთა გამოჩენა. დანტე და, მის
ნაკვალევზე, ბალზაქი და ბოდლერი ცდილო-
ბენ სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე კაცობრი-
ობის ყოფის ზოგადი სურათი დახატონ, გარკ-
ვეული საზოგადოების პორტრეტი მოგვცენ და
ადამიანის ადგილი დაადგინონ ვარე სამყარო-
ში. აქ მას გარს ერტყმის უსულო ნივთები (სი-
ცოცხლეს მოკლებული მატერია), ცხოველები
და მათ შორის არსებული მცენარეულობა: სამ-
ყაროს მხატვრული გააზრებისას მასთან პირ-
ველი კონტაქტის დასამყარებლად ბოდლერი,
დანტესა და ბალზაქის მსგავსად, ცხოველებს
ირჩევს. სხვა არის, როდესაც პასკალი განსა-
ზღვრავს ადამიანს, როგორც მოაზროვნე ლერ-
წამს და კიდევ სხვა, როდესაც თანამედროვე
რომანისტი აღენ რომ-გრივი ცდილობს გარკ-
ვიოს ნივთების თავისთავადი ბუნება და, მაშა-
საღამე, ნივთებისაგან მოწყვეტილ და ნივთებ-
თან შეფარდებით ადამიანის ადგილი.

ცხოველების მოხმობა ფარდის აწვეის წინ
„ღვთაებრივი კომედის“ პირველ ქებაში, „ად-
მიანური კომედის“ წინასიტყვაობასა, და „ბო-
რტების ყვავილების“ პირველ ლექსში —
„მკითხველს“ — განსხვავებულია და ეს განსხ-
ვებება ნიშანდობლივია სამივე შემოქმედისა-
თვის.

დანტესთან ადამიანის მანკთა და ვნებათა
ზვიადი განზოგადება. ფლორენციელი ვერაგ,
მაგრამ თავისებურად კეთილშობილ და ძლიერ
მხეცებს გადაყურება უდაბურ ტყეში. ეს წინა-
რენესანსული აღქმა: ადამიანი — ცხოველთა
სამყაროს და საერთოდ ბუნების მეფეა. სიმ-
ბოლიური ბაბრი, ლომი, ძუ მგელი შორიან-
ლოს ჩაუვლიან დანტეს და შიშისა ჰგვრიან.

ბალზაქიც შორეული შთამომავალია რე-
ნესანსისა. ადამიანისა და მხეცის მიხედვით პა-
რალელში ნაკლები აღმოაფრენა და მეტი რომინ-
ზონული წესრიგია, პრაქტიციზმი, თუმცა კაც-
სა და ქალთან შესადარებლად კვლავაც (თით-
ქოს და შემთხვევით) არჩეულია ლომი და ძუ

ლომი. დანტე რთულ ქრისტიანულ დოგმებს და
მნათობთა მოძრაობას ეყრდნობა, ბალზაქი
ბიუფონის ბუნებისმეტყველებას.

ბოდლერთან პროპორციები კატსტროფულ
ლად კინდება, უშფოთველი მეცნიერული გან-
ჭვრეტა განზე რჩება, შიშის ნაცვლად მკითხ-
ველს ზიზღი ეუფლება. ზიზღთან ერთად გრო-
ვდება სიმწარე. სიმწარე ამბოხების მომასწავე-
ბელია.

დრამატული ღერძი „ბორტების ყვავილებ-
ში“ არა ნაკლებ გაგრძელებულია, ვიდრე
„ღვთაებრივი კომედიაში“: ერთგან მანძილი გა-
ნჩობება ჯოჯოხეთის წრეებთან სამოთხის სი-
მალღემდე, მეორეგან პოლარული წერტილებია
სპლინი და იდეალი. იდეალი ოდნავ ბუნდო-
ვანია და ჰაეროვანი, სამაგიეროდ სპლინი ჭაობ-
ში მიიზღაზნება. გველი თითქმის ჭაობზეა გან-
რთხმული, ლომის ფაფარი მიწის სცილდება.
მანძილი ლომის ფაფარიდან განრთხმულ გველ-
მდე ან მცოცავე ჭიამდე „ბორტების ყვავილე-
ბის“ ღერძს აგრძელებს (რადგან დანტესთან
უმდაბლესი პორიზონტია ლომი — ბაბრი —
ძუ მგელი, ხოლო ბოდლერთან — მცოცავნი).

დაშლისა და სიკვდილის ექსპლურებიან ჭია,
ჭიაყელა, მატლი და სხვა მისთანანი. ისინი
შთანთქავენ, წოვენ, ღრღნიან, არარაობისაკენ
უბიძგებენ ცოცხალს და ბოდლერის პოეზიას
ზედმეტი წწვევისაგან ათავისუფლებენ. ცხოვე-
ლთა უმრავლესობას პოეტი სწორედ ამ სამსა-
ხურისაფვის უხმობს. ცხოველებისეულ სანახაო-
ბაში მათ ორი პირობითი და განუყოფელი ამბ-
ულეა ელოდებათ: „ტურთობა“ და „წურბელო-
ბა“.

სინდისის ქენჯნად მრავალგზის გველიწინება
გვამის ან ჩონჩხის მღრღნელი ჭია, მწერი:

...ჩვენ ვკვებავთ ჩვენს ძვირფას სინდისს

ქენჯნას,

როგორც მათხოვრები კვებვენ თავიანთ

მწერებს.

პოეტი მათთვის არც სარკასტულ პათეტი-
კას იშურებს:

ო, კიბო! უყურო და უთვალო შავო

თანამგზავრებო!

მკითხველი მწარე ღიმილით თვალს ადევ-
ნებს ბუზის, მატლის მიკროოდისეას. ნაცვლად
რომელიმე ჰექტორის ცხედართან მოტირალი
ტრაული ქალების გამოთხოვებისა, შესცქერის
ლემს დასეულ ჭიაყელების გუნდს“.

მათ საქმიანად ყვავი და მგელი ამოსდგო-
მით მხარში: პირველი მომავლავს დარაჯობს,
მეორე შორიდანვე ტკბება ნადიმის სა-მო სუ-
ნით.

მყუდროების სტუმრები არიან ობობა და
გველგესლა. მიტოვებულ საფლავეზე ობობა
ქსელს ქსოვს, გველგესლა კი წიწილებს ჩეკავს.



თუმცა, სადაც ობობაა, იქ ყველგან თავისებური სასაფლაოა: რატომ არ უნდა გააბას თავისი ქსელი „შემზარავმა ობობამ“, მავალითად, ადამიანის ტვინში?

საკუთრივ ტვინის ფართობი, ფიზიოლოგიის ეკლანი მავრულით დაცული ეს პროზაიზმი, პოეტური სახეების შემოსევას განიცდის (გავიხსენოთ წედანდელი ტვინის ყვავილი). ფიქრი რომ ფიქრია, იმის დაბადებასაც აკვირდება პოეტ და ანგარიშს სთხოვს.

ვარდისა და ყვავილის არ იყოს, გველგესლა და გველი ერთმანეთს ენაცვლება. ასეა ლექსში „წინასწარმეტყველი“, რომელიც ნიშანდობლივად იწყება:

**ამ სახელის ღირსი ყველა ადამიანი
გულში ატარებს ყვითელ გველს.**

სწორედ „აუტანელი გველგესლა“ ახსენებს ადამიანს მის მოკვდავობას.

გადაეხედოთ ბოროტების განმსაზღვრელ ეპითეტებს: საცოდავი, საშინელი, შემზარავი, აუტანელი... გულისყურიან მკითხველს ესმის ბოდღერის ტანჯვა და ვერ დასწამებს სიმახინჯის ესთეტიზაციას. აქ, და არა სააშკარაოზე გამოტანილ გულგრილობაში წყდება ბედნიერობების ყვავილებში“ ყოფნა-არყოფნისა.

ქალის სხეული, მიმოხვრა, სიარული პოეტს ქონგლიორის წმიდა გველს ან „მოცეკვავე გველს“ აგონებს. მათ მიღმა მოჩანს სილუეტი „ომისა“, ვისაც ან დუმილში გულისხმობენ ანდა მრავლად სახელით იხსენიებენ: ეშმაკი, სატანა, დემონი, ბელზებელი... დოსტოვესკიდან თომას მანამდე იგი ახალ მწერლობასაც ეცხადება დროდადრო. იმის ჩრდილს ამოფარებულ ბოდღერი ახლო მიდის ქრისტიანულ მსოფლადქმასთან, ცოდვისა და მონანიების ჭიდილთან.

ცეკვასთან ერთად, გველი გესლავს ფეხსაცმელს ან, თუ მისწვდა, შიგნეულობასაც. გველი არწივის ორეულია, კავკასიონზე მიჯაჭვულ პრომეთეს ღვიძლს რომ უგლევს. კვლავაც გრძელდება დაქანებული ხაზი: არწივიდან (ლომიდან) გველამდე, სიმბოლიური ღვიძლიდან ანატომიურ შიგნეულობამდე.

ბოდღერის პოეზია საყოველთაო განზოგადებას ელტვის. განმზოგადებელია კრებითი სახელი „ყვავილი“, აგრეთვე — „ქვეწარმავალი“. ადამიანი (იგივე კაცობრიობა) სინათლესა და ვასალებს ექებს, „ქვეწარმავლებით მოფუფუთე ადგილიდან“ თავის დაღწევას ლამობს. ამგვარი სურათები გზას უხსნის ისეთ სიმბოლიკას, როგორცაა სინათლე და ვასალები მეტერლინიკის პეისებში ანდა, ფერწერაში, ფერინან ლეეს „მონა-ლიზა ვასალებებით“.

განზოგადებული ბოროტება „ურჩხულიც“. „ჩამომხმარი ურჩხულია“ არასასურველი ბავშვი, რომელიც ცეცხლშია გადასაგდები. ბოროტი სიყვარული ქალს ურჩხულად აქცევს:

**ქალის ღვთაებრივი სხეული, ნეტარებას რომ
ორთავიანი ურჩხულია!**

ასე გადადის ბოდღერის ენაზე ბალზაიკს დაკარგული ილუზიები. გაქვავებულ და გაველურებულ სამყაროს ქვის მარწუხებში მოქცეული პოეტის გული დასტირის და, მამა გორიოსავით, არ იმჩნევს.

უფრო ძნელია ურჩხულის აღქმა სილამაზედ, რაც ბოდღერისეული დილაექტიკის კვანძია:

**ო, სილამაზე! ვება, საზარელო,
გულუბრყვილო ურჩხულიო!**

პეიზაჟს ლამითაც არ სცილდება დაინებული მგერა: „ფიზიოლოგენ ფისივით წებოვანი და ფოსფორისტვალბიანი“ ურჩხულები.

იონესკოს პეისამდე „ქაკი, ანუ მორჩილება“, ბოდღერის ესთეტიკაში შავი თეთრად იკითხება, ქვეყნის შვიდ საოცრებას ცვლის, „შვიდი შემზარავი ურჩხული“.

ბოროტების განზოგადებული სახე, „სრულყოფილი ურჩხული“, უპირისპირდება სრულყოფილ სილამაზეს. ბოდღერის ესთეტიკური ხილვა სულ ასეთ პოლუსებს შორის ქანაობს, თვითონ კი შუალედური, მედიალური რჩება.

ძალთა შეფარდებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ ძლიერი ხარი სისულელეს განასახიერებს: „ხარის შუბლიანი სისულელე“.

მეორეს მხრივ, სილამაზის, სინატიფის, პოეზიის მატარებელი უმწეონი არიან: ფერმკრთალი ზიზილა მიეყნებულა ქებებთან, საცოდავია ჩიტო:

**... სულ ნორჩი ჩიტი, რომელიც
კანკალებს და თრთის.**

ამავე სათაურის ლექსში ალბატროსი პოეტის სიმბოლოა, რომელიც ბოდღერმა ისევე აირჩია, როგორც სხვები ირჩევენ ბულბულს, ფენიქსს, ვარხვს ან გომეფშოს. ალბატროსის შემცველია თეთრი გედი. ბოდღერს ამაყი და ლამაზი ფრინველებსაკენ მიუწევს გული.

არსებობის უნატიფეს გამოვლინებებს პოეტი ჩიტებს უქავშირებს. ტოროლას იგი ფიქრს ანდობს:

**ის, რომლის ფიქრები ტოროლასავით,
ღილით ცაში აფრინდება თავისუფლად...**

ტოროლა თავისუფლების იმ განზომილებას სახავს, რომელიც ქაკ პრევერის პოეზიაში ეკისრება ჩიტებს.

განსაკუთრებული, თბილი და შეუვალი აღ-

**განსონ ბუაჩიძე
ბოდღერის ცივი მზა**

ვილი უჭირავს ბოდღერის სამყაროში კატას. მისი ოცნებაა, ისე იცხოვროს,

ვით დედოფლის ფერხით ახზორცმა კატამ.

კატას ეძღვნება „ბოროტების ყვავილების“ რამდენიმე ლექსი, სხვებში კი მიმოფანტულია ცალკეული დაკვირვებები, ჩანახატები, ოვისებათა გამოვლინებანი. ზოგჯერ კატა მისტიურ სფეროს ემიჯნება:

... კატა იღუმალი,
კატა სერაფიმიული, კატა საოცარი...

„ბოროტების ყვავილების“ ბესტიარიუმი მდიდარი ნაყრძალია ფეხზე წამომდგარი და წელში გამართული ათასგვარი სიმხინჩისა. ფარისევლობას აქ სისულელე მეზობლობს და ორივეს მოწყენილობით აზმორებს.

ამ უდაბნოსა და სამხეცეში პირველი ტაეპეზიდანვე მრავალგზის ნახსენები მოწყენილობა, Yennui, სიტყვა-გასაღებია, ისევე, როგორც სხვა ხარისხით, ჩეხვის ნოველების ჰაერშია გაშლილი იონას, სხვა ენაზე ტოლფასოვანდ უთქმელი, ТОСКА.

ბაირონის spleen-თან და, მაშასადამე, რომანტიკოსების სევდასთან „ბოროტების ყვავილების“ მოწყენილობის გენეტიურ კავშირზე თვით ბოდღერი მიგვიითეთებს. რენეს, როლას თუ ჩაილდ-პაროლდის პერსპექტივაში „ბოროტების ყვავილების“ მონოლოგების უსახელო მთქმელის მარტივობა უფრო გასაგებია, ხოლო ბოდღერი, როგორც ენახაფი, სიცხადისა და თანაბარი გაშუქების ოსტატია.

მოწყენილობამ თავისი საცეცები ყველა მიმართულებით გაშალა. იგი ნერგავს ეგოიზმს, ნიადაგს უთხრის სიყვარულს, რომლის წყაროა ქალი-მხეცი ან ქალი-ურჩხული. ალერისის ნაცვლად ეს ქალი სადისტურ მოპყრობას მიითხოვს და სანატრელია თანაგრძნობის სითბო. მოწყენილობა ტკივილს ღვინით აყურებს და ნებისმიერ წადილს კვირტშივე სპობს. მისი გამართლება უნაყოფობა. დე, იყოს უნაყოფო ქალი-ურჩხული და ერთი ურჩხულით ნაკლები შობოს. ამ აზრითაა კაცობრიობის ვეჭილი შემდეგი მკრეხელური სიტყვების დამწერი:

უნაყოფო ქალის ცივი სიღიაღე.

მაგრამ, გოფეს დაკვირვებით, ხელოვნების საწყისიც ხომ ქალურია. ამიტომ ემუქრებოდა ბოდღერის „ავადყოფ მუხას“ უნაყოფოდ დედუმება.

ეს საშიშროება ბოდღერმა გადალახა, ერთის მხრივ, საკუთარი ძალების თავმოყრითა და დაძაბვით, მეორეს მხრივ კი ღუმლის მხატვრული ობექტივაციით. შინაგანი დაძაბვა ორ ძირითად ეტაპს შეიცავს: ბოროტება იწვევს სიმწარეს, რომელიც სიძულვილში გადაიზრდება.

არარაობის ერთი წახნავია დამე, ეს მოღვრეული და ტყვიისებრი სტიქის მსგავსი სამყარო სიკვდილს ან ღრმა ძილს მოუყვანს და სიმძიმე ბოდღერის ფიქრის განუყრელი თანამგზავრია, ძილი მიქელანჯელოს „დამემ“ გამონახა. ეს ქანდაკება ნათლასავით გადაფარება „ბოროტების ყვავილებს“. მას ასე მიმართავს პოეტი: „დიდო დამეც, მიქელანჯელოს ასულო...“

ძილი მახინჯი სამყაროდან თავის დაღწევის, თავდავიწყების საშუალებაა; წყდება აზროვნების ძაფი, მასთან ერთად ქრება ტანჯვა, თან მიაქვს ადამიანად ყოფნის მოწოდება და რჩება ბიოლოგია:

**მშურს ხვედრი უმდაბლეს ცხოველთა,
რომ შეუძლიათ უაზრო ძილს მიეცნენ.**

ქვის ტაძრის კედლებში მემობოხე სულია. გულსთქმას „ბოროტების ყვავილებში“ მოწიწებით უნდა მოვუსმინოთ. მხოლოდ გული რომ დადუმდება, წამით გამოდის დაქანცული პოეტი უთანასწორო ბრძოლიდან:

**მოთვინიერი, გულო, დანებდი
ბირტუტყვულ ძილს.**

ქვეტექსში ნაგულისხმები და ერთმანეთთან გადახლართული ქალი-მხეცი, ძილი-არარაობა და სიყვარული-სისათუთე თავისი ცენტრიდანული მისწრაფებებით ფლეთენ ერთი შეხედვით უშფოთველ სურათს:

**ჩავეფლო თქვენს მშვენიერ თვლებში,
ვით მშვენიერ სიზმარში,
და ვთვლემდე დიდხანს თქვენი წამწამების
ჩრდილში!**

მაგრამ დაგროვილი ბოდმა დაუოკებელია:

მინდა ძილი! სიცოცხლეზე უფრო — ძილი!

დამე შავია, მაშასადამე, შავია არარაობაც. შავია მუქარიო სავსე ტალა, „ბილწი ქალაქის ოკეანე“, საკუთრივ ოკეანე, უღირსი გულების სიღრმე, სიზმარი, საიდუმლოება, ციმბირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თოვლის სითეთრე უკაცრიელობის სიშავეს უთმობს ადგილს.

„გაფანტული აზრდილების შავი რაშემები“ შავი კაეშნის გვერდითაა ჩაბმული სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში:

... უღმობელ, დესპოტურ კაეშანს
ჩემს დახრილ კეფაზე აღუშარათვს თავისი
შავი დროშა.

კანონზომიერია გარდამავალი გრადაციის გამოტოვებით წყვილიაღში მზის ამოსვლა. ბოდღერის პოეტიკა ხომ კონტრასტულია: ჰეა და ზიზილა, სპლინი და იდეალი, ბნელეთი და მზე. ეს უკანასკნელი დაპირისპირება კიდევ იმით



არის განპირობებული, რომ „ბოროტების ყვა-
ვილების“ მზეს მეტწილად წყვიდაის გაშუქე-
ბა უხდება, ამიტომ არის, რომ ამ მზის ბრწყინ-
ვალეობა ძაბით იფარება.

ამ ტაგებს ოდნავი ვარიანტით პოეტი სხვა
ლექსშიც იმეორებს. ეს იმის საუკეთესო და-
დასტურებაა, რომ „ბოროტების ყვაილების“
მზე სინამდვილეში (რაც არ უნდა თქვას ბოდ-
ლერმა სხვადასხვა მოსაზრებით ნაკარნახევ გან-
ცხადებასა თუ კომენტარში) გლოვობს ბორო-
ტებას.

ბოდლერი აშკარად მზისთაყვანისმცემელია.
მზე მრავალსა და რთულ მნიშვნელობას შეი-
ცავს. უწინარეს ყოვლისა, უნდა დავუხსტოთ,
რომ ლაპარაკია ბოდლერის პოეზიის მზეზე,
რომელიც ანათებს ყოველივეს, თვით ბუნებრივ
მზესაც, თუმცა, როგორც ვნახავთ, ეს უკანასკ-
ნელი „ბოროტების ყვაილებში“ ერთის ნაცვ-
ლად მრავალია.

წელწადის დროებში ბოდლერი შემოდგო-
მას ირჩევს. შემოდგომის მზესაივ, მისმა მზე-
მაც დაკარგა ზაფხულის მცხუნვარება და ხში-
რად ნამდვილად ცივია. პარალელების მწკრი-
ვის — მე — შემოდგომის მზე — სითერთე —
სიცივე — ემატება ჩვენი ნაცნობი ფერმართა-
ლი ზიზილა, რომელიც ამავე დროს ქალის სა-
ხელიცაა, მარგარიტა:

**ჩემსავით, ვანა შენ არ ხარ შემოდგომის მზე,
ო, ჩემო თერთო, ო, ჩემო ცივო მარგარიტა!**

მზე წარმართავს ბოდლერის პოეზიის მაჯის-
ცემასა და დინებებს. მზე მედიალურია. თუკი
ბოდლერი მზის თაყვანისმცემელია, ეს იმიტომ,
რომ მზეში თავის თავს ცნობს.

მზე ორად ჰყოფს „ბოროტების ყვაილე-
ბის“ სამფლობელოს, ასევე თვითეულ ნივთში
უპირისპირებს და მკაფიოდ გამოჰყოფს ჩრდი-
ლოვან და ნათელ მხარეებს. რადგან მზეობა
აეაღებულეებს, მზე დაეინებით აეკირდება და
ამზეურებს ფართულსა თუ მიჩქმალულს, ფარსიე-
ვლობით შენიღბულს თუ ჩვეულების ზემოქმე-
დებით ფერგადასულს.

მზე გარეშე მოწმეა, არაფერში ერევა. გუ-
ლიც რომ აუძგერდეს და სიბრაზე რომ წაეკი-
დოს, არ უნდა შეიმჩნიოს. ბოროტებისა და სი-
კეთის კიდელში მზე შუაშია: არც ერთს მიემხ-
ხრობა, არც მეორეს გადაუდგება. მზე პირუთე-
ნელი მოწმეა კაცობრიობის უზენაეს სასამართ-
ლოში. თუმცა ბოროტების ყვაილები მრავლად
ხარობს, მაგრამ ამ ფორუმზე ძალთა თანაფარ-
დობა სუფევს.

ბოდლერის მზის ძალა იმაშია, რომ მან ძვა-
ლი გაუსწორა სინამდვილეს და არ დაბრმავ-
და.

მზე იზიდავს სულდგმულს:

მზით თვრება ბედკრული ბავშვი.

მზისკენ მიილტვის მწვანე ყლორტი და ბე-
ბერი ხე:

შენს ტოტებს სურთ უფრო ახლო იბირონ-
^{მსა}
მზე სიხარულის წყაროა თვით ^{მსა} ~~ბაბა~~ ^{მსა} ~~კლერისა~~
ასტებობაში:

**ჩემი სიკაბუჯე იყო პირქუში გრიგალი,
რომელსაც აქა-იქ ბრწყინვალე მწეები
ჰკვეთდნენ.**

ეს უჩვეულო მრავლობითი რიცხვი ხშირია
„ბოროტების ყვაილებში“. მწეები ეშვებიან,
სველდებიან, ახალგაზრდავდებიან. მწეები შეიძ-
ლება იყვნენ დასნეულებულნი. ბურუსიან
ამინდს თავისი მწეები დაჰყურებს, მოწმენდილ
ცახვეც მრავალი მზე ბრწყინავს:

რა მშვენიერია მწეები თბილ საღამოებში!

მწეების კლასებად, კატეგორიებად, გვარე-
ბად დაყოფას წარმართავს კლასიფიკაციის ზო-
გადი პრინციპი: მზე ცივი და მზე თბილი. თბი-
ლი მზე იშვიათობაა, თუმცა იგი პოეტის შინა-
გან წადილს შეესატყვისება, ამიტომ იგი სარგებ-
ლობს შემთხვევით და სხვაზე მეტად მას იხსე-
ნიებს მრავლობითში. ასეა ზემოთმოტანილ მა-
გალითშიაც.

თბილი მზის მიზიდულობის ძალა იმითაც
აიხსნება, რომ იგი ცოცხალია, ცხოველივით თუ
ადამიანვით ცოცხალი. თქვენ შეგყურებთ
„მზის თვლებში“. მზის ჩასვლის სურათი ანიმა-
ლისტური კოსმოგონით არის შეფერილი:

მზე თავის შედედებულ სისხლში დაიხრჩო.

შეგეცოდებათ მზე, როდესაც მას ისე ეპყრო-
ბიან, როგორც არაერთხელ ადამიანი მოპყრო-
ბია თავის მსგავსს. აქაც მრავლობითი რიცხვი
ამძაფრებს თქვენს ტკივილს:

**ცნობისმოყვარეობა ისე გავწვავლებს და
გვთელავს,
გვეკონება სასტიკი ანგელოზი ამთრახნებდეს
მწეებს.**

ძლიერ და ანკარა წითელ ფერთან შერწყმული
მზე სიყვარულად იქცევა:

**...ეს წითელი მზე, რომელსაც სიყვარულს
უწოდებენ!**

ქვაზე, ცილებზე და ქვეწარმავლებზეც არის
დამოკიდებული მზის ხასიათი. როდესაც მზეს
აღმაფრენისა თუ აღელვების მიზეზი არ აქვს,
მონოტონურია. მონოტონურობა ბოდლერს
ერთვან პოეზიის ზოგად თვისებად მიაჩნია და,
ამდენად, ყოველთვის არ არის უარყოფითი ნი-
შნის მატარებელი.

ამ თემის შემდგომი განვითარება „თეთრი და
უფერული“, შემდეგ „სითბოს მოკლებული“ მზე
და ბოლოს, სიქიოს უხალისო სურათში წარმო-
იშობა აპოთეოზი:

**ბასტონ ბუხნიძე
გოდლეკის ცივი მზა**

ამ ყინულის მზის ცივი უღმობელობა

თუკი წითელი ფერისა და მზის პოეტური ჯამი სიყვარულს უდრის, თავისი შემოქმედების შინაგანი ჭიდილის გამოსახატავად ბოდლერის ორ ალეგორიას გვთავაზობს — მზე ცივ ჯოჯობეთში ანუ წითელი პლიუს ყინული:

და, როგორც მზე თავის პოლარულ ჯოჯობეთში, ჩემი გული იქნება მხოლოდ წითელი და გაყინული ლოდი.

ბოდლერის მზის სიცივის ახსნა აქ უნდა ევციოთ.

ხოლო სიკვდილად ჯოჯობეთის გადაზრდა აქედან გამომდინარე პირობითობაა:

...სიკვდილი, ახალი მწესავით რომ აღმართულა...

მაგრამ ყოვლისშემძელი, ყოვლისმხილველი მზის მთავარი შესატყვისია პოეზია. უპირატესად, რომ მზეში პოეტმა საკუთარი თავი იცინო. ამიტომ ბუნებრივია, რომ „ბოროტების ყვავილებში“ ამოდის მზე-პოეტი, იგივე პოეზიის მზე, იგივე მზეპოეტი.

მზეპოეტისაქენ სხვადასხვა ბილიკს აყვავართ. პირველია თვით ღირსება მზისა, რომელიც სახელს, ღიდებას უდრის:

მზის სიღიადე იისფერ ზღვაზე.
მეორეა პოეტის ერთპიროვნული გადაწყვეტილება:

ჩემი ნებით ვუხმო გაჯაფხულს, გულიდან მზე ამოვიღო და შევქმნა მხურვალე ფიქრების თბილი ატმოსფერო.

მზისა და პოეზიის პარალელი სავანებოდ გადაშლილია ლექსში „მზე“. უხვი მზე აქ ამწიფებს მოსავალს, ხელს უწყობს ვარდის გაფურჩქენას, აქარებებს აღამიანის დარღსა და საზრუნავს და ტინებსა და სკებს თაფლით ავსებს.

ლექსი თავდება მზეპოეტის ამოლოგიით. ასეთი შეიძლებადა ყოფილიყო ბოდლერის პოეზია და ასეთს ისურვებდა იგი, გარემოს რომ ხელი შეეწყო და სინამდვილეს სიცრუით რომ გაქცეოდა. მზის ასეთ განსაზღვრას ხომ განწირულთა მგოსანი ვიქტორ ჰიუგოც მოაწერდა ხელს:

როდესაც, პოეტით იგი ქალაქებზე ეშვება, მზე აკეთილშობილებს ყოველივე უმდაბლესის ხედარს და მეფურად შედის, უხმაუროდ და ულაქიებოდ, ყველა საკადამუფოსა და ყველა სასახლეში.

მაგრამ განწირულ ბნელეთში უხდება გზის გაკაფვა მზეს. მის სავალსა და „ბოროტების ყვავილების“ არსს გადმოვცემს ორი ტაეპი,

რომელიც ბოდლერის პოეზიის რეზიუმეც გამოდგებოდა:

აი ის შავი სურათი ღამის სიზმარში ჩემს ნათელმხილველ თვალს რომ გადაეშალა.

მზეპოეტის სახეში ხსნის ბოდლერი აგრეთვე ერთ მნიშვნელოვან და, შესაძლოა, შეუთარაღებელი თვლით უხილავ თვისებას, სახელდობრ, იმას, რომ ფორმის ეს დაუღალავი მუშა, ესთეტი, სილამაზის მსახური არ არის ხელოვნურობის მონა. ბოდლერის კრიტიკულ ნაწერებსა და ლექსებში მრავალჯერ გატარებული ეს აზრი მზის უშრეტო სხივისა და სანთლის მბეჭეტავი ალის დაპირისპირებით გამოიკვეთა. გარდა ამისა, მომდევნო ნაწყვეტში პოეზია უკავშირდება კიდევ ორ საწყისს — მისტიურ აზრდილთა სასუფეველს (პლატონის მოკვლევებს ბევრს უმადლის ბოდლერი) და მზიურ უკვდავებას:

მზემ გააშავა სანთლის ალი; ასევე, მუდამ გამარჯვებული, შენი აჩრდილი მსგავსია, კავაშა სულთ, უკვდავი მზისა!

როგორც ბოდლერის კრიტიკა და ფერწერის ანალიზი „პოეზიის არის ერთი დარგი“, ასევე „ბოროტების ყვავილები“ შეიცავს თავისავე კრიტიკას. ეს ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელიც შეუცნობელი ბიძგების წყალობით არ იშვია, არამედ შემოქმედს საკუთარ ავტორზე ფართოდ ჰქონდა ვახელილი თვალთახი. ამიტომ გამოპოვებს ბოდლერი ლექსში „მზე“ თავისი ნახელავის დომინანტს: პირუთენელობას, სხივფენილობას, სიციხადეს.

თვლით გავაყოლოთ მზის სხივს იმ მიმართულებით, სადაც სიცივისა და სითბოს ორთაბრძოლაა.

სიცივე მოწინააღმდეგეა. დაუფარავი ან ნაგულისმხვეი. მეზობლებიც უქმური ჰყავს:

სიგივე და საშინელება, ცივი და მდუნარე.

სიცივე (ამას სხვა მავალითებიც დავეიდასტურებენ), უნაყოფობასთან ერთად, სილამაზის შემადგენელი ნაწილია; ვეტრფიო, გვეუხნება პოეტი:

თვით ამ სიცივეს, რომლითაც ჩემთვის უფრო ღამაში ხარ!

მთელი სტრიქონის ან მხატვრული სახის უნებლიე გამოერება, ზუსტი რეპრიზა, თუკი არის, ძალზე იშვიათია „ბოროტების ყვავილებში“. მით უფრო ნიშანდობლივია ჩვენს მიერ ცალცალკე ხსენებული ორი სხვადასხვა ლექსიდან ამოდებული ტაეპის აშკარა პარალელიზმი:

„ყინულის მზის ცივი სიმკაცრე“ და „უნაყოფო ქალის ცივი სიღიადე“.

ეს პარალელიზმი ავლენს ბოდლერის ხელწერისათვის დამახასიათებელ ხერხს: ერთის მხრივ,

ლოგიკურად გაუმართლებელ პარადოქსალურობას (ყინულის მზე), მეორეს მხრივ კი კონკრეტული ეპითეტის დაკავშირებას განყენებულ ცნებასთან (ცივი სიმკაცრე, სიდიადე, ჭეშმარიტება, შიში...), პარადოქსალობა და შეუსაბამობა ნუ აღგავაფთოებებს: არისტოტელეს ლოგიკის გვერდით პოეზიას თავისი ლოგიკა აქვს, თვითველი პოეტს — კიდევ თავისი. ეს მრავალი მზე ურთიერთს არ ეცილება და მხოლოდ უკეთ გვიჩვენებს გზას.

ბოდლერის ამავე ლოგიკას ემორჩილება „თვალის გუგუების ბრწყინვალეობა, ღრმა და ცივი გამოხედვა“.

დამაფიქრებელია სიცივისა და სიცივის განმეორებითი კავშირი: „...გამწვავებულ და ცივ მოციკვავე ქალს... სახე გაებადრება მაშინაღუერი ღიმილით“.

იქნებ გონების ამღვრევას პოეტი ცივ სამყაროს საბედისწეროდ უკავშირებდეს?

არსებითად კი სიცივე უკავშირდება თეთრს, ნათელს („გრილი სიო ნათელ ცაში“), აგრეთვე ცისფერს: დეკემბრის ლურჯი და ცივი ღამეა, როგორც ურიცხვ სხვა დეტალში, ვლინდება ბოდლერის ჩახედულობა ფერწერაში და მისი პოეზიის ფერწერულობა დახვეწილი მუსიკალური ინსტრუმენტირების მიუხედავად, ბოდლერის ლექსის (და, როგორც აღინიშნა, ფრანგული პოეზიის დიდი ნაწილის) ბუნება ხილვადია, ვიზუალური.

მიუთუნი მედიალურობის თანახმად, ბოდლერს ვადაწყვეტილი აქვს არ დატოვოს უბასუხოდ სიცივის გამოვლინებანი და მათ უპირისპირებს სითბოს შესატყვისობებს. სიცივის სტიქიონს სითბოს განზოგადებული იდეა ეღობება წინ: „მომწუნდილი ცა, სადაც თრთის მარადიული სითბო“. ყინულის მზეს სხენებული თბილი საღამოების მშვენიერი მზეები ეგებებიან. ერთგან სილამაზე ცივია, ხოლო მეორეგან, პირიქით, ცხელია და წვავს.

უფრო კონკრეტულად სითბო ახალგაზრდობას უკავშირდება. ახალგაზრდობის ტკბილი სითბოსადმი პოეტის ერთგულებას ვერაფერი შეაჩევებს.

სითბოს ხორციელი განზომილებაც აქვს:

**ღღსბოსო, მცხუნვარე და მიბნედილი
ღამეების მიწავ.**

ანდა:
„ახვორცობის მწველი გაეღვება“.

ლირიკულ შედევრში „იავანი“, სითბოს წყალობით, გული დროებით აღარ არის გაორებული წითელსა და გაყინულს შორის. პოეტი მოულოდნელად ანდობს მკითხველს და დაპირებასაც უსრულებს:

**მე ვიცი ბედნიერი წუთების გახსენების
ხელოვნება.**

მზრუნველი ხელით გაჩაღებული, სიყვარულის მანათობელი კოცონი ანთია ამ ლექსში. ლექსმა შემოგვიჩანა: გავარგარებულე ნაწირობე, განათებული საღამოები და „ქერის სიტკობით“, „სიღამოების ეშხით“, „ვარდისფერი ორთქლით“, „სისხლის სურნელით“ დანთებული კოცონი...

ბოდლერის ნაწერებიდან მხოლოდ „იავანი“ რომ შემორჩენილიყო, ვინ იტყოდა რომ იგი დაწერა ცივი გამების ოსტატმა?

იმ საწყისთა შორის, რომლებიც პოეტს გაძლბანსა და მხნეობას ანიჭებენ მის დაუსრულებელ ძიებაში, არის სილამაზე.

ნუგეშთან ერთად, სილამაზე სათუთად შემონახული იმედია, ბანქოს პარტიის უქანასკნელი კარტია, რომელიც, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, სრულყოფს ადამიანს. არსებობს „სილამაზის გზა“ და პოეტიც მას ადგია.

„პორტების ყვავილებს“ სამყაროში სილამაზე გამოწკლის არ წარმოადგენს და ამიტომ შესდგება წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხველი წახანგებისგან. სრულყოფილ სილამაზეს ძალუქს „ფერხითი მოიქციოს დამარცხებული კაცობრიობა“.

ამავე დროს, იგი გულგრილია ადამიანთა მიმართ:

**შენ მკვდრებზე დადიხარ და მათი არ
გენაღვლება, სილამაზეც.**

იგი არის „ვეება, საშინელი, მიაპიტი ურჩხული“. საშინელი მშვენიერება კიდევ ერთი ბოდლერის ლოგიკით აგებული პარადოქსია.

გამომწვევი პოლემიკურობით დაწერილმა სონეტმა „სილამაზე“ გამოიწვია კიდევაც ეს თეტიკოსთა შეხლა-შემოხლა. ცხადია, იგი სილამაზის ბოდლერისეული ხედვის მხოლოდ ერთი კლთხეა, მისი მხატვრული დავაქციების საფეხური და არა საბოლოო სინთეზი. თუმცა ცხადია ისიც, რომ აქ გამოქერწილი პლასტიკური იდეალის დაღი, ხმაილდა თუ დახშულად სხვაგანაც გაისმის. ქვის სიზმარი, უძრავობა, გულგრილობა, სიცივე და „ამოუცნობი სფინქსის“ საიდუმლოება — ესეც იარაღად გამოადგა ბოდლერს პორტების აყროლებულ ჭობთან. მაგრამ ყუყყიად მოგჩვენებოდა მას საკუთარი თავი, აქ რომ დაესვა წერტილი.

სილამაზე კერპიც არის და სერიოზულ მიდგომასაც იმსახურებს, იმდენად სერიოზულს, რომ პოლ ვერლენის მეღანქოლისა არ იყოს, სასაცილოს, კომიკურს გამორიცხავს. სილამაზე მეფურია თავისი მოწოდებით, თუცა ავადმყოფური სილამაზის მეტი რა არის.

როგორც სხვადასხვა შეძლების ადამიანისათვის განსხვავდება ლუკმა პური, ისე განსხვავ-

**ბასტონ ბუჩინძე
ბოდლერის ცივი მზე**

დება სილამაზე ცხოვრების სხვადასხვა დონეზე: „განცხრომის სილამაზე“, ხეპრეთა სილამაზე, მხატვარ გავარნის „საავადმყოფოს ლამაზმანები...“.

მათ შიქოსდა განაზოგადებს „მწუხარე სილამაზე“, რომლის ორეულზე ჭმუნავს პოეტი: საბრალო დიადო სილამაზე!

ქალის პლასტიური სილამაზე კი, პირიქით, აღფრთოვანებს მას და სურვილს აღუძრავს მის გარშემო იაროს, ისევე, როგორც ამას როდენი ურჩევდა თავის მოწაფეებს:

მივუახლოვდეთ და ვიაროთ მისი სილამაზის გარშემო.

სილამაზის სამფლობელო პლასტიურობას სცილდება და „ალერსის სილამაზედაც“ გვივლინება.

სილამაზე საბედისწეროა, ხან „რკინაპავით პირქუში“, ხან „სულთა მძიმე უღელი“.

თითქოს და მტრის ლაშქრით გარშემორტყმული ციხე-სიმაგრეიდან მოისმის სევდისათვის განწირული სილამაზის განაჩენი:

**ჭკვიანი იყო, რად მინდა?
იყავ ღამაში და სევდიანი!**

რომც არ არსებობდეს სილამაზე, პოეტი მას უთუოდ გამოიგონებდა. მაგრამ სილამაზის სილამაზეს მხოლოდ დანახვა უნდა:

**დამცინავი სამყაროსათვის უხილავი,
ჩემს ნაფლიან გულში აუვავებულა მისი სილამაზე.**

ბოდლერი მუდამ სუსტის წინაშე ძლიერს აჩოქებს:

**ძლიერი სილამაზე მუხლებზეა დაცემული
ნაწი სილამაზის წინაშე.**

დაკვირვებული მზე ბოდლერის ნაზ სილამაზეს შეავლებს სხივს და თავის სვლას განაგრძობს. მან კიდევ ბევრი რამ უნდა გაანათოს და გამოააშკაროს, მაგრამ ჩვენ აღარ გავყვებით.

მზის, როგორც ყოველივე არსებულის, ბუნება შინაგანი ჭიდილია. თუკი შორიდან, შემოდგომის დღეს, იგი ცივი მოგეჩვენებათ, ეს იმიტომ რომ ვზად მას სიბილწის დათრგუნვა მოუხბა.

და რადგან სიბილწემ ვერ ჩააქრო და მაინც თანაბრად და მშვიდად ანათებს, ყოველ დილით ამისათვის უნდა ვესალმებოდეთ ბოდლერის მზეს.



მინი გამრეკელი

ისინი რვანი არიან

მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრა ყველა მოქალაქეს შეუძლია, ოღონდ... ოღონდ ამისთვის საჭიროა მრავალრიცხოვანი შესარჩევი შეჯიბრებების წარმატებით გავლა. ეროვნული პირველობები, ზონალური ტურნირები, საზონათშორისო პაექრობა, პრეტენდენტთა მატჩები...

1968 წელს, ვერც კი მოასწრო ბორის სპასკიმ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის „მორგება“, რომ მას ერთდროულად უამრავი მოქალაქე „დაემუჭრა“. მაგრამ თანდათანობით ამ უმარავეთაგან რამდენიმე ასეულია დარჩა. ასეულებმა „ერთმანეთის გვაძებზე“ ვადაიარეს და აი პალმა-დე მალიორკამდე მხოლოდ 24-მა მიადწია. დღეისათვის ამ ოცდაათხიდან რვა დარჩა: ტიგრან პეტროსიანი, ვიქტორ კორჩნოი, რობერტ ფიშერი, ბენტ ლარსენი, ეფიმ გელერი, რობერტ ჰიუბნერი, მარკ ტაიმანოვი და ვოლფგანგ ულმანი.

1. თბილისი. რუსთაველის პროსპექტი

ოფიცერთა სახლის ერთ ბატარა და შეუხედავ უზოს, ეტყობა, არასოდეს არავინ ახსენებდა, აქ რომ ტ. პეტროსიანი არ გაზრდილიყო. მამამისი ვართანი მეგობრე გახლდათ, ხოლო შვილი წამოიზარდა თუ არა, მოხუც მამას ეხმარებოდა კოდეს.

მაგრამ პატარა ტიგრანს თავისი სამყაროც ჰქონდა, მომხიბლავი, ზღაპრული სამყარო. ეს იყო ჰადრაკი, მისი ჯერაც ამოუხსნელი საიდუმლოება. და აი ყმაწვილს, რომელიც ხს ფიგურებს ძილშიც არ იშორებდა, დახმარების ზელი გაუწოდეს არჩილ ებრალიძემ და აღექსანდრე ბლაგიძემ.

გავიდა ხანი. საქართველოს სახელგანთქმული დიდოსტატი პაულ კერესი ეწვია. პეტროსიანი უკვე ძლიერი ოსტატობის კანდიდატი გახლდათ, მაგრამ მინც არავინ ელოდა, რომ იგი კერესს ხიდათს შეამთხვევდა. ესტონელ ვირ-

ტუოს ყაიმის მისაღწევად დიდი შეუპოვრობის გამოვლენა მოუხდა. მისი წინასწარმეტყველება მინც ფრიად თავშეკავებული იყო: „პეტროსიანისაგან კარგი ოსტატი დადგებაო“. რა თქმა უნდა, კერესს ვერავინ გაუბედა ეთქვა, რომ ანდრე ლილიენტალმა ორიოდ წლით ადრე პეტროსიანს დიდოსტატობა უწინასწარმეტყველა.

მომდევნო ხანებმა პეტროსიანი წოდებების ნამდვილი „კოლექციონერი“ გახდა: თბილისის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონი. ერევნის ჩემპიონი, სომხეთის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის...

რღა რჩებოდა... მოსკოვის ჩემპიონობა, სსრ კავშირის ჩემპიონობა, მსოფლიო ჩემპიონობა. ტიგრან პეტროსიანმა ამასაც მიადწია.

ერთი სიტყვით, დღევანდელი პეტროსიანი თავისებური გამოცანაა. ასეა თუ ისე, მისი უდიდესი გამოცდილება და ერუდიცია მინც აფრთხობს მეტოქეებს. შემთხვევითი როდია, როდესაც შეიტყო, რომ პრეტენდენტთა პირველივე მატჩში პეტროსიანთან მოუხდებოდა თამაში, ახალგაზრდა ჰიუბნერმა გამწარებით წამოიძახა: „პეტროსიანის წინააღმდეგ არავითარი შანსი არა მაქვს. დე, ლარსენი ან ფიშერი შემხვედრება“. ჰიუბნერს სწორად უნდა გავუგოთ. მას ის კი არ უნდოდა ეთქვა, რომ ახლა პეტროსიანი ფიშერზე ან ლარსენზე უკეთ თამაშობს. საქმე ისაა, რომ ჰიუბნერის სტილის მოჭადრაკისათვის სწორედ პეტროსიანთან ბრძოლა ყველაზე უფრო სახიფათო.

2. შეუპოვრებული

ვიქტორი ლათინურად გამარჯვებულს ნიშნავს და კორჩნოი ამართლებს თავის სახელს, მაგრამ ძველი რომაელები ხომ შეუპოვრებლები იყვნენ. შეუპოვრებელია კორჩნოი, როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართაც.

თუ სხვა დიდოსტატებს თავისებური „ბიზანტიური“ დიპლომატია აქვთ და ერთმანეთს, უმეტეს შემთხვევაში, „ქათინაურებს“ სთავაზობენ, კორჩნო საოცრად პირდაპირია. მის გარდა ვინ გაბედავდა ეთქვა, რომ მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული მოჭადრაკის მხეილ ტალის თამაში „შაბლონურია“ (სხვა საკითხია, თუ რამდენად მართალია კორჩნო!). განა რომელიმე, შედარებით ახალგაზრდა დიდოსტატს როდესმე წამოსცდენია, რომ საუუთარ მომავალს სტატეგიურად უყურებს! კორჩნომ კი ამასწინათ პირდაპირ თქვა: „ახლა გაცილებით უარესად ვთამაშობ, ვიდრე 3 წლის წინ. ჩემი შანსები მსოფლიო პირველობაზე უმნიშვნელოა. ის, რაც 1968 წელს ვერ გავაყენე კორჩნოში კიევიში პრეტენდენტთა ფინალური მატჩი წააგო სპასისთან, ძნელი დასაჯერებელია 1971 წელს გავაყენო“.

მაშ ასე, პეტროსიანისა არ იყოს, კორჩნოსი ახლანდელი ფორმაც ფრიალ ცვალებადია. ერთი მხრივ, ორი წაგებული მატჩი (ბრონშტეინთან შეხვედრის გარდა, კორჩნო „საუკუნის მატჩში“ დამარცხდა პორტიშანაც), უფერული გამოსვლა სოჭში ახალგაზრდა ოსტატების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, მტკიცე თამაში ზაგრებში, ზიგენში, რიგაში, რა მოხდება შემდეგ? ვექტორ კორჩნო 40 წლისაა. ეს არც თუ ისე ცოტაა, მაგრამ არც თუ ისე ბევრიც. ყოველ შემთხვევაში „საჰადრაკო სიბერე“ ჯერ შორსაა. ამიტომ არიან ოპტიმისტურად განწყობილნი „ლენინგრადელი ლასკერის“ მრავალრიცხოვანი გულშემატყობრები.

3. „ფიშერი კარიზმისთანაა!“

ასეთი სათაური მისცა ცნობილმა იუგოსლავიელმა ყურნალისტმა დიმიტრი ბელიცმა წიგნი, რომელიც ახალგაზრდა ამერიკელ დიდოსტატს მიუძღვნა. 1967 წლისათვის ამ სათაურს აზრიც ჰქონდა — ბევრი მიიჩნევდა, რომ ფიშერი ისე ემუქრება მსოფლიო ჩემპიონს, როგორც პანიბალი რომს, მაგრამ აი ამავე წლის საზონათშორისო ტურნირში მოხდა ფრიალ უცნაური და ამოუხსნელი რამ — ფიშერმა მიატოვა შეჯიბრება, რომელსაც იგი დამაჯერებლად ლიდერობდა. მისი შეხვედრის პროექტი მსოფლიო ჩემპიონთან განუხორციელებელი დარჩა“.

„ფიშერი კარიზმისთანაა“, — უკვე თამამად შეიძლება ამის თქმა. ახალგაზრდა დიდოსტატი მართლაც რომ ტრიუმფით დაუბრუნდა საჰადრაკო სამყაროს. 1970 წლის მანძილზე იგი თითქოს გადაეჩვია ყოველგვარ კონსერვაციას. ჯერ იყო და „საუკუნის მატჩში“ ტ. პეტროსიანს დაამარცხა, შემდეგ 2,5 ქულით ჩამოიტოვა მეტოქეები ზაგრებში. ბუენოს-აირესში ახალგაზრდა დიდოსტატმა უკვე 3,5 ქულით გაასწორა მეორე პრიზორს, შემდეგ კი ასეთივე ინტე-

ვალით დაისაკუთრა პირველი პრიზი პალმა-დე-მალიორკაში. ერთადერთი შეჯიბრება, სადაც ფიშერი მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადში, ოლიმპიადა ვახლდათ. მაგრამ ამას ზიანი როდ მიუყენებია ამერიკელის რეპუტაციისათვის. საქმე ისაა, რომ ზიგენში პირველი იყო მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი.

მიმომხილველებს უყვარდათ წერა იმის შესახებ, რომ ფიშერი თამაშობს, როგორც ყველაზე უფრო სასულყოფილო ავტომატი. ზოგი ნაკლები ამ „ავტომატის“ თამაშშიც შეიმჩნეოდა. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ფიშერი შეჯიბრებაში ქულებს აგროვებდა ძირითადად აუტსაიდერების ხარჯზე, ძლიერებთან კი შედარებით ნაკლები წარმატებებით გამოდიოდა. იმავე წერდნენ, რომ ამერიკელს უადრესად შეზღუდული სადებიუტო რეპერტუარი აქვს (ესპანური პარტია, სიცილიური დაცვა, ძველინდური დაცვა), რომელსაც წლიდან წლამდე იყენებს. კიდევ ერთიც — ფიშერი ვერ იტანს დამარცხებას, რომლის შემდეგ გაცილებით უარესად თამაშობს.

პალმა-დე-მალიორკის ასპარეზობის შემდეგ ამ პრეტენზიების ნაწილი უნდა მოიხსნას. საქმე ისაა, რომ საზონათშორისო ტურნირში ფიშერმა სწორედ უძლიერეს დიდოსტატებს „გააგლო მუსსი“, ოსტატებთან კი ყაბის დასჯერდა. ეს მართლაც რომ ახლია რამ იყო ფიშერის პრაქტიკაში. ახალგაზრდა დიდოსტატმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ შეზღუდული რეპერტუარი ხეირს არ დააყრის. ამიტომ დაიწყო მან ახალი დებიუტების გამოყენება (ინგლისური დასაწყისი პოლუგავეკისთან. ალიოხინის დაცვა, სათლზთან, ფრიალ ორიგინალური თამაში მატულოვიჩთან).

ერთი რამ ახლაც ნათელია—წაგების შემდეგ ფიშერი ახლა გაცილებით უარესად თამაშობს. ეს მაშინ, როდესაც სპასკი წაგების შემდეგ ისე იბრძვის, თითქოს არაფერი მომხდარაო, ლარსენი კი „მძინეარდება“ და უკეთეს შედეგსაც კი აღწევს. გრანობების ამყლო ფიშერს ხსიათი უაუტუდება, მაგრამ ეს ზომ უადრესად იშვიათად ზდება. მაინტერესოა აღინიშნოს, რომ 1970 წელს გათამაშებულ 74 პარტიიდან (ჰანოსთან პლუსს არ ვთლოთ) ფიშერმა წააგო მხოლოდ 3: ზაგრებში — კოვაჩევიჩთან, ზიგენში — სპასისთან და პალმა-დე-მალიორკაში — ლარსენთან.

რამდენად რეალურია ფიშერის შანსები მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლის საქმეში? იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა დიდოსტატს არა აქვს მატჩების თამაშის გამოცდილება, ყველა მიმომხილველ მინც მალალ შეფა-სებას აძლევს მის შესაძლებლობებს. პირველ მატჩში ფიშერი უნდა შეხვედეს ტაიმანოს. 45 წლის ლენინგრადელი დიდოსტატი ახლა საუც-

ხოლო ფორმაცია, თუმცა წინასწარი უპირატესობა მიანიჭებდა ფიშერს უნდა მიეკუთვნებინათ.

„ხოლო ზედავთ რამდენიმე ჰალარა ღერს ჩემს თმაში — უთხრა ჟურნალისტებს აშშ-ს საჰაერაო ფედერაციის პრეზიდენტმა ედმონდსონმა — ეს ბობის გამო გამიჩინდა“.

პრეზიდენტმა დასძინა, რომ პალმა-დე-მალიორკა უკანასკნელი საზოგადოების ტურნირის იყო ბობის პრაქტიკაში.

„რატომ?“ — შეეკითხნენ გაკვირებული ჟურნალისტები.

„მიტომ, რომ იგი აუცილებლად მიიღწევს მსოფლიო ჩემპიონანდს და კიდევაც რომ არ მოუგოს მას, პრეტენდენტთა მომავალ ასპარეზობაში გამოსვლის პერსონალურ უფლებას მიანიჭებენ“.

4. ის ოპტიმიზმი პენტ ლარსენი

„პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მე და ფიშერი შევხვდებით და მე მოვიგებ ამ მატჩს“ — ეს სიტყვები, როგორც ცნობილია, ბენტ ლარსენს ეკუთვნის. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ — ამ სიტყვების წარმოთქმის დროს დანიელმა მოჭადრაკემ ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რას მოუტანდა კენსისკრა. ახლა კი გამოირკვა, რომ პირველი მატჩების მოგების შემთხვევაში ფიშერი და ლარსენი ერთმანეთს ნახეარფინალში უნდა შეხვდნენ. ასეა თუ ისე, ეს მატჩი (ნახევანფინალში იქნება თუ ფინალში) მართლაც განსაკუთრებული მოვლენა უნდა გახდეს.

ბენტ ლარსენს „კომენტირებელი ვიკინგს“ უწოდებენ. იგი მართლაც რომ ტიპიური ვიკინგია — გაბედული, დაუდევარი, შემართებული, გულღია. თვით ფიშერმაც კი, რომელსაც ადრე უყვარდა ლაპარაკი თავისი მომავალი გამორკვევების შესახებ, ახლა ერთხელ და სამუდამოდ აიღო ხელი ყოველგვარ პროგნოზზე. ლარსენი კი აცხადებს რომ სასაქის სწორედ იგი შეხვდება და დაამარცხებს კიდევ.

რა თქმა უნდა, მკითხველებმა იციან, რომ ლარსენის ოპტიმიზმს გარკვეული საფუძველი აქვს. უკანასკნელ წლებში მან მოიპოვა უამრავი პირველი პრიზი ყველაზე უფრო ძლიერი შემადგენლობის ტურნირებში, მატჩები მოუგო გელერს, ტალს, ივკოვს, პორტიუსს. უკვე კარგა ხანია ლარსენი ოფიციალურად ატარებს მსოფლიოს № 4 მოჭადრაკის წოდებას (მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეობის შემდეგ), მეოთხეს კი საფუძველი აქვს იოცნებოს პირველობაზე.

დიდოსტატმა ბონდარეუსკიმ 1968 წელს თქვა, რომ თავის ტაქტიკური ოსტატობით, კომბინაციური ბრძოლის ხელოვნებით ლარსენს ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში (რამდენიმე წლის წინ ამ სფეროში შეუდარებლად ტალი ითვლებოდა). მაგრამ ტაქტიკასთან ერთად ხომ სტრატეგიასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. აქ კი „ვი-

კინგი“ სასასიაც ჩამოუყარდება და ფიშერის მისი თამაშის ექსტრავაგანტური მანერა ზეგერს იბნეებს, მაგრამ ყველას არა.

უნდა აღინიშნოს ლარსენის ერთი თავისებურება, მისი ორგანული თვისება, რომლის გამო-სწორებას იგი ვერა და ვერ ახერხებს. ეს თვისება სწორედ მეტისმეტ ოპტიმიზმიდან გამომდინარეობს. ლარსენი, ისევე როგორც ფიშერი, ყველა პარტიას მოგებაზე თამაშობს. როდესაც ინიციატივა მის მხარეზეა, „ვიკინგმა“ უდავოდ იცის, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ ბრძოლის ბროცესში ხომ ფათარაკებისაგან არაფერია დაზღვეული. და აი, როდესაც ინიციატივა იკარგება და უპირატესობა მეტოქის მხარეზე გადადის, ფიშერი ფრიალ ობიექტურად აფასებს პოზიციას, ხელს იღებს მოგებაზე თამაშისაგან და მდგომარეობის გათანაბრებას ცდილობს. ანალოგიურ სიტუაციაში ლარსენი ჭეუჭად განაგრძობს თამაშს მოგებაზე და ამით მხოლოდ ხელს უწყობს მეტოქეს სწრაფად გამოიყენოს თავისი უპირატესობა.

5. ტურნირის აღმოჩენა

პალმა-დე-მალიორკას ტურნირამდე რომერტ ჰიუბნერს მოჭადრაკეთა ვიწრო წრე იცნობდა, ფართო საზოგადოებრიობამ კი მხოლოდ ახლა „აღმოაჩინა“.

ჰიუბნერი დაწინაურდა ჰაბუტთა შეჯიბრებებში. 1969 წელს მან გაიმარჯვა ევროპის ერთ-ერთ ზონალურ ტურნირში (სადაც, სხვათა შორის, მარტინ იგემეს ვეორგედი და ოლაფსონმა), რითაც უდავოდ, მიიქცია ყურადღება. 1970 წლის ზაფხულში იუგოსლავიის ქ. სომბორში მოიწყო „ახალგაზრდა ტალანტების ტურნირი“. აქ ჰიუბნერმა ორი ქულით გაასწრო მეორე ადგილზე გამოსულ საბჭოთა დიდოსტატ კუპრეიჩიკს, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებისთანავე დასწერა: „ჰიუბნერი უახლოეს ხანებში დიდოსტატის წოდებას მოიპოვებს. უფრო მეტიც, შეიძლება მან სიურპრიზი შემოგვთავაზოს პალმა-დე-მალიორკაში“. კუპრეიჩიკს, როგორც იტყვიან, „ენამ უყვილა“.

პალმა-დე-მალიორკაში ჰიუბნერს პულ კერესმა „ტურნირის აღმოჩენა“ უწოდა. მას მეტად მტკიან, ჯანსაღი სტილი აქვს. ჰიუბნერისათვის უცხობა ყოველგვარი ავანტიურა, ისე კი ახალგაზრდა ოსტატს იერიშიც ეხერხება და თავდაცვაც.

შესაძლოა ჰიუბნერისათვის ჯერ ცოტა ადრეა პრეტენდენტთა შეჯიბრებაში თამაში. ის კი ცხადია, რომ მას დიდი მომავალი აქვს და თუ აქამდე გერმანელ ჟურნალისტებს უყვარდათ წერა, რომ მათ ჰყავთ „პატარა ტარაში“ (ასე

3030 ბაზრეკალი

ისინი რვაწი პარიან

უწოდებენ უნციკერს), ხომ არ შეიძლება ეწოდოს პიუბნერს „ახალი ტარაში?“ სიტყვა „პატარა“, რომელიც ასე თუ ისე შეეფერება უნციკერს, პიუბნერის მიმართ უკვე ირონიული იქნებოდა.

6. კენჭისყრის უკუღმართობა

თუ ვინმეს შეუძლია ილაპარაკოს საჭადრაკო კენჭისყრის უკუღმართობაზე, ეს პირველ რიგში ეფემ გელერია. 1965 წელს მას პრეტენდენტმა მატჩში სპასკისთან მოუხდა შეხვედრა. გავიდა კიდევ 3 წელი, დაიწყო პრეტენდენტთა შეხვედრების ახალი ციკლი. კენჭისყრამ გელერს არგუნა... სპასკი! ახლა, როდესაც პრეტენდენტები ისევ დააწყვილეს, ზოგი მათგანი უდავოდ კმაყოფილია ხვედრით. ეს, რა თქმა უნდა, გელერს არ შეეხება. მან ხომ კორჩნოსთან უნდა ითამაშოს.

უკვე მრავალი წელია, რაც გელერი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიცხვს მიეკუთვნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მას უკეთესი ანგარიში აქვს ბოტვინიკთან, პეტროსიანთან, ფიშერთან. გელერს ახლა ყველა დიდოსტატი უფრთხის, თვით კი უპირველეს ყოვლისა, უფრთხის... თავის ასაკს. მსოფლიო მოჭადრაკე (ის დრო, როდესაც გელერი ახალგაზრდა ოდესელი დიდოსტატი იყო, ახლა ისტორიკოსებს თუ ასოვთ) 46 წლისაა. მას „კარს უკაკუნებს სიბერე“ (ჩვენ საჭადრაკო სიბერე გვაქვს მხედველობაში), მაგრამ ჭერ კიდევ რჩება დრო და გელერიც ცდილობს მის მაქსიმალურად გამოყენებას.

ბოტვინიკმა როგორღაც თქვა, რომ თანამედროვე დიდოსტატთაგან ყველაზე საინტერესო იღებენ გელერს ებადება. ბრწყინვალე ფანტაზია, შესანიშნავი ერთდღივი, სიმტკიცე და გაბედულება — აი გელერის თვისებები. იგი დიდებულია, როდესაც იერიშს აწარმოებს, თავადცა არ უყვარს, მაგრამ იგი შედარებით ნაკლებდაც უხდება. ხომ კარგადაა ცნობილი, რომ მეტისმეტად ძნელია გელერს ხელიდან გამოგლიჯო ინიციატივა!

7. მეორედ გასასაღავარდავად

იყო დრო, როდესაც მარკ ტაიმანოვი ყოველ ტურნირში პირველი ადგილისათვის იბრძოდა. იგი სსრ კავშირის ჩემპიონიც იყო, დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულიც, პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილეც. თვით ბოტვინიკმა, რომელიც მაშინ მსოფლიო ჩემპიონი იყო, რეს ვაივაგლახით მოუგო მატჩი (3,5:2,5) ტაიმანოვს. ეს უფრო „პირისის გამარჯვებას“ ჰგავდა.

ის დრო მალე ყველამ დაივიწყა. თვით ტაიმანოვი მოგვითხრობს: „მატარებელში მომიხდა

მგზავრობა. საუბარი სპორტზე ჩამოვარდა ვილაქამ ტაიმანოვი ასხენა. „რომელი ტაიმანოვი? წინათ რომ ჭადრაკს თამაშობდით?“ და აი ერთ წელზე მეტია, რაც ლენინგრადში დიდოსტატი გაახალგაზრდავდა. მან შესაძლებლად წარმართა საკავშირო ჩემპიონატი, პირველი პრიზი მოიხვეჭა ბევერვიცისა და სკოპლში, „საუკუნის მატჩში“ ულმანს სძლია. ახალი ტრიუმფი პალმა-დე-მალიორკაში, როგორც ვხედავთ, არ ყოფილა მოულოდნელი. რა შეიძლება ითქვას დღევანდელ ტაიმანოვზე? მან ბედნიერად შეინარჩუნა ყველა ის ღირსება, რაც ახალგაზრდობაში ჰქონდა. ლენინგრადელი დიდოსტატი ძალიან სწრაფად და შორს თვლის ვარიანტებს, იერიშის წარმატებასაც გააჩნია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტოქისათვის დასწრების გრძობა, ენერგიულად იცავს თავს. ტაიმანოვმა ისე სრულყოფილად შეისწავლა რამდენიმე დიდი (მაგალითად, სიცილიური, ნიმფიენის დაეცა), რომ მათ გამოყენებას მის წინააღმდეგ ახლა ყველა ერიდება


8. შემთხვევითობა და კანონზომიერება?

ბევრი მიმოხილველი ახლა ამტკიცებს, რომ ვოლფგანგ ულმანი პრეტენდენტთა ტურნირში შემთხვევით მოხვდა. ეს ადგილი, თითქოს, უფრო უპრიანი იქნებოდა ლაიოშ პორტოვისათვის.

რამდენად სწორია ასეთი მსჯელობა? ჩვენი აზრით, იგი უმართებულაა. პორტოვის გამოსვლები უკანასკნელ ხანებში არ ტოვებენ დიდ შთაბეჭდილებას. მას გადაღლის ბეჭედი აზრს. ეს მაშინ, როდესაც გერმანელი დიდოსტატის თამაშში ახლა არნახულ აღმავლობა შეიმჩნევა. 1969 წ. ვენის გარეუბან რაჰპლ, სადაც ზონალური ტურნირი მიმდინარეობდა, ულმანმა შორის ჩამოიტოვა იგივე პორტოვი, 1970 წელს გერმანელმა დიდოსტატმა ბრწყინვალედ ითამაშა ამსტერდამსა და ზიგენში, პალმა-დე-მალიორკაში კი პირდაპირ საოცარი გამძლეობა ვეჩვენა. რომელ მოჭადრაკესაც ვხედავთ, თავზარს დასცემდა წაგებები ფინიშზე ფიშერთან, სათლზთან (მოგებულ პოზიციასში), პიუბნერთან „ბედნიერება ხომ ესოდენ ახლოს იყო!“ და სწორედ იმ დროს, როდესაც თითქოს ყველაფერი დაიკარგა, ულმანმა როდი დაჰყარა ფარხმალი. ეს ნამდვილი სპორტული გმირობა იყო.

მაშ ასე: წინაა მატჩი ლარსენთან, უპირატესობას ყველა ლარსენს ანიჭებს, ყველა, ულმანს გარდა. მან გაწით „ლოიჩეს შპორტების“ კორესპონდენტს განუცხადა: „ჩემი ანგარიში ლარსენთან 4:4 გახლავთ. განა ეს არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს?“

ერთი სიტყვით, წინაა 8 პრეტენდენტის დასკენითი ასპარეზობა. ვნახოთ, ვინ-ვის!



პსკიდან



ბ უ შ

ჯამრი ლუსი
ომის წინააღმდეგ

ცნობილმა ამერიკელმა კინომსახიობმა ჯერი ლუსიმ გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტს განუცხადა: — „ამერიკელები ვიეტნამში უკანონო ომს აწარმოებენ. მე კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ, რომ ჩემი შვილი იქ საომრად გაგზავნონ, მაგრამ თუ ჩემს ქვეყანას ომს გამოუცხადებენ, მაშინ მე თვითონ ავიღებ იარაღს ხელში და ვიომებ მის დასაცავად. ვიეტნამის ომი ხომ უსაფუძვლო და ამორალურია“.

პოპულარული კომიკოსი ჯერი ლუსი, რომელიც მონაწილეობს 40 ფილმში, ამჟამად ამთავრებს სატირულ ფილმს „როგორ გავიღე ფრონტზე“. როგორც ლუსიმ განაცხადა, ეს ანტიმილიტარისტული ფილმი, პროტესტია ყველა უკანონო ომის წინააღმდეგ.

ინგლისი

დოქტორის ხელნაწერები
და ნახატები

ლონდონის „ვიქტორიან ენდ ალბერტ მუზეუმში“ მოეწყო დიკენსის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მწერლის ხელნაწერები და ნახატები, რომლებიც დიკენსმა თავისი ნაწარმოებებისათვის შეასრულა. მათ შესახებ ვან-

გოგი წერდა: „არ მეგულება მეორე ისეთი მწერალი, რომელსაც დიკენსივით წერაც შეეძლოს და ხატვაც“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე სხვა მხატვრების მიერ დიკენსის ნაწარმოებებისათვის შესრულებული ილუსტრაციები და მწერლის რამდენიმე პორტრეტი.

შექსპირი და კინო

დღეისათვის შექსპირის სიუჟეტების მიხედვით გადაღებული 50-ზე მეტი ფილმი არსებობს. მათ შორის ბევრი ფილმი სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ რამდენჯერმეა გადაღებული. შექსპირისეული ფილმები შეიქმნა ჯერ კიდევ მუნჯი კინოს ეპოქაში. შემორჩა „ჰამლეტის“ ფრაგმენტები სარა ბერნარის მონაწილეობით. ფირზეა აღბეჭდილი ცალკეული ეპიზოდები ჰამლეტის როლის ერთ-ერთი საუკეთესო შეხსრულებლის, XIX-XX საუკუნეების ნიჭიერი ინგლისელი მსახიობის, ფორბს რობერტსონის მონაწილეობით. 20-იან წლებშია გადაღებული „ჭირვეულის მორჩულება“, რომელშიც მერი პიკფორდი და დუგლას ფერბენკსი თამაშობენ. მაგრამ შექსპირისეული ფილმების დიდი უმრავლესობის ნაკლი იმაშია, რომ ისინი სექტაკლებს უფრო ჰგავან, ვიდრე ნაღდ ფილმებს. სამ-

წუხაროდ, ასეთია ლოურენს ოლივიეს „რიჩარდ III“, თეატრალიზებული მისივე „ჰამლეტი“. რაც შეეხება „ბენის V“, ოლივიემ აქ შედარებით თავი დააღწია თეატრალობას და შესანიშნავი ფილმი შექმნა. იგი ოლივიეს ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად იქნა აღიარებული.

თეატრალიზებული ფილმები გადაიღო ამერიკელმა რეჟისორმა ორსონ უელსმა „მაკბეტში“.

მიუხედავად არაერთგზისი ცდისა, შექსპირი დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა კინოში.

იუგოსლავია

დოსტოვსკი
ბაკაღონიურ ენაზე

გამომცემლობა „მისლამ“ მიმდინარე წელს ორმოცამდე მხატვრული ნაწარმოები გამოცდა.

როგორც გაზეთ „ბორბას“ კორესპონდენტი იტყობინება, რესპუბლიკის საკამომცემლო საქმიანობაში ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იქნება ბაკაღონიურ ენაზე დოსტოვსკის რჩეულ თხზულებათა გამოცემა 20 ტომად.

ჩაიკოვსკის ოპერა
რუსულად

სკოპლეს სახელობის მაკედონის სახალხო თეატრმა მოამზადა ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“. ოპერის პრემიერა შე-

დგა 1971 წლის თებერვალში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მაკედონიის სახალხო თეატრის სცენაზე „მეგვინი ონეგინი“ დაიდგა რუსულად.

იტალია

სოფი ლორენი

ფილმში „მეასშვირბები“

მრავალი ქვეყნის ეკრანებზე წარმატებით მიღის ვიტორიო დე სიკას ანტისაომარი ფილმი „მწესუმწიკრები“. ფილმში მთავარ როლს ასრულებს სოფი ლორენი.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტთან საუბარში სოფი ლორენმა განაცხადა: „მწესუმწიკრები“ თანამედროვე ფილმია. იგი ჩემთვის ყველაზე საყვარელია და საამაყო. მასში შესანიშნავადაა გადმოცემული ომის ტრაგედია და მისი აღმავლობის მთავარი დეგები“.

შეკითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდა იგი საბჭოთა კავშირიდან, მსახიობმა განაცხადა: „დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ჩამოვედი საბჭოთა კავშირიდან. არ მეგონა, თუ იქ ასე კარგად მიცნობდნენ. მარჩელო მას-

ტროიანი, დე სიკა, ყველანი გაოცებულები ვიყავით საბჭოთა ხალხის გულთბილი შეხვედრით. ათასობით აღმანი მთხოვდა ავტოგრაფს, ყველა რაღაც საჩუქარს მიწვდიდა. არასოდეს დამვიწყდება საბჭოთა ხალხის გულთბილი შეხვედრა“.

საფრანგეთი

ფერნანდელის

უპანასწანელი

როლი

2 მარტს საფრანგეთმა დაიტირა სახელგანთქმული კომიკოსი. დაიტირა მსახიობი, ურომლისოდაც შეუძლებელია მსოფლიო კინოსიტორიის წარმოადგენა.

ფერნანდელი პირველად ეკრანზე 44 წლის წინ გამოჩნდა და მას შემდეგ დიდი გატაცებით, განუმეორებელი ინდივიდუალობით ქმნიდა ახალ-ახალ სახეებს.

„ფერნანდელი ჰუმარიტად ნიჭიერი მსახიობი იყო. ენერგიული, მუდამ ხალისიანი და მომხიბლავი. ათასში ერთ მსახიობს თუ ძალუძს ყოველთვის ისე ააღვლავოს მაყურებელი, როგორც ამას ფერნანდელი ახერხებდა“, — განაცხადა

რეჟისორმა კრისტიან-ჟაკმა, რომლის ფილმში „დონ კამილიო და მეამბოხენი“ მსახიობმა სულ ახლახანს დაიწყო გადაღება.

კრისტიან-ჟაკის „დონ კამილიო...“ მსახიობის ას ორმოცდამეათე ფილმი იყო. სამწუხაროდ, ფილმი დაუმთავრებელი დარჩა მისი გარდაცვალების გამო.

ფერნანდელის ბოლო, ას ორმოცდამეცხრე ფილმი იყო ანრი კოპის „ბედნიერია, როგორც ოდისეუსი“. ფილმის მთავარი გმირი, ბებერი მეჭინიბე ანტონენი, განიზრახავს დაეხმაროს თავის მეგობარ ცხენს — ულისეს. ულისე ანტონენს ძალიან უყვარს, ოცდახუთი წელია მასთან მეგობრობს, უვლის. როდესაც ცხენი დაბერდა, ბატონებმა გადაწყვიტეს იგი ცირკოსთვის მიეყიდათ. არღონი გაისტუმრეს და თან ანტონენი გააყოლეს. ანტონენმა გადაწყვიტა, გადაერჩინა მეგობარი და მასთან ერთად ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა დაიწყო.

„ამ ჰუმანურმა ფილმმა საბოლოოდ დააგვირგვინა შესანიშნავი მსახიობის შემოქმედებითი ოდისეა“ — წერდა გავეთი „ლუმინატ“.

ქურნალი ვაფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარისა № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაცემა დაწყებულია 5/11-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-71 წ., ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 495. უფ 01965. ტირაჟი 28.200.

3360 60 333.

6 30/81



*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236